ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0132-6023

# ცისკარი

**სალამი საქართველოს
კომკავშირის XXXII
ყრილობის დელეგატებს!**

3

1982

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეს სიმღერაა
საქართველოსი !

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

297

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

3

მარტი

1982

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

3. ვაჟა ლორთქიფანიძე — წინ, კომკავშირო, წინ!
7. ოთარ შალამბერიძე — თანამედროვე ლექსი

**საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატები „ცისკარში"**

10. ფარნა ზაქარაია, დავით ფრანგიშვილი, ბადრი ბოკუჩავა, ნინო კაპანაძე, ირმა თავშავაძე, დალილა ბედიანიძე

**პოეზია და პროზა**

16. შარლოტა კვანტალიანი — ახალგაზრდობა. ლექსი
17. თენგიზ ბუაჩიძე — გზა ბავშვობისაკენ. რომანი. დასასრული
67. ხუტა ბაგუა — ლექსები
71. აკაკი ვასაძე — ლექსები
80. ნანო იორამაშვილი — ორი მოთხრობა
87. ლეილა ცომაია — ორი მოთხრობა
112. მინდია არაბული — ლექსები
115. ჯუმბერ ტიკარაძე — სასწაულები. რომანი. გაგრძელება

**ჟუჟუნა წვიმა მოვიდა**

76. 84. 90. იმერი ხარაძე, დარეჯან ბატიაშვილი, ლინა ბარათაშვილი, ციცინო შევარდნაძე, ნაზი ხელაია, მარინე ფოცხვერაშვილი, ნინო მდივანი, თამარ აბულაძე, იამზე ჩიქავა, ტერეზა ჯოჯუა, გულიკო დვალი, მანანა აბრამიშვილი, ზუმრუდ გოდერძიშვილი, ნელი ჩაჩავა, დიანა წიკლაური, ნანა ოქრუაშვილი, მერი ნაჭყებია, ელისო კალანდარიშვილი, ცირა შალაშვილი, ქრისტინე ჭინჭარაული, ნათელა ჩხაიძე, ლილი ხუციშვილი, ლია ასათიანი, ცირა გოგეშვილი, მალვინა მუჟაბანიანი, ნაზი ჭედია, ციური ჯანდიერი, ლალი სხირტლაძე, ელენე ნადირაშვილი, ნუნუ ყალაბეგაშვილი, დალი ფიროსმანაშვილი, ნათელა მებრელიშვილი — მხოლოდ ერთი ლექსი

**ასფურცელა**

93. გურამ პეტრიაშვილი — ზღაპრები

**კომუნისტური აღზრდის ტრიბუნა**

123. ტრისტან ლაბარტყავა — იდეოლოგიური ბრძოლის ზემოქმედება კომუნისტური აღზრდის პროცესზე

**ნარკვევი**

133. ელდარ კერძევაძე — ვინ არის ბედნიერი...
135. ავთანდილ ვართაგავა, ტარიელ ვართაგავა — ბორბლებზე შემდგარი საუკუნე, ანუ „სეზამ, გაიღე!"
138. დავით მურმანიშვილი — მეცხოველეთა ხვალინდელი დღე

**წერილები**

142. რევაზ თვარაძე — ქართული დამწერლობის სათავეებთან

**მობურთალსა მოედანი**

151. ენვერ ნიჟარაძე — „ტორპედოს" დაბრუნება

**სატირა, იუმორი, პაროდია**

157. ვანო ცინცაძე — განცხადებები; ვიქტორ კახნიაშვილი — პროფესორი და მინისტრი; ნომადი ბართაია — ჯანდაბას დავწერ...

მთავარი რედაქტორი
**მორის ფოცხიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი
გივი გეგეჭკორი
გურამ გვერდწითელი
რისმაგ გორდეზიანი
გიორგი გუბლია
ნოდარ დუმბაძე
მერაბ ელიოზიშვილი
ვაჟა ლორთქიფანიძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოტია პაჭკორია

გურამ ფანჯიკიძე
ნუგზარ შატაიძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
ტარიელ ჭანტურია
რეზო ჭეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ლორთქიფანიძე,
საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

# წინ, კომკავშირო, წინ!

ჩვენს თანამედროვეზე ვისაუბროთ, დღევანდელობის ახალი ადამიანი რომ ეთქმის, ახალგაზრდა თაობაზე, რომელიც ადამიანთა სასიკეთო გზებს ეძებს, ვინც დღევანდელობის სრულუფლებიანი პატრონია, ვინც მოვალეა მოუთხროს მომავალ თაობებს ყალმითა და საჭრეთლით, ფუნჯითა და ლექსით, თუ როგორი მზით თბება დღევანდელი დღე, როგორ გააშენა უკაცრიელზე ქალაქი, თუ როგორ გაშალა ახალგაზრდა თაობამ დაბა-სოფელი და როგორ დააფრქვევინა მძლავრ ტურბინებს წყალი სინათლედ.

ეს თაობაა — ვიზეც უნდა სთქვან: ქედი ღონიერი აქვს და წელიც მოსდგამსო.

ასეთი მოვიდა საქართველოს 830 ათასიანი ახალგაზრდა თაობა თავის XXXII კომკავშირულ თავყრილობაზე.

მოვიდა თავისი საქმეებით გამოჩენილი, ძლიერი და წელში გამართული, მებრძოლი და შემტევი, დაუღალავი და მაძიებელი, მომღიმარი და გულღია, ალალმართალი და პრინციპული, მარად ერის ხვავისა და ბარაქის მომწევი და შემოქმედი.

ამასწინათ, მოსკოვში ჩატარებულ ერთ-ერთ დიდ საკავშირო შემოქმედებით შეკრებაზე დღევანდელ პერიოდს „ქართული კულტურის ერთგვარი რენესანსის პერიოდი" უწოდეს.

ჩვენი კულტურის ასეთი აღმავლობა, ასეთი გამარჯვებები შედეგია იმ ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისა, რომელსაც უკანასკნელი 9-10 წლის განმავლობაში ასე თანმიმდევრულად და განუხრელად ახორციელებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ამ ყურადღებას, ამ ზრუნვას რესპუბლიკის კულტურის შემდგომი აყვავებისათვის თითოეული ჩვენთაგანი ყოველდღიურად გრძნობს, თვალნათლივ ხედავს.

ახალგაზრდა შემოქმედებზე ასეთი ზრუნვის რამდენიმე კონკრეტული მაგალითი გვინდა შეგახსენოთ.

— ეს გახლავთ ჟურნალ „ცისკრის" დამატება „ნობათი", განახლებული სახელწოდებითა და შინაარსით.

— ყოველწლიურად ოცი საგამომცემლო თაბახი განკუთვნილი ახალგაზრდა ლიტერატორებისათვის.

— ეს გახლავთ სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრი-სტუდია „მეტეხი".

— პანტომიმის სახელმწიფო ახალგაზრდული თეატრი.

— კინოსტუდია „ქართული ფილმის" ახალგაზრდული თეატრალური სახელოსნო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კინოსტუდია „ქართული ფილმის“ გაერთიანება „დებიუტი“.

— კინოს ფაკულტეტი თეატრალურ ინსტიტუტში.

— თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდია.

— ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კლუბი.

— შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკური ცენტრი.

—შემოქმედებითი ახალგაზრდობის სატელევიზიო კლუბი.

— საქალაქო კლუბი „ამირანი“.

— და ბოლოს კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე, რომელიც თავისი ფართო შესაძლებლობებით სულ უფრო და უფრო ხდება შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის სერიოზული ცენტრი.

ასეთი მაგალითების ჩამოთვლა კიდევ შეიძლებოდა. ასეთი ახალგაზრდული სიახლეები მრავლად არის ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში.

ჩვენმა ახალგაზრდა შემოქმედებმა კიდევ უფრო განამტკიცეს და გააფართოვეს კავშირი ცხოვრებასთან, უფრო აქტიურად და ქმედითად ჩაებნენ თანამედროვეობის მხატვრული ასახვის საქმეში, მეტი დაინტერესებით, გზნებით, მოჰკიდეს ხელი ეპოქის მხატვრული მატიანის შექმნას, ჩვენი თანამედროვეების სახეთა რეალისტურ გამოძერწვას.

უფრო ღრმად ამსახველი და სიმართლის თამამად მთქმელია ქართული მხატვრული პროზა, რომელმაც ნეგატიურ მოვლენათა თამამი კრიტიკა შეუხამა დადებითი საწყისების ხმამაღალ ქადაგებას.

უფრო საქმიანი, ცხოვრებასთან დაახლოებული, მებრძოლი და რეალისტურია ახალგაზრდების პოეზია. ახალგაზრდა დრამატურგებმა მოგვცეს რამდენიმე საინტერესო პიესა, რომელიც გამოირჩევა თანამედროვე ადამიანის შინაგანი ბუნების გახსნისაკენ სწრაფვით. ლიტერატურული მასალის ობიექტური, მომთხოვნი შეფასებისაკენ სწრაფვა გამოამჟღავნეს ჩვენმა ახალგაზრდა კრიტიკოსებმა.

გმირის სოციალური წრის გაფართოება — დღევანდელი ლიტერატურისა და ხელოვნების ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტია.

გმირის სულიერი ზრდა, მისი მოქალაქეობრიობის გაღრმავება, ახალგაზრდა გმირისა და უფროსი თაობის ადამიანების სულ უფრო დაახლოების ცდა — აი რითი გამოირჩევა ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედების უკანასკნელი ნამუშევრები.

დაფიქრება მორალურ ღირებულებებზე, ადამიანის ყოფიერებაზე — ეს და სხვა ფილოსოფიური თემები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ მიუწვდომელი იყო ახალგაზრდა გმირისათვის, სულ უფრო ხშირად ისმება და რაც მთავარია სწორედ იხსნება ახალგაზრდა შემოქმედების მიერ.

დაიხვეწა ახალგაზრდა კაცზე შექმნილი ნაწარმოების მხატვრული დონეც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ მასთან ერთად, ჩვენის აზრით, ნაწარმოების შექმნა კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელზე ნამდვილი ძალით მხოლოდ ახლა იწყება.

ლიტერატურაში გმირის შემოყვანა ცხოვრებიდან,—აი რა არის ჩვენი ახალგაზრდა შემოქმედისათვის მთავარი და შემდეგ ეს გმირი თავისთავად, თვითონვე დაუბრუნდება ცხოვრებას, ისევ მოძებნის გზას თითოეული ახალგაზრდა კაცის გულსა და გონებისაკენ და თავისთავად გააფართოებს, გაამრავლებს ჩვენს გვერდით მსგავსი გმირების რიცხვს.

საყოველთაოდ ცნობილია ის დიდი როლი, რომელსაც ასრულებს კულტურა ხალხთა შორის ძმობის, მეგობრობის, ინტერნაციონალური სულისკვეთების გაღვივებისათვის, ერთა დაახლოების საქმეში. ამ მხრივ, საყურადღებოა უკრაინისა და საქართველოს ახალგაზრდობის დღეების ჩატარება ორ მოძმე რესპუბლიკაში, საუკეთესო ტრადიციად დამკვიდრდა ვლ. მაიაკოვსკის დღეები საქართველოში.

დღეს, თითოეული ახალგაზრდა შემოქმედის ვალია სწორედ დამაჯერებლად ასახოს თანამედროვეობა, თანატოლების ცხოვრების ჰეროიკა, გაუღვივოს თითოეულ ახალგაზრდას მისწრაფება კეთილშობილური მაგალითისაკენ, იმ ადამიანთა მიბაძვისაკენ, რომელთა შრომა, ზნეობა, ყოველდღიური ცხოვრება ალამაზებს დღევანდელობას და ასე, ძიებასა და აზრთა სხვადასხვაობაში დაიბადება არაერთი ნიჭიერება.

უნდა შევხედოთ ერთ საკითხსაც. ეს არის ჩვენი შემოქმედების ლიტერატურისა და ხელოვნების როლი ახალგაზრდობის პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა აქტიურად უჭერს მხარს ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარე დიდმნიშვნელოვან ძვრებსა და პროცესებს, იმ თანმიმდევრულ ბრძოლას, რომელსაც საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი აწარმოებს ყველგან სიკეთის, რწმენის, პატიოსნების დასამკვიდრებლად. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენი შემოქმედებითი ახალგაზრდობის შესაძლებლობების სრული გამოყენებისაგან ჯერ კიდევ შორს ვართ. თითოეული მათგანის სახით ჯერ კიდევ არა გვყავს ნაკლოვანებებთან, უარყოფით მოვლენებთან, ნეგატიურ მოვლენებთან აქტიურად და ბოლომდე მებრძოლი შემოქმედი, მხოლოდ ყოველგვარი შტამპისა და დამტკბარი შაბლონისაგან გათავისუფლებული ხელოვნება აღზრდის კეთილშობილებას ახალგაზრდა კაცში.

ამ საქმეში ჩვენ განსაკუთრებულ მხარდაჭერას ველით შემოქმედებითი ინტელიგენციის უფროსი თაობის წარმომადგენლებისაგან, იმ ადამიანებისაგან, რომელთაც შემოქმედებითი წვისა და ძიების, შემოქმედებითი აღმოჩენების უდიდესი გამოცდილება აქვთ.

ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახალი თაობის მოსვლის პროცესი რთული და მრავალმხრივი პროცესია. ის თუ ვინ იქნება ხვალ, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დღევანდელ დღე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზე, ჩვენს მცდელობასა და მონდომებაზე. საინტერესო შემოქმედი ხომ უმეტესად, გამოჩენისთანავე იქცევს ყურადღებას.

კომკავშირული ორგანიზაციის წინაშე განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანა დგას: ხელი შეუწყოს და იზრუნოს იმისათვის, რომ შემოქმედ თაობათა პროცესი იყოს მუდმივი და განუწყვეტელი, რაც უპირველეს ყოვლისა, ნორჩ ტალანტებთან მუშაობის რადიკალურად გარდაქმნის აუცილებლობას წარმოშობს.

შემოქმედად ფორმირების პროცესი ადრეული ასაკიდან იწყება და ამიტომ სკოლაშივე უნდა აღმოცენდეს ნიჭი, მიეცეს სწორი გეზი მის განვითარებას.

ამ თვალსაზრისით საქმიანობა, პიონერულ რაზმსა და რაზმეულში, თითოეულ კომკავშირულ ორგანიზაციაში უნდა გააქტიურდეს. აქ უნდა გამოიკვეთოს ყოველი სასკოლო კომკავშირული ორგანიზაციის და პედაგოგიური კოლექტივის მაორგანიზებელი როლი.

ამ პატრიოტულ მოძრაობაში, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ახალგაზრდა შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები უნდა ჩაებნენ. მათი აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის ერთგვარ კრიტერიუმად უნდა იქცეს სწორედ ნორჩ შემოქმედებთან მუშაობა. ფრიად მნიშვნელოვანია, თუ ვინ იმუშავებს მათთან. ბუნებრივია, ხელოსანი ხელოვანს ვერ აღზრდის.

საქმის წარმატებისათვის საჭიროა ერთიანი სისტემის გააზრება, ჩამოყალიბება — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, კულტურის სამინისტროს, განათლების სამინისტროსა და შემოქმედებითი კავშირების მიზანმიმართული და მიზანდასახული ერთობლივი საქმიანობა, რადგანაც საკითხი ჩვენი ლიტერატურის, კულტურის ხვალინდელ დღეს ეხება.

ვუსურვებთ ჩვენს შემოქმედებით ახალგაზრდობას, ყოველთვის შექმნას ეპოქის თანადროული მაღალმხატვრული და მაღალიდეური ნაწარმოებები დღევანდელ მშრომელ ახალგაზრდა კაცზე, ჩვენი ქვეყნის დიად გარდაქმნებზე, „მათი შემოქმედება მუდამ უნდა იყოს დიადი ეპოქის ჭეშმარიტი გამოხატულება, ხოლო მათი ნაყოფი საუკუნეებმა მიიღონ საკუთრად".

ჩვენს ნიჭიერ ახალგაზრდობას ვუსურვებთ თავისი შემოქმედებით ფერუხვი წარუდგეს ისეთ მკაცრ და მიუდგომელ მსაჯულს, როგორიცაა მომავალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ შალამბერიძე

## თანამედროვე

ეს — მე ვარ, შენი თანამედროვე
და დაცხრილული მომაქვს შინელი.
მარადისობას გადავეტოლე
შენივე ტოლი კომკავშირელი.

ქარიშხლის ფრთებზე გამოვიზარდე
და ის დროც გულში მაქვს ჩაკირული;
მე როდი ვიბრძვი გმირობისათვის,
ბრძოლა მჩვევია მხოლოდ გმირული!..

თავისუფლების ტკბილი ნექტარი
სიცოცხლის ფასად მოწვეთავს მუდამ;
მიტომ მაცვია რკინის ბექთარი,
კვლავ ბევრს გასაჭირს გავუძლო უნდა.

მიზანიც ბრძოლით უნდა არჩინო,
ეჭვის ღრუბელი ქარს გაატანო;
რამდენი ჯაფა იყო საჭირო —
შეგვექმნა ძმობის დიდი სამთავრო.

ეს — მე ვარ, შენი თანამზრახველი
დარშიც, ავდარშიც — ბედის ქარაფთან —
ვარ კომკავშირი! — რომლის სახელიც
სამყაროს ცნებას გაუთანაბრდა!..

ამ ერთ სახელში ზათქით, ზანზარით
ვძლიეთ, გავშალეთ და გავიტანეთ!
და დგას ეპოქა უზარმაზარი,
როგორიც შვენით მართლა ტიტანებს.

ამ ერთ სახელში აბჯრად ასხმული
და უდრეკელი, როგორც ჯავარი —
კაშკაშებს რწმენის დუღაბდასხმული
წარსულიც, აწმყოც და მომავალიც!..

ეს — მე ვარ, შენი თანამედროვე,
ყოველგვარ ეჭვს რომ ვმუსრავ ძირშივე;
სხვა გზას ადრითვე გამოვეთხოვე,
ეს — ერთადერთი როს ავირჩიე!

ცხოვრება ხშირად ფანტავს მეგობრებს,
წუთით არ ცხრება ხელი მზაკვარი;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე კი ვერც წლები გადამელობნენ,
არ დამკარგვოდა შენი გზა-კვალი.

გაჩენის დღიდან არ მახსოვს წამიც,
რომ ძლევის ზარი არ დამერეკოს;
ჩემს უკან დიდი სიმშვიდე არის —
ჩემს უკან ძინავთ კრონშტადტს, პერეკოპს...

ჩემს უკან ძინავთ დამცხრალ ქარიშხლებს,
ათას ყორღანს და ათას კირთებას;
მათი დუმილი ახლაც გვანიშნებს,
რომ ნაჭირმაგევს დაცვა სჭირდება!..

თუმც უკვდავების არის წყალობა,
მაინც ძნელია, ერთობ შემძვრელი,
როს საფეთქელთან, ტყვიის გალობით
ცისკარს ხვდები და ისე ეცემი...

არა, მათ ხსოვნას, კვალად რომ მკვიდრობს,
ვერც მღვრიე წყლებიც გადაელობნენ
და, ვინც ამ დღისთვის დაეცა იმ დროს,
დღეს მხარში გიდგას თანამედროვედ!..

ეს — მე ვარ, შენი თანამედროვე,
ქუდზე კი ისევ ძველი ჭირხლი დევს...
იმ დროისაა ჩემი თეთრონიც,
დღეს რომ დიდ გზაზე შემოგჭიხვინებს!..

ქუდიც ის არის, ერთი ნახვითაც
მთელ გმირულ წარსულს რომ ჩაგიელვებს
და ისევ ავსებს სიამაყითა
ახალი დროის კორჩაგინელებს!..

ნაწვეთალებიც, ზედ რომ მკვეთრობენ,
ბედის ვარსკვლავად ყველგან დამყვება!
ეს — მე ვარ, შენი თანამედროვე
და კომკავშირი მქვია სახელად!..

ეს — მე ვარ, ყველგან შენი მხლებელი,
ზვარში, ყანაში, სოფლად, ქალაქად;
გულდაჯერება როდი შეგფერის,
ნურც გწამს — ყოველი თითქოს დალაგდა.

გარს ფუფუნება როდი გვავლია,
(მერე ძნელია მისგან მორჩენა);
რევოლუცია თოფის კვამლია
და კვამლის იქით — მზის გამოჩენა!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს — მე ვარ, შენი თანამედროვე,
და მზეო, შენც კი დაიჩრდილები, —
შრომის ეშხით რომ ალავერდობენ
ჭაბუკები და ქალიშვილები.

შენი მყოფადის მე ვარ მეფუძე
და ბაზალეთის აკვნის გამთლელი;
მე შენთან ერთად ვდგევარ ენგურზე,
ჟინვალთან ცისკრის მადგას ნათელი!

ეს — მე ვარ, შენი ცეცხლის ღადარი,
მწყობრში ვდგები და ღელვით ვივსები;
მაგრამ ზღვას მაინც ნუ შემადარებთ, —
მე უკუქცევას ვერ ვეთვისები!..

როცა კაცური სინდისით ცხოვრობ,
შენს კვალზე სხვებიც ლაღად მოდიან;
რევოლუცია, ბოლოს და ბოლოს,
მარტოდენ თოფის კვამლი როდია!..

მე ჩაგაბარეთ ის გასაღებიც,
რითაც ცხოვრების აღებთ კარიბჭეს
და საკუთარი სისხლის გაღებით
კომკავშირელის სახელს განიჭებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატები „ცისკარში“

ფარნა ზაქარაია

არქიტექტორი

მე წინა ყრილობის დელეგატიც გახლდით. დღესაც კარგად მახსოვს ის საინტერესო ლაპარაკი, რომელიც ახალგაზრდობის პრობლემებზე იქ გაიმართა. განსაკუთრებით დამამახსოვრდა თვალნათლივ გამოკვეთილი დამოკიდებულება ახალგაზრდა შემოქმედებისადმი, ის მოთხოვნები, ის ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დაისვა მაშინ.

ბუნებრივია, როდესაც ახალი ყრილობისათვის ვემზადებით, ჩემი და ჩემი მეგობრების საქმიანობა განვლილ პერიოდში იმ საუბართან, იმ პრობლემებთან კავშირში გვინდა გავიხსენოთ. გასახსენებელი კი ახალგაზრდა ქართველ არქიტექტორებს მართლაც გვაქვს: პირველი და ალბათ უმთავრესი გასახსენებელი ის არის, რომ ახალგაზრდა არქიტექტორები ყოველთვის აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას იმ პრობლემების გადაჭრაში, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის, ჩვენი ხალხის წინაშე დგას, არქიტექტორთა ბევრი თაობისათვის იქნება საამაყო კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე, ნია გრუზინსკაია ბამზე, საბავშვო ქალაქ „მზიურის“ პროექტი, რომლის პირველი რიგი სწორედ საყრილობოდ უნდა განხორციელდეს, ახალგაზრდა არქიტექტორთა აქტიური მონაწილეობა თბილისის ძველი უბნების შესწავლა-რესტავრაციაში, ახალგაზრდობის მემორიალი წითელ ხიდთან, ახალგაზრდა არქიტექტორთა შემოქმედების საკავშირო დათვალიერებაზე ჩვენი არქიტექტორების გამარჯვება და მრავალი სხვა. გვინდა გავიხსენოთ საქალაქო ახალგაზრდულ კლუბ „ამირანთან“ არსებული არქიტექტურული სტუდიის საქმიანობაც, გასულ წელს მათი პროექტით ექსპლოატაციაში შევიდა საქალაქო კლუბ „ამირანის“ განახლებული შენობა, ერეკლე II-ის მოედანზე შენდება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის სახლი, პროექტირების სტადიაშია ახალგაზრდობის სახლები თბილისში, ცაგერში, ახალგაზრდული ობიექტების კომპლექსი ამბროლაურის რაიონში და სხვა. ვფიქრობთ პირველი მაისის რაიონში პიონერთა სახლისა და კომკავშირის ხეივანში ახალგაზრდული ობიექტების საპროექტო წინადადებების დამუშავებაზე.

ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად ახალგაზრდა არქიტექტორები აქტიურად მონაწილეობდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც. მათი მონაწილეობით მრავალი საინტერესო საუბარი, განხილვა გაიმართა შემოქმედებითი ახალგაზრდობის რესპუბლიკურ ცენტრში, არქიტექტორთა და სხვა შემოქმედებით კავშირებში, ლაგოდეხისა და ბაკურიანის სემინარებზე...

ნიჭი და ტალანტი ჩვენს ახალგაზრდობას არ აკლია. და ამიტომ პირველ რიგში მინდა კუსურვოთ შრომისა და გარჯის მეტი სიყვარული და უნარი. და ამის საფუძველზე განვითარებული მაღალი პროფესიონალიზმი. არცერთ კაცს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არ შეუძლია ნორმალურად იცხოვროს და განვითარდეს, თუ მას არა აქვს პროგრესული იდეალი, მაღალი აზრი ემსახუროს საზოგადოებას, ხალხს, სამშობლოს, იმის მოთხოვნილება, რომ ცოდნა, განათლება გადაიქცეს მაღალი ზნეობის საფუძვლად. სწორედ მაღალი ზნეობის პროგრესული ახალგაზრდობა სჭირდება ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანას, და კიდევ ერთი, მთავარი რამ — უფრო მეტად გავუფრთხილდეთ დროს, ხანდაზმულ ასაკში რომ არ ვინანოთ უაზროდ წასულ ცხოვრებაზე, ალბათ უფრო ხშირად უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რას ვაკეთებთ და რატომ ვცხოვრობთ.

## დავით ფრანგიშვილი,

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი.

●

ახლად შექმნილ ახალგაზრდულ ჯგუფთან ერთად, რომელშიც შედიან ასპირანტები და თსუ სტუდენტები, დავიწყე მუშაობა ახალი მიმართულებით. იგი შეეხება იმ მიკროორგანიზმების კვლევას, რომლებიც ცხოვრობენ თანამედროვე დედამიწისათვის უჩვეულო პირობებში — მდუღარე წყალში, უჟანგბადო გარემოში, ძლიერ მჟავე არეში და ა. შ. —-ერთი სიტყვით, ისეთ პირობებში, რომლებიც დედამიწაზე არსებობდნენ მხოლოდ არქაულ პერიოდში. ამ ორგანიზმების მიმართ მსოფლიოში ინტერესი ბოლო წლებში შესამჩნევად იზრდება. ჩვენში კი ჩვენი ჯგუფი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთია, ვინც მათი კვლევა დაიწყო. არა და საკითხი ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია, რადგანაც აღნიშნული არქაული ორგანიზმების კვლევა საშუალებას იძლევა აღდგენილ იქნას დედამიწაზე სიცოცხლის განვითარების პირველყოფილი სცენარი და ექსპერიმენტულ საფუძველზე გარკვეულ იქნას ევოლუციის ძირითადი პრინციპები. რიგი სიძნელეების მიუხედავად ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და უკვე მიღებული პირველი შედეგები გვაიმედებენ, რომ შევძლებთ მოკრძალებული წვლილის შეტანას აღნიშნული საკითხების გარკვევაში.

ქართველ სამეცნიერო ახალგაზრდობას ვუსურვებ შეინარჩუნოს უფროსი თაობის მეცნიერების მიერ დამკვიდრებული სახელოვანი ტრადიციები, კიდევ მეტ სიმაღლეზე აიყვანოს ქართული მეცნიერება, პირნათლად შეასრულოს ის მოთხოვნილებები, რომლებსაც მეცნიერების წინაშე აყენებს საბჭოთა საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

## ბადრი ბოკუჩავა

რუსთავის № 4 სამშენებლო სამმართველოს ახალგაზრდულ-კომკავშირული ბრიგადის ბრიგადირი

●

სასიხარულო ცნობებით იწყება 1982 წელი. ახალი წლის პირველ შრომით წარმატებებში თავისი წვლილი შეაქვს ქ. რუსთავის № 4 სამშენებლო სამმართველოს ახალგაზრდულ კომკავშირულ ბრიგადას, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასულ წელს ჩვენი ბრიგადა გამოეხმაურა ინიციატივას — „ყოველი წელიწადი ვადამდე, ხუთწლედი ოთხ წელიწადში“. და სამმართველოში გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება. ბრიგადის ყოველი წევრი გამოცდილებისა და ძალების დაუზოგავად ცდილობდა დროულად და პირნათლად შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება და მართლაც 19 დეკემბერს, ლ. ი. ბრეჟნევის დაბადების დღისთვის, ბრიგადამ გეგმა ვადამდე, 135%-ით შეასრულა. პარტიამ და მთავრობამ დიდი შეფასება მისცა ჩვენი ბრიგადის შრომით მიღწევებს. მე, როგორც ბრიგადის ხელმძღვანელი, დამაჯილდოვეს მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“.

დღეისათვის ბრიგადა 1982 წლის II კვარტლის ანგარიშზე მუშაობს და საქართველოს კომკავშირის 32-ე და საკავშირო კომკავშირის 19-ე ყრილობების აღსანიშნავ შრომით ვახტზე დგას.

მინდა, რესპუბლიკის ახალგაზრდობას ვუსურვო ახალი შრომითი გამარჯვებები ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და აყვავების საერთო-სახალხო საქმეში.

## ნინო კაკანაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ჩვენს რესპუბლიკაში მრავალი ათასი სტუდენტია და ყოველი მათგანი თავისებურად, ლამაზად, განუმეორებლად ატარებს სტუდენტურ წლებს.

მეც სტუდენტი ვარ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის ინგლისური განყოფილების სტუდენტი. სულ რამოდენიმე თვეც და დავამთავრებ უმაღლეს სასწავლებელს; ახლა უკვე სრულუფლებიან სპეციალისტად წარვსდგები სამშობლოს წინაშე.

პირველი კურსიდანვე ვფიქრობდი ჩემს მომავალ სამსახურზე, მაგრამ რაც უფრო ახლოვდება „ბოლო ზარი“, ვცდილობ ნაკლებად ვიფიქრო, თითქოს ამით სტუდენტობის წლების გაგრძელება, გახანგრძლივება შემეძლოს, — რატომ? — იმიტომ, რომ ამ ხუთმა წელმა, რომელმაც მართლაცდა ხუთი წუთივით გაირბინა, ბევრი რამ შეცვალა ჩემში, ჩემს ცხოვრებაში.

პირველი კურსიდანვე მომცეს საზოგადოებრივი დავალება — კურსის ალკკ ბიუროს მდივნად ამირჩიეს, შემდეგ ფაკულტეტის ალკკ ბიუროს მდივნის მოადგილედ, შემდეგ მდივნად, საქ. ალკკ ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის წევრად, საქ. ალკკ ქ. თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს დეპუტატად, ხოლო 1981 წლის 8 დეკემბერს კი რესპუბლიკის სტუდენტთა საბჭოს პრეზიდენტად.

ერთი ადამიანისთვის ეს ალბად ბევრიც არის, მით უმეტეს სტუდენტისათვის, რომლის უპირველესი მოვალეობა სწავლაა, ცოდნის შეძენაა, მაგრამ თუკი მოინდომებ, ყველაფერს მოასწრებ. თითქოს პარადოქსია, მაგრამ რაც უფრო მეტად ხარ დატვირთული, მით უფრო მეტის გაკეთებას ახერხებ, ალბათ იმიტომ, რომ უფრო მოწესრიგებული და განსაზღვრულია შენი დღის წესრიგი.

ბედნიერი ვარ, ნამდვილად ბედნიერი (ეს არასოდეს არავისთვის არ მითქვამს) რომ მონაწილეობა მივიღე რესპუბლიკის ახალგაზრდობისათვის ბევრ ღირსშესანიშნავ მოვლენაში. რომ დავფიქრდები, ვერ წარმომიდგენია სხვაგვარად თუ შევძლებდი სტუდენტობის გატარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჭირს განსაკუთრებულად რომელიმე დღის გამოყოფა, ყველა თავისებურად განუმეორებელი იყო და მაინც ვიტყვი, რომ ჩემთვის, რესპუბლიკის კომკავშირის აღზრდილისათვის, ყველაზე სამახსოვრო მოვლენა იქნება საქ. ალკკ XXXII ყრილობა, რესპუბლიკის კომკავშირელთა უმაღლესი ფორუმი.

გამოგიტყდებით და დიდი მღელვარებით ველოდი ყრილობის გახსნის დღის თარიღის გამოცხადებას, მინდოდა, რომ ისევ სტუდენტი ვყოფილიყავი, რათა კიდევ ერთი დაუვიწყარი დღით შემევსო ჩემი სტუდენტური ცხოვრების ისტორია.

რესპუბლიკის სტუდენტობა უპატაკებს ყრილობას თავის მიღწევებს სწავლაში, შრომაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში და მიხარია, რომ ჩემს ამხანაგებთან ერთად ამ მიღწევებში ჩემი მცირედი წვლილიც იქნება...

ბევრი კარგი თაოსნობის ინიციატორი და შემსრულებელია რესპუბლიკის ახალგაზრდობა. ეს ასეც უნდა იყოს, რადგან ხვალ ჩვენ უნდა შევცვალოთ ჩვენი მამები, პაპები, უფროსი მეგობრები, შევცვალოთ ღირსეულად.

ვუსურვებ საქ. ალკკ XXXII ყრილობას წარმატებით ჩატარებას, მის ყველა მონაწილეს ყრილობის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში წარმატებით განხორციელებას, ვუსურვებ საქართველოს ახალგაზრდობას — ქვეყნის მომავალს, ყოველთვის ყოფილიყოს ენერგიული, სიმართლის მოყვარული, პატიოსანი, უანგარო, გულახდილი, კრიტიკული და მომთხოვნი სხვების და პირველ რიგში საკუთარი თავის მიმართ.

## ირმა თავშავაძე

კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობის კოლმეურნე

ქვემო ჭალის კოლმეურნეობის კომკავშირული ორგანიზაცია 100-ზე მეტ კომკავშირელს აერთიანებს. ჩვენი კომკავშირული ორგანიზაციის, მისი თითოეული ახალგაზრდის წვლილი საკმაოდ სოლიდურად გამოიყურება კოლმეურნეობის საერთო მიღწევებში. კოლმეურნეობის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს XI ხუთწლედის პირველ წელს. მათი ძალებით დამზადებული იქნა 210 ტონა მარცვლეული, 195 ტონა ბოსტნეული, 284 ტონა ხილი, 118 ტონა შაქრის ჭარხალი.

პირადად მე გაპიროვნებული მქონდა 0,10 ჰექტარი შაქრის ჭარხლისა და ხახვის ფართობი, საიდანაც მივიღე 1750 კგ. ხახვი და 4500 კგ. შაქრის ჭარხალი.

ჩვენმა კომკავშირელებმა მნიშვნელოვანი. წვლილი შეიტანეს მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში. გასულ წელს მათ მიერ დამზადებული იქნა 1160 ტონა სენაჟი, 500 ტონა სილოსი, 75 ტონა თივა.

საქართველოს კპ XXVI და სკკპ XXVI ყრილობების მოთხოვნათა შესაბამისად კომკავშირელები აქტიურად ჩაებნენ სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება დავუთმეთ კოოპერირებაში დიასახლისების ჩაბმას. 1981 წელს კოოპერირების გზით ახალგაზრდების მიერ 5 ტონა ხორცი იქნა დამზადებული. ეს ციფრი წელს უფრო გაიზრდება.

ქვემო ჭალის კოლმეურნეობის კომკავშირელები და ახალგაზრდები აქედანვე შევუდექით მზადებას საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ვამზადებთ ტექნიკას. ჩვენი კომკავშირული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის, რომ ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდეს საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობას.

მინდა საქართველოს ახალგაზრდობას, ყველას ვისაც თავდადებული, ერთგული შრომით თავისი წვლილი შეაქვს ჩვენი ქვეყნის აყვავების საქმეში, ვუსურვო დიდი წარმატებები შრომაში, საზოგადოებრივ საქმიანობაში, სიხარული პირად ცხოვრებაში.

მოვუწოდებ ყველას, რომ იყვნენ აქტიურნი, თავიანთი შრომით კიდევ უფრო ამრავლონ ის წარმატებები, რაც ჩვენმა რესპუბლიკამ მოიპოვა XI ხუთწლედში. იბრძოლონ იმ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის, რაც ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობას დაუსახა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ.

## დალილა ბედიანიძე

პოეტი

ბედნიერი ვარ, რომ ამირჩიეს საქართველოს კომკავშირის XXXII ყრილობის დელეგატად და საშუალება მომეცა, ჩვენი ახალგაზრდობის უსაყვარლესი ჟურნალის ფურცლებიდან მოგილოცოთ ამ დიდი თავყრილობის დღეები.

თითქოს გუშინ იყო, XXXII ყრილობაზე საზეიმო განწყობილების გარდა საქმიანი, დაძაბული სამუშაო ატმოსფერო სუფევდა, მოვისმინეთ გასული წლების ანგარიში, წარმოითქვა ახალი წინადადებები, დაისახა ახალი გეგმები. დიდი მღელვარებით ვადევნებდით თვალყურს ყოველ ფაქტს, ყოველ ახალ სიტყვას. დღეს უკვე ახალ ყრილობას ვუპატაკებთ აღებულ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას.

ჩვენთვის, შემოქმედებითი ახალგაზრდობისათვის, ეს შუალედი მეტად ნაყოფიერი იყო. ჩვენი თაობის წვლილიც მიემატა სამშობლოს შრომით გამარჯვებებს. ალბათ ბევრს ახსოვს ახალგაზრდა სცენარისტის — დათო აგიაშვილის სცენარზე შექმნილი ფილმი — „რა მოხდა აბაშაში“, ახალგაზრდა მწერლების— გოდერძი ჩოხელის, მაკა ჯოხაძის, მერაბ აბაშიძის და სხვათა მოთხრობები, მანანა ჩიტიშვილის, ვახტანგ ხარჩილავას და ენვერ ნიჟარაძის ლექსები, კომპოზიტორ ჯემალ სეფიაშვილის ახალი სიმღერები, ჩვენი ახალგაზრდა მსახიობების მიერ შესრულებული როლები რუსთაველის თეატრის, მეტეხის ახალგაზრდულ-დრამატული თეატრ-სტუდიის თუ კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელოსნოს სცენებზე, ჩვენი ახალგაზრდა დრამატურგების — ლალი როსებას, ლაშა თაბუკაშვილის, თამაზ მეტრეველის ნამუშევრები... მუსიკოს-შემსრულებლები, მხატვრები, ჟურნალისტები, მთარგმნელები... ყველას ვერც კი ჩამოთვლი, მაგრამ ფაქტი ერთია — ყოველ ნამუშევარს სამშობლოსადმი დიდი სიყვარული, საქმისადმი ერთგულება, მაღალი მხატვრული დონე ახასიათებს. ბევრი მათგანი შესაბამისი პრემიებითაც აღინიშნა. და ეს გარდა პირადისა, ჩვენი უფროსი თაობის დიდი დამსახურებაცაა, ვინც ჩვენ გვზრდიდა, ჩვენს ყოველ ნაბიჯს განიცდიდა, გვასწავლიდა და გვხელმძღვანელობდა თავისი შემოქმედებით თუ უშუალო მეგობრული დამოკიდებულებით. ჩვენი პირველი მადლობაც მათ ეკუთვნით.

პირადად ჩემთვის მონაკვეთი ყრილობიდან ყრილობამდე მეტად შრომატევადი და საინტერესო იყო. შემოქმედებითი მივლინებით ვიმყოფებოდი საქართველოს რამდენიმე კუთხეში, ჩვენი დედაქალაქის — თბილისის სხვადასხვა ობიექტებში. შევქმენი ლექსების ციკლები, პოემები, სადაც შევეცადე, შესაბამისად აისახა ჩემი თანატოლების — ყოველი პროფესიის ახალგაზრდების საქმიანობა, იმედები, ოცნებები, მიზნები.

მოგეხსენებათ, შემოქმედებითი პროცესი რთულია და წინდაწინ რაიმეს დაგეგმვა ძალიან ძნელია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ეპოქის სისხლსავსე და ყოველდღიური სიახლეებით აღსავსე ცხოვრებას — მწერალი კი ამ ცხოვრების შუაგულში უნდა ტრიალებდეს და მისი მაჯისცემა სწორედ ფაქტების და მოვლენების ცვლილებათა რიტმს ემთხვეოდეს. და მაინც — თუმცა ზოგადად და დაახლოებით. მაგრამ მაინც ყოველმა ჩვენთაგანმა იცის, რას შექმნის მომავალში, თუ როგორ — ეს უკვე მომავლის საქმეა. ჩანაფიქრი სწორედ ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებიდან ამოდის და თანდათან ისხამს ხორცს, თანდათანობით იხვეწება.

კონკრეტულ გეგმებზე ლაპარაკი ცოტა პრეტენზიულია, დაე, ეს სიურპრიზად დარჩეს, სასიამოვნო სიურპრიზად! მაგრამ ერთი რამ ნათლად ვიცი — ჩემი ახალი ნაწარმოებები ისევ და ისევ სამშობლოს შრომით გამარჯვებებს, ჩვენი ცხოვრების მტკივნეულ თუ საამაყო მხარეებს, ჩემი თანატოლების მისწრაფებებს ასახავს.

„საქმემან შენმა გამოგაჩინოსო“, ნათქვამია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# პოეზია და პროზა

შარლოტა კვანტალიანი

## ახალგაზრდობა

შენ სხვანაირად ფიქრობ —
ხარ სხვანაირი კაცი,
ხან — გულკეთილი მეტად,
ხანაც — ძალიან მკაცრი.

შენი ბობოქრობს ისევ
ძველი და წმინდა სისხლი,
ცრემლი აწონე მისხლით
სისხლიც აწონე მისხლით.

შენმა ხელებმა დადგა
ჯამირზე პურის ძნები,
გჯერა, რომ ქვეყნად ყველა
ვართ მართლა ღვიძლი ძმები.

შენს სასახელო დღეებს
შარავანდედი ადგას,
და გიყვარს, სიძულვილი
არ შეგიძლია რადგან.

მზეს შიშველ ხელით იჭერ
და აფერადებ ღრუბელს,
ჰკურნავ ყველგვარ იჭვებს,
მზის სხივით ივსებ უბეს.

კეთილი ქარი ბერავს
შენი იმედის აფრას,
შენ საკუთარი ხელით
დარგე შენივე დაფნა.

შენს სახვალიო მიზნებს
ძლიერი ფრთები ახლავს,
ჩემო თაობავ, სწორდი!
ჩემო თაობავ, მაღლა!

გაგახსენდებათ სადმე
ჩემი სიმღერის გემო,
ნუ გეშინია ღელვის
ზღვაში გასულო გემო,

ანდერძად ჩაგითვლია,
რაც მამა-პაპას უთქვამს,
და აბარბაცებს მიწას
ჩემი თაობის სუნთქვა.

უცხოა შენთვის შური
და „ოცდაათი ვერცხლი",
დაიმორჩილე სრულად
მიწა, წყალი და ცეცხლი.

გაქვს ღონიერი მკლავი
და გაბედული აზრი,
შენ შეინახო უნდა
ენა, მიწა და ვაზი.

ვალებს გადახდა უნდა
ერის, ზეცის და მიწის,
ვერ გაანათებს, ვინაც
მხოლოდ თავისთვის იწვის,

ხვალ გასაშლელი კვირტი
იმედებს გაახელებს,
გადაეცემა საჭე
შენს საიმედო ხელებს,

შენი ოცნების რაშებს
არ შეეტყობათ დაღლა;
ჩემო თაობავ, სწორდი!
ჩემო თაობავ, მაღლა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თენგიზ გუაჩიძე

# გზა მომავლისაკენ

რომანი

## მესამე ნაწილი

### ხმა მომავლისაკენ

ორმოცი წელი კიდევ გავა. ოცდამეერთე საუკუნის ოციანი წლები დადგება. ნუთუ იქამდეც მიაღწევს ოთხმოცი წლის წინანდელი ამბების ექო?

მიაღწევს ალბათ. მიაღწევს ძველი წიგნებიდან, ძველი გაზეთებიდან, არქივებიდან, მუზეუმებიდან...

დღეს, ორმოცი წლის შემდეგ, გესაუბრებით, შორს დარჩენილო მეგობრებო! დღეს ვადგევარ თქვენკენ მომავალ ერთადერთ ბილიკს.

არა, მე კი არა, თქვენ მესაუბრებით ორმოცი წლის შემდეგ. თქვენი ხმა მესმის წელთა სიღრმიდან და თქვენი სახეები კრთიან ცრემლით დაბინდულ თვალთა წინაშე.

თქვენ მოდიხართ, თქვენ მორბიხართ, თქვენ მოქრიხართ იმ ერთადერთ ბილიკზე, იმ მოქანავე ვიწრო ხიდზე, რომელიც არ ჩატეხილა, რადგან უთქვენოდ არ არსებობს დღევანდელი და არც მომავალი იარსებებს.

მომავალნო, ვინც ქვეყნად გაჩნდებით ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში! უნდა მოგწვდეთ მათი ხმა, უნდა გაიგონოთ ოთხმოცი წლის წინანდელი თქვენი ტოლების ნაფიქრი. ისინიც თქვენისთანები იყვნენ, მათაც სურდათ სიცოცხლე და ბედნიერება!

და ოდეს იგრძნობთ მათთან კავშირს, როცა მიხვდებით, რომ თქვენ პირველნი არ მოსულხართ ამქვეყნად, რომ თქვენით არ იწყება ყველაფერი, თქვენი სიცოცხლით არ იზომება ყოფნა-არყოფნა, რომ თქვენ ბედნიერებაში მათი წვლილიცაა, მაშინ ერთი წამით უკან მოიხედავთ და ხელს გაუწვდით ოთხმოცი წლით უფროს თქვენს თანატოლებს...

### ნაწყვეტი დღიურიდან. 1943 წელი

1943 წლის 6 იანვარი. უეცრად გარდაიცვალა ცნობილი კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია. დეიდა ნატოს ძია კოლიასაგან დარჩა ორი ბუთხუზა ბიჭი — ელდარი და გიორგი, ხში-

---

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 1, № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალ მინახავს სახანძრო რაზმის პირდაპირ ცხაკაიას ქუჩაზე. დეიდა ნატოს ვესალმები ხოლმე. მამას იცნობდა, ამიტომ მოვალედ ვთვლი თავს, მივესალმო. პირველად გაკვირვებით მპასუხობდა და ყურადღებით მომაყუყუნებდა თავის არაჩვეულებრივ თვალებს. მერე მიეჩვია ჩემს სალამს. ასეთი ლამაზი სახის ქალი ჯერ არ მინახავს, მაგრამ მთავარი, რაც სილამაზეზე მეტად მოქმედებს ჩემზე, ესაა მისგან მომდინარე სიკეთის ნაკადი, — სიკეთეა ყოველ მის ნაკვთში, ღიმილში, მიხრა-მოხრაში, სიარულში... რა დიდი ბედნიერებაა, როდესაც ადამიანი სიკეთეს აშუქებს ირგვლივ (ამბობენ, ძია კოლიას ფიცხი ხასიათი ჰქონდაო. არ ვიცი, ვიცი, რომ კოლია შენგელაია ყმაწვილობაში პოეტი იყო და ფუტურისტებს ემხრობოდა). გამოსვენება მწერალთა კავშირიდანაა. წავალ.

7 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ასე მოვიდა ჩვენამდე საწყალი ჩაბრიას დაღუპვის ამბავი: 30 დეკემბერს თბილისიდან გამგზავრებულა მატარებლით სოფლისაკენ. 31-ში დილით ქიათურის სადგურიდან სოფელში ფეხით წასულა (ახალ წელს სახლში შევხვდებით, ალბათ). თოვლი დიდი ყოფილა და ქარიანი დღეც იყოო. შუა გზაში (სოფლამდე 17 კილომეტრია) ერთ-ერთი ქედის გადასვლისას, სასტიკ ქარბუქში მოხვედრილა. როგორც ჩანს, ჩაბრია გზას აცდენილა და ბევრი უწვალნია. 2 იანვარს უპოვნიათ მეურმეებს გზიდან ასიოდე მეტრზე — დაზვინული თოვლიდან ფეხის წვერი ჩანდაო (ძაღლებს აუტეხიათ ყეფა მის გარშემო). თოვლს დაუხრჩვია თუ გაყინულა, ვერ დაადგინეს. საწყალი ჩვენი ჩაბრია! არავითარი სახსარი არ გააჩნდა, მასა და მის პატარა და-ძმას ბიძა ზრდიდა (მამა ფინეთის ომში დაეღუპა, დედა უფრო ადრე გარდაეცვალა), ქალაქში შორეულ ნათესავთან ყოფილა შეკედლებული (სარდაფში ცხოვრობდა თურმე), ნახევრად მშიერი იყო და სულ შარვალშემოხეული დადიოდა. გვიკვირდა მისი სრული უუნარობა, ესწავლა (პრიმიტიულად მაინც) რუსული და ფრანგული. ორივეში გულკეთილი მასწავლებლები გვყავს და ყოველთვის პირობითად უწერდნენ წლიურ ნიშანს. სამაგიეროდ, ხელი ჰქონდა საოცარი, პირდაპირ ხატავდა ქართულ ასოებს, ამგვარი კალიგრაფიული ოსტატობა ჯერ არსად გვინახავს. კედლის გაზეთებს ბრწყინვალედ გვიფორმებდა — ხატავდა, წერდა (მისი წყალობით, ჩვენი კედლის გაზეთები ქალაქში პირველია). ბიჭებმა თქვეს, სახლში ნახატების მთელი გამოფენა ჰქონიაო (ნეტავ მაჩვენა! თუ ვინმემ არ მოუარა, დაიფანტება და დაიღუპება ის ნახატები. დათოს ვთხოვ, რაიმე მოიფიქროს), „პაჟარასა“ (ფულობანაა ერთგვარი) და კოჭს ყველაზე უკეთ ეგ თამაშობდაო (იქნებ გაჭირვებამ დააოსტატა ასე!), შეიძლება მოგებული ფულით ირჩენდა თავსო. ღმერთო, საწყალი ჩაბრია, რა მომავლის მხატვარი დაიღუპა უაზროდ? გოგოებმა ბევრი ვიტირეთ, ვიგონებდით გულკეთილ ჩაბრიას და ჩუმად ვტიროდით (ბიჭებმა დათქვეს, ყოველ ახალ წელს მოვიგონოთო ჩაბრია). მე ჩემს სატირალზეც ვტიროდი. ვაი, დედიკო! რაც შარშან ზაფხულს დედიკოს გარდაცვალების გამო მეწია, ღმერთმა ნულა შემახვედროს!

9 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ამ შუა ზამთარში დიდი თოვლი მოვიდა და სასაფლაოზე ველარ ავდივარ (თან მეშინია). დღეს შესრულდა 5 თვე დედიკოს წასვლიდან...

**სიმარტოვის თოვლი მოდის და სიობლის ქარი ქრის...**

10 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. დღეს გამოაცხადეს, რომ დაიღუპა მარინა რასკოვა — ჩვენი ბავშვობის გმირი. გრიზოდუბოვა, ოსიპენკო, რასკოვა — ვის არ ახსოვს? პარტია და მთავრობა „ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს გარდაიცვალა საბჭოთა ხალხის საყვარელი ქალიშვილი, ავიაპოლკის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი, მაიორი მარინა რასკოვა...“

დღეს მწერალ ალექსეი ტოლსტოის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბადების 60 წელი შეუსრულდა („აელიტა“, გენიალური „ხოჟდენიე პო მუკამ“, „პეტრე პირველი“...).

11 იანვარი. რომ შევაჯამო გასული დაწყევლილი წლის ამბები მოკლედ გამოვა: სულ მარტო დავრჩი. მაქვს პატარა ოთახი, დედისგან დარჩენილი ტანსაცმელი, ორი ლეიბი, სამი საბანი (კიდევ დედიკოს თბილი შალი), ორი საწოლი, ჭურჭლის კარადა, შიფონერი (სარკიანი), პატარა მრგვალი მაგიდა, 5 სკამი, ერთი ძველებური სავარძელი. თეთრეული: ზეწრები, ბალიშისპირები, საბნის გამოსაკრავები (ცოტა-ცოტაა, მაგრამ თუ მოვუვლი, დიდხანს მეყოფა) და სხვა ათასი საოჯახო წვრილმანი. დავიმახსოვრო: თვეში ერთხელ მაინც — დიდი სარეცხი (როგორც დედა აწყობდა: ეზოში ცეცხლი, დიდი ქვაბით წყლის გაცხელება, გამოხარშვა), კვირაში ერთხელ — მცირე, ყოველდღე — რაც იქნება. საპნის პრობლემა (!). ახლა სამზარეულოს მოწყობილობა: ორი ნავთქურა (ერთი არ მუშაობს), დიდი და მცირე ქვაბები, ჩაიდნები, ტაფები, თეფშები, დანა-ჩანგალი (ერთი კოლოფი სრულიად უხმარი, ბებოს ნაჩუქარი), კოვზები. წმენდა და დალაგება ყოველდღე (ძალიანაც რომ დამეზაროს — მაინც. ქალაქში პარტახტიანი ტიფია მოდებული, სადმე მკბენარი არ ამაღოლდეს, ბრრ!) დღეისთვის მაქვს ორი ბოთლი ნავთი. პურის წიგნაკი — ერთი, სურსათის წიგნაკი — ერთი, ნავთის წიგნაკი — ერთი (არსად დამეკარგოს — დავიღუპები!). ფულადი შემოსავალი: არავითარი (ნელ-ნელა გავყიდი რაღაცეებს). სკოლა აუცილებლად უნდა დავამთავრო (დედის ანდერძი: ექიმი გამოდი, არავითარი ფილოლოგია! ვეცდები), — ექვსიოდე თვე კიდევ. შემდეგ — მუშაობა, სად? ვნახოთ (სანიტრად ან დამლაგებლად მაინც მოვეწყობი ერთ-ერთ ჰოსპიტალში). წელს მაისში შევსრულდები 17 წლის, პასპორტი უკვე მაქვს. დროა, შევუდგე დამოუკიდებელ ცხოვრებას. ვნახოთ. ისეთი უცნაური გრძნობა გამიჩნდა, თითქოს ომი სულ იყო და არც არასდროს დამთავრდება. რატომ?

12 იანვარი. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მინერალნიე ვოდი, პიატიგორსკი, კისლოვოდსკი — კურორტები, სადაც არასდროს არ ვყოფილვარ. კისლოვოდსკში მამა ისვენებდა ერთ ზაფხულს, „მაშინ“.

ა. ნ. ტოლსტოი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

13 იანვარი. **სულ თუ არაფერმა შეგაშფოთა, არც თუ არაფერმა გაგახარა, ნუ იტყვი: სულის სიმტკიცეა — გეტყვიან სულის სიღარიბეს!..**

15 იანვარი. „დიდი ისტორიული“ ფაქტი: ჩვენი სკოლის დირექტორი „საპატიო ნიშნის“ ორდენით დააჯილდოვეს (გაზეთშია). დიდი ამბავი ყოფილა სამასწავლებლოში. დირექტორს დღეს წვეულება აქვს. მასზე ბევრი ცუდი ვიცი („ცუდი“ — რბილადაა ნათქვამი!) დათოსაგან, რომელმაც მამამისის ერთი მეგობრისგან იცის ყველაფერი — ბევრი საიდუმლო და ბევრი ახალი ამბავი.

საწყალი ჩაბრიას გამო ყველა მოწყენილია, გოგოები ხანდახან კიდევ ტირიან (ორი დღეა, სკოლაში არ წავსულვარ). ოთარი ქარხანაში მუშაობს, საღამოს სკოლაში გადავიდა. მეტად კმაყოფილია (თურმე სულ ამაყობს — ახლა მუშათა კლასი მე ვარ, ფრონტისთვის ვშრომობ, მიფრთხილდითო, ხუმრობა იქით იყოს, ოთარმა ყველას გვაჯობა!)

სულ უფრო ძნელი ასატანია სიცივე (შიმშილს გავუძლებ). ნავთი გამითავდა. დილის 6 საათზე რიგში უნდა ჩავდგე (სკოლა კიდევ გამიცდება). დღეს ტაფაზე სიმინდის მარცვლებს ვხალავდი (მაშინ გამითავდა ნავთი — ნავთქურა ახრჩოლდა და ჩაქრა), გემრიელია. კიდევ მაქვს ორიოდე კილო. სამწუხაროდ, კვლავ მახველებს და მახველებს...

18 იანვარი. დათომ საიდანღაც თუნუქის დაბრეცილი „ფეჩი“ მოათრია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ქანგიანი. ახლა მილებს ეძებს — ორ მეტრამდეა საჭირო, ფანჯარაში რომ თავი გავაყოფინოთ. მეზობლის ქალმა უკვე მოაწყო კაი ხანია. ჩემს კითხვაზე შეშის შესახებ, დათომ საქმიანად მიპასუხა: ჯერჯერობით ძველი ჟურნალ-გაზეთები და ზოგიერთი უსარგებლო წიგნი (!) დავწვათ, მერე კი ვნახოთო. სხვათა შორის, მიამბო საწყალ ჩაბრიას უკანასკნელი თავგადასავალი — როგორ დაუბრუნა დათოს მეშვეობით იმავე ღამეს ჰოსპიტალს ქონება. დათო ამბობს: ხომ შეეძლო არაფერი ეთქვა და ტანთ ჩაეცვა, იქნებ არც გაყინულიყო იმ ქარბუქში, მაგრამ შინაგანი პატიოსნების გრძნობამ გადასძლიაო. ნამდვილი მხატვარი იყო, გაჩვენებ მის სურათებსო, დაუმატა. მე ვფიქრობ, რომ დათოს დიდი ზნეობრივი გავლენა აქვს ჩვენს ბიჭებზე (და ალბათ ყველაზე, ვინც კი იცნობს, მაგალითად, ჩემზე — დიდი).

19 ИАНВАРИ. გარღვეულია ლენინგრადის ბლოკადა! როგორც იქნა!.. არასოდეს არ ვყოფილვარ არც მოსკოვში, არც ლენინგრადში, ნათლად კი წარმომიდგენია! ლენინგრადში რომ მოვხვდე, ვფიქრობ, ყველა პროსპექტს და მოედანს „ვიცნობ“!

21 ИАНВАРИ. დღეს ლენინის გარდაცვალების დღეა.

ერთი აბრიალდება ღუმელში ალი, გახურდება თუნუქი, მაგრამ ქაღალდი ორ წუთში ჩაიწვება და ღუმელი უცებ ცივდება. მერე სიცივე უფრო საგრძნობია. „ფეჩი“ პრაქტიკულად გამოუსადეგარია. დათო ამბობს, რამეს მოვიფიქრებო. ვმეცადინეობდი (ცოტა ჩამოვრჩი). სრულიადაც არ მიჭირს ლიტერატურა, ისტორია, გეოგრაფია, ენები. მიჭირს ფიზიკა, მათემატიკა, ქიმია (რა ექიმი გამოვალ მე?). მასწავლებლები გვინდობენ — არც თვითონ არიან ჩვენზე უკეთეს დღეში. სულ ქალები დარჩნენ, კაცი აღარაა სოლომონისა და ივანეს — ფიზიკას გვასწავლის — გარდა, ესენი ჯარისათვის ხნიერები არიან. ერთი კოჭლი ოსია კიდევ, ჩვენი სკოლის დარაჯი, ყველას გვიყვარს, მის პატარა ბავშვებს ვეთამაშებით ხოლმე შესვენებაზე, ორიოდე ოსური სიტყვაც ვისწავლეთ: ლაპუ — ბიჭი, ჩიზგ, — გოგო, არდამა რასუ — მოდი აქ, სომ ნახიმა — წავიდეთ სახლში...

22 ИАНВАРИ. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქი სტავროპოლი!

24 ИАНВАРИ. განთავისუფლებულია ქალაქი არმავირი!

25 ИАНВАРИ. დათო წასულა მცხეთაში (მატარებლის კიბეზე მდგარა ამ ყინვაში!), იქ ვიღაც ნათესავი თუ ამხანაგი ჰყავს. მოუგროვებია შეშა — ხის ტოტები, ფანერისა და ყუთების ნატეხები, ფიჩხი, კარგა მოზრდილი შეკვრა (სახედარს რომ აჰკიდებენ ხოლმე და სახედარი რომ აღარ ჩანს!). ღამით ისევ მატარებელს გამოჰყოლია (ცხადია, კვლავ კიბეზე მდგარა!). დიდუბის სადგურში ჩამოუგდია მილიციას. წამოსულა ფეხით, ამდენი კილომეტრი უთრევია მძიმე (და უხერხული) ტვირთი. ღამის 3 საათზე მომადგა შეშით, სასტიკად დაღლილი, ოფლში გაღვარული და მხიარული. მეძინა. ჯერ კარს არ ვუღებდი (ძალიან შემეშინდა). მაშინვე დავანთეთ ცეცხლი ჩვენს „ფეჩში“. რა მხიარულად აღუღუნდა ქანგიანი თუნუქი, რა კარგად გათბა ოთახი! დიდი ბედნიერებაა ცეცხლი, სითბო! ჩაი ავადუღეთ. თითქმის დილის 6 საათამდე ვისხედით.

თუ გამოზოგვით ვიხმარ, ორ კვირას უნდა ვიმყოფინო (გამოვთვალეთ: დღეში ვანთებ ორჯერ — სკოლაში წასვლის წინ და სკოლიდან მოსვლისთანავე). რა გადახდა ამ შეშის გამო დათოს, თითქმის არაფერი მითხრა (სულ ომამდელს ვიგონებდით), მაგრამ ვხვდები... გავიხსენეთ ბერერების ოჯახი, რუდი და თეთრი ამალია. დაწვრილებით ვუამბე ხანდია-გოგრას ამბავი. სულ პატარები რომ ვიყავით, ის დროც გავიხსენეთ. დათომ მიამბო საწყალი ჩაბროსა და მარკლენას თავგადასავალი. ვიხსენებდით, ვიხსენებდით.. აი, რა დამეწერა განთიადზე:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ასე ვიქნებით დამჭკნარ ვარდებად, ვით შორეული გზა და ზღაპარი, მაისის დილა მოგვენატრება — ჩვენი ბავშვობის თავშესაფარი. ჯერი შენია გახსენებისა და დავიწყების ჯერი ჩემია. იმ მოგონებას, თუკი გვეღირსა, რა დიდებული რამ შერჩენია! კვლავ არაერთხელ დაიფიფქება შორს გარდასული დღეთა ნათება. მოგვენატრება, გვიან იქნება, მაგრამ ჩვენ მაინც მოგვენატრება...**

ლექსი თუ არ „გასხვისდა“, იმდენად პირადულია — არავის აინტერესებს. რა გზა არსებობს ორ უკიდურესობას შორის?

26 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ავიღეთ ქალაქი ვორონეჟი!

27 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. გამოცხადდა, რომ საბჭოთა ჯარებმა ძირითადად დაამთავრეს სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია. ტყვედ ჩაგდებულია 28 ათასი და მოსპობილია 40 ათასი.

28 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ. ჩემი „კეთილი მეზობელი“ ხანდახან (საღამოობით, როცა მარტოა) შემოდის და ჭკუას მარიგებს, „ცხოვრებას მასწავლის“ (მისი გამოთქმაა). დათოზე მკითხა, ვინ არისო. ჩემს პასუხზე ორაზროვნად გაიღიმა. კინაღამ ავფეთქდი, მადლობა ღმერთს, როგორღაც თავი შევიკავე. მგონი შემატყო და სხვა საგანზე ატიტინდა. ცოტა შეშა მთხოვა და უარი ვერ ვუთხარი (თუმცა კი ნადირივით ვქშინავდი! რა სწრაფად დნება შეშის მარაგი?). იმ დღის შემდეგ (მის ფანჯარაში რაც დავინახე) საოცრად მეზიზღება. მაგრამ არა ვარ ბოლომდე მართალი, უნდა ვაღიარო, რომ რაღაცით მიზიდავს და მაინტერესებს. ვაკვირდები. ქუჩაში რომ შეგხვდეს, ასე კოხტად გამოწყობილი, მაღალი და საკმაოდ მოხდენილი (ცოტა სახე აქვს დაჭმუჭნილი, მაგრამ ამას მე თუ ვამჩნევ მხოლოდ), უეჭველად დაინტერესდები და პატივისცემით გაიმსჭვალები (არა, უნდა ვაღიარო, რომ გარეგნულად ეფექტური ქალია, რამდენის იქნება—25-ის, 30-ის, 35-ის), „ქალბატონის“ გარეშე ვერ მიმართავს კაცი. მაგრამ მე ხომ ვიცი, რა პირუტყვიცაა (წარმოუდგენელი!!). მისი საიდუმლოება რომ ვიცი, სწორედ ამიტომ მაინტერესებს და არ მაბრმავებს გარეგნობა, ხანდახან იდუმალ ზრახვებსაც ვუხვდები, სახეზე ჩრდილივით რომ გადაურბენს. ხან ტანის, ხელის ან ფეხის მოძრაობაშიც ვხედავ დაფარულ მანკს (იქნებ მეჩვენება, იქნებ წარმოდგენის ჭარბი უნარი მატყუებს, როცა მის მოძრაობას გონებაში ვამთავრებ და დასრულებულ პოზას ვხედავ, მერე როგორს?!). მის ორივე მამაკაცს სახეზე ვცნობ (საკმაოდ საზიზღრები არიან), რიგრიგობით დადიან. ერთხელ მთვრალები ერთად მოვიდნენ ხელდამშვენებულნი (ყვავილები, ტორტი). თუმცა დიდხანს არ დარჩენილან... ნუთუ ერთმანეთის მაინც არ რცხვენიათ?

რა უცნაური ყოფილა ეს ცხოვრება? რომ არაფერი მცოდნოდა, ხომ დავუახლოვდებოდი კიდეც. იმდენად მიმზიდველია ზოგჯერ, თანაც აივნის მეზობელია და ჩემსავით მარტოსული, რომ სავსებით ბუნებრივად და გულწრფელად დავუახლოედვბოდი! ცხოვრებაზე ვამბობდი: ზოგი რამ, საკუთარი თვალით რომ არ დამენახა, უნებურად რომ წარმოუდგენელი, დაუჯერებელი, ავადმყოფი და მახინჯი ფანტაზიის ნაყოფი იქნებოდა ჩემთვის. მარად და მარად ცხრაკლიტულის მიღმა დარჩენილი! ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ყოველი ადამიანი მთავარში მარტოა ამქვეყნად და სხვებისთვის გამოუცნობი, საიდუმლო შინაგანი ცხოვრებით ცხოვრობს. მარტო რომ ვარ ამქვეყნად. დედის სარეცელთან მივხვდი შარშან ზაფხულს, თუმცა მე სხვას ვგულისხმობ: შეიძლება უამრავი ახლობელი გყავდეს, მაგრამ, როცა დიდ გადაწყვეტილებას იღებ ან რაიმე მართლაც მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს, მხოლოდ შენ უნდა გადაწყვიტო და გადადგა ის ნაბიჯი, ამ დროს ვერავინ დაგეხმარება. ამ სიმარტოვეზე ვამბობ. ადამიანი მთლიანად

ვერასდროს გაიხსნება. დედის სიყვარულშიც კი (ამაზე წმინდა ხომ არაფერია, მაშინ ხომ ბოლომდე იხსნები). კიდევ რაღაცაა შენს არსებაში ისეთი, შენშივე რომ რჩება გაუხსნელად და გაუზიარებლად. იქნებ ესაა დასაბამიდან მომდინარე ადამიანის შინაგანი მარტოობა? მოკლედ, სხვა მხრივ რომ განვაზოგადო, ჩანს ასეა: უნდა ვიცხოვროთ ყველასთან ერთად, ხოლო სიკვდილს მარტონი შევხვდებით...

ჩემი „კეთილი მეზობელი...“ ფუჰ, თავი მეზიზღება, ამდენ დროს და ადგილს რომ ვუთმობ მას. და კიდევ იმიტომ, რომ ეს ქალი, როგორც სულიერი, როგორც ადამიანი სადღაც ღრმად ჩემს არსებაში მწვავე ინტერესს იწვევს. რატომ? თითქოს ვიცი, რატომ, მაგრამ ვერ ვამბობ. არ ვამბობ — ჩემივე თავის მრცხვენია. სხვისი ხასიათი რომ გაიგო, უპირველეს ყოვლისა, ღრმად და დაკვირვებით უნდა ჩაიხედო საკუთარ თავში, ჩაიხედო შინაგანი არსების იმ ცვალებად კუნჭულში, რომელსაც ხანდახან სული ჰქვია, ხან ქვეცნობიერი, ხან ეშმაკის ლაბირინთი, და შეკრთე: ესაა წინასწარგანუჭვრეტელი სტიქიონი...

მომავალში, რაც უნდა მოხდეს, მასზე აღარ დავწერ, აღარ ვახსენებ, იგი ამ დღიურში აღარ არსებობს... უარყოფითი უფრო ჰკივის, ვიდრე დადებითი. მხოლოდ სულიერი ცხოვრება გვინარჩუნებს ადამიანობას. მივხვდი — თავში მოსული აზრი ორგვარი ბუნებისაა: ესაა შინაგანი განვითარების მეთვალყურე და, ამავე დროს, ის შინაგანი განვითარებაც.

29 იანვარი. მწერალთა კავშირში ჩატარებულა დისპუტი კ. გამსახურდიას „დავით აღმაშენებელზე“. რა იყო, ვერაფერი გავიგე. მგონი ენას უწუნებენ... ცხადია, თხრობის ყველა სახეობა პირობითია, ენაც. საზღვარი პირობითობას და ბუნებრიობას შორის? — გუმანით უნდა მიხვდე, ან იქნება არსებობს რაიმე დადგენილი (ჩემთვის უცნობი!) კანონი?..

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 იანვარი. ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს ქალაქები ტიხორეცკი და მაიკოპი. ჩრდილოეთ კავკასია თანდათან თავისუფლდება!

1 თებერვალი. დადგა თებერვალი. ქარიანი დღეა (დიდი ქარები კიდევ წინ გველისო, ამბობენ). სასტიკად მახველებს. სიცივე უფრო საგრძნობია, ძვალრბილში ატანს. თანაც რაღაცნაირი ნესტიანი სიცივეა. გადარეული ქარია, გადარეული დღე და, ლამის მეც გადავირიო.

საღამოს: კვლავ ბავშვობაზე ვფიქრობდი, არა — ვოცნებობდი ისე, თითქოს ბავშვობა მომავალში მელოდებოდეს (შესაძლებელი ყოფილა წარსულის, როგორც მომავლის, გახსენება). რაღაცები დავწერე (საერთო თემა — ომის სიმძიმე), დღიურში არ შემაქვს, გასარანდავია (ნეტავ ის არ შემეტანა, რაც შევიტანე, ყველაფერი დასახვეწია, ვეღარ მოვიცილე გალაკტიონის ჯადო).

კვლავ დედა მახსენდება (ბავშვობა, დედა — ბუნებრივია), ნუთუ მართლა აღარაფერია იქ, ნუთუ მართლა ისე დაწყევლილია ადამიანის მოდგმა — იტანჯო, მოკვდე და... არაფერი? (ეს რა ბავშვური და სულელური ფიქრები ამეკვიატა!). მერე ჩაბრია და ხანდია ერთად მელანდებოდა (როცა ჩავთვლიმე). სასტიკი სურდო მაქვს და მთელი დღე ლოგინში ვწევარ. შეშა — ფაფუუ! ნეტა ვინმე მოვიდოდეს — ადამიანი, „პირუტყვი“ თითქმის ყოველდღე შემოდის..

„კრაზანა“, დღეს მგონი მეათედ წავიკითხე. მთელი დღე ვკითხულობდი. ადამიანში მთავარია სულის სიძლიერე, სხვა ყველაფერი — გარეგნობა, ფიზიკური ძალა — სისულელეა. კრაზანა და კორჩაგინი, საერთო თითქოს არაფერი აქვთ, ჩემს სულში კი ერთად დგანან და ერთმანეთს ძმებივით ჰგვანან (მათ გვერდით მესამე მელანდება — დათო! საიდან მომდის ეს ასოციაცია? მის შესაძლებლობას ვგულისხმობ ალბათ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამით კვლავ პოეზიაზე ვფიქრობდი. რუსთაველი, ბარათაშვილი და ილია. რუსთაველი მზეა. იგი ჩემთვის თითქოს გაიგივებულია ქართველ ხალხთან და საქართველოსთან, რადგან, რამდენადაც რუსთაველის გენია ქართველმა ხალხმა შვა, იმდენადვე „შვა" რუსთაველმა ქართველი ხალხი. მისი შედარება არავისთან არ შეიძლება. ბარათაშვილი ერის განუხორციელებელი პოტენციაა, უდროოდ დაფერფლილი დიდება. ილია ახალი ქართველი ერის შემქმნელია, მისი სულიერი მამა, მისი ენერგიისა და ინტელექტის განსახიერებაა. სამივეს ცხოვრება ტრაგიკულად უნდა დამთავრებულიყო. რუსთაველისა არაფერი ვიცით, სამაგიეროდ ბარათაშვილისა და ილიასი...

ვფიქრობ, რომ უდიდესი ბედნიერება მხვდა წილად — ცოცხლად ვხედავ გალაკტიონს, რამდენიც მსურს, იმდენი შემიძლია ვუყურო, შემიძლია გავეცნო (ცხადია ამას არ ვიზამ!) ხელი შევახო, რაღაც ვკითხო. რა მოელის გალაკტიონს? ღმერთო, დაიფარე და რაც მიაგე, აკმარე!

რატომ ხდება, რომ დიდი ადამიანის მიერ სიმართლის ძიებას მუდამ თან ახლავს სიყვარულისა და ვერაგობის თამაში?

2 თებერვალი. მთლიანად დამთავრდა სტალინგრადის დასავლეთით გარშემორტყმული ფაშისტთა ჯარების ლიკვიდაცია. ტყვედ ჩაგდებულია გენ. — ფელდმარშალი პაულიუსი და მისი შტაბის უფროსი გენ.-ლეიტენანტი შმიდტი. სულ ტყვედ ჩაგვივარდა 16 გერმანელი გენერალი! დიდი გამარჯვებაა!..

გარდაიცვალა მწერალი ქალი — ნატალია აზიანი („დეზერტირკა"). არ ვიცნობდი მაგრამ გამოსვენებაზე მაინც უნდა მივიდე.

9 თებერვალი. მწერალთა კავშირში შემდგარა დისპუტი თემაზე: თბილისის ქართული თეატრები სამამულო ომის დღეებში. არცთუ საინტერესო ყოფილა, მაგრამ როგორ გამომრჩა?

10 თებერვალი. აღებულია ქალაქი ბელგოროდი!

16 თებერვალი. ავიღეთ დონის როსტოვი და ვოროშილოვგრადი! შეტევაა ყოველ მხრივ!..

17 თებერვალი. განთავისუფლებულია ხარკოვი. დიდი გამარჯვებაა! რა ტემპით მივდივართ!

20 თებერვალი. პროფესორმა ს. ყაუხჩიშვილმა გამოსცა ანა დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება", რომელიც 1913 წელს კასპის რაიონში იპოვა ივანე ჯავახიშვილმა. დიდებული ამბავია!

21 თებერვალი. კვლავ მომეძალა სევდა. თავსაც ცუდად ვგრძნობ..

თითქოს სხვა ვიყო, ისე ვეკითხები საკუთარ სულს:

გაქვს სათქმელი? რად არ ამბობ? შენ თავს მაინც რად არ უმხელ? იმიტომ ხომ არა, რომ ყველაფერი დაგავიწყდა? ან არ დაგვიწყებია, მაგრამ აღარ გსურს გაიხსენო? თუ გახსენება აღარ გსურს, რად აგიძგერდება ხოლმე გული და ტუჩები პირზე მომდგარ სათქმელს უკან რად ჩაიბრუნებენ? ბედნიერი ხარ? იქნებ გტკივა იმ დროის გახსენება და შეგნებულად არიდებ თავს? ან იქნებ წარსულის ქარი სანთლებს უქრობს დღევანდელ დღეებს?

გამოცდილება დაგიგროვდა, ცოდნა შეიძინე და ცხოვრებაში გამეცადინდი? თუ შენც ყველასავით იძირები მეშჩანობის წუმპეში? ცოდნა რომ ვერ ხსნის შინაგან ტკივილს და აზრი რომ ვერ მოიცავს განცდათა იდუმალ მოულოდნელობას? ხომ სცილდება ეს იდუმალება გონების საზღვარს.

ცხოვრებისეული ის ქერქია, ის დანალექია, უშუალობას რომ თანდათან ზღუდავს, გარს რომ ეკვრის და ახევებს.

განა არ შეიძლება ამ ქერქის მოცილება და სულის გათავისუფლება? ძნელია — თან აჰყვება სულის ნაგლეჯები. განა ადვილია რამე ამ ცხოვრებაში? ამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იტომ — საჭიროა. ერთხელ და სამუდამოდ. ნამდვილი ადამიანი რომ გახდე, რომ აღარ გძულდეს საკუთარი თავი, რომ იყო ყოველთვის გულწრფელი და სამართლიანი, რომ იმ დღეთა პატიოსანი ხსოვნა გასპეტაკებდეს.

გახსოვს სტრიქონი დათოს წერილიდან — **მთელი ცხოვრების მანძილზე სწორედ ჩვენ გვმართებს ზნეობრივი მაქსიმალიზმიო?** აღარ გახსოვს?

მახსოვს, მახსოვს და რა ვქნა? მე დავეჭიდები იმ ურჩხულს, ცხოვრება რომ ჰქვია?

25 თებერვალი. საბჭოთა საქართველოს 22-ე წლისთავი. 22 წელი, როგორი წლები!..

სიმართლის მაგივრად სასიამოვნოს ჩვენება კაცობრიობის თვით იდეის ღალატია. ნამდვილი ხელოვანი მარტვილია — გალაკტიონი, გუდიაშვილი...

1943 წლის 5 მარტი. დიდი ხანია არაფერი ჩამიწერია, გაციებული ვეგდე (ერთი რამ მოხდა მხოლოდ მნიშვნელოვანი, ამაზე ქვემოთ, სხვა არაფერი). სკოლა აღარ მაინტერესებს (იქ დიდიც და პატარაც ბავშვები ან ბავშვობანას მოთამაშენი მგონია), მექანიკურად ვატთავრებ. დაჟინებით ვფიქრობ მომავალ სამუშაოზე, თუ მეც პლევრიტი არ დამეწყო (ან ჭლექი — უფრო უკეთესი!) სურვილი და გეგმა მრავალნაირი მაქვს (ჰოსპიტალს მთავარი ადგილი უჭირავს — ქალაქი სავსეა დაჭრილებით!). ვნახოთ, დათოს უნდა მოვეთათბირო, მაგრამ აღარ ჩანს (რატომ, რა მოხდა?). ახლა მთავარი: ლარისა ვასილევნა და ირინა. დალაგებით მოვყვები.

ლარისა ვასილევნას პროფესია არა აქვს, ოფიცრის ცოლია, ირინა მისი ექვსი წლის ქალიშვილია. როსტოვიდან არიან ევაკუირებულნი (როსტოვი უკვე განთავისუფლებულია, მაგრამ დაბრუნებას არ ეშურებიან და გასაგებიცაა).

ლარისა ვასილევნა ასე. 30 წლის ქალია, ჩემი შეხედულებით ლამაზია (სამხრეთელი ეშხიანი ქალის ტიპია, მაღალი და კანჭთხელი. ტუჩებზე ვატყობ, არა რუსის სისხლიც ურევია). ირინე ნამდვილი რუსის გოგოა, ჩალისფერთმიანი, აბზეკილი ცხვირით, ცოტა ჭორფლიანი (ზაფხულში მეტს გამოაყრის). „მოი პაპა ფედია ტანკისტ“, — გაცნობისთანავე გამანდო.

ჩვენი სკოლის წინ რომ სახელოსნო სასწავლებელია, იქ ჩასახლდნენ — ფიზკულტურის დარბაზის გვერდით ორი პატარა ოთახია, ყოფილი გასახდელები, ერთში სძინავთ, მეორეში საჭმელს იკეთებენ ნავთქურაზე (ეს ოთახი უფანჯროა. „ხუხნია“ — ამბობს ირინა). ლარისა ვასილევნამ იქვე დაიწყო მუშაობა საქმისმწარმოებლად (კანცელარია და მიმოწერა რუსულ ენაზეა), ასე რომ სამსახური სახლში აქვს.

გაცნობა:

ორის ნახევარი იყო, გაკვეთილები დაგვიმთავრდა და სკოლიდან გამოვედით. სახელოსნო სასწავლებლის წინ პატარა რუსი გოგონა კლასობანას თამაშობდა. მარტო იყო. ცალ ფეხზე სასაცილოდ დახტოდა, რაღაცას ბურტყუნებდა, ხან კი შეჰკივლებდა და ბრტყელ ქვას უხერხულად ისროდა ცარცით დახატულ კვადრატებში. ქვემოდან ენაგადმოგდებული გაწვირიანებული ძაღლი მორბოდა. გოგონას შეეშინდა, კიბეზე აირბინა, წაიქცა და აღრიალდა. ძაღლი ორ ნაბიჯზე იყო. ცხადია, არ უკბენდა, მაგრამ მაინც გავექანე და ჩანთა მოვუქნიე. ძაღლმა ბრაზიანად შემომიღრინა, გვერდი ამიქცია და ზემოთ წაძუნძულდა. გოგონა ავაყენე. ცხვირი კიბეზე დაერტყა, სისხლი წვეთავდა. „სად ცხოვრობ-მეთქი“, ვკითხე. „ტამ“, მიპასუხა გოგონამ და ხელით მაჩვენა. მეორე ხელით ცხვირს იწმენდდა და სისხლით სახეს ითხუპნიდა. ცხვირსახოცი მივეცი.- მოვკიდე ხელი, შევედით კარებში და მოზრდილ ფიზკულტურის დარბაზში აღმოვჩნდით. ერთი კარიდან ქალი გამოიჭრა და გოგონას მივარდა. „ძაღლმა მიკბინა“ სლუკუნით მოახსენა გოგონამ. მე ვუთხარი, რაც მოხდა. შევედით ოთახში. თითქმის ცარიელია. ერთი საწო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი, ორი ჩემოდანი კუთხეში, საწერი მაგიდა, ორი ტაბურეტი მის გვერდით (ეტყობა ამ მაგიდაზე ჭამენ). ასე მოხდა გაცნობა.

ლარისა ვასილევნას ნაამბობიდან:

გერმანელებმა რომ როსტოვი პირველად აიღეს, ვერ მოასწრეს ევაკუირება და ქალაქში დარჩნენ. დიდ შიში იყვნენ, რადგან ფედია როსტოვში ცნობილი კომუნისტი ყოფილა, ქარხანა „როსტსელმაშის“ პარტკომის მდივნის მოადგილე (მანამდე — ქალაქკომის ინსტრუქტორი), ახლა კი ფრონტელი მეთაური (მისი ატესტატით ცოლ-შვილი ფულს იღებდა, ახლაც იღებენ აქ), ამიტომ ეშინოდათ, ფაშისტებმა არაფერი დაგვმართონო. მაგრამ გადარჩნენ. მერე ჩვენებმა ქალაქი უეცრად გაათავისუფლეს. მეორედ რომ შემოვიდნენ გერმანელები, ევაკუირებულთა ეშელონს გამოჰყვნენ (ქალაქკომში დაეხმარნენ). სამნი მოდიოდნენ: ფედიას დედა — ნინა პეტროვნა, ლარისა და ირინა. გამთენიისას არმავირთან ფაშისტებმა ეშელონი დაბომბეს. დიდი შიში ჭამეს. გადარჩნენ. ნინა პეტროვნას გულმა შეუტია, არმავირში ჩამორჩნენ ეშელონს. ნინა პეტროვნამ ქალაქის საავადმყოფოში დალია სული.

16 დღეს მოდიოდნენ თბილისამდე „ტეპლუშკით“ (არმავირელმა კომუნისტებმა მოაწყვეს). აუწერელია ლარისა ვასილევნას წამება, რაც გზაში გადახდა, თუმცა მამაკაცები ძალიან ეხმარებოდნენ. როგორც იქნა, ჩამოვიდნენ. ქალაქკომში მისულან („კ ტოვარიშჩუ ჩერკეზია — ოჩენ დობრი ჩელოვეკ, ნასტოიაშჩი კომუნისტ“, ამბობს ლარისა ვასილევნა). ორ დღეში აქ გამოგზავნეს საცხოვრებლად და სამუშაოდ (ორი ღამე სადგურში გაათენეს). აქ უკვე ერთი თვეა, რაც არიან, თითქმის შეეჩვივნენ („ეშჩო ია ზნაიუ ტოვარიშჩა ჩხეიდზე, ონ ნაშ ნაჩალნიკ“, — ამბობს ლარისა). ლარისა ვასილევნა სამხრეთრუსულ კილოზე უქცევს, გ-ს ვერ გამოთქვამს სწორად — ღოსუდარსტვო, ღოლოვა, — ცოტა მეხამუშება.

ირინას ნაამბობი: მამაჩემი დიდია, ტანკში ზის და ფაშისტებს ხოცავს („ა ფაშისტი ვსე რიჟიე!“). ფაშისტები პატარა ბავშვებს ჭამენ. ბაბა-ნინა მოკვდა, მიწაში ჩავფალით. მატარებელში ძალიან მეშინოდა, უამრავი ხალხი იყო, ბავშვები ტიროდნენ, მეც ვტიროდი. დედიკომ გადამარჩინა. ჩვენი ქალაქი კარგია. პატარა ეზოში ვთამაშობდი. ამ ქალაქსაც არა უშავს, მხოლოდ ეზო არ არის. მიყვარს შოკოლადი, დედა, წითელი ბუშტები, მიყიდი? — მამა-ფედია მაღალია, მახსოვს, ზევით შემისროდა ხოლმე, სულ ვიცინოდი. ძაღლების მეშინია, ღამე მეშინია ფაშისტების, შეიძლება აქაც მოვიდნენ. შენ დიდი ხარ, დედაჩემის სიმაღლე, შენთან მოვალ სტუმრად...

ლარისა ვასილევნას ჩემთან გადმოსვლა შევთავაზე (ორივე მომეწონა). მითხრა, ვნახოთო, დამოუკიდებლობას ვამჯობინებო, საერთოდ ვივლით, რადგან ასე ახლო ცხოვრობო) („ია პოჩტი ნე ვიხოჟუ ვ ღოროდ, რაზვე ტოლკო ზა პროდუკტამი...“). მადლობა გადამიხადა და დაუმატა: ადამიანები თითქოს სიცარიელეში ვარსებობთ, ახლაც კი, როცა უმეტესობა გაუბედურდა. სულ მარტონი ვრჩებით ჩვენი გრძნობებითა და განცდებით. ხშირად მესიზმრება დედამთილის საყვედურით ალსავსე თვალები, თითქოს მე ვყოფილიყავ ყველაფერში დამნაშავე.. ხედავ, როცა ვცდილობთ ჩვენი დარდი და შიში სხვას გავუზიაროთ, ამ სხვას მსხვერპლად ვაქცევთ, ჩვენი მწუხარებისა თუ სიხარულის ეგოიზმი ჯალათად გვხდის. არ ვიცი, იქნებ მეჩვენება. ამგვარი შთაბეჭდილება დამრჩა მაშინ ნინა პეტროვნასაგან. ამის შემდეგ ვცდილობ, სხვას აღარ მოვახვიო ჩემი პირადი განცდა, ნაღველი, შიში და იმედი.

---

**თენგიზ გუაჩიძე**
გზა ბავშვობისაკენ

მეტად წესიერი ქალი ჩანს. გვარად პოკროვსკები არიან.

7 მარტი. ამხ. ი. ბ. სტალინს მიენიჭა მარშლის წოდება. ფაქტიურად, ომის პირველი დღიდანვე არ იყო მარშალიც და მეტიც?!

8 მარტი. ქალთა დღე. ბევრი წერილი და გადმოცემაა ქალებზე. დაბეჭდეს ფრონტელ ექიმ-ქალთა სურათები. მამიდაჩემი, ცხადია, მათ შორის არ არის.

12 მარტი. ჩვენმა ჯარებმა აიღეს ქალაქი ვიაზმა (მოსკოვთანაა, იქაც დაიწყო შეტევა)!

13 მარტი. თავისუფლების გარეშე არც ხელოვნება არსებობს და არც სიმართლე. ვგულისხმობ შინაგან, სულის თავისუფლებას. რა დამოკიდებულებაშია იგი გარეგნულ, მოქალაქეობრივ თავისუფლებასთან? უნდა ვიფიქრო...

14 მარტი. გარდაიცვალა მხცოვანი მწერალი ივანე მაჭავარიანი (თარგმანები ფრანგულიდან და რუსულიდან), სამწუხაროდ, არ ვიცნობდი.

20 მარტი. ლარისა ვასილევნას ოჯახი:

დაიბადა 1913 წელს დონის როსტოვში გიმნაზიის მასწავლებელ სმუშკევიჩის ოჯახში. მამამისი პარტახტიანმა ტიფმა იმსხვერპლა 1919 წელს. დედა, ლიდია ივანოვნა რიაზანოვა, დიასახლისი, 1932 წელს გარდაიცვალა, როცა ლარისა, სკოლის დამთავრების შემდეგ, ინჟინერ პოგორელოვს ცოლად გაჰყვა (ერთი წლის შემდეგ დაშორდნენ). 1936 წელს ლარისა ფედია პოკროვსკიმ შეირთო. „აქედან დაიწყო ჩემი ნორმალური ცხოვრება". გაჩნდა ირინა. მიიღეს ბინა ახალ სახლში. ქალაქკომიდან ფედია ყველაზე დიდი ქარხნის პარტკომის მდივნის მოადგილედ გადაიყვანეს. დღე და ღამ ქარხანაში იყო. საცაა პარტკომიც გახდებოდა, მაგრამ ომი დაიწყო და 3 ივლისს ფედია, უკვე ჯარგამოვლილი, მოხალისედ წავიდა. დარჩნენ ლარისა, ნინა პეტროვნა და ირინა. „აბა რა ცხოვრებაა უქმროდ, ავადმყოფ დედამთილთან?" ასე იყო თუ ისე, ცხოვრობდნენ და ფედიას წერილ-ები ასულდგმულებდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონია, ამაზე მძიმე მარტი არასოდეს ყოფილა. მიუხედავად ფრონტზე შეტევებისა, წინსვლის და წარმატებებისა, მეტად დაიმშა ქალაქი. შარშანდელთან შედარებით უფრო მეტად. ბაზარში ერთი კილო სიმინდი 80-100 მანეთი ღირს.

მეუბნებიან, ზოგიერთები ულვთოდ დამდიდრდნენო. ნეტა რა თავში იხლიან იმ ფულს? ამიხსნეს, ფულს კი არ ინახავენ, ძვირფას ნივთებს, ოქროვერცხლს ყიდულობენო. მერე რა, საფლავში ჩაიტანენ?

ჩემი მეზობელი (კვლავ უნდა ვახსენო, სიტყვას ვტეხ — სხვანაირად არ შემიძლია) პურის გამყიდველად მოწყობილა ამხანაგ სიმონის მაღაზიაში („რეზინტრესტი" საკმაოდ დიდია, რამდენიმე გამყიდველი მუშაობს), კვირაში ერთხელ შემომიტანს ხოლმე პურის ყუას. წყალში ვალბობ და ვჭამ — აბა რა ვქნა? ვინც დამძრახავს, ჩემს დღეში ჩავარდეს და მაშინ მითხრას საყვედური. გასაყიდი აღარაფერი დამრჩა — სულ გავზიდე ჭურჭელი, თეთრეული, წიგნები...

ხანდახან რომ ამგვარი ჩივილი წამომცდება, ჩემს თავზე ვბრაზობ: იქ ხალხი ბრძოლაში იხოცება, მე კი აქ წვრილმანებზე ვჩივი.

საშინელი რამაა ომი. მომავლის ხალხო! ომს სიკვდილი გერჩივნოთ — ზოგიერთ ყოფას არყოფნა სჯობს...

მაინტერესებს ჩემი მეზობლისა და ამხანაგი სიმონის დაახლოება — რა გამოვა აქედან? მეზობელი ჩივის და ტირის — ხელი გაუფუჭა პურის გაუთავებელმა ჭრამ! პურის დანა შემზიზღდაო (მგონი პურიც ეზიზღება!). მეტად ნაზია, რა ქნას? ხელისგული აეფუთქა, ბერბერები დააჯდა, საწყალი...

21 მარტი. გამოქვეყნდა ცნობა სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ. ჩვენგან: ქანდაკების დარგში — კონსტანტინე მერაბიშვილი, შოთა რუსთაველის ძეგლისათვის („ზემელზე" რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დგას), კინოს დარგში — მიხეილ ჭიაურელი, აკაკი ხორავა და ვერიკო ანჯაფარიძე, „გიორგი სააკაძისათვის“ (ორჯერ ვნახეთ). კვლავ არც ერთი მწერალი არ არის. გალაკტიონი?

22 მარტი. სულ უფრო ვუახლოვდები და ვუმეგობრდები ლარისა ვასილევნას და იროჩკას. ორჯერ იყვნენ ჩემთან სტუმრად. სკოლის შემდეგ თითქმის ყოველდღე შევირბენ ხოლმე მათთან. როცა დედამისს არ სცალია, იროჩკას ვასეირნებ და ქართულ სიტყვებს ვასწავლი. მშვენივრად გამოთქვამს ძნელ ბგერებსაც კი. ერთხელ ლარისა ვასილევნა დედის საფლავზეც წამყვა.

23 მარტი. მატარებელში და არმავირში:

გათენებისას ხალხით გაჭედილ ეშელონს ფაშისტთა თვითმფრინავებმა ბომბები დააყარეს. ეტყობა, მემანქანე გამოცდილი იყო: ხან საშინელი სიჩქარით მიაქროლებდა, ხან თითქმის აჩერებდა მატარებელს. ხალხი რა დღეში იყო ამ გაქანება-შეჩერებისას? ერთხელ ისე შეირყა ვაგონი, გადავბრუნდითო იფიქრეს. მგზავრები და ბარგი ზვავივით გადმოეშვა ზედა თაროებიდან. გაისმა ბრძანება — ყველანი გარეთ, გაიფანტეთ! ნინა პეტროვნა ვერ გამოიყვანეს: „ოსტავტე მენია ვპოკოე, პუსტ ია ზდეს სდოხნუ!“ ლარისა ვასილევნამ ირინა აიხუტა და ვაგონიდან გაიჭრა, კიბიდან გადმოვარდა და მუხლებზე დაეცა („სმოტრი“ გადაიწია კაბა ლარისა ვასილევნამ. მუხლებზე ახლაც ეტყობა მრავალი ყავისფერი ლაქა და ხაზი, შეხორცებული ნაჭრილობევ-ნაკაწრი). მატარებლიდან ორასიოდე მეტრზე ჩაწვნენ პატარა წყლიან თხრილში. კარგად რომ გათენდა, ხალხი ვაგონებში დაბრუნდა (დედამთილი ლარისას ხმას აღარ სცემდა). საღამომდე იდგნენ, ვიდრე დაზიანებულ გზას შეაკეთებდნენ. არმავირში ღამე შევიდნენ. საწყალი ნინა პეტროვნა სულს ძლივს ღაფავდა. მამაკაცების დახმარებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ეშელონმა მათი ბარგის დიდი ნაწილი თან წაიყოლა (ორი ჩემოდანი დარჩათ). ოთხ დღეს თავს ადგნენ ნინა პეტროვნას (საავადმყოფოს დარაჯს შეაფარეს თავი, ქალაქკომის ბიჭებიც ეხმარებოდნენ, მაინც ძალიან გაუჭირდათ — ქალაქს გერმანელთა ტანკები უახლოვდებოდნენ). მერე ძლივს უპოვნეს ადგილი „ტეპლუშკაში“...

25 მარტი. როგორც იქნა, დათო მოვიდა. სოხუმში წაჰყოლია ჰოსპიტლის ხალხს დაჭრილების ჩამოსაყვანად. ჰოსპიტლის უფროსის უხელფასო თანაშემწეა, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ საწყისებზე... მიანდვეს დახმარება დაჭრილთა ტრანსპორტირებაში (ახლა ხშირად ივლის აქეთ-იქით) და მათი მხატვრული მომსახურების ორგანიზაცია. დამავალა, იმ კვირას წამოდი, ლექსების საღამო გვექნება, სხვებიც მოვლენო. წავალ, რატომაც არა! ოღონდ ლექსები უნდა შევარჩიო სათანადო. დაჭრილებისათვის მეტს არ ვიზამ? დიდი ენერგიის ბიჭია. სკოლა-მეთქი, ვკითხე. დავამთავრებ, ეს არ მიშლის ხელსო, პირიქით, რაც მეტს ვმუშაობ, უფრო კარგად ვმეცადინეობ, ოღონდ ღამღამობით ხშირად ქრებაო შუქი. მეც უნდა ჩავერთო ჰოსპიტლის მუშაობაში. დათო დამპირდა, მოგეხმარებიო. სანიტრები აკლიათო, ოღონდ ძალიან ძნელი და უსუფთაო საქმეა, უნდა შეეჩვიო, თორემ დასაწყისში გული აგერევა ან შეგილონდებაო.

ღმერთო! იყოს მძიმე და ჭუჭყიანი, სამუშაო. გავუძლებ. გულს გავიკაჟებ. ოღონდ ვინმეს დავეხმარო, ოღონდ რაიმე სარგებლობა მოვიტანო!..

26 მარტი. სადღაც ამომიკითხავს: მხოლოდ ჭეშმარიტ მწერლებს გააჩნიათ საოცარი უნარი — დიდი ხნის ხმარებით გაცვეთილი, დამჭკნარი და უსახო სიტყვები ისეთი თანმიმდევრობით დააწყონ, გააცოცხლონ და დააოჯახონ ერთმანეთს, რომ ეს ჯადოსნურად განლაგებული ძველი სიტყვები სრული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ად ახალ მუსიკას გამოსცემენ. როცა გალაკტიონზე ვფიქრობ, სულ ეს მაგონდება.

28 მარტი. დავიწყე სანიტრობა. მართლაც ძნელი ყოფილა. რა სუნი ამდის! მაგრამ რა მამაჩემის შვილი ვიქნები, თუ ამას ვერ შევეჩვევი? შევეჩვევი, გავუძლებ! დღიურისთვის ჯერ არ მცალია...

მთავრდება ჩემი არსებობის სასკოლო პერიოდი, საოცრებით აღსავსე ათი წელი. გზა მიდის შორს — ბავშვობიდან უსასრულობისაკენ. რა მომელის? რა იქნება? ვინ იცის... „იქნებ, იქნებ მომავალში განათდება...“ დასკვნა ერთადერთია: ჩვენ ომის შვილები ვართ. რაც უნდა მოხდეს, ომის შვილებად დავრჩებით მარად. მშვიდობით, სკოლა! დროებით გემშვიდობები დღიური...

## წლისთავზე

დედის გარდაცვალების წლისთავზე მარინემ სერვანტესის „დონკიხოტში“ შემთხვევით იპოვა დაბეჭდილი კონვერტი, რომელსაც დედის ხელით ეწერა: „მხოლოდ ელენე მიზანდარს“. დიდხანს ატრიალა, შუქზეც გახედა, მაკრატელიც მოიმარჯვა, მაგრამ მაინც არ გახსნა და დეიდა ელენესთან გაიქცა.

ეკას უკანასკნელი წერილი:

„ჩემო ძვირფასო დაო ელენე! კარგად ვიცი — ჩემი დღეები დათვლილია. გიტოვებ ამ წერილს. არა იმ მიზნით, რომ თავი შეგაბრალო. შესაბრალისი არც შენ და არც მე არაფერი გვაქვს — ვიყავით ბედნიერნი. ის ტანჯვა, მისი მიზეზი, რაც ბედმა გვარგუნა, ჩვენს ხელთ არაა, ამიტომ ჩივილი და წუწუნი უაზრობაა.

მწამს, რასაც მე ამ ქაღალდზე დავწერ, შენი აზრებიცაა, შენი სურვილებიც და შენი ფიქრებიც. მათი განხორციელებაც შენს ხელშია. ამიტომ თითქოს ზედმეტია ეს ბარათი. მაგრამ იგი მჭირდება მე. უფრო მშვიდად ვიქნები, სანამ პირში სული მიდგას..

ჯერ მარინეზე. მინდა, რომ ჯანმრთელი იყოს. ვისურვებდი, ლიტერატურას თავი დაანებოს და გახდეს ექიმი (ან რაიმე სხვა პრაქტიკული დარგის სპეციალისტი). ამ სურვილის მიზეზი მაქვს. ეს შენც იცი და მანაც იცის — ლიტერატურა იგივე პოლიტიკაა და მინდა ცოტა შორს იყოს მისგან — თუ ეს არ მოხდა და მაინც მიდრეკილებამ გადასძლია, რას იზამ. ოღონდ შინაგანად კმაყოფილი და ბედნიერი იყოს.

ახლა დათოზე. დათო უკვე ვაჟკაცია და ჩვენი იმედი. ყოველთვის ისე მოიქცევა, როგორც საჭიროდ ჩათვლის. და ყოველთვის მართალი იქნება. ჯარში წავა აუცილებლად. თავისი სურვილით. უფრო ადრეც, ვიდრე ეკუთვნის. მისი დაკავება შეუძლებელია. და ვერც ვერავინ გაბედავს. თუმცა ჯარიდან თავის არიდების შემთხვევები შენც იცი და მეც ვიცი. იქნებ ომი მანამდე დამთავრდეს? საოცრებისა არა მჯერა, მაგრამ იქნებ მოხდეს საოცრება?

მე მსურს, რომ მარინემ და დათომ შექმნან კარგი ოჯახი. ვიცი, რომ მათ ერთმანეთი უყვართ. უფრო სწორად, მათ ურთიერთობაში ეს თავისთავად იგულისხმება. ეს „თავისთავად“ მაშინებს. არაფერი მოხდეს გაუთვალისწინებელი. ელენე, ეს შენ გევალება. უნდა იტვირთო, როგორც შენი ადრე წასული დაიკოს ერთადერთი ანდერძი...

ჩვენი დედების შემდგომი ცხოვრება ამ ჩვენი შვილების ბედნიერებაზეა დამოკიდებული. მწამს, სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდებთ ჩემი წასვლა. მწამს, სანამ ცოცხლები არიან, სამათხოვროდ არ გაიხდიან თავს. შრომა მათი ცხოვრების აზრია. და დათო და მარინე. მათ გასტეხთ მხოლოდ ამ ორი ბავშვის უიღბლობა..

ჩემო ძვირფასო დობილო და დაიკო! ვიცი, იცხოვრებ ისე, როგორც გიცხოვრია. კვლავ მრავალ სიკეთეს დასთეს. არასოდეს არ წაშლი ოჯახში შენი ქმრის სახელს და ვერც ვერავინ გაგიბედავს ხელის თხოვას. რაც ხარ, ის იქნები ბოლომდე. შეივრდომე და შეიფარე ეს ორი ბარტყი და ხანდახან იფიქრე, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეც თქვენთან ერთად ვიქნებოდი ბედნიერი, ცოტა რომ დამცლოდა..

კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი. მთავარს გეტყვი. ვიცი, გამგები ხარ და სტრიქონებს შორის მეტსაც ამოიკითხავ.

ხანდახან შემიპყრობს საერთო ტრაგიზმის გრძნობა, მარტოსულობის, არსებობის უაზრობის, აბსურდულობის განცდა. ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ის, ვისაც გულწრფელად სწამს სიკეთე და სიყვარული, გააჩნია ღირსებისა და სამართლიანობის გრძნობა, გულისხმიერია სხვისი უბედურებისადმი და გულგრილია ცხოვრების ნივთიერ სიამეთა მიმართ, უმეტესობის თვალში სასაცილო და განწირულია..

მწამს, რომ ჩვენი წინაპრები სამართლიანი საქმისთვის იბრძოდნენ. და ეს ხელისუფლება, ეს წყობა, მათი სისხლით მოპოვებული, ჩვენი ხელისუფლებაა. სხვა რამ მე ვერც წარმომიდგენია. და არც მინდა წარმოვიდგინო. ასე ვართ აღზრდილნი და ამას ვერაფერი შეცვლის. მით უმეტეს ახლა, ამ საერთო განსაცდელისა და უბედურების ჟამს.

ჩვენი ქმრებიც იმ თაობას ეკუთვნიან, რომელიც საქმით და სიტყვით სამართლიან ცხოვრებას ამყარებდა. მაგრამ მათი მონაწილეობით მოპოვებულმა გამარჯვებამ და დადგენილმა წესრიგმა თვით ისინი, გონიერნი და ერთგულნი რომ შეიწირა?!

რატომ? ნუთუ ეს ყოველი რევოლუციის წესია? ვერ ამიხსნია. ან ტრაგიკული შეცდომაა ან... შეგნებული დანაშაული. მე არ ვიცი. ვერ ავხსნი აუხსნელს. და ვერც ვერავინ ამიხსნის...

ხალხში ამბობენ: სახლს ვინც იშენებს, ის შიგ ვერ იცხოვრებს, სხვისთვის აშენებსო. ხეხილს ვინც რგავს, თვით არ შეხვდება, სხვისთვის რგავსო... ეს ფატალისტთა ფილოსოფიაა და ჩემთვის უცხოა. განა არ არსებობს სამართლიანობის ხალხური იდეალი?

ახალი სამყარო, ამდენი მსხვერპლით რომ შენდება, მის საფუძველში არსებული კეთილშობილი იდეალების გავლენით ოდესმე ალბათ უფრო ჰუმანური, სამართლიანი, გულისხმიერი და მწყალობელი გახდება...

ელენე, მე ერთი უბრალო ქალი ვარ, სიკვდილის პირად მდგარი დედა ვარ, შვილს რომ ობლად ტოვებს ამ ყალყზე ამდგარ ცხოვრებაში... მეპატიოს, შენგან მაინც მეპატიოს, მწუხარე სულის ეს განცდები და უმწეო გონების ეს განსჯანი...

...ერთზე ვდარდობ კვლავ... ხომ დადგება დრო, ყველაფერი რომ გაირკვევა და მართალი გამართლდება? ბოლოს და ბოლოს, ქვეყნად ხომ ყოველივე აშკარავდება! თუ ჩვენი საქმის საფუძველი სამართლიანია, ეს ისევე გარდაუვალია, როგორც ბუნების კანონი — მზის ამოსვლა, მზის ჩასვლა. მე კი ამას ვერ მოვესწრები. აი რაზე ვწუხვარ...

როდის დადგება ის დრო? 5 წლის შემდეგ? 10 წლის შემდეგ? 15 წლის შემდეგ? ამ საუკუნის ბოლოს? ან რა ფორმით ასრულდება? გულით მსურს, რომ შენ მოესწრო, შენ უნდა მოესწრო! უნდა გაძლო, უნდა გაიჭირვო, კბილებით ჩაებღაუჭო სიცოცხლეს, არ მოკვდე და მოესწრო! გესმის? და თქვი მაშინ ყველაფერი, რაც სათქმელია. და ყველას მიეზღოს დამსახურებისამებრ. წინასწარ მიხარია შენი სიხარული და მტკივა ის ტკივილი, სიმართლე რომ მოგიტანს. მიხარია, წელში რომ გაიმართები და შინაგანად გათავისუფლდები. მაშინ მიგულე მეც შენს გვერდით, მაშინ მიგულე მეც შენთან ერთად, მაშინ ჩამძახეთ მეც ერთი სიტყვა... და მათ სურათებთან ერთად, მათ გვერდით, ჩემი სურათიც ჩამოჰკიდეთ...

ჩემო დაიკო, ორი დღეა, ვწერ ამ წერილს. ყველაფერი ზედმეტი — სენტიმენტი, ცრემლი და კვნესა — ამოვშალე და ამოვფხიკე. დავტოვე მშრალი და საქმიანი სიტყვები. მომიტევეთ, რომ ჩემი წასვლით გულს გატკენთ.

---

თენგიზ გუაჩიძე
გზა გავშვობისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ყოველ წამს, სანამ ცოცხალი ვარ, სანამ გრძნობა შემრჩენია და აზრი არ გამწყვეტია, თქვენზე ვფიქრობ და თქვენთან ვარ, ჩემო მარინე, ჩემო დათო, ჩემო ელენე... მშვიდობით. ჩემო ძვირფასებო!..“**

## ფერადი სიზმრები

ვაგონის მესამე თაროზე, ზედ ჭერთან, წევს ბიჭი. თავქვეშ ტომარა აქვს ამოდებული. ვაგონი ირწევა, ჭრიალებს, ყრუდ ისმის ბორბლების დაგადუგი. მატარებელი შავ ღამეში შეუჩერებლივ მიჰქრის.

ბიჭს ძინავს და ფერად სიზმარშია.

ვაგონში თითქმის ბნელა, მაგრამ მაინც შეიძლება გარჩევა, რომ მესამე თაროზე გაწოლილ ბიჭს საკმაოდ ხმელი სხეული აქვს, სახე კარგად არ უჩანს, ხელები ტომრისთვის მოუხვევია და ლოყით ზედ დასწოლია.

ბიჭის ძარღვიან კისერს პერანგის დაგრეხილი საყელო შემოხვევია, მხრებს გაცრეცილი შავი პიჯაკი უფარავს, ჯვალოს მუქად შეღებილ შარვლიდან გრძელი წვივები უჩანს და თაროს გარეთ გაყოფილ ფეხებზე ავტოსაბურავის სქელი რეზინით ამოლანჩული დიდი სალდათური ბათინკები აცვია.

სიზმარში ბიჭს ძინავს. ლურჯი მდინარის პირას ყვითელ ქვიშაზე წევს და თავქვეშ თეთრი რიყის ქვა უდევს. ამ მეორე ძილშიც სიზმარს ხედავს: ვაგონის თაროზე წევს, თავქვეშ მკვრივი ტომარა უდევს და ქალაქში მიემგზავრება... ამგვარია ეს უცნაური ორმაგი ფერადი სიზმარი.

ვაგონის ყველა თაროზე უამრავი კონსერვის ქილა დგას. მწვანე, ყვითელი, შუშის, თუნუქის ქილები. მაღლები, ბრტყელები, დიდები, პატარები. მგზავრები არ ჩანან. მათ მაგივრად თაროები კონსერვის ქილებს გაუვსია.

მაგრამ არა მარტო კონსერვის ქილებს, აგერ იქ, აქ, ზევით, ქვევით პური აწყვია. მაღალი ფუმფულა ცხელი პურები, ნოყიერი, თავბრუდამხვევი სურნელი რომ ასდის! თხელი, სქელი, თეთრი, შავი, ლავაში, დედას პური, მრგვალი პური, ბერძნული პური. პურები და კონსერვები ერთმანეთში ირევა.

აგერ ძეხვები! სქელი და წვრილი, გამოყვანილი და მოხარშული, ბორბალივით დახვეული და ჩამოგრძელებული, მსუყე და გემრიელი. ის კუპატები უნდა იყოს, ის — სოსისები. ვაგონი სანოვაგის სუნითაა გაჟღენთილი. მიდის ქალაქში ბიჭი და მიაქვს მთელი ვაგონი სანოვაგე.

აქვეა ლურჯი მდინარე. სად? ვაგონში? დიახ, ერთადაა შენივთებული. ერთ მხარეს ლურჯი მდინარე და ვაგონის ფანჯრებია, მეორე მხარეს — კონსერვით, პურით და ძეხვით სავსე თაროები.

ლურჯი მდინარის ნაპირზე, ცისფრად შეღებილი ოდის წინ მწვანე კონდარი ბიბინებს. ქერათმიანი გოგონა ყაყისფერ ნიკორა ხბოს ეფერება. ოქროსფერი მზის სხივები ლივლივებენ თეთრად აყვავებულ ვაშლის ხეებზე. პატარა ბიჭი და გოგო მდინარის ნაპირზე ტირიფებთან დგანან, თევზაობენ და ერთმანეთს უღიმიან, თითქოს უხარიათ, რომ ასე ადრე ერთად არიან ამ გამოუცნობელ ქვეყანაზე...

სამკუთხადრუნჩიანი ყვითელთვალება ნაგაზი მშვიდად წევს ოდის კიბის ძირში. ნიკორა ხბო ბალახზე გაგორებულა. ხბოს მთვარიანი თავი სხეულს დასცილებია და ცალკე დევს სისხლის გუბეში. გადაჭრილი კისრიდან წითელი წვეთი ტკაპუნით ეცემა. ჩაბრო და ხანდია ხბოს მკვდარ თვალებში ჩასცქერიან. თვალებში ჩარჩენილია ტკივილი და უმწეო კითხვა. მერე თვალები ნელა იხუჭება. სხეულიდან ცისფერი სული ბუშტივით ამოფრინდება და ლურჯი ლაჟვარდისაკენ მიფრინავს. ჩაბრო და ხანდია ზანტად მისდევენ ბუშტს, ისინიც სწყდებიან მიწას და ბუშტის კვალად მიფრინავენ. სამკუთხადრუნჩიანი ნაგაზი ხბოს სისხლიან კისერს ლოკავს.

გამოჩნდა ეთერას რკინისგისოსები-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანი ფანჯარა, ვაგონის ფანჯარა. ფანჯრის რაფაზე მთლად შიშველი ეთერა დგას, თეთრი მკერდით გისოსებს აწვება და კეთილად იღიმება. ეთერას გოგონა შეჰყურებს, ალტაცებული რაღაცას იძახის და მაღლა მდგარ ეთერას ხელებს უწვდის. ფანჯრის რაფაზე დგას ეთერა და თეთრად უქათქათებს მთელი სხეული. გოგონა მის გვერდით აღმოჩნდება, გისოსებს იქით, ესეც იღიმება და ხელს იქნევს ვაგონის ფანჯრიდან. ირწევა და ჭრიალებს ვაგონი, ფანჯარაში ხეები და ბოძები ელვის სისწრაფით უკან გარბიან.

ამხანაგმა სიმონმა ფანჯარაში ღონიერი მკლავი შემოჰყო, ბიჭს მხარში ხელი სტაცა და შეანჯღრია. „ეთერა, ეთერა, მიშველე!“, — ყვირის ბიჭი. ეთერა კეთილად იღიმება და გისოსებს თეთრი მკერდით აწვება. მის გვერდით მდგარი გოგონა იცინის, ბიჭის მიღმა იყურება და ვიღაცას ხელს უქნევს. „არ შეიძლება, შე მავნებლის შვილო“, ყურში ჩაჰყვირის ამხანაგი სიმონი და ეჯაჯგურება. „მოგართვი სანოვაგე — პური, ძეხვი, კონსერვი“, — ჩურჩულებს ამხანაგი სიმონი. მხარში მძლავრად ჰქაჩავს, აღარ ეშვება. ანჯღრევს, — „მთელ ჰოსპიტალს ეყოფა, მთელი ქვეყნის დაჭრილებს, ყველა შენს ნაცნობმეგობარს შეხვდება! ადექი, ადექი!..“

თვალებს ყვითელი მზე ჭრის

ვიღაც მართლა ეჯაჯგურება, ფარანს სახეზე ანათებს და აღვიძებს:

— ბილეთი, ბილეთი, მოქალაქე!..

## დათო

სამი წლის. სიცხიანი:

— დედიკო! გახადეთ კატას ქურქი და ჩამიწვინეთ ლოგინში!

ხუთი წლის:

— დედა, ღმერთი სებობს?

— ვერ გავიგე, დათო!

— ღმერთი სებობს თუ არ სებობს?

— გავიგე. ცხადია, არა. რად მეკითხები?

— ბაბუამ თქვა, თუ ღმერთი არსებობს, ასე უკუღმა რატომ წავიდა ჩვენი საქმეო...

პირველი კლასი. საშინაო დავალება. საზეპიროო:

— ჰაუ, ჰაუ...

— მერე, მერე, დათო? რად გაჩერდი და ტახტზე რად წამოკოტრიალდი?

— მასწავლებელმა გვითხრა, ჰაუ-ჰაუს შემდეგ მძიმეა და ცოტა შეისვენეთო. მეც ცოტას ვისვენებ... ახლა კი განვაგრძობ: ქორო, ნუ ფრენ ჩვენს ეზოში დილ-დილასა...

მესამე კლასი. მეექვსეკლასელ არჩილა ღომი-ჭამეს მიეჭრა და მუშტები დასცხო. არჩილა ღომი-ჭამე დაიბნა, ფეხი ფეხს წამოსდო და წაიქცა. წამოხტა და დათოს ყბაში მუშტი უთავაზა. დათოს თვალთ დაუბნელდა, ისევ ბრმად მიეჭრა მუშტებით. არჩილა ღომი-ჭამეემ დასცხო და დასცხო ცხვირ-პირში, წააქცია, დაუზოგავად ფეხიც ჩაარტყა მუცელში და სკოლის ეზოდან გაიქცა.

დიალოგი მამასთან:

— ბიჭო, რა დაგიშავა არჩილმა, ასე გაუფრთხილებლად რომ აუტეხე ჩხუბი?

— უნდა გამეფრთხილებინა, არა? მაგრამ თვით რომ არავის აფრთხილებს?

— კიდევ გტკივა? იწექი, ნუ წრიალებ. ჰა, სველი ტილო გამოიცვალე. ვის არ აფრთხილებს?

— ეზოში პატარა გოგოებს უცებ დაერევა და ხან კაბას აუწევს, ხან თმებით ათრევს...

— მერე მასწავლებელს ვერ უთხარი?

— მაბეზღარა კი არა ვარ! მე თვით გავუსწორდები. გუშინ ჩვენი მარინეც უწვალებია სკოლის დერეფანში, აუტირებია, ბაფთები წაურთმევია... სადაც შემხვდება, იქ დავცხებ...

— რომ ვერ მოერევი? არჩილი დიდი ბიჭია.

— დიდია და სულელი! სადაც მივუსწრებ, იქ დავცხებ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მოიცა, დამშვიდდი, თორემ სისხლი ისევ წამოგივა ცხვირიდან.

— მაინც ვცემ!

— ვერ მოერევი...

— ვივარჯიშებ და ვცემ...

მეხუთე კლასი:

— დედიკო, სხვა სკოლაში გადამიყვანე.

— რატომ, განა ვინმე რამეს გეუბნება?

— არა, მაგრამ ასე სჯობია. მე ვიცი, რომ ასე აჯობებს...

დედის დაფიქრებული მზერა.

— კეთილი.

მეექვსე კლასი:

— დედა, რას ნიშნავს პარადოქსი?

— თავისებური აზრია, საზოგადოდ მიღებულს რომ უპირისპირდება. თავისებური ქცევაა ან მოულოდნელი მოვლენა, ჩვეულებრივ წარმოდგენაში რომ ვერ თავსდება. შენ რა წინადადებაში გაინტერესებს?

— არავითარში. ისე გკითხე. თუმცა, გეტყვი: ჩვენმა პიონერხელმძღვანელმა მითხრა, შენზე სამასწავლებლოში თქვეს, პარადოქსულად იქცევა, თუ რაღაც ამგვარიო. რა არის პარადოქსიო. მე ჯერ დაუფიქრებლად ვუპასუხე, არ ვიცი-მეთქი, შემდეგ, გუმანით — უჩვეულო უნდა იყოს-მეთქი. ახლა გასაგებია...

დედა სამსახურიდან ღამის ორ საათზე დაბრუნდა. დათოს თავი წიგნში აქვს ჩარგული.

— დათო, რას ჰგავს ეს? რა დროს კითხვაა? ახლავე დაწექი!

— დედიკო, „როგორ იწრთობოდა ფოლადია“, სულ ცოტა დამრჩა, ხვალ უნდა დავაბრუნო ბიბლიოთეკაში. დედიკო, შენი ჭირიმე, დავამთავრებ..

ორი დღის შემდეგ — იგივე.

— დედიკო, „კრაზანაა“, სულ ცოტა დამრჩა...

კიდევ რამდენიმე დღის შემდეგ — იგივე.

— დედიკო, „სპარტაკია“, სულ ცოტა დამრჩა...

და ასე დაუსრულებლივ.

მეცხრე კლასი. ომი დაწყებულია. დათოს განცხადება:

**37-ე სრული საშუალო სკოლის კომკავშირის კომიტეტის მდივანს პაატა ჯგუბურიას. ახლა, როცა საბჭოთა ხალხი თავდაუზოგავად ებრძვის ჩვენს ქვეყანაში შემოჭრილ ფაშისტთა ურდოებს, ყველა საბჭოთა მოსწავლე ვალდებულია მთელი ძალ-ღონით გაამაგროს წითელი არმიის ზურგი და ყველაფერი გააკეთოს გამარჯვებისათვის. ვარ სწავლის ფრიადოსანი. გთხოვთ მიმიღოთ ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის რიგებში. პირობას ვდებ, სანიმუშო სწავლით, ყოფაქცევითა და შრომით გავამართლო კომკავშირელის მაღალი წოდება. განმცხადებელი დ. მიზანდარი. 1941 წლის 5 სექტემბერი“.**

იმავე წლის დეკემბერი. ჰოსპიტლის უფროსის კაბინეტში:

— პატივცემულო ექიმო! ყველაფერს შევძლებ, რასაც დამავალებთ: სანიტრობას, გუშაგობას, დაჭრილების დაბინავებას, თუ საჭიროა, მუშაც ვიქნები. ვიცი, ხალხი გჭირდებათ...

— დათო გქვია, არა? მიზანდარი? ევგენი მიზანდარი რა იყო შენი? ჰოო... კარგი, თანახმა ვარ. ოღონდ, ჯერჯერობით, გამოსაცდელი ვადით დაინიშნები, გასამრჯელო არ მოგეცემა. ვნახოთ, თავს როგორ გამოიჩენ. შენისთანები კიდევაა თქვენს სკოლაში? კეთილი, მოიყვანე.

ექიმმა მხარზე ხელი მოხვია.

— ცნობილი კაცის შვილი ხარ, დათო, და აბა შენ იცი! მოდი, დაჯექი. მიამბე, როგორ ცხოვრობთ, დედაშენი როგორაა? — სათვალის მიღმა მიმალული მზერა შორს გადაიტანა თითქოს წარსულში გადაიხედა, თვითონაც ჩამოჯდა. თავდახრილი უსმენდა დათოს ჰოსპიტლის უფროსი, სამედიცინო სამსახურის მაიორი დიმიტრი ჯიშკარიანი.

მეათე კლასი. 1942 წლის ნოემბერი. კვლავ დათოს განცხადება:

**„ქალაქ თბილისის № რაიონის სამ-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედრო კომისარს ამხ. შალვა ჯაფარიძეს. ქ. თბილისში მცხოვრებ დავით ევგენის ძე მიზანდარის განცხადება. უდიდესი სურვილი მაქვს, იარაღით ხელში ვებრძოლო ფაშისტ-დამპყრობლებს. დავიბადე 1925 წელს, ვარ სავსებით ჯანმრთელი, ვასრულებ კომკავშირულ დავალებებს. 'დაუფლებული ვარ სასწავლო შაშხანას, ხელყუმბარის ტყორცნას. გამოვდგები მზვერავად, ტყვიამფრქვევზე მეორე ნომრად, ჭურვების მიმტანად. შემიძლია სანიტრობაც. გთხოვთ, ვადაზე ადრე გამიწვიოთ წითელი არმიის რიგებში. განმცხადებელი დ. მიზანდარი. 1942 წლის 10 ნოემბერი“.

რეზოლუცია:

— უარი. ჯერ 17 წლისაც არ არის. მოვიდეს ერთი წლის შემდეგ. შ. ჯაფარიძე. 1942 წლის 14 ნოემბერი“.

დრო სულ აღარ აქვს. შეუსვენებლივ დარბის ჰოსპიტლის საქმეებზე. ღამღამობით ძლივს ასწრებს მეცადინეობას.

და უცებ — ჩაბრია!..

დათოს ერთი წერილის ფრაგმენტი:

„პატივცემულო მამია! თქვენი ძმისშვილი, ალიოშა ჩაბრაძე (ჩვენ „ჩაბრიას“ ვეძახდით), იყო ყოველმხრივ შესანიშნავი ახალგაზრდა: ნიჭიერი მხატვარი, ერთგული მეგობარი, ნათესავების დიდად მოყვარული. მისმა უეცარმა და უაზრო დაკარგვამ ყველანი შეგვაძრწუნა. რაც დრო გადის, მით უფრო მწვავედ ვგრძნობთ ამ დანაკლისს. მთელი მისი კლასი გლოვობს, გლოვობენ მასწავლებლები, გლოვობს მთელი სკოლა. ვინც მას იცნობდა, ყოველთვის ემახსოვრება უაღრესად კეთილი და სამართლიანი ჩაბრია. მე მასთან მხოლოდ მეხუთე კლასამდე ვსწავლობდი, მაგრამ ჩვენი მეგობრობა შემდეგაც გრძელდებოდა, მეტად წუხდა, რომ ვერაფრით ეხმარებოდა თქვენს ოჯახს, თავის პატარა და-ძმას (ეს თქვენ უნდა იცოდეთ). ობოლი იყო, მაგრამ თქვენი შემწეობით და სკოლის დახმარებით მისთვის ცხოვრებაში მრავალი გზა ისახებოდა. დარწმუნებული ვარ, მხატვრობას აირჩევდა. მე შევკრიბე ყველა მისი ნახატი. ჯერჯერობით ჩემთანაა. როგორ მოვიქცე, როგორია თქვენი სურვილი, სკოლას გადავცე შესანახად თუ თქვენ გადმოგიგზავნოთ? იმედია, თვით ჩამოხვალთ, მის ოთახში ზოგი ნივთი დარჩა და თქვენ გამოგადგებათ. ოთახს ბოქლომი დავადე, გასაღები ჩემთანაა...“

კიდევ ნაწყვეტები წერილებიდან.

ელენეს წერილიდან:

„დათო, დედიკო! სოხუმში რომ დაყოვნდი, ცოტა შევკრთი და რა არ ვიფიქრე. ახლა დიმიტრი ჩამოვიდა, მიამბო მანდაური გასაჭირი, კარგად რომ ხარ და ღირსეულად გიჭირავს თავი. და ცოტა დავმშვიდდი (გთხოვ, ერიდო მთვრალ მატროსებს, ყოველთვის ასე მშვიდად არ დამთავრდება მათთან შეხვედრა). მცირე ბარათი მაინც გამოგეგზავნა! მაგრამ ასეთი ყოფილა დედის ხვედრი... ამ წერილს იმიტომ გწერ რომ ჩემი ვითარებები იცვლება. კახეთში მგზავნიან, შუამთაში, ახალი საბავშვო სახლის გამგედ. მეგონა, აქაურ უფროსთან ჩემი კონფლიქტის გამო მისაყვედურებდნენ, მაგრამ უკულმა კი გამოვიდა, ე. ი. წაღმა! განათლების ახალმა კომისარმა გამომიძახა და ამ საქმის ორგანიზება დამავალა. მოზღვავდნენ უდედმამო ბავშვები და კიდევ ერთ სახლს ხსნიან, ამჯერად შუამთაში (ახალ შუამთაში, შენ იცი, სადაც ალ. ჭავჭავაძე ასაფლავია). ცარიელ ადგილზე უნდა დავიწყო, ერთად მოხდება ყველაფერი: ბავშვების მიღება, შტატის დაკომპლექტება, ტანსაცმელი, ჭამა, აბანო, სწავლა... ვიცი, გამიჭირდება (მართალია, იქაური ხელმძღვანელობის იმედი მაქვს, რაიკომის მდივანს ვიცნობ, მეტად მარჯვე და საქმის ერთგული კაცია, მაგრამ ახლა უფრო დიდი საზრუნავიც აწუხებს ალბათ...). ამიტომ, როცა დაბრუნდები, მცირე ხნით რომ აქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოხვიდე, ჩემთვის დიდი შემწეობა იქნება (მატარებლით — თელავამდე, შემდეგ — „ლინეიკით“ ან ცხენს თუ იშოვნი — შუამთამდე). ამაღამ მივდივარ, გასაღებს მარინეს ვუტოვებ (მარინესაც მიხედვა უნდა!). თბილად ჩაიცვი (ყველაფერი დაგირეცხე), მთაში მოგიწევს წამოსვლა. გკოცნი, შენი დედა ელენე“.

მარინეს წერილიდან:

„დათო! დედაშენი წავიდა შუამთას. შენი დიდი იმედი აქვს (ყველას!). თქვენი აქაური უფროსის ნაამბობიდან მეც გავიგე შენი მოსაზრებულობის ამბავი (დედაშენმა გადმომცა, ჩვეულებისამებრ, ძუნწად). მაინც როგორ დაამშვიდე ოთხი (!) თავზეხელაღებული, ნასვამი მეზღვაური? თანაც როგორ ააცილე სასჯელს, მანდ ხომ ომის ვითარებაა და, ვფიქრობ, სასტიკი სასჯელი ელოდათ საწყლებს! რა არის ეს ომი — ამხეცებს ხალხს. მალე ჩამოდი, გელი. მოგიკითხეს ლარისა ვასილევნამ და ირინამ, მ. მ.“

დათოს პატაკი სოხუმიდან:

„№ ჰოსპიტლის მთავარ ექიმს მაიორ დიმიტრი ჯიშკარიანს. ორი დღის მანძილზე ორივე სანიტარული მატარებელი დავტვირთეთ. დაჭრილთაგან სამი დილამდე გარდაიცვალა, მაგრამ არა ექიმების ან სანიტრების უყურადღებობის გამო, არამედ იმიტომ, რომ უიმედო მდგომარეობაში გადმოვიყვანეთ გემიდან. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ექიმებმა ქ. მეტრეველმა და ო. ბერძენიშვილმა, სანიტრებმა ი. გრიგოლიამ, ა. ოგანეზოვამ და ქ. უფლისაშვილმა. მე აქ ვრჩები, რადგან ნოვოროსიისკიდან კიდევ გამოდის ერთი გემი, ხვალ (დრო ზუსტად არ ვიცი) აქ იქნება. მართალია, ჩვენს ჰოსპიტალზე ამჯერად დაჭრილების მხოლოდ მცირე ნაწილი იქნება მიწერილი, მაგრამ, რადგან ამ დილით მთელი პერსონალი მატარებლებს გამოჰყვება, ვრჩები. თუ გაიჭირდა, გიდეპეშებთ. ძალიან მეხმარება კომკავშირის საქალაქო კომიტეტი, აქაური აქტივი გვერდიდან არ მცილდება. ღამეს პორტში გავათევთ. წუხელ ხელმეორედ მომაკითხეს თქვენთვის ცნობილმა მატროსებმა. ამჯერად დაუთოებულ-გაკრიალებულნი იყვნენ, როგორც საბჭოთა მეომრებს შეშვენით, იმდღევანდელ ქაჯებს არ ჰგავდნენ. მადლობას მე მიხდიან, ყველაფერს არაყს აბრალებენ („ვოდკა ვინოვატა, პროკლიატაია!“). ვეუბნები, თუ არა მაიორი ჯიშკარიანი, თქვენი საქმე ახლა სამხედრო ტრიბუნალზე იქნებოდამეთქი. (ზა პიანი დებოშ ვ პრიფრონტოვომ გოროდე, ზა ნასილიე ნად პროდავცომ მაგაზინა“). რას დააჯერებ? ისე კარგი ბიჭები არიან (სამი რუსია, ერთი უკრაინელი). მშვიდობიანად გავისტუმრე. თქვენი მითითების თანახმად, ვინახულე ექიმი თინათინ შურღაია, ექიმ ბაგრატ ჭანბას ვერ მივაგენი (შურღაიას ცნობით, მთებშია გაგზავნილი, მგონი უღელტეხილზე). შურღაია თანახმაა თქვენი ჰოსპიტლის მუდმივ წარმომადგენლობაზე (თუმცა, ჩემი დაკვირვებით, გატანჯულია აუარება საქმით და დასვენება ესაჭიროება). ბატონო დიმიტრი! ახლა შინაურულად გწერთ (მაპატიეთ!): თქვენთან მოვა მარინე მინდელი სამუშაოს თაობაზე. გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება. დედაჩემი შუამთას გაუგზავნიათ, ამიტომ ვერ ნახავთ. მისამართი არ ვიცი მაგრამ უბრალო იქნება: თელავი, შუამთა, საბავშვო სა ლი. აქაურ ვითარებას გემის მოსვლ სთანავე გაცნობებთ. სოხუმელებმა ევაკპუნქტი ძალიან კარგად მოაწყვეს. დათო მიზანდარი“.

## მამა-შვილი

— მარგალიტა, სადაა ბიჭი?

— ახლავე მოვა, ამხანაგებს თუ გაჰყვა.

— რომელ ამხანაგებს?

— დათოს, მარინეს, ოთარს, ჩაბრიას, მე რა ვიცი...

— არ იცი, ხომ? მოგელაპარაკები მე შენ.. .მე ვიცი აბა?.. მოვიდეს ერთი ის ვაჟბატონი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა. შემოვიდა მხიარული მარკლენა, ჩანთა მოისროლა და სამზარეულოში შევარდა.

— მშია, დედა, მშია!..

კარებში მოღუშული სიმონი დგას.

— ჭამე და მოდი ჩემთან...

— რა იყო, დედა, რა დავაშავე? არ შეიძლება ცოტა დავაგვიანო? — თქვა ბუზღუნით მარკლენამ, როცა მამა თავის ოთახში შებრუნდა.

— მე რა ვიცი? სად იყავი აქამდე? გაბრაზებულია მამაშენი.

მარკლენა უხალისოდ მიუჯდა სუფრას. ჭამას რომ მორჩა, ხელი დაიბანა და მამასთან შევიდა. ფეხები უკან რჩებოდა, გული გამალებით უცემდა.

ამხანაგი სიმონი მაგიდასთან სავარძელში ზის, მის წინ ცარიელი სკამია:

— მოდი, დაჯექი.

მარკლენა დაჯდა და ჩუმად ამოიოხრა.

— შენ ხომ ჩემი შვილი ხარ, მარკლენი, ჩემი, და ხომ იცი შენ, რა პრინციპის კაცი ვარ მე?

მარკლენა თავს უქნევს და მამას თვალებში უყურებს.

— მერედა, ვისთან ამხანაგობ, ვისთან დადიხარ?

— დათოსთან, ჩაბროსთან...

— მაგი დათო ტროცკისტის შვილია. იცი, რა არის ტროცკისტი?

მარკლენამ იცის — ხალხის მტრებია, ბავშვების დახოცვა რომ სურდათ და პურის ფქვილში რომ შუშის ნამსხვრევებს ურევდნენ.

მარკლენა თავს უქნევს.

— მაგი გოგოც მასეთია, გესმის? მე სიგნალი მივიღე, რომ მაგათთან დადიხარ, რომ ის გოგო, მინდელი, მოგწონს.. მართალია?

მარკლენა წითლდება და თავს დაბლა ხრის.

— გამიგონე, მარკლენი, კარგად გამიგონე. შენ იურისტი უნდა გამოხვიდე, ყველგან სასტიკი წესრიგი უნდა დაამყარო. მაგათი ამხანაგობა კი ხელს შეგიშლის — საეჭვო წრეში ტრიალებსო. მე რომ მკითხო, მაგათაც მამებს მივაყოლებდი, სულ რომ გაჯანსაღდეს ჰაერი, ჰაერი კი არა, რა ჰქვია იმას? ჰო, ატმოსფერო... შენ ჯანსაღ წრეში უნდა იზრდებოდე... ვინაა ეგ დათო, ვინაა ეგ გათახსირებული გოგო, ვინაა ეგ ჩაბრია თუ რაღაცა — გლეხუჭა, გარყვნილი, ზარისტი...

— შენც გლეხის შვილი არა ხარ, მამა?

— რაო?! მამაჩემს ადარებ მაგათ? მე მადარებ მაგათ, შე ლაწირაკო?.. მე წესიერი გლეხის შვილი ვარ, არაფერში რომ არ ყოფილა შემჩნეული. შენ კი, შენ თანამდებობის პირის შვილი ხარ, რაფერ ვერ შეიგნე ეს ამბავი, რატომ არ შევიდა მაგ შენ ჯიუტ თავში? გამორჩეული კაცის შვილი ხარ, — ხმას აუწია ამხანაგმა სიმონმა, — გა-მორ-ჩე-ული — გაიგე? შენც გამორჩეული უნდა იყო. გაიგე თუ არა?!

— გავიგე...

— მართალია, თლა ზემოთ კი ითქვა, შვილი მამაზე პასუხს არ აგებსო. ეს, ცხადია, მართალია, არ აგებს. მაგრამ ჩვენ ხომ ფხიზლად უნდა ვიყოთ? ხომ უნდა ვიცოდეთ, ვის შვილებთან გვაქვს საქმე? რა იცი, რა მოხდება? ომია, ომი, გაიგე, მარკლენი, ირგვლივ ათასი ქვემძრომი და შპიონია! ჩვენ ფხიზლად უნდა ვიყოთ, შენ ფხიზლად უნდა იყო. თუ ვერავის' გამოააშკარავებ, მოერიდე მაინც საეჭვო ხალხს. გაიგე?

— გავიგე...

— რატომ დირექტორის შვილთან არ ამხანაგობ, ისიც ხომ თქვენ კლასშია? რა ჰქვია?

— თალიკო.

— თქვენი დირექტორი ჩვენი ერთგული ქალია, მე ვიცი, რომ ერთგულია. დიდი დამსახურებაც აქვს... იამხანაგე მის გოგოსთან, ერთხელ სახლშიც მიყევი, დაუახლოვდი ოჯახს... რა უნდა, ბიჭო, ამას? ჰა, მიპასუხე!

— არაფერი...

— მერე კომკავშირის მდივნად აგირჩევენ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე? მდივნად?

— ჰო, შე გაუგებარო, შენ, შენ!.. მე ვიზრუნებ ამაზე, თუ დამიჯერებ და ჭკვიანად მოიქცევი, მე ვიზრუნებ. სხვა ბიჭები ვერ ნახე საამხანაგოდ?

მარკლენა დუმს.

— რა ნიშნები გექნება ამ მეოთხედში?

— ფრიადები და კარგები... თუ სოლომონ-მასწავლებელმა სამიანი არ გამომაყოლა...

— რომელია მაგი სოლომონი, ალგებრა, არა?

მარკლენამ თავი დაუქნია.

— თუ სამიანი არ გამოგყვება, ერთ კარგ ველოსიპედს გიყიდი. გინდა ველოსიპედი?

— მინდა, მამი! — წამოიძახა მარკლენამ და წამოხტა.

— გინდა და გექნება, — თქვა კმაყოფილმა ამხანაგმა სიმონმა, — ოღონდ ისე მოიქეცი, როგორც მე გითხარი..

როცა სამზარეულოში გავიდა, დედის შეკითხვაზე, რა იყო, რა მოხდაო, მარკლენამ ამაყად უპასუხა:

— მამამ ველოსიპედი უნდა მიყიდოს!..

## კეთილი მეზობელი

კიდევ ერთხელ მოგიწევს, ჩემო მკითხველო, უკან დახევა, კიდევ ერთხელ და უკანასკნელად. იმგვარი ამბები გვაქვს მოსათხრობი, რომ უნებურად მინდა ცოტა შევისვენო და ძალა მოვიკრიბო. მაგრამ ვინ დაგაცლის ამოსუნთქვას?

„კეთილი მეზობლის“ თავგადასავალი მინდა გიამბოთ, იმ მეზობლისა, რომელიც არ ისვენებს და თვითნებურად იჭრება თხრობაში, თვით იჭრება, რადგან ჩვენი გმირების ცხოვრებაში მანაც შეასრულა თუმცა მცირე, მაგრამ რომ იტყვიან, გარკვეული როლი.

ბევრი შემთხვევითობა ხდება ქვეყნად. ბოლოდან რომ დავიწყოთ, შემთხვევით მოხვდა ეს მეზობელი მარინეს მომიჯნავე ოთახში, შემთხვევით დაკარგა მეორე ქმარი, შემთხვევით გაჰყვა პირველს და, საერთოდ, შემთხვევით ჩამოვიდა ქალაქში.. მაგრამ, იქნებ სჯობს, თავიდან დავიწყოთ, რომ არაფერი აგვერიოს?

საქართველოს პირობაზე სამტრედია რომ რკინიგზის მოზრდილი კვანძი იყო, თქმა არ უნდა და ამ კვანძზე ყოველთვის სხვადასხვა ჭრელი ხალხი რომ ირეოდა, ესეც ცნობილია.

ახლა ვისღა ახსოვს სადგურის შორიახლო უსწორმასწოროდ მიყრილი ქოხმახები და ბუდრუგანები? რევოლუციამდელ დროზე ვამბობ, უფრო ადრეულ დროსაც, ამ საუკუნის დასაწყისსაც ვგულისხმობ.

ერთ-ერთ ამგვარ ფიცრულში, ბაყაყებით სავსე მწვანე გუბურას ნაპირზე რომ იდგა, ერთი პატიოსანი რკინიგზელის ოჯახი ცხოვრობდა. მარკოზი მეისრე იყო, მართა — სადგურის დამლაგებელი.

ერთ მშვენიერ დღეს, როცა პირველი მსოფლიო ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა და საბედისწეროდ ირყეოდა მეფის ტახტი, როცა ქვეყანა უკვე აირია და ხალხი დაძრული იყო თავისი ბუდეებიდან, როცა ფრონტიც მოიშალა და ვინ საით გარბოდა, კაცმა არ იცოდა, როცა რკინიგზის ვაგზლები ბოშათა ბანაკებს დაემგვანა, — ერთ ასეთ მშვენიერ დღეს (თუ მშვენიერი ეთქმის თებერვლის თოვლჭყაპს!), ნისლიანი დილის ბინდბუნდში ჩვეული საქმით გართული მართა სადგურის მოსაცდელი ოთახის კუთხეში იატაკზე მძინარე გოგონას წააწყდა.

ამ დროისათვის მართა კაი ორმოც წელს იყო მიღწეული. უბრალო მშრომელი ქალის გული სავსე იყო ჯერ კიდევ დაუხარჯავი დედობრივი გრძნობით — ოცი წლის უცოლშვილო ვაჟი, მიტუშა, ფრონტზე ჰყავდა. ბიჭზე დარდით, გაუთავებელი ოხვრითა და წუწუნით ის და მარკოზი ერთმანეთს სიცოცხლეს უმწარებდნენ. ორივე გულს ასკდებოდა, და რომ ვერაფერი ეღონათ არა თუ ბიჭის დასახსნელად, არამედ, უბრალოდ, მისი ამბის გასაგებად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხან გზად მიმავალ ჯარისკაცებს ექითხებოდნენ იმ პოლკის ასავალ-დასავალს, სადაც ბიჭი მსახურობდა, ხან კი „სისხლისმსმელი ნიკოლოზას“ და ამ არეული დროის წყევლით იოხებდნენ გულს.

მართა ჯანმაგარი მოთეთრო ქალი იყო. თავსაფრით წაკრული მის ღია ფერის თმაში აქა-იქ გამორეული ჭაღარა არც თუ ემჩნეოდა. ცქვიტად დააბიჯებდა ოთახიდან ოთახში და ცოცხი იყო თუ ჯაგრისი, იატაკის ტილო თუ ფანჯრის საწმენდი, ლონივრად უსვამდა. იმ წუთს, გათენებისას, მოსაცდელ დარბაზში არც ისე ბევრი ხალხი ირეოდა. უმეტესობას სკამებზე ეძინა. ერთი-ორი კაცი თუ ქალი უმიზნოდ დაბორიალებდა, მაღალი ფანჯრებიდან ცარიელ პერონს, ლიანდაგებს და ნისლით შებურვილ მიდამოს ათვალიერებდა.

— შვილო, — დაიბარა გაოცებული მართა სიცივისაგან თუ სიცხისაგან აკანკალებულ გოგონასაკენ. ბავშვმა ძლივს გაახილა თვალები, ფეხები მოკეცა და ამოიკვნესა.

მართამ ხელები გაითავისუფლა, გოგონას მოხვია და იმ ძონძებითურთ, ქვეშ რომ ეფინა და იმ ჭუჭყიანი ფლასითურთ, ზემოდან რომ ეხურა, ბუმბულივით აიტაცა და გულზე მიიკრა..

გოგონა ხუთიოდე წლის იქნებოდა, ელზა ერქვა. ქართულად ცუდად ლაპარაკობდა. თავისი ეროვნება არ იცოდა. გარეგნობით ვერაფერს გაარკვევდი — ჰქონდა ხვეული წაბლისფერი თმა, ფუნჩულა წარბები, ჩამოქნილი ცხვირი, ლოყის ძირში ხალი და თაფლისფერი თვალები. მართას რომ ტიპთა გამოცნობა სცოდნოდა, მაშინვე იტყოდა ელზაზე — ევროპელისა და აზიელის ნარევია, კარგი, ჯიშიანი ნარევიო.

ელზა ქართველიც შეიძლება ყოფილიყო (თუმცა არ ჰგავდა), რუსიც (არც რუსს ჰგავდა), უკრაინელიც, სომეხიც, ბოშაც. ებრაელიც... საკუთარი გვარი არ იცოდა, „ტოტას“ მოვყავდიო, აქ გადმოგვსხეს მატარებლიდანო. საიდან მოდიოდა და სად მიდიოდა, არ იცოდა. დედას ერქვა ნატალიაო, „ტოტას“ — ოლია, მამა არ ვიციო. მართლაც ბალღური იყო მისი ტიტინი. მართა არც ჩასციებია. ეგ გამოკითხვა მოგვიანებით მოხდა. მანამდე თითქმის მთელი თვის მანძილზე, ელზას სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

გადარჩა...

როგორ მიიღო მარკოზმა ელზას მოვლინება? ჩვეულებრივად — უსიტყვოდ. მართას დაუთმო შვილობილზე ზრუნვა, თვით არაფერში არ ერეოდა, მხოლოდ უკმაყოფილოდ გადახედავდა ხოლმე ცოლის საწოლს, სადაც საბნებში შეფუთნული ელზა იწვა. როგორ არისო, ჰკითხავდა მართას და უსიტყვოდ შებრუნდებოდა.

მაგრამ დიდხანს ასე არ გაგრძელებულა. როცა ელზამ მოიკეთა და ოთახში გაბაკუნდა, მარკოზი გამოიცვალა: გახალისდა, სათამაშოებს უკოწიწებდა, როგორც შეეძლო, ანებივრებდა.

ასე გავიდა ერთი წელი. მართა გულის ფანცქალით ელოდა, რომ ელზას ვინმე მოაკითხავდა. მთელმა სამტრედიამ, მით უმეტეს, ახლობელმა მეზობლებმა, კარგად იცოდნენ ელზას ამბავი, ასეთი რამ პატარა დაბაში ხომ არ დაიმალებოდა! მაგრამ არავინ გამოჩნდა და მართამ გააორმაგა შვილობილზე ზრუნვა.

მალე ქვეყანა საბოლოოდ გადაბრუნდა, მეფე დაამხეს და უფრო მეტად აირია ყველაფერი.

მიტუშა უვნებლად დაბრუნდა კავკასიის ფრონტიდან და დეპოში დაიწყო მუშაობა.

ელზა იზრდებოდა.

მენშევიკური მთავრობა რომ გაბატონდა და აქა-იქ აჯანყებები დაიწყო, მიტუშა რამდენიმე სამტრედიელ ახალგაზრდასთან ერთად მთავრობის საწინააღმდეგო ბრძოლაში ჩაება — სამტრედიაში ყოველთვის ძლიერი იყო ბოლშევიკების გავლენა. ერთხანს ბათუმში წავიდა, შემდეგ თბილისში აღმოჩნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქიდან ბაქოში გადაასახლეს. მართა და მარკოზი შვილის გზააბნეულობაზე სწუხდნენ.

ელზა იზრდებოდა.

საქართველოს გასაბჭოების წელი რომ დადგა, სამშობლოში არალეგალურად დაბრუნებული მიტუშა რომელიღაც მაზრის აჯანყებაში მონაწილეობდა და ერთ-ერთ ბრძოლაში შემთხვევით დაიღუპა... საწყალი მარკოზი დაავადმყოფობდა და შვილის სიკვდილს გადაჰყვა.

ელზა იზრდებოდა.

შვილისა და ქმრის სიკვდილის შემდეგ მართას ერთადერთ იმედად ის დარჩა. როცა სადგურის ახლომახლო მდგარი ქოხმახები და ბუდრუგანები დაანგრიეს, მართას ერთი ოთახი მისცეს „ზდანიებში". თუმც შორს იყო სადგურიდან, კმაყოფილნი გადავიდნენ ის და ელზა და დაიწყო მათი ცხოვრების ახალი ხანა.

ელზა ჩვიდმეტი წლის გახდა და რვა კლასი დაამთავრა. ძალიან მხიარული, თამამი და ტოლებში სახითაც და ტანითაც გამორჩეული გოგო იყო. ყმაწვილები გუნდ-გუნდად დასდევდნენ, დიდების ყურადღებასაც იქცევდა. უდარდელი იყო, პეპელასავით ცხოვრობდა...

ერთხელ სამტრედიაში ხმა გავარდა, რკინიგზელთა კლუბში ქუთაისელი სცენისმოყვარენი წარმოდგენას მართავენო (შემდეგ ბევრს სწყევლიდა იმ დღეს მართა!). დილიდანვე კლუბს ათიოდე გოგო-ბიჭი მიადგა და თვალებდაჭყეტილნი უყურებდნენ რეპეტიციას.

თამაშობდნენ ყიყლიყოს პიესას „ამერიკის ჯუნგლებში". ყიყლიყო რეჟისორიც იყო და არტისტიც. იქნებოდა, ასე ოცდაათი წლის კაცი, მაღალი, გამხდარი, მოღუნული ცხვირი და სქელი ტუჩები ჰქონდა, ხავერდის ბაკენბარდები ყურის ძირამდე ჩამოგრძელებოდა.

პიესა ეხებოდა ამერიკაში ზანგების დევნისა და შევიწროვების თემას.

ყიყლიყო ბარიტონით ყვიროდა: „მე შენ დაგახრჩობ, ელზა, როგორ გაბედე?!" და შემდეგ ჩვეულებრივი ტონით ეკითხებოდა მსახიობებს: „არ ჩამოსულა? მერი არ გამოჩნდა"? „არაო", პასუხობდნენ პარტნიორები.

„მაშ რა ვქნა, ვის დავახრჩო? ელზა, ელზა!" — უეცრად დაიღრიალა ყიყლიყომ. და იმდენად გულწრფელი, მწუხარე და მომწოდებელი იყო ეს ძახილი, რომ დარბაზიდან გაისმა:

— აგერაა ელზა!

ყიყლიყო სცენიდან ჩამოხტა და ახალგაზრდებს მიეჭრა.

— რომელია?

— აი, ესაა! — მიუთითეს ბიჭებმა, გოგოებმა კი ალმოდებული ელზა წინ გაიგდეს.

ყიყლიყომ ყურადღებით შეათვალიერა, „ოჰო!" დაიძახა, მაჯაში მაგრად ჩასჭიდა ხელი და სცენისკენ წაიყვანა. ელზა უძალიანდებოდა. ყიყლიყომ ხელი გაუშვა და დაუყვირა:

— ადი სცენაზე! დღეს შენ ცხოვრებაში ახალი ფურცელი იშლება! იქნებ ელეონორა დუზე ხარ, იქნებ ერმოლოვა ხარ, იქნებ ნუცა ჩხეიძე ხარ! ადი სცენაზე, გაგშინჯავთ, ნუ გეშინია, სულელო!

— ადი, გოგო, ადი! — შეაგულიანეს ამხანაგებმაც.

ცრემლმორეული ელზა სცენაზე ავიდა. ახტა ყიყლიყოც.

— აბა თქვი: „რა ჩემი ბრალია, რა გინდათ ჩემგან?!"

გამწარებულმა ელზამ ძალა მოიკრიბა, ცრემლი ხელისგულით შეიმშრალა და საკმაოდ ბუნებრივად წამოიძახა ის, რაც ახლა ასე აწუხებდა:

— რა ჩემი ბრალია? რა გინდათ ჩემგან?!

მსახიობებმა ტაში დაჰკრეს. „ყოჩაღო!" — იყვირა ყიყლიყომაც.

იმ საღამოს ელზამ ზანგის გოგო ითამაშა, ყიყლიყო რომ ახრჩობდა, და მთელი სამტრედია აალაპარაკა.

ვინ ჰკითხა მართას? ელზამ ფაციფუცით შეკრა ბოხჩად თეთრეული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი კაბა, ფეხსაცმელი და სხვა წვრილმანი. გარეთ ყიყლიყო უცდიდა. სადგურამდე ტირილით მისდევდა მართა „კარგად ვიქნები, მართა, კარგად!“ — უძახოდა ვაგონის ფანჯრიდან. და გააქანეს ელზა ქუთაისში..

აქ რომელიღაც უწყების საერთო საცხოვრებელში ჩაასახლეს. არტისტობდა ელზა, თუმცა არავითარი სცენის ნიჭი არ აღმოაჩნდა.

ყიყლიყო გახდა მისი პირველი ქმარი. ჩემი ცოლი ხარო, — უთხრა ერთხელ ყიყლიყომ. კარგიო, — უპასუხა მსუბუქად ელზამ. არც ხელი მოუწერიათ და არც არაფერი...

მთელ ორ წელიწადს დაათრევდნენ ელზას რაიონიდან რაიონში. უმეტესად უსიტყვო სტატისტი იყო ან ორ-სამ რეპლიკას წამოიძახებდა. სამაგიეროდ, გენიალურად წამოიყვირებდა იმ ფრაზას, საიდანაც მისი არტისტული კარიერა დაიწყო:

— რა ჩემი ბრალია? რა გინდათ ჩემგან?!

გენიალურიაო, წასჩურჩულებდა ამ სიტყვების შემდეგ ყიყლიყო.

ყიყლიყო თბილისში წავიდა. ჩქარა ჩამოვალო, დაიბარა.

ერთ თვეს ელოდა სამტრედიაში ელზა. ქმარმა რომ აღარ მოაკითხა, მართას ესესხა დაგროვილ ფულს და თბილისს გაეშურა. მტირალი და უძლური მართა გადაათქმევინებდა ცნობილი არტისტისა და რეჟისორის მეუღლეს?

თბილისში ყიყლიყო არც ერთ თეატრში არ აღმოჩნდა. მოსკოვს გაუტიაო, უთხრეს ერთ სახელოვნო დაწესებულებაში. დაიქირავა ელზამ კუთხე და იწყო თეატრიდან თეატრში ხეტიალი. სულ უშედეგოდ. სცენიდან თქმული ორი სიტყვის შემდეგ ხელის ჩამორთმევით ემშვიდობებოდნენ.

ერთ თეატრში კაპელდინერად მიიღეს. აქ მისმა ეფექტურმა გარეგნობამ ერთი მოხუცი რეჟისორის ყურადღება მიიქცია. მისი დაჟინებით მთელ სეზონს თამაშობდა ელზა პატარა როლებს მსახიობების ჩუმი პროტესტის მიუხედავად. მოხუცი რეჟისორი ყველას უყვარდა (რევოლუციამდელი ქართული თეატრის ერთი ფუძემდებელთაგანი იყო) და ხმამაღალი პროტესტი არავის წამოსცდენია.

ყიყლიყო აღარ გამოჩნდა.

ელზა დათანხმდა მოხუცი რეჟისორის წინადადებას და საცხოვრებლად მასთან გადავიდა. ასე მოხვდა მარინეს მეზობლად.

ერთი წლის შემდეგ ელზა სცენაზე აღარ გამოდიოდა — მოხუცი რეჟისორი ბოლოს და ბოლოს მიხვდა თავის შეცდომას. დაჰყვებოდა ქმარს და დასს ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ხან ბაქოსა და ერევანში. მართას წერილებსა და ფულს უგზავნიდა, სანამ... სანამ მოხუცი რეჟისორი უეცრად არ გარდაიცვალა.

დარჩა ელზა მარტო. ფული და ქონება რეჟისორს არ აღმოაჩნდა. თეატრში კვლავ კაპელდინერობა შესთავაზეს. დათანხმდა. ერთ თვეში გამოაძევეს თეატრიდან: პრიმადონამ თავის ქმარს ელზასთან მეტად უხერხულ პოზაში შეუსწრო და ატეხა წივილ-კივილი. „პადუმაეშ!“ — წარმოთქვა ზიზღით ელზამ და თეატრიდან სამუდამოდ წავიდა.

ამასობაში მართაც გარდაიცვალა და ელზა სულ მარტო დარჩა ქვეყანაზე.

ჯერ გაზიანი წყლის გამყიდველად მუშაობდა. ერთხანს ოფიციანტობდა რესტორან „ნოვი ტბილისში“. შემდეგ ერთი კეთილმოსურნე მამაკაცი გამოჩნდა და მუშაობას თავი დაანება. მერე მეორე გამოჩნდა, მერე — მესამე. მერე — მეოთხე... და ომიც დაიწყო.

იმ ზაფხულს, მარინე რომ სოფელში წავიდა და თვით კი ქალაქს შერჩა, დათო მარინეს ოთახის მოსანახულებლად მივიდა.

ყველაფერს მტვერი დასდებოდა. ოთახის კარი გააღო და საერთო აივანზე გავიდა.

---

თენგიზ ბუაჩიძე
გზა ბავშვობისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოვდებოდა. სიცხისაგან დაგუდული ქალაქი ის-ის იყო, სუნთქვას იწყებდა. კიბეზე ელზა ამოვიდა, დათოს მიესალმა, თავის ოთახში შევიდა და შუქი აანთო. „ასე ადრე?“ — უყურადღებოდ გაიფიქრა ბიჭმა.

სანამ აივანზე იდგა (მისი ჭკუით, მარინეს ოთახს ანიავებდა), სანამ შემდეგ კვლავ შევიდა, სანამ ტახტზე იჯდა (რაღაცებზე ფიქრობდა), სანამ ისევ ზანტად გამოვიდა, კარი ზანტადვე ჩაკეტა და წასვლა დააპირა, ესმის, ელზა თავისი ოთახიდან ეძახის:

— დათო, ცოტა ხნით შემობრძანდით, თუ შეიძლება..

შეჰყო თავი კარში და ხედავს: ელზა მუხლებზე დგას და დიდი სკივრის ბოქლომს ეჯაჯგურება. ღრმად ჩაჭრილი უსახელო კაბა აცვია. მაგიდაზე ვახშამია გაშლილი. სავსე ბოთლი დგას. ნავთქურაზე ჩაიდანი შიშინებს.

— რა მოხდა, ქალბატონო ელზა? — ეკითხება.

ელზა ჟანგიან გასაღებს უჩვენებს და თხოვს:

— მომეხმარეთ რა, ვერ ვაღებ...

მივიდა, გასაღები გამოართვა, თვითაც იქვე ჩაიმუხლა და ბოქლომს წვალება დაუწყო. უცებ იგრძნო, ბეჭებზე რაღაც მხურვალე და სასიამოვნოდ რბილი აწვება, ყურში ელზას გახშირებული სუნთქვა ჩაესმის და ყელზე ქალის შიშველი მკლავები ეხვევა...

ცეცხლი მოეგზნო, გასაღები დააგდო, წამოუდგომლად მობრუნდა, ქალის დამყოლ ტუჩებს დაეკონა, საკუთარ ტუჩებში ქალის მხურვალე ენის დატაკება იგრძნო და... მაშინ თავში ჩაქუჩივით დაჰკრა:

— მარინე?!

იმ წუთშივე ჩაქრა ვნება, თითქოს ვედრით წყალი გადაასხესო. ქალის ხელიდან თავი უხეშად გაითავისუფლა, წამოხტა, კარში გავარდა და კიბე ჩაირბინა.

„დურაჩოკ!“ — ხმამაღლა მიაძახა მუხლებზე ჩაჩოქილმა ელზამ და გულიანად გაიცინა...

## დედა-შვილი

ყოფილი შუამთის მონასტრის შემოგარენი თოვლითაა დაფარული. კახეთის დიდთოვლიანობაა. მონაზონთა ნასენაკარებში საბავშო სახლის თანამშრომლები შეყუჟულან. ბავშვებს სახელდახელოდ გამართულ შენობაში სძინავთ. დაწყებულია ახალი კორპუსის მშენებლობა, მაგრამ უხვთოვლიანმა ზამთარმა არა თუ მშენებლობა, თელავთან ნორმალური მიმოსვლა შეაფერხა.

ერთ მცირე ოთახში დედა და შვილი უსხედან ღუმელს. დათო ეს-ესაა ამოვიდა და ტანსაცმელს იშრობს.

— გამხდარი კი ხარ, მაგრამ დავაჟკაცებულხარ, დათუნა! მიამბე, როგორ ამოხვედი.

— ერთი მეეტლე შემხვდა, აქაური, ძია არტემა, კაცური კაცი. რომ გაიგო, ვინ ვარ და რატომ მოვდივარ შუამთაში, ფული არ გამომართვა — შენ უკვე გაგითქვამს აქ სახელი! სულ ომით დაობლებულ ბავშვებზე მესაუბრებოდა. ჯერ, სხვა მგზავრებთან ერთად, სადგურიდან თელავში ამომიყვანა, იქიდან კი, მე და ერთი მეტყევე, შუამთის გადასახვევამდე ამოგვაქროლა თავისი ლინეიკით. ამოგვაქროლას ისე ვამბობ, თორემ ძლივს ამოვედით...

— შენი საქმეები? როგორც გატყობ, ძველი პასიური მჭვრეტელობის ალარაფერი შეგრჩა! თანდათან მამაშენს ემგვანები... როგორ გაქვს საქმენი?

— რა ვიცი, მგონი კარგად, ჯიშკარიანი ყველა ძნელ საქმეს მე მავალებს, ძირითადად — სამეურნეოს: იქ გაიქეცი, ეს იშოვნე, იმას მიეხმარე, ანგარიში დაწერე და სხვა ამგვარი. მე კმაყოფილი ვარ, ვიცი, რასაც ვაკეთებ და რისთვის ვაკეთებ. სანიტრად ვარ გაფორმებული, ფაქტიურად უფროსის თანაშემწეობა მიწევს.

— როგორ გეპყრობა?

— ვინ?

— დიმიტრი, ბიჭო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ნორმალურად. რა იყო, რატომ მეკითხები?

— რატომ გეკითხები? იმიტომ, რომ... სჯობს, მისი ეს სამი წერილი წაიკითხო. მართლაც, ასე სჯობს, ბავშვი ხომ აღარა ხარ...

დიდი პაუზა. ღუმელში ცეცხლი გუგუნებს. ვიწრო ფანჯარაში დათოვლილი ხის ტოტი ჩანს (გარეთ ფარანი ანთია). კუთხეში, დათოს ჩაღუნული თავის გვერდით, პატარა ლამპა მრგვალად ანათებს ვიწრო სივრცეს. დედა ღუმელთან ზის და თხელ ქაღალდში მშვიდად ახვევს წვრილად დაჭრილ თამბაქოს...

დათომ თავი ასწია, წერილების ფურცლები დაკეცა და მაგიდაზე დადო.

— შენ რა უპასუხე ამ ბარათებზე, ზედმეტად ხომ არ შემოგელანძღა? თუმცა, ნუ მეტყვი. ისედაც ვიცი. ჩემზე რა მისწერე?

— თქვენთან აღარ იმუშავებს-მეთქი...

— გასაგებია... ამ საკითხში ხომ არ აჩქარდი? — დათო წამოდგა, დედასთან მივიდა, გვერდით მიუჯდა, მომუშტული ხელები მუხლებს შორის ჩამალა და მხრები აიწურა.

— მგონი, არა. ვფიქრობ, ესაა ერთადერთი გამოსავალი.

— რომ არ ტოვებდა ამგვარი ქალაჩუნა კაცის შთაბეჭდილებას? რიხიანად გასცემდა ბრძანებებს.. მეშჩანური ბედნიერება, მცირე თუ დიდი ტყუილი, ესაა იდეალი? ფუჰ, შენი..

— მკაცრად ნუ განსჯი, დათუნა. ხანშიშესული შეყვარებული კაცები უმეტესად სასაცილონი არიან. თუმცა — ქალებიც. ყველაფერს თავისი დრო აქვს. მაგრამ ეს მაინც არ უნდა ეკადრებინა სწორედ მამაშენის ხსოვნის გამო. ამგვარი შენიღბული მეშჩანები ალბათ ბევრი გვყავს გარშემო. პირველად მეც ავფეთქდი, ვიფიქრე, ჩავალ ქალაქში, მივბეგვავ ან კატასავით მივახრჩობ-მეთქი, — დედამ პაპიროსის ნამწვი ღუმელის კარს შეაჭყლიტა და გაიცინა. — გადავიფიქრე...

— გასაგებია, გასაგებია, — გაიმეორა დათომ ნერვულად. — რატომღაც გამიკვირდა, წასვლის წინ რომ მითხრა, რამდენი ხნითაც გინდა, იმდენით წადიო. მომეფერა კიდეც. მანამდე მკაცრად მეპყრობოდა... ავანსიც გამომიწერა... გასაგებია... ესეც ასე... უნდა ვეცებო ახალი საქმე. მართალი ხარ, გამიჭირდება მასთან მუშაობა. რა დროს ეს იყო?! ჩავალ და ამ ავანსსაც უკან მივახლი...

— აქ რით დამეხმარები? — შეეკითხა დედა, საუბრის თემა რომ გამოეცვალა.

— ყველაზე მეტად რა გიჭირთ? ალბათ ტრანსპორტი...

— ერთი საბარგო მანქანა მოგვამაგრეს. ყოველ წუთს ფუჭდება, ძველიცაა და საბურავებიც ვერ ვიშოვეთ, — თითქოს დამნაშავეაო, ისე უპასუხა დედამ. — ამ ზამთარმა კი ლამის მოგვწყვიტა ბაზას...

— კარგი. ტრანსპორტს მე ვკისრულობ. დღეში თითო რეისი გეყოფათ? გეყოფათ. ძია არტემაზე რომ გიამბე, მისი დახმარებით ვიშოვი ლინეიკებს. რამდენი შეგიძლიათ გადაიხადოთ?

— მცირე თანხა გვაქვს. კერძოებზე არაა გათვალისწინებული, მაგრამ რაიმეს ვიღონებ, თუმცა ბუღალტერი მეტად მხდალია... მთავარია სურსათის ამოზიდვა...

— მაშინ სხვანაირად მოვაწყოთ. ხვალ მე თელავში ჩავალ. არტემას დახმარებით მეეტლეთა კრებას მოვაწყობ, დავაწესებთ მორიგეობას. რამდენი იქნება თელავში ლინეიკის პატრონი? ოცი, ოცდაათი? ნაკლებიც რომ იყოს, ვიცი, უარს არ იტყვიან უდედმამო ბავშვების მომარაგებაზე. ათიც თუ დავითანხმე, კმარა. არტემა დამეხმარება. დიდი-დიდი, ათ დღეში ერთხელ მოუწიოთ მორიგეობამ. სურსათის ამოტანა არ შეფერხდება.. ერთი რამ მაწუხებს. ყველა ხომ არტემასავით

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატიოსანი არ იქნება? კონტროლის დაწესება უნდა გზაში. ექსპედიტორი რამდენი გყავთ?

— ერთი. მეორე საწყობის გამგე იქნება. ჩემს მოადგილესაც ვთხოვ, კაცია. ზოგიერთ აღმზრდელსაც შეუძლია. მეც ვივლი...

— გადაწყვეტილია! ყველაფერი კარგად მოეწყობა. შენ ხვალ აქ ჩაატარე კრება, მორიგეობა დააწესეთ. თელავს ჩემს თავზე ვიღებ. კომკავშირშიც შევირბენ, შეფობას დავაწესებინებ... ისეთი ტრანსპორტი მოვაწყოთ, რომ.. ამ დიდთოვლიანობას გაუძლებთ. გაზაფხულზე კი მტკიცედ უნდა მოითხოვო მანქანა. ახალი. რაიკომი ჩართე. არ შეიძლება, არ გამოგიყონ...

დედამ ხელი გადახვია. დათო თანდათან დამშვიდდა. ისხდნენ ასე, ღუმელთან თავდახრილნი. დიდხანს ისხდნენ ჩუმად, ორივე თავის საფიქრალს ფიქრობდა. ჰქონდათ საფიქრალი? ვაი რომ ჰქონდათ. ჰქონდათ და ფიქრობდნენ.

ღუმელში ცეცხლი ცეკვავდა. გარეთ კახეთის დიდთოვლობა, ომის დიდთოვლობა იდგა.

### ამურის ხუმრობა

ყველა თავის ბედნიერებას ეძებს.

ეძებს იქ, სადაც შეიძლება მოიპოვოს, ეძებს იქაც, სადაც მისთვის არაფერია. თვალახვეული ეძებს. ეძებს, რადგან სჯერა, რომ იპოვის.

დათოს ჰოსპიტლის უფროსი სერიოზული კაცია, გარეგნულად საკმაოდ მკაცრიც. არც მთლად ახალგაზრდაა, ელენეს ხნის მაინც იქნება.

აი მისი პირველი წერილი:

**„ქალბატონო ელენე! მეტად მოხარული ვარ, რომ ჩვენი ნაცნობობა აღდგა. როგორც ყოველთვის ადრეც, ახლაც აღსავსე ვარ პატივისცემით, სიყვარულით და, თამამად შემიძლია ვთქვა, აღტაცებისა და გაკვირვების გრძნობითაც პირადად თქვენსა და მთლიანად თქვენი ოჯახის მიმართ. საწყისი ამ გრძნობისა ჯერ კიდევ ჩემი ყმაწვილობის დროს ჩაისახა, როცა ევგენი მიზანდარმა, რაიონის კომკავშირის სრულიად ახალგაზრდა თავკაცმა, ღარიბი გლეხის ქოხიდან დღის სინათლეზე გამომიყვანა თავისი ტოლი ბიჭი, ახალი ცხოვრების გზაზე დამაყენა და კაცად მაქცია. იქნებ თქვენთვის ისიცაა ცნობილი, რომ სწორედ მისი რეკომენდაციით მოვხვდი სამკურნალო ფაკულტეტზე და შემდეგაც, სანამ აქ იყო, არ მაკლებდა ყურადღებას. ლენინგრადშიც მისი რეკომენდაციით გამგზავნეს. მეც თავს არ ვიზოგავდი, რათა იმედი არ გამეცტყუნებინა და საზოგადოებისათვის სასარგებლო კაცი დავმდგარიყავ. ახლა, როცა თქვენი დათოს საშუალებით კვლავ მომეცა შესაძლებლობა ნაცნობობის და ურთიერთობის განახლებისა (ცოლი მე არა მყავს და შვილი, არც და-ძმა და მშობლები...), უაღრესად ბედნიერი ვიქნები, თუკი შევძლებ ხელი გამოგიწოდოთ, გემსახუროთ, ძმურად გეყმოთ და მხარში ამოგიდგეთ. საკმარისია მხოლოდ ერთი, თუნდაც ირიბი მითითება — სად, რაში და როგორ, — რომ იქ გავჩნდე, გაუჩენელი გავაჩინო და თქენთვის ვიღონო ყველაფერი, რაც ერთი სამხედრო ექიმის მოსიყვარულე და მადლიერ გულს შესწევს. უღრმესი პატივისცემით, თქვენი დიმიტრი ჯიშკარიანი“.**

მეორე წერილი.

**„ქალბატონო ელენე! მაპატიეთ, რომ თავს ვერ ვიკავებ და კვლავ გწერთ. არ შემიძლია არ მოგწეროთ, ეს სურვილი ჩემს ნებისყოფაზე ძლიერი აღმოჩნდა. კვლავ გთხოვთ შენდობას, რომ თქვენთვის ამ დაძაბულ პერიოდში, ახალი საქმის ორგანიზაციის ორომტრიალში, დროს გართმევთ და, შესაძლებელია, თავსაც გაბეზრებთ. ჩემი ტრაგედია ისაა, რომ პირადი შეხვედრისას ვერასოდეს შევძლებ იმის თქმას, რასაც წერილობით გიბედავთ. მე კარგად მახსოვს თქვენი ოჯახი ჩვენს რაიონში. ეს იყო 1930 წლის გაზაფხულზე. მოვედი თქვენთან, რათა ევგენისთვის ანგარიში ჩამებარებინა. თქვენ შინ არ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანდებოდით. ევგენი და მე ვსაუბრობდით, ჩვენს გარშემო დარბოდა ხუთიოდე წლის ბიჭუნა, საოცრად მეტყველი სახისა, მოუსვენარი. წამოვდექი წასასვლელად და სწორედ თქვენც შემოხვედით. ადგილზე გავშეშდი. არ ვიცი, მაშინ საიდან მობრძანდით, სახეაგზნებული გქონდათ, თვალები გიბრწყინავდათ, ევგენის რაღაცნაირად შეხედეთ, თითქოს დიდი გამარჯვების ამბავი აუწყეთ, მან თანხმობისა და გაგების ნიშნად თავი დაგიქნიათ და გაიღიმა. თქვენც შეჰღიმეთ იმგვარად, რომ მე ლამის წავიქეცი. ისე გაიარეთ ოთახი, თითქოს ვეფხვს გაერბინოს (პატარა ბიჭი ბოკვერივით გვერდზე აგეკრათ). ეს გრძნობა, ე. ი. მოგონება რაღაც ძლიერ, ლაღ და ლამაზ არსებაზე, ვეფხვის ასოციაცია უცბადვე რომ აღმიძრა, დღემდეა ჩემს გულში შემონახული. მახსოვს, ვიდექი რეტდასხმული. მაშინ ალბათ პირველად ვიგრძენი, რარიგ საოცარი, მიმზიდველი და დიდებული შეიძლება იყოს ქალი, მივხვდი, რატომაა საქართველოში ქალის კულტი, რატომ აღმერთებენ თამარს... ყოველივე ეს ვიგრძენი შინაგანად, გუმანით, გაუცნობიერებლად, არცაა გასაკვირი — მაშინ ხომ სრულიად ახალგაზრდა ვიყავი.. გავიდა წლები და კვლავ მხოლოდ ერთხელ განახეთ, 7 წლის შემდეგ, ზაფხულში, თბილისის სადგურზე როცა თქვენ და ეკა მინდელს ევგენი და მირიან მინდელი გაცილებდათ. ქუთაისში მიდიოდით ბავშვებითურთ, იქიდან შოვში უნდა ასულიყავით დასასვენებლად (ეს შემდეგ გავიგე, როცა მატარებელი წავიდა). ამ სცენის აღწერა მე არ ძალმიძს, აქ ჩეხოვის ტალანტია საჭირო, მე კი მხოლოდ ერთი ჩვეულებრივი ექიმი ვარ... მახსოვს გრძნობა, რომელმაც მთელი ჩემი არსება მოიცვა ამ ათწუთიანი გაცილების დროს: იმ ოთხ პიროვნებაში (და ორ ულამაზეს ბავშვში) მე ნათლად ვხედავდი და ვგრძნობდი უბრალო მოკვდავთათვის მიუწვდომელ ადამიანთა სრულყოფილებას, სულიერ და ფიზიკურ სილაღეს, რაღაც ისეთ ჰარმონიას, რაც უმაღლესი და უნეტარესი იყო ჩემთვის. ვხედავდი თანამედროვე, და შეიძლება მომავლის, სრულქმნილ ადამიანებს, მე ვხედავდი ხორცშესხმულ ბედნიერებას. დიახ, თქვენი ჰვრეტა უმაღლესი ნეტარება იყო! ვიდექი სოფლელი ბიჭი (თუმცა უკვე ახალგაზრდა ექიმი, დიპლომიანი(!), რომელიც ერთ კვირაში ლენინგრადს (!) უნდა გამგზავრებულიყო) და იმგვარი ტკბილი და ამაღელვებელი განცდით ვიყავი თავბრუდახვეული, რომ თქვენს გარდა ვერავის ვხედავდი, ვერავის ვცნობდი, თუმცა ათასი ვიღაც ტრიალებდა გარშემო, ნაცნობი და უცნობი.. ყველაფერი მახსოვს — ყოველი თქვენგანის სახის გამომეტყველება, ღიმილი, ტუჩის კუთხეებში მიმალული სევდისა თუ მეშფოთების გამომხატველი ნაოჭი (მაშინ ეს დროებითი განშორების წუხილად აღვიქვი...), თქვენი მოძრაობა, სიარული, ბავშვების ანცობა, ორი უმშვენიერესი წყვილის თავშეკავებული გამოსალმება-დამშვიდობება.. ყველაფერი მახსოვს, მაგრამ სიტყვით გადმოცემა არ ძალმიძს, ჩემს ძალ-ღონეს აღემატება. ახლაც კი, როცა ვწერ, ცოცხლად მიდგას სურათი თვალწინ და იმავე ნეტარი გრძნობით ვივსები... და უკანასკნელად ამას წინათ განახეთ: თმაში ჭაღარა გაგრევიათ, თამბაქოს წევა დაგიწყიათ, მაგრამ სხვა ყველაფერი — მოგიზგიზე თვალები, ენერგიული ჟესტები, უტეხი მზერა და ყოველთვის მზა და ზუსტი პასუხი რაგინდარა კითხვაზე — ძველებური დაგრჩათ. ახალი მხოლოდ ორი რამ შევნიშნე. არ ვიცი, როგორ გამოვხატო: ირონიული, სკეპტიკური (ანუ უნდობი) ღიმილი და ხელის მტევნის უცნაური მოძრაობა — რაღაც უიმედობის გამომხატველი (იქნებ ვცდები?). თქვენი ღვთიური სახე ჩემს მარტოსულ ცხოვრებაში ქალის იდეალს ემთხვეოდა (და ემთხვევა ახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაც); იქნებ ამიტომაც ვარ ასე მარტოკა ქვეყნად.. თქვენგან ორიოდე სტრიქონის მიღება ჩემთვის დიდი ბედნიერება იქნებოდა, მაგრამ ამგვარი თხოვნა დღევანდელ პირობებში ჩემგან დიდი თავხედობაა. ისიც უნდა ვიკმარო, წერილის წერას რომ არ მიკრძალავთ. ეს ყველაფერი ვიცი, მაგრამ მაინც ველი... ნახვამდის. თქვენი მარადის პატივისმცემელი დიმიტრი ჯიშკარიანი".

ელენეს პირველი პასუხი:

„ბატონო დიმიტრი! ვერ ვიტყვი, რომ თქვენი წერილების რამდენიმე სტრიქონმა სიამოვნება არ მომანიჭა (პოეტი ყოფილხართ!). ხსოვნისათვის გმადლობთ. ბოდიშს ვიხდი, ვერ ვიცლი მიმოწერისათვის. საერთოდაც — სიტყვას მცირე ფასი აქვს. ერთად თავმოყრილი ბევრი ერთნაირი სიტყვა კი მთლად უფასურდება. ერთს გთხოვთ, თუ შეიძლება, დათოს მიმიხედეთ. ელენე მიზანდარი".

პატივცემული დიმიტრის მესამე წერილი:

„ქალბატონო ელენე! თქვენმა მცირე ბარათმა ჩემში უზარმაზარი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია!! ჩემს არსებობას კაშკაშა სინათლე შეემატა და დიდი აზრი გაუჩნდა! ვიგრძენი, რომ მარტო არა ვარ ამქვეყნად, ზოგჯერ მაინც იფიქრებს ჩემზე ვინმე! და ეს „ვინმე" თქვენ იქნებით. გმადლობთ ჩემი წერილების მაღალი შეფასებისათვის! ულრმესი მადლობელი ვარ, ულრმესი! ხოლო დათოს თაობაზე თქვენი თხოვნა, რაც მე უწმინდეს დავალებად მივიღე, შესრულებული იქნება, რაც შეიძლება ყოველმხრივ და რაც შეიძლება საფუძვლიანად. აი რა გადავწყვიტე: პირველი — დათო შტატში ჩავრიცხო მაღალ ხელფასზე; მეორე რაც შეიძლება ნაკლებად დავტვირთო; მესამე — აღარ გავგზავნო სახიფათო მივლინებებში; მეოთხე — ან ჯავშანი ვუშოვნო ან მის ჯანმრთელობას ისეთი მუხლი შევუფარდო, რომ სამუდამოდ გაათავისუფლონ ჯარიდან. მე მგონი, ამით ყველა ნამდვილი დედა კმაყოფილი იქნებოდა! რა უნდა თქვენს შვილს იმ სასაკლაოზე? ჯერ ხომ სრულიად ნორჩია და გამოუცდელი, წინ კი მთელი ცხოვრება აქვს! ნებას რომ დამრთავდეთ, სულაც ჩემთან გადმოვიყვანდი საცხოვრებლად, მამასავით მოვუვლიდი, ჩემს პროფესიაში დავაოსტატებდი, კაცად გავხდიდი. რაც მამამისმა სიკეთე მიყო, ორმაგად და სამმაგად გადავუხდიდი! მაპატიეთ, მაგრამ ამგვარი სურათი წამოვიდგინე: დათო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტია, თქვენ და მე ქალაქში ვმსახურობთ, ომი დამთავრებულია ან წარმატებით მთავრდება. საღამო ხანს ვზივართ ჩემს კეთილმოწყობილ ბინაში და ორივენი კმაყოფილი ვუყურებთ, თუ როგორ გულმოდგინედ მეცადინეობს ჩვენთვის ძვირფასი დათო, როგორ ეუფლება ექიმის კეთილშობილურ პროფესიას! ოჰ.. ოცნებაში უფრო შორსაც მივდივარ. მერიდება, მაგრამ მაინც გეტყვით: ჩვენ ერთ ოჯახად ვცხოვრობთ და ხელიხელჩაკიდებულნი უკვე ერთად და იმედიანად მივაბიჯებთ ცხოვრების ფართო შარაგზაზე!.. როცა ამაზე ვოცნებობ, ბედნიერებისაგან თავბრუ მესხმის და მზად ვარ, ყველაფერი შევწირო და ვანაცვალო ამ ბედნიერებას.. წარმოიდგინეთ კაცი, რომლის გული თქვენი სიყვარულით ანთებულია, რომელიც რჩეულ საზოგადოებაში სრულიადაც არ დგას ბოლო რიგში, რომელიც ადამიანებს ჰკურნავს და სამშობლოს მძიმე დღეებში მათი სიცოცხლის გადარჩენაზე ზრუნავს; შემდეგ წარმოიდგინეთ, რომ ეს კაცი სრულიად მარტოა ამქვეყნად, არც ერთი ახლო ნათესავი, არც ერთი ნამდვილი მეგობარი მას არ ჰყავს და ამიტომაც ყველაფერს, ყველაფერს საყვარელ არსებას შესწირავს; კიდევ წარმოიდგინეთ ამ კაცის ნამდვილი სურვილი, იყოს თქვენსთვის თავდადებული, ჭეშმარიტი სურვილი — მსხვერპლად მოგიტანოთ თქვენ მთელი სიცოცხლე, ნიჭი, ოსტატობა, გული და სული; და, ბოლოს, ისიც წარმოიდგი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**ნეთ, რომ ეს კაცი არაა მთლად მახინჯი, პირიქით, ე. ი. იგულისხმება, რომ იგი ნორმალური, კაცური შესახედაობისაა, მე ვიტყოდი, არც ერთგვარ ვაჟკაცურ იერს მოკლებული ადამიანია.. თუ ამას ყველაფერს წარმოიდგენთ, მიხვდებით ვიზე და რაზეა საუბარი... მაგრამ ეს მხოლოდ ჩემი ოცნებით შექმნილი სურათია და სამწუხაროდ, არა რეალური სინამდვილე. და თქვენზე, მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, ძვირფასო ელენე, ახდება თუ არა ოდესმე ეს ოცნება, ცხოვრების მიერ რამდენადმე განაწყენებული კაცის ოცნება იმავე ცხოვრების მიერ შემთხვევით (და მე მჯერა — უსამართლოდ) დაჩაგრული ქალის ბედნიერ მომავალზე! შემინდეთ, შემინდეთ, შემინდეთ... გულის ფანცქალით, შიშით, კრთომით, მაგრამ სადღაც გულის სიღრმეში მთვლემარე იმედის ნაპერწკლით ველი თქვენს პასუხს, თქვენს განაჩენს... მარად და მარად თქვენი დიმიტრი“.**

ელენეს საბოლოო პასუხი:

**„ბატონო დიმიტრი. მე უკვე ვაცნობე დათოს, სხვა სამსახური მოძებნოს. ნურასოდეს შეწუხდებით ამგვარი ბარათების თხზვით. ამის არც საბაბი, არც უფლება თქვენთვის არასოდეს მომიცია. კაცს ცოტა ჭკუაც ხომ უნდა ჰქონდეს? ელ. მიზანდარი“.**

ყველა თავის ბედნიერებას ეძებს...

## შეხვედრები

დილის რვა საათი იქნებოდა, დათო რომ თავის ბარაკიდან გამოვიდა, ვერის ხიდი გადაიარა და ელბაქიძის აღმართს აუყვა.

შუა სექტემბერი დიდებული დროა თბილისში: არც ზაფხულის სულშემხუთავი ბული დგას და არც გვიანი შემოდგომის ნესტიანი ქარი უბერავს. მშვიდი მზიანი დილა საზეიმოდ განგაწყობს, მაგრამ ომით წელგაწყვეტილ ქალაქს და ხალხს საზეიმოდ სად სცალია? ყველა საქმეზე გარბის.

პროსპექტზე რომ ავიდა და ვერისკენ გაუხვია, სწორედ ამ დროს მოესმა:

— დათო, დათოო!

გაიხედა მეორე მხარეს და რას ხედავს! დგას წყნეთელი ფიდო და ყურთამდე გაღიმებული დათოს უყურებს.. ფეხშიშველი, ცარიელი ჩანთები უწყვია, ლურჯი ხალათი და ფართხუნა შარვალი აცვია, ფეხები წუღებში აქვს გაყოფილი.

— ფიდო, ბიჭო, შენა ხარ? — გადავიდა მეორე მხარეს გახარებული დათო და ფიდოს ხელი გაუწოდა. ფიდომ ცხვირიააქსუტუნა და ხელი ბავშვურად ჩამოართვა — გაფშეკილი თითები მისცა.

— მარტო ხარ, ფიდო? დედაშენი სადაა?

— მამა ჩამოვიდა...

— მომილოცავს! როდის, როგორაა?

— ორი კვირაა...

— სულ ჩამოვიდა? დაჭრილია?

— სულ ჩამოვიდა... დაჭრილია.

— სადაა დაჭრილი, ბიჭო?

— ფეხში..

— რა მოხდა, ფიდო, კარგად დაბრუნებულა!

— ფეხი არა აქვს...

— რას ამბობ, ფეხი დაკარგა?

ფიდო თავჩაღუნული დგას, თითქოს ის იყოს დამნაშავე. დათომ ჩანთები აკრიფა, ხელი გადახვია და კიროვის ბაღისაკენ წაიყვანა.

— პარა რუბლ, პაჩკა დესიტ! — იძახდნენ ვერის ბაზრის წინ პაპიროსის გამყიდველები.

ფიდო ერთი წამით შეყოვნდა.

ნუთუ თამბაქოს წევა დაიწყო ამ თითისტოლა ბიჭმა? — წყენით გაიფიქრა დათომ და ნაბიჯს აუჩქარა. ფიდოც გაჩქარებული მისდევდა.

ბაღში სკამზე ჩამოსხდნენ.

— როგორ იქნებით ახლა, რა უნდა ვაკეთოთ, რას ამბობს მამაშენი?

— სადმე დარაჯად დადგება.

---

**თენგიზ ბუაჩიძე**

გზა გავშვობისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყავარჯნებით დადის თუ პროთეზი უკეთია? იცი, რა არის პროთეზი?

— ყავარჯნებით... მუხლში აქვს გადაჭრილი...

დათომ თავჩაღუნულ ფიდოს მხარზე ხელი დაადო, მაგრამ ფიდომ მხარი გაითავისუფლა და ჩანთები თავის მხარეს გადააწყო.

— აღარ მიდიხარ კიკეთში? — ჰკითხა უცებ დათოს იმ აზრით, რატომ აღარ სჩანხარო.

— არა. სწავლა დაიწყე, ფიდო?

— ნწ...

— რათა, კაცო? სექტემბერი დადგა...

— მამა ჩამოვიდა...

მამა ჩამოვიდა და სკოლაში არ წავიდა ფიდო.

გახარებულ დედას საქმე მოემატა. ახლა ფიდო ყოველ დილით ქალაქში ჩამოდის, მაწონს ჰყიდის, დედა კი შინ ტრიალებს.

მამა სახლის წინ ზის და ისვენებს. ხასიათი შეცვლია, დაბოღმილია. მეზობლებს ძუნწად პასუხობს ფაშისტების ლანძღვა-გინებაში აღამებს და ათენებს. ინვალიდობის პენსიას იღებს, მედალიც ჩამოიტანა — „საბრძოლო დამსახურებისათვის“, თავმჯდომარემ ღამის დარაჯობა შესთავაზა, მაგრამ ჯერ პასუხს არ აძლევს, იცდის. სოფლის აღმართ-დაღმართზე სიარული უჭირს. ერთხელ, სახლის წინ გორაკზე რომ წვალებით ადიოდა, უცებ ყავარჯნები დაჰყარა, დაეცა და აქვითინდა. მიწას ფრჩხილებით ჰპოტნიდა, თავი ბალახში ჰქონდა ჩარგული და მხრები უცახცახებდა.. ფიდოს ძლიერ შეეშინდა, ლამის გული გაუსკდა. დედა მოვარდა, მამას მოეხვია, ისიც ტიროდა. ძლივს ააყენეს მამა. დაბრუნდა სახლში ყავარჯნების ქნევით და მერე ეზოს აღარ გასცილებია. პირსაც აღარ იპარსავდა, შავი ჯაგარი მოერია. იჯდა და პაპიროსს პაპიროსზე ნთქავდა. ახალი საზრუნავი გაუჩნდა ოჯახს — თამბაქო. მამა გამუდმებით ეწევა, დღისითაც და ღამითაც. ახლაც უნდა შეიაროს ფიდომ ვერის ბაზარში, გადამყიდველისაგან პაპიროსი უნდა იყიდოს, წყვილი მანეთად. ოცდარვა მანეთი ივაჭრა ამ დილით და ახლა სულ პაპიროსები უნდა იყიდოს...

ვერ წავიდა ფიდო სკოლაში პირველ სექტემბერს და გაისამდე ალბათ ვერც წავა, სანამ მამა არ დაწყნარდება და საქმეში არ ჩადგება.

— ხედავ, რა ამბებია? — დაფიქრებით თქვა დათომ. — მე არ ვეწევი, მაგრამ თამბაქოს ვუშოვნი მამაშენს. ცოტას მაინც. დღეს რომ შემხვდი, იმ ადგილას დამელოდე ხვალ დილით და მოგიტან. რასაც ვიშოვნი, მოგიტან. რას ამბობენ, პროთეზის გაკეთება მართლა არ შეიძლებაო? თუმცა, შენ რა გეცოდინება... კარგი, ვნახოთ. დღეს ხუთშაბათია, კვირას ამოვალ წყნეთში, ერთ ექიმს ამოვიყვან, მაგ საქმის მცოდნეს, ვნახოთ... შინ დამიხვდით, ფიდო, გაიგე? საათის თორმეტზე ამოვალთ...

— გავიგე, — თქვა ფიდომ და დათოს თვალებში შეხედა. — მამამ თქვა, სახლი და ძროხა გავყიდოთ და ქალაქში ჩავიდეთო, იქნებ მეწაღეობა ვისწავლო ინვალიდთა არტელშიო, დედა მეეზოვედ დადგებაო..

— ქალაქში? მაგრამ... მე მოველაპარაკები კვირას და ვნახოთ. შინ დამიხვდით, გესმის? ახლა გაიქეცი, მეც მაგვიანდება და შენც. ნაჩუქარი დანა ხომ არ დაჰკარგე, ბიჭო?

— აი ნახე, ავლესე. — ფიდომ უბეში ხელი შეიყო და ხისტარიანი ჯაყვადანა გამოაცოცა, თან დაჭმუჭნილი მანეთიანებიც გამოაყოლა. დათომ დანას ფხა გაუსინჯა, სამართებელიაო, თქვა, და დაემშვიდობნენ ერთმანეთს.

კიდევ ერთი გლეხკაცის ოჯახი ისპობა. შველა უნდა. ფიზიკურად დასახიჩრებულ კაცს სული არ უნდა დაუსახიჩრდეს, თორემ უბედურება არ ასცდებათ. დროზე უნდა შველა. მიდიოდა დათო და ფიქრობდა ფიდოს ოჯახზე...

სამედიცინო ინსტიტუტთან გავიდა, ზემოთ აუხვია, გოგებაშვილის ქუჩა გადაჭრა, ჩიხში შევიდა და ერთსართულიანი სახლის კარს მიადგა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წუხელ საწყალი ჩაბრიას ბიძა, მამია, უნდა ჩამოსულიყო სოფლიდან და ამ სახლში, მისი ყოფილი სკოლის ყოფილი დირექტორის გრიგოლ უგრეხელიძის ოჯახში, ჰქონდათ დათქმული შეხვედრა.

თურმე მამია და გრიგოლი ძველი ნაცნობები, მეორე ქართული დივიზიის ნაჯარისკაცალნი ყოფილან ომამდე, ერთ ლეგიონში უმსახურნიათ ლესელიძის მეთაურობით. როცა ჩაბრია დაობლებულა, გრიგოლიც დახმარებია ოჯახს, ჩაბრია სოფლიდან წამოუყვანია, თავის სკოლაში ჩაურიცხავს და, სანამ ომი დაიწყებოდა, მფარველობდა როგორც შეეძლო.

მამიას კი, გარდა ყველაფრისა, კიდევ ერთი მარცხიც მოსვლია. სწორედ ომის წინ, სოფლის ხიდის მშენებლობაზე, მარჯვენა მკლავზე მორი დასცემია. ხელი დაუზიანდა (თითებს ვეღარ მუშტავდა ბოლომდე), ამიტომ ჯარისთვის დაიწუნეს, მაგრამ რაიონის გამანადგურებელ ბატალიონში, როგორც ჯარგამოვლილს, აქტიური როლი ეკისრებოდა. თვითონ სამი შვილი ჰყავდა და, ჩაბრიას გარდა, კიდევ ორ ძმისშვილს ზრდიდა.

მამია იყო ადრე გაჭაღარავებული ხმელი და ჩია კაცი, შეწითლებულ უპეებში პატარა ჭროღა თვალები ღრმად ჰქონდა ჩასმული. დაკიდებული ცხვირი, თუთუნით შეყვითლებული ულვაშები, თხელი ტუჩები და წაწვეტილი ნიკაპი რაღაც გულკეთილ ცხოველს ამსგავსებდა, — ასეთმა აზრმა გაუელვა დათოს პირველი შეხვედრისთანავე, როცა მამიამ მისალმებისას მარჯვენა ხელი გაუწოდა, მარცხენაც მიაყოლა და კეთილსინდისიერად გაუღიმა.

საკმაოდ დიდ, ფართოფანჯრიან ოთახში, რომლის ერთი მხარე მთლიანად წიგნის თაროებს ეჭირა, კედელზე გრიგოლ უგრეხელიძის შავჩარჩოიანი სურათი ეკიდა. მაგიდას უსხდნენ და ჩაის შეექცეოდნენ დიასახლისი — კაფანდარა, სათვალიანი ქალი დეიდა ნათელა, მეოთხეკლასელი დიდთვალება ბიჭი გოგია და სტუმარი მამია. დათოც მაგიდასთან დასვეს, ცხელი ჩაი დაუსხეს, მჭადის ნატეხი და იმერული ყველის ნაჭერი დაუდეს ლამბაქით (მამიას ძღვენია, გაიფიქრა დათომ), და გაიმართა საუბარი.

ნათელა ბავშვთა ექიმია, პედიატრი, მაგრამ ახლა სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობს მორიგე ექიმად და ძველ სპეციალობას თითქმის ჩამოშორდა (მეზობლის ბავშვებზე ზრუნავს მხოლოდ). მაშინ, ათი წლის წინათ, პატარა ეთერი რომ ლოგინად ჩავარდა, ახლად კურსდამთავრებული ნათელა ბავშვს ღამეებს უთევდა, შეიძლება მისმა თავდადებამ სიკვდილსაც გადაარჩინა გოგონა, მაგრამ სრულიად უძლური იყო ავადმყოფობის შედეგების მიმართ. და დარჩა ეთერი „გიჟ-ეთერად“, ნათელას დანახვაზე ახლაც რომ შვიდი წლის ბავშვივით მხიარულად აჟღურტულდებოდა, ეხვეოდა და ჰკოცნიდა თავის ნათელაექიმს.

— პატივცემულო მამია, — ეკითხება დათო, — ახლა წამოხვალთ ჩაბრიას... ალიოშას ოთახში თუ სხვა რამ საქმე გაქვთ?

მამია თვალებს კუსავს, დიასახლისს უყურებს.

— ჯერ საბურთალოს ბაზარზე გავყვები, დათო, — ეუბნება ნათელა. — ბავშვებისთვის საყიდლები აქვს მამიას, იქნებ რაიმე ვუშოვო, ხელცარიელი ხომ არ ჩავბრუნდებიო. საღამო ხანს თუ მოიცლი...

— კი, ბატონო, საღამოს გამოვივლი... დეიდა ნათელა, — ამბობს უეცრად დათო, — ფეხის პროთეზის გაკეთება როდისაა შესაძლებელი, სანამდე უნდა ჰქონდეს საღი ფეხი, აუცილებლად მუხლამდე თუ ზემოთაცაა შესაძლებელი?

— გააჩნია, დათო. მუხლქვემოთ, ცხადია, უფრო ადვილია. თუმცა, ახლა ისე დახელოვდნენ პროთეზისტები, სასწაულებს ახდენენ. სპეციალისტს უნ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და აჩვენო. ჩვენთანაცაა ერთი, არუთინოვი, ხომ იცი?

— ვიცი, ვიცნობ. კარგი, დეიდა ნათელა, მაშ მე წავალ, — თქვა დათომ და ადგა.

კიდევ ერთი შეხვედრა ჰქონდა დათქმული და ჰოსპიტლისკენ გაეშურა. მთის ფერდზე მიმავალ ბილიკს გაუყვა, თეთრ ეკლესიას ზემოდან მოუარა, ფუნიკულიორის ქვედა სადგურთან გავიდა და ჰონქაძის ქუჩით სოლოლაკში ამოჰყო თავი.

მარინე ჰოსპიტლის შესასვლელ კართან იდგა. მთელი ღამის ნამორიგალს სახე დასთენთოდა, თვალები ჩაწითლებოდა.

— გადაწყდა, მარინე! — მხიარულად უთხრა დათომ და ხელი მკლავზე მოჰკიდა. — ნოემბერში მივდივარ. რა მოხდა, მძიმე მორიგეობა გქონდა?

აი რა მოხდა იმ ღამით ჰოსპიტლის ერთ პალატაში:

მძიმედ დაჭრილი სამტრედიელი ახობაძე მესამე დღეა ბორგავდა. ნაღმის წვრილი ნამსხვრევებით ჩაგლეჯილი მარჯვენა ფილტვი ამოაჭრეს და თითქმის მოწყვეტილი მარჯვენა მკლავი მოჰკვეთეს. ჭრილობები გაუმიზეზდა. ხრიალებდა, ილანძღებოდა, სიკვდილს უხმობდა.

ღამით კიდევ ერთი დაჭრილი შეიყვანეს იმავე პალატაში და ახობაძის გვერდით ცარიელ საწოლზე მოათავსეს. მეორე დღეა გონებაზე არ იყო ეს დაჭრილი, ძლივს შესამჩნევად სუნთქავდა. სანთელივით დამდნარ სახეზე, გაწვრილებულ ცხვირზე და ჩაცვენილ ლაწვებზე სიკვდილის თეთრი ფერი დასდებოდა. ავტომატის ჯერი მუცელში მოხვედროდა. ოპერაცია კი გადაიტანა, მაგრამ პერიტონიტი დაემართა და, ექიმების დიდი ცდის მიუხედავად, დღეები კი არა, საათები ჰქონდა დათვლილი.

იქვე მარინე უჯდა, ხელი დაჭრილის გამხდარ მაჯაზე ეჭირა, ძლივს გრძნობდა მისუსტებულ მაჯისცემას.

მთავარი ექიმის მოლოდინში მორიგე ექიმები პალატაში შემოდიოდნენ და უიმედოდ ხელჩაქნეულნი გადიოდნენ.

ერთი საათის წინ ჩათვლემილმა ახობაძემ უცებ თვალები დააჭყიტა, ჩაბნელებულ პალატას მზერა მოავლო და მცირე ნათურით განათებულ მეზობელ საწოლს მიაშტერდა. დიდხანს უცქირა, თითქოს რაღაცას იხსენებდა:

— შენ ხარ, ბიჭო, ზესტაფონელო? — უცებ დაიხრიალა ახობაძემ და მძიმედ წამოჯდა. მარინე მივარდა, მხრებზე ხელი მოხვია.

— არ შეიძლება, არ შეიძლება წამოდგომა! დაწექი, გენაცვალე..

— გაიწი, დაიკო, დამანახვე, მაჩვენე ზესტაფონელი ცქიტიშვილი, — ბალიშზე მიესვენა ახობაძე და მარცხენა მკლავი აიქნია, — ხედავ, ბიჭო, რა ყოფილა ომი, ხედავ? მიხვდი ახლა?

და მოხდა საოცრება. თითქოს ძახილი გაიგონაო, უგონოდ მყოფმა ჩალურჯებული ტუჩები ააცმაცუნა და თვალი გაახილა.

— გახსოვს, ძმაო, ზესტაფონი, გახსოვს? ეჰ, ახლა კი მართლა გშორდებით, ზესტაფონო და სამტრედია, ახლა კი მართლა გშორდებით! ვაი ჩვენი ბრალი, ბიჭო! ვაი ჩვენი ბრალი, ბიჭიკო ცქიტიშვილო?..

დაჭრილმა ისევ ნელა დახუჭა თვალები, ახობაძემ კი მთელ ღამეს ვერ მოისვენა...

გამთენიისას ჯერ ზესტაფონელმა დალია სული. ახობაძე კიდევ ებრძოდა სიკვდილს, უფრო სწორად, სიცოცხლეს. მერე ისიც დაიქანცა, დაწყნარდა, დადუმდა და ჩუმად გათავდა.

ამ დროს ჰოსპიტლის შესასვლელში მათი ჭაღარა მამები შეხვდნენ ერთმანეთს. ერთი ზესტაფონიდან ჩამოსულიყო — სამსონ ცქიტიშვილი, მეორე — სამტრედიიდან, ივანე ახობაძე...

აი ეს უამბო მარინემ დათოს, როცა იმ დილით მთელი ღამის უძინარს და გატანჯულს დათო სახლისკენ მიაცილებდა.

საღამოს მამია და დათო ჩაბრიას სარდაფს მიადგნენ. კარში რომ შევიდნენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიტოვებული სადგომის, სინესტისა და მტვრის სუნი ეცათ. ამჯერად შუქი აინთო. მამია ღარიბულ ლოგინზე ჩამოჯდა. თვალთაგან ორი კურცხალი ჩამოუგორდა. სახე მარცხენა ხელით მოიწმინდა და უცნაურად აბუტბუტდა. დათო ოთახში დაბორიალებდა, კედლიდან ნახატებს ხსნიდა, მაგიდაზე აწყობდა. რაღაც შემოესმა, ერთ ადგილზე გაირინდა და ყური მიუგდო ძლივს გასარკვევ ხმას.

—ეჰ, ჩემი ბედი რა ვთქვი მე, რა ვთქვი მე ჩემი ბედი! ამ ბიჭის იმედი მქონდა, ერცახე იმედი, მარა ჩემისთანა განწირულ კაცს, ჩემისთანა უიღბლო გლახას ბედიც რო დასცინის? ბედს რო არ დაეცინა, ჩემი საწყალი ძმაი ცოცხალი არ იქნებოდა ახლა? ბედს რო არ დაეცინა, საწყალი ალიოშა თოვლში გეიგუდებოდა? ბედს რო არ დაეცინა, ხუთი ბოვში მეყოლებოდა ახლა გასაზრდელი ავანტყოფი ცოლის ხელში? ვაი და უი შენ თავს, მამიე, ვაი და უი...

სახეზე არაფერი ეტყობოდა, ისევ ისე კუსავდა წვრილ თვალებს მამია, საწოლზე იჯდა, ოდნავ ქანაობდა და ბუტბუტებდა.

დათომ კარადის კარი გამოაღო. სკოლის წიგნები, რვეულები, სახატავი მოწყობილობა, თავგამხმარი ფუნჯები, სალებავები, ფანქრები არეულად ეწყო. გადაშალა ერთი რვეული — გეომეტრია, გადაფურცლა მეორე — ალ. ყაზბეგის შემოქმედება, აზნაურთა ტიპები დ. კლდიაშვილის შემოქმედებაში, ჩაბრიას საოცარი კალიგრაფიული ხელით შევსებული გვერდები, გასინჯა მესამე — ჩანაწერები, თანაკლასელთა სახელები, მასწავლებელთა გვარები..

— ამ რვეულს მე დავიტოვებ, ბატონო მამია, შეიძლება? დღიურია ჩაბრიასი...

მამია გამოერკვა, ადგა, თვალი მოავლო მაგიდაზე დაწყობილ სურათებს და ერთს ხელი დაავლო.

— ეს შიშველი ქალი ვინაა?

დათომ დახედა. გისოსებიან ფანჯარაში ეთერა დგას. სინათლის შუქი ალმაცერად ეცემა თეთრად მბზინავ ტანს. დგას თეთრი ეთერა შავ გისოსებში და სევდიანად ილიმება.

— სირცხვილი არაა ასე ხატვა? — თქვა უცებ მამიამ, სურათი დააგდო და შებრუნდა. კისერი და ყურები გაუწითლდა.

— რატომაა სირცხვილი, ბატონო მამია? შეხედეთ, რა მართალი სახეა, შეხედეთ, რა სევდიანად ილიმება, თითქოს ციხის ფანჯარაშია, თითქოს საკუთარი სიგიჟის ტყვეობაშია და ქვეყანას ჰყვედრის თავის უბედურებას... ეს გიჟ-ეთერაა, ჩვენი ნაცნობი, ერთი უბედური გოგო.

— კი, მაგრამ, შიშველი რომაა? — თავმოუბრუნებლად იკითხა მამიამ.

— განა ეს სიშიშვლე სირცხვილია? მე არ ვიცი, არა მგონია. აქ უფრო მეტი აზრია, ვიდრე ერთი შეხედვით მოგეჩვენათ, ბატონო მამია, — აიღო სურათი დათომ.

მამია დუმდა. შემდეგ შეხედა ლია კარადას, მტვრიან ჭურჭელს, ნავთქურას, ლამპას, ზედ ჭერზე მიმაგრებულ შიშველ ნათურას და რაღაც ამოკვნესით თქვა:

— არ მინდა, შვილო, არაფრის წამღები მე არ ვარ. ამ სურათებს ბოვშები ტყუილად გამიფუჭებენ სოფელში. შენთვის მიჩუქნია ყოლიფერი ეს, ქეც გესმის და ქეც მოუარე... სადმე თუა, ალიოშას ფოტო ნახე ერთი და მეტი არაფერი მინდა მე.

კიბეზე ვიღაცამ ჩამოირბინა. კარი ფრთხილად გაიღო და მარკლენა შემოვიდა:

— შეიძლება? დეიდა ნათელამ მითხრა, აქეთ წამოსულხართ. შეიძლება?

— ჩვენი ამხანაგია, ბატონო მამია, ალიოშას თანაკლასელი.

— მოდი, შვილო, მოდი!..

მარკლენამ უბიდან ნახატი ამოაცოცა და გაშალა.

---

**თენგიზ ბუაჩიძე**
გზა გავშვობისაკენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— აი ეს სურათი შარშან ჩაბრიამ მაჩუქა. ესეც აქ იყოს, — მარკლენამ სურათი მაგიდაზე დადო და უკან დაიხია. მამიამ სურათს დახედა, ხელში აიღო და კარგად დაათვალიერა.

— ვინაა, ბიჭო, ეს ლამაზი გოგო?— — იკითხა მოწონებით.

— მარინეა, ჩვენი ამხანაგი, ახლა იმ-ახლოს წელით, ბატონო მამია, იმას ექნება ალიოშას ფოტოები, თანაკლასელია და ვიცი, ექნება, — უპასუხა დათომ და სურათს ალმაცერად დახედა, მერე მარკლენას შეხედა თვალებში. — როგორ გაიმეტე, ბიჭო?

— კარგი ნამუშევარია და არ მინდოდა დაკლებოდა ჩაბრიას..

დათომ დაამრგვალა რვეული, ხელში რომ ეჭირა, ჯიბეში ჩაიდო და მამიას შეხედა.

— წევედით, აპა, — თქვა მამიამ, სახე კვლავ მოიწმინდა, ერთხელ კიდევ მოავლო ოთახს თვალი და კარისაკენ გაიბიჯა. მერე შეჩერდა. — ამ სურათს წევიღებ მაინც სამახსოვროდ, ძალიან ლამაზია, — მარინეს სურათი აიღო და კარში გავიდა.

— კეთილი ბიჭი ხარ, მარკლენა, — დათომ ხელი მხარზე დაადო. —კეთილი ხარ, მამაშენი რომ არ გაბოროტებდეს...

— მამაჩემს თავი დაანებე! — შეუბღვირა მარკლენამ, თავი დახარა და გარეთ გავარდა.

დათომ სინათლე ჩააქრო და კარი გაიკეტა...

ერთი საათის შემდეგ ყველამ მარინესთან მოიყარა თავი. მოვიდნენ ელენეც და ნათელაც, ოთარიც და მარკლენაც. მამიამ სოფლიდან ჩამოტანილი ღვინო — სამბოთლიანი შტოფი და ქლიავის ჩირი ამოალაგა ჩანთიდან და მორიდებული ღიმილით მაგიდაზე დადგა.

— ვიქეიფებთ, — ხელები გადაიფშვნიტა ოთარმა.

ცოტა საჭმელიც გამოჩნდა. მარინემ ჭიქები ჩამოარიგა. არავინ თამადობდა, ყველა რიგ-რიგობით ამბობდა, რაც სურდა.

— ფრონტზე წასულ ბიჭებს გაუმარჯოს, — თქვა დათომ.

— ზურგში მომუშავეთა სადღეგრძელო იყოს, — თქვა ოთარმა.

— ყველა გაჭირვებულს ეშველოს, — თქვა მამიამ.

— მშვიდობის სადღეგრძელოს ვსვამ, — თქვა დეიდა ნათელამ.

— დიდ სტალინს გაუმარჯოს, — თქვა მარკლენმა.

— მე ვსვამ იმათ სადღეგრძელოს, ვინც ახლა მიეშურება ბრძოლისაკენ. — თქვა მარინემ და დათოს შეხედა.

— როდის მიდის? — ჰკითხა ხმადაბლა მამიამ ქალებს.

— ალბათ ნოემბერში, — უპასუხა დეიდა ელენემ და პაპიროსს მოუკიდა. — მე კიდევ იმ ბედნიერი დღის სადღეგრძელოს ვსვამ, როცა ომის შემდეგ უკლებლივ ასევე შევიკრიბებით და ერთმანეთს დავლოცავთ — დაამთავრა მან.

— რაზე გაგიჟდა ის გოგო, თუ იცი? — ჩუმად ჰკითხა მამიამ დათოს.

— ვიცი, ბატონო მამია, — მიხვდა დათო .— ექვს წლამდე სავსებით ჯანმრთელი ყოფილა. ერთხელ, წვიმიან დილით, დედამისმა თურმე თავი დაბანა, პირსახოცით შეუკრა, დაარიგა და სამსახურში წავიდა. ეთერი ჯერ ფანჯარასთან მჯდარა, შემდეგ მოწყენია, პირსახოცი მოუძვრია და ეზოში გავარდნილა დაჭერობანას სათამაშოდ.. დაემართა მენინგიტი — ტვინის ანთება. აი ამან, თქვენმა ნაცნობმა, დეიდა ნათელამ გადაარჩინა... კი გადარჩა, მაგრამ... ეთერი ახლა ჩვიდმეტი წლისაა, შვიდი წლის გოგონას ჭკუა-გონება კი შერჩა...

— უყურე, რა ყოფილა? — გაიკვირვა მამიამ და ნათელას დაკვირვებით შეხედა. — უყურე შენ? — გაიმეორა მან.

დრო მოვიდა და მამია სადგურზე გააცილეს. ჩაბნელებულ სადგურში უამრავი ხალხი ირეოდა. მამია ბაქანზე და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემშვიდობა ყველას და გაჭედილ ვაგონში ოსტატურად შეძვრა. შავ ღამეს შებღავლა ელმავალმა და ნელა დაიძრა მატარებელი.

ბნელი ქუჩებით ბრუნდებოდნენ.

თბილისი დუმდა.

კანტიკუნტად არღვევდა სიჩუმეს სამხედრო პატრულთა აწყობილი ნაბიჯების ხმა.

## მოგონებანი

აგონდება დათოს:

მაშინ საათის ორზე მოვიდა სკოლიდან. იცოდა, დედა სამსახურში იყო, ჩანთას დავაგდებ და უბანში გავალო. ეთერას ფანჯარასთან ჩაბრია ელოდა. ისიც იცოდა, ქალბატონმა მარგალიტამ იმ დღეს დილით ბინის გენერალური დალაგება დაიწყო (ამხანაგი სიმონი მივლინებაში იმყოფებოდა), ის და კაროს მეუღლე ლუსია ყველაფერს გადაატრიალებდნენ, ლოგინებს გაამზეურებდნენ, ნოხებს დაფერთხავდნენ, იატაკს მოაპრიალებდნენ. ამ დროს შინ ყოფნა და მათთვის ხელის შეშლა, გამოცდილებით იცოდა, მაინც ანშეწონილი არ იყო.

ბინის კარი ღია დახვდა. მასტიკის მძაფრი სუნი გამოდიოდა. შეაბიჯა თუ არა დერეფანში, სააბაზანოდან ჯერ სუსტი შეკივლება, შემდეგ კი ქალის შეშინებული შეძახილი გაისმა.

ყველაფერი რამდენიმე წამში შემდეგი თანმიმდევრობით მოხდა:

დათომ ჩანთა დააგდო და სააბაზანოსაკენ გაიჭრა;

ქალბატონი მარგალიტა დიდი ოთახიდან გამოვარდა;

ამ დროს დერეფანში სკოლიდან დაბრუნებული მარკლენი შემოვიდა.

სააბაზანოში ხის მომცრო მაგიდაზე მდგარი ნავთქურიდან ამოვარდნილი ალი ჭერამდე სცემდა — მასტიკით სავსე თუნუქის ჭურჭელი ნავთქურაში ჩამხობილიყო. კუთხეში ჩვილბავშვაჩუტებული ლუსია შეშინებული იდგა, აბრიალებული ნავთქურა გზას უღობავდა.

ქალბატონი მარგალიტა სააბაზანოსაკენ გაქანებულ მარკლენას გადაეღობა.

დათო ლუსიას მიეჭრა, ბავშვი კი არ გამოართვა, გამოსტაცა, მობრუნდა და სწორედ ამ დროს იფეთქა ნავთქურამ, მაგიდიდან გადმოყირავდა და ცეცხლმოდებული მასტიკა დათოს შარვლის მარჯვენა ტოტზე გადაესხა...

ერთი წამის ხსოვნა კიდევ შემორჩა გონებას — როგორ გამოაღწია დერეფანში ალმოდებულმა. შემდეგ მთელი ერთწუთიანი პაუზა — შავი ლაქა, სრული სიბნელე. იმ ერთი წუთის ამბავი მხოლოდ სხვათა გადმოცემით იცოდა, უმეტესად ლუსიას ნაამბობით.

— კერასინკა რომ გადმოხტა, არა? ცეცხლი რომ მოგედო ბრუკზე, არა? მე ისა.. ხალატ ნუ, ხალათი სნიალა და, ხომ დაეცი არა, ხომ დაეცი კარიდორში ნა რუკი, მოი რებიონოკ ჩტობ სპასტი, ის ხალათი დაგაფარე, კარო ნაუჩილ, პონიალ? დაგაფარე და ოგონ პოტუშილ, ჩაგაქრე, რაღა! ა მარგარიტა დერჟალა ეგო, ნუ ეგო, ბიჩი, სვოი სინ.. პონიალ? ა კერასინკა ჩაქრა სამ, პონიალ? ვსიო სგორელ ი ჩაქრა სამ...

დათოს ახლა ეღიმება. ახლა ეღიმება, მაგრამ მაშინ... ერთი წუთის შემდეგ, გონზე რომ მოვიდა და ფეხზე ხელი დაისვა, დათუთქული კანი ხელთათმანივით ჩაძვრა...

ერთად მოვარდნენ დედა, მარინეს ნინომამიდა, დირექტორის მეუღლე ექიმი ნათელა (ჯერ ომი არ იყო დაწყებული). ახლა ეღიმება, მაშინ კი ერთი თვე ლოგინში გაატარა, კიდევ ერთ თვეს სამ დღეში ერთხელ უცვლიდნენ სახვევებს. ჯოხით დადიოდა (ძია ხუტამ აჩუქა ძველებური „ტროსტი", „პრივეტ იზ ბორჟომი" რომ ეწერა), ფუნიკულიორის ქვედა სადგურის ბაღში იჯდა ხოლმე. მაშინ იყო, რომ სხვაგვარად დაიწყო ფიქრი — მგონი სწორედ მაშინ დამთავრდა ბავშვობა...

**თენგიზ ბუაჩიძე**
გზა ბავშვობისაკენ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კიდევ ახსენდება (ხვალ ჯარში მიდის, ახლა ღამეა, ლოგინზე ტანსაცმლიანად წევს და მოგონებებშია ჩაძირული): ერთხელ ის და ოთარი მილიციაში როგორ მიაბრძანეს!

რა გვარისა იყო იმღამინდელი მორიგე? ახალაძე თუ ახალაია. ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია მისი ხასიათი, სამსახურებრივი სიბეჯითე, დამოკიდებულება ორი ყმაწვილი ბოროტმოქმედისადმი. მკაცრი დაკითხვა, მრისხანე ოქმი, მათი გულწრფელი ნაამბობის სრული იგნორირება, სრული უარყოფა.

მილიციელის სიტყვით, ის და ოთარი მან, მილიციელმა, აზარტული თამაშის დროს დაიჭირა. ეს იყო მთავარი და შეუვალი (შემდეგ ის მილიციელი სადღაც გაქრა). მშობლების გამოძახება — მხოლოდ ოთარის მამა მოვიდა, ქარხნიდან გამოიძახეს, დედა ვერ იპოვეს მეზობლებმა (ოთარის მამის მუშურმა შეუპოვრობამ იხსნა ორივე), ამხანაგი სიმონის იმღამინდელი გამოხედვა და სიტყვები „ზარის თამაშიც დაიწყე ხომ? ხვალ კაცსაც მოკლავ. მართალი ყოფილა — დედა ნახე, მამა ნახე...“

მთელი მათი დანაშაული ის იყო, რომ საღამო ხანს ჰიგიენის სახლის სარდაფში ჩავიდნენ და იქ ზარის მოთამაშე ბიჭებს წააწყდნენ (რა საქმე ჰქონდათ, რისთვის შეეხეტნენ იმ ორთქლში გახვეულ სარდაფში — იქნებ გასათბობად — ახლა აღარც ახსოვს!).

მილიციელის გამოჩენისთანავე მოთამაშე ბიჭები გაიქცნენ, და რადგან სრულიად არაფერი დაეშავებინათ, ის და ოთარი პირველი მოთხოვნისთანავე გაჰყვნენ განყოფილებაში კანონის მცველს (რა გულუბრყვილონი იყვნენ!)

ახლა ეღიმება, მაგრამ მაშინ? მდუღარესავით გადაესხა დედის სიტყვები, დედის საყვედური. დღემდე რომ გონებაში აქვს აღბეჭდილი: „მამაშენის სახელს მაინც რატომ არცხვენ, დათო...“

თვრამეტი წლისა ვხდები. რა გავაკეთე ცხოვრებაში, რა მოვასწარი? თითქმის არაფერი, არაფერი. მართალია, დრო კიდევ მაქვს, ახლა იქ მივდივარ, სადაც კაცობა მოწმდება, მაგრამ აქ? ჯერ არაფერი.

რამდენს ვტოვებ ვასაკეთებელს! უამრავი საზრუნავია. პირველი — დედა. შემდეგ — მარინე. ეს მთავარია — დედა და მარინე მთავარია. ბებო. ბებოსაც უნდა მიხედვა. მამია ჩაბრაძის წვრილშვილი მისახედია. ლარისა ვასილევნა ირინათურთ მისახედია. ნათელა და გოგი? ფიდო და მამამისი? მართალია, პროთეზი შეაკვეთინა, ამ თვის ბოლოსთვის დამზადდება და, შეიძლება, კარგიც იყოს, მაგრამ მხოლოდ ეს კმარა? საწყალი ეთერი“, „გიჟ-ეთერა“? ოთარიც, ჩაბრიას სახელიც... მარკლენაც.

სულ მცირე უნდა ადამიანს, სულ ცოტა, რომ მძიმე წუთს, კრიტიკულ ჟამს შეეშველო, გზას არ ააცდინო, წინ გაახედო. ამ წუთს, ამ ჟამს უნდა გამოცნობა, შეშველების ფორმასაც უნდა მიგნება (რა ეჭვის თვალით შემხედა ფიდოს მამამ პირველად, რა ბოლმით შეხედა ცოლს?!). ძნელია, მაგრამ მართლაც აზარტული თამაშივითაა, რომ ჩაგითრევს — გაგიტაცებს, სიკეთეზე, სიმტკიცეზე, ერთგულებაზე დაგაფიცებს...

და კვლავ ახსენდება:

14 ნოემბერი... ეს მეორედ იყო (თუ მესამედ?), თავს უფლება რომ მისცა 14 ნოემბრის გახსენებისა. ახლა დრო ჰქონდა, ხელს არავინ უშლიდა, არავის ელოდა და არსად ეჩქარებოდა.

გადაწყვიტა, დაწვრილებით გაეხსენებინა ის დღე, შეძლებისდაგვარად — ყოველი ეპიზოდი, წუთი და საათი. მაგრამ, სამწუხროდ, ბევრი რამ აღარ ახსოვდა. არა, დავიწყებული კი არ ჰქონდა, არამედ ხსოვნაში არ არსებობდა იმ დღის წვრილმანები.

ის დღე იყო მხოლოდ ერთი ამბავი, მხოლოდ ერთი მომხდარი უზარმაზარი ფაქტი, რომელსაც ყველა სხვა წვრილმანი დაეფარა, წაეშალა, მოესპო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდხანს ეძია სადღაც ხსოვნის მიღმა, ქვეცნობიერში, იმ დღის დაკარგული თავისებურება, იმ დღის დასაწყისი მაინც, რადგან იმ დასაწყისს, შესაძლებელია, ლოგიკურად ამოჰყოლოდა ბავშვის გონებას გაუაზრებლად შერჩენილი რაიმე ეპიზოდი, შთაბეჭდილების კვალი, ემოციის ნამსხვრევი.

ბევრი ეძია და ცოტას' მიაგნო...

დილით რომ გაიღვიძა პატარა ოთახში (მაშინ მთელი ბინა, ბუნებრივია, მათი იყო, გაბგაბიების არსებობაც კი არ იცოდნენ), მამა უკვე პირს იპარსავდა სამართებლით სააბაზანოში (დათომ იცოდა, სამართებელს ყუნწში ტყუპი ბიჭები ეხატა), ხალათგადაცმულ დედას სამზარეულოში ერთ ნავთქურაზე მწვანე ჩაიდანი ედგა, მეორეზე ერბო-კვერცხი შიშხინებდა. საუზმე სულ არ ახსოვს. სკოლაში იყო ორის ნახევრამდე. შინ რომ მობრუნდა, მაშინვე ეზოში გავარდა.

ოთხ საათზე დედამ რაღაც უცნაურად დაუძახა — მოკლედ და კატეგორიულად: „დათო, ამოდი!“

დათო ამოდი! — ახლაც ყურში ესმის ეს სიტყვები, წარმოთქმული ოდნავ დამჯდარი, მოთოკილი მღელვარების, გაუმჟღავნებელი განგაშის ტონით.

გაოფლილი შევიდა სახლში.

მამის კაბინეტში ორი პლაშჩიანი უცხო კაცი იდგა. თაროებიდან წიგნებს იღებდნენ და სათითაოდ ფურცლავდნენ. იატაკზე ბლომად ეყარა წიგნები, ჟურნალები, ძველი გაზეთები. საწერი მაგიდის უჯრები გამოღებული იყო, ქაღალდები გროვად ეწყო მაგიდაზე. გაფითრებული დედა კარებში იდგა...

უცნობებმა გულგრილად შეავლეს თვალი ბიჭს და თავისი საქმე აუჩქარებლად განაგრძეს.

როგორი იყვნენ გარეგნულად? მაღლები, ორივეს გრძელი პლაშჩი ეცვა (ნაცრისფერი? ლურჯი? უსახო და უფერო), ერთი უფრო ახალგაზრდა ჩანდა (თუ მოეჩვენა?). არც პლაშჩები გაუხდიათ, არც ქუდები მოუძვრიათ (დიდი, წინაფრიანი ქუდები ეხურათ, „აეროდრომს“ რომ ეძახიან, ეს ახლა გაახსენდა).

წყნარად და მეთოდურად დადიოდნენ ოთახში მაგიდიდან კარადებისაკენ და უკან, რაღაც მხოლოდ მათთვის ცნობილი ნიშნით ახარისხებდნენ ქაღალდებს — ხან ერთს დასდებდნენ ცალკე, ხან მეორეს, ხან გადარჩეულს უკან აბრუნებდნენ საერთო გროვაში.

რამდენ ხანს გაგრძელდა ეს ამბავი, არ ახსოვს. თითქოს უნდა მოსაღამოვებულიყო, რადგან სასადილო ოთახში, სადაც უცხონი გადავიდნენ, უკვე შუქი ენთო.

იქაც გააღეს ბუფეტის ყველა კარი, აიღეს სუფრა მაგიდიდან, გადააბრუნეს სკამები, თავი ახადეს ზამბარაჩამტვრეულ დივანს, რიგ-რიგობით ამოალაგეს ზეწრები, საბნები, ლეიბები, ბალიშები (ოთახი ბუმბულით აივსო), ჩამოხსნეს სარკე, ჩამოიღეს ბუფეტზე შემოსკუპული ყავისფერი თიხის ციყვი (ამ ციყვს დათომ ოდესღაც შემთხვევით კუდი მოატეხა).

იქ, იმ ოთახში შეამჩნია დათომ ერთი მათგანის გამოხედვა: სწრაფი, გამჭოლი და შეფიქრიანებული, თითქოს ერთი წამით განათდა ავტომობილის ფარები და მაშინვე ჩაქრა.

დედის სახე სრულიად არ ახსოვს, აგონდება მხოლოდ საერთო გამომეტყველება — გაფითრებული სიმშვიდე და მკრთომარე წამწამები.

შემდეგ, სამივე ოთახში რომ მოათავეს საქმე, სამზარეულოშიც, სააბაზანოშიც და, რატომღაც, ტუალეტშიც რომ შეიხედეს, რაღაც ითქვა, დედამ რაღაც ქაღალდს ხელი მოაწერა... დაძინების წინ იმის შეგრძნება ახსოვს, რომ უცხო ბინაშია, თითქოს სხვაგან არის...

მეორე და მესამე დღის მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტები აგონდება.

დაბალ[illegible], [illegible]ვხალათიანი და სათვალიანი კაც[illegible] [illegible]და. ვინ იყო ამ დროს მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თთან ან ვინ თქვა — ალმასკომიდანაათ, არ ახსოვს. კარგად ახსოვს, რომ დედა კაროს დახმარებით მთელ ავეჯს პატარა ოთახში უყრიდა თავს (თვითონაც ეზიდებოდა სკამებს). იმ შავხალათიანმა ორი ოთახი და სააბაზანო დალუქა (ახლაც იგრძნო ლუქის სუნი და ნესტოები დაებერა), დედას რაღაც ქაღალდზე მოაწერინეს ხელი...

გვიან ღამით მოვიდნენ დეიდა ეკა და მარინე. მარინეს ლურჯი პალტო ეცვა. ნაფტალინის სუნი რომ ასდიოდა. ის და მარინე ოთახში წყნარად ისხდნენ. დედა და ეკა სამზარეულოში გავიდნენ. მარინემ ჩაუჩურჩულა: „მამაჩემიც". დათომ უპასუხა: „ჰოო?"

სამი დღის შემდეგ მოვიდა გაბგაბიას ოჯახი. ამხანაგმა სიმონმა ორი კურტნიანი მუშა მოიყვანა, კაროც იხმეს. სადარბაზოსთან ავეჯით დატვირთული საბარგო მანქანა იდგა. ამხანაგმა სიმონმა მათი პატარა ოთახიც დაათვალიერა, დედას სამზარეულოში შეჰყვა და რაღაც უთხრა. დედამ თვალები დააკვესა, მაგრამ მხოლოდ თავი ვაიქნია უარის ნიშნად. ამხანაგმა სიმონმა სააბაზანოს ბოქლომი ჩამოჰკიდა, ხოლო სხვა გასაღებები რამდენიმე დღეში გამოაცვლევინა...

ეს იყო სულ? თუ კიდევ იყო რაღაც? ალბათ იყო. ალბათ იყო უამრავი სხვაც — მეზობლების ეჭვიანი თუ მტრული მზერაც, სკოლაში მასწავლებლების ფიქრიანი გამოხედვაც, ვიღაცის ქვითინი შუაღამისას, მაგრამ ეს ყველაფერი არ უკავშირდება იმ დღეს...

დათო წამოდგა, გადახოტრილ თავზე ხელი გადაისვა, მაგიდას მიუჯდა და თავისი საიდუმლო უჯრა გამოაღო. საღლაც მისი სიღრმიდან ორი მცირე ზომის ფოტოსურათი გამოაცოცა. კარგა ხანს დასცქეროდა. შემდეგ კონვერტი მოძებნა, ფოტოები შიგ ჩააწყო და გულის ჯიბეში შეინახა. საათს დახედა — 1943 წლის 14 ნოემბერი თენდებოდა, 14 ნოემბერი... კვლავ მაგიდას მიუჯდა, რვეულიდან ფურცელი ამოხია ის რვეულივე ამოუდო ქვეშ და წერილი:

„დედა! თუ ხვალ ვერ ჩამომისწარი, ეს წერილი მაინც დაგხვდება. სრულ მზადყოფნაში ვარ სულიერად და ფიზიკურად. ასე ჯანმრთელად დიდი ხანია თავი არ მიგრძვნია. მამის ნივთებიდან მხოლოდ სამართებელი მიმაქვს, ყველა სხვა საჭირო ნივთს იქ დაგვირიგებენ. ბებოს ბეჭედს ხვალ მივცემ მარინეს. თუ წყნეთელმა ბიჭმა ფიდომ მოგაკითხოს, როგორც შენ იცი, დაეხმარე. მარინეს შენ გიტოვებ და შენ თავს მარინეს ვუტოვებ. ბებო არ დაგავიწყდეს. ლარისა იქნება შუამთაში წაიყვანო. ნათელას და გოგის შეეხმიანე ხოლმე. ოთარი და მარკლენა შემოგივლიან. ხშირად მოგწერ. დარდი ნუ გექნება, ყველაფერს კაცურად ავიტან, არ შეგარცხვენთ. გკოცნი მილიონს! შენი დათო".

წერილი მაგიდის შუაში დადო და ზედ სამელნე დადგა.

მერე ტანთ გაიძრო, შუქი ჩააქრო, ლოგინში ჩაწვა და საბანი ჩვეულებისამებრ თავზე გადაიხურა.

რაღაც მოესმა და თავი წამოჰყო. ქარი აჭრიალებდა სადღაც ფიცარს თუ ჭიშკარს. აქ, მტკვრის ახლოს, ამ ბარაკის გარშემო, დღისითაც სიჩუმე იდგა. ახლა კი, შუაღამის გადაცილებულს, მხოლოდ ქარი აწვალებდა სადღაც ფიცარს თუ ჭიშკარს.

ისევ გადაიხურა საბანი და დაძინება სცადა. მოგონებანი არც ახლა ეშვებოდა. მოგონებანი, მოგონებანი...

განთიადამდე იწვა გაუნძრევლად ერთ გვერდზე, ძილ-ღვიძილში იყო და ბურანში ფურცლავდა თავისი ხანმოკლე ცხოვრების დღეებს, წარსულში გადავარდნილ დღეებს და ფიქრობდა, ცდილობდა გამოეცნო, თუ როგორი იქნებოდა მისი ახალი, ჯარისკაცური ცხოვრება.

## განშორება

შუანოემბერია.

თბილისს ღრუბლიანი ცა ჰხურავს. სადღაც წყნეთის თავზე წვიმს. იქი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დან მონაბერი ცივი ქარი ქუჩებსა და მოედნებს სისინით უვლის, გაზეთების ნახევებს და ჩამოცვენილ ფოთლებს აფრიალებს. ყველაფერი რუხი ფერის ბინდშია გახვეული.

საღამოს შვიდ საათზე ჯარში გაწვეულთა ეშელონი ნავთლუღის სადგურიდან ბაქოს მიმართულებით უნდა გავიდეს. ცოტა ადრე დედა უნდა ჩამოჰყვეს კახეთის მატარებელს. კვლავ მატარებელზე ჰკიდია ჩვენი ბედი...

ორიოდე საათი თავისუფალი დრო აქვთ დათოს და მარინეს. ჰმ, ორიოდე საათი! დროის უკმარობას მაშინ იგრძნობ, თუ მანამდე ისე გიცხოვრია, არც კი ამჩნევდი დროს და საათს.

ქუჩაში დადიან და სდუმან. საუბარი არ შედგა. იშვიათად ისმის სიტყვა. თითქოს ყველაფერი ნათქვამია (არაფერიც არ არის ნათქვამი, მკითხველო, და ყველა გაცდენილი წამი მხოლოდ შემდეგ დაფასდება განუზომელ ფასად).

მარინესათვის თითქოს უცხოა თავგადახოტრილი და ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი დათო.

დათო? ის ფიქრში უკვე სხვაგანაა და მხოლოდ შემდეგ, მხოლოდ შემდეგ გაიხსენებს ტკივილით ამ გაფრენილ წამებს.

დიახ, ისე დინჯად იქცევიან, თითქოს ყველაფერი ჯერ კიდევ წინაა, თითქოს ჯერ უსასრულო ცხოვრების მხოლოდ დასაწყისი წამებია და ეს უსასრულობა მათ ხელთაა, მათ ხელთაა, რადგან განა ისე სასტიკია ცხოვრება, რომ ეს ორი საათი, ეს ას ოცი წუთი მათი ერთად ყოფნისა უკანასკნელ წამებად ჩაუთვალოს და მართლაც უკანასკნელ წუთამდე სატანჯველ მოგონებად უქციოს?

ქაშუეთში ერთი ზარი ჩამოჰკრეს...

იმ საათზე, როცა ეშელონი ნავთლუღიდან გავა, ჰოსპიტალში მარინეს მორიგეობა იწყება.

— შევიდეთ, დავსხდეთ, — ამბობს დათო, როცა რუსთაველზე, ჰიგიენის სახლის გვერდით, ბაღის ჭიშკარს გაუსწორდნენ.

შევიდნენ და გრძელ სკამზე ჩამოსხდნენ.

ბაღის ბილიკზე მოხვეტილი ფოთლების გროვაში აბუზული ბეღურები ფათურობენ. შორიდან მოდის ფოთლის კოცონზე ასული ბოლის ტკბილ-მწარე სურნელი...

— გიხარია, რომ მიდიხარ? — ეკითხება თავჩაღუნული მარინე და ყრუდ ახველებს.

— კმაყოფილი ვარ. რაღაც შინაგანი ტვირთი მომეხსნა, — დათო თვალებს ჭუტავს და შორს, მაღალი ხეების მიღმა იმზირება. ახლა იგი თვრამეტი წლის ბიჭს კი არა, ოცდახუთი წლის კაცს ჰგავს. — თითქოს დავმშვიდდი.. მართლაც დავმშვიდდი...

მარინეც შესცქერის მაღალ ხეებს. **ასეთ საღამოს მეც გავივლი როგორმე ბაღში...“** შემდეგ ეშმაკურად იღიმება და დათოს თვალებში შეხედავს.

— სულ დამშვიდდი? სულ, სულ არაფერი გაღელვებს?

დათო ფარაჯის ღილებს იხსნის, ბრტყელ ქამარში ცერებს იჭობს და ვიწრო წელზე შემოჭმუჭნილ გიმნასტურას ისწორებს. ისიც იღიმება, თავისებურად, მთელი სახით, ლაღად.

თმა რომ გადახოტრეს, თითქოს შუბლი დაუპატარავდა (ხომ პირიქით უნდა მომხდარიყო? — ფიქრობს მარინე). შუა შუბლზე ნაოჭი ჩაუღრმავდა, უფრო დაეტყო მაღალი ცხვირი, მკვრივი ტუჩები და ფოსოიანი, ზემოთ აქნეული ნიკაპი.

მარინეს ქარმა თმა გაუწეწა (თავშიშველია. დედისეული წაბლისფერი შალის კაბა აცვია). დათომ ორივე ხელი აღმართა, თავზე ფრთხილად მოავლო და გრძელი თითებით თმა დაუტკეპნა. თან ის ნათელი ღიმილი არ მოსცილებია მის სახეს, თვალებს, ტუჩებს.

— იცი რას გეტყვი? გადაკრული სიტყვა, მაგდაგვარი შეკითხვები და ღია ქვეტექსტები დაგვიანებულია უკვე, —

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უპასუხა დაბალი ხმით და გაიცინა. ხელები თბილი ჰქონდა, სასიამოვნოდ რბილი და ალერსიანი. — კიდევ გეტყვი: აღარ ვღელავ, დამშვიდებული ვარ, რადგან მღელვარება, გრძნობა და განცდა, ბავშვობიდან რომ მაქვს აქ, — დათომ ერთი ხელი მკერდზე დაიდო (ცოტა პათეტიკურად გამოუვიდა, გაუელვა მარინეს და წამაქეზებლად შეხედა მოცინარი თვალებით), — უცვლელია, მუდმივი და შინაგანად მყარი...

დათო წამით გაჩუმდა, თითქოს უფრო სადა სიტყვებს ეძებდა. მზერა დახარა (რომელი ქალი არ ინატრებდა ასეთ წამწამებს? — გაიფიქრა მარინემ), სადღაც ჩაღრმავდა და განაგრძო იმავე ხმით.

— შენ, როგორც ალბათ ყველა ქალს, გსურს, რომ სიყვარული აგიხსნა. კეთილი. და აი რას გეტყვი...

მარინეს სიცილი წასკდა. მერე წელში გასწორდა და სახის გამომეტყველებით მიანიშნა, რომ სმენადაა ქცეული.

— აი რას გეტყვი,—გაიმეორა დათომ უკვე სერიოზულად. — მართლაც რომ მაწუხებს შენი მარტოდ დარჩენა. ვიცი, ძალიან გაგიჭირდება. უფრო მეტად, ვიდრე აქამდე. იმედი მაქვს შენი ბებოსი... ჩემისაც. ძალიან გაგიჭირდება, მაგრამ მწამს, რომ გაუძლებ. ყველაფერი კარგად იქნება. კარგად უნდა იყოს. შენ იცი, ჩვენი ცხოვრება, შენი და ჩემი, დღევანდელი არსებობა და მომავალი დამოკიდებულია არა მხოლოდ ჩვენზე, არამედ, არამედ როგორ გითხრა...

დათომ ღრმად ჩაისუნთქა. მზერა კვლავ ხეებს მიღმა გადაიტანა. მარინე თვალებში შესცქეროდა. უღიმილოდ. ელოდა.

—არამედ ამ ხალხზე, — განაგრძო დათომ, — ამ ქვეყნის ბედ-იღბალზე, ამ სასტიკ ომზე... მწამს, ვიცი, შენც გწამს, ყველაფერი კარგად დამთავრდება, თუ ამას კარგი ეთქმის.. .მე ახლა ვიქნები იქ, სადაც უნდა ვიყო, შენც იქ ხარ, სადაც ყველაზე მეტად ხარ საჭირო...

დათო შესამჩნევად ღელავდა და ეს ღელვა მარინესაც გადაედო. მართალია, მდუმარედ იჯდა, მაგრამ დათოს ყოველი სიტყვა სუნთქვას უხშირებდა.

— მეტი რა ვთქვა? გული მტკივა, მარტო რომ გტოვებ. მაგრამ ასე რომ არ მოვიქცე, პირველი შენ შემიძულებ, დამცინებ, მომიშორებ... თუმცა ეს არაა მთავარი.. .მთავარია, რომ მე, მამაჩემის შვილს, სხვანაირად მოქცევა არ შემიძლია... მართლა არ შემიძლია. შენ კარგად თქვი, „სირცხვილია არასრული თავდადება და მოზომილი სიყვარული თამაშია..." სიყვარული... ჩვენი სიყვარული, — დათოს სახეზე ალმურმა გადაუარა, — ამაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია... სანამ ვართ, იქნება... მუდამ იქნება...

მარინემ თავი დახარა, თითქოს შერცხვაო. დათოს ხელს, მის თმებზე რომ მსუბუქად იდო, თავისი დააფარა, მეორე ხელი კისერზე მოხვია და მიიზიდა. როცა დათოს ყური მის ტუჩებთან აღმოჩნდა, ჩასჩურჩულა:

— კარგი, მეტს ნუ იტყვი. ვიცი, რომ მართალი ხარ. დაგელოდები, შენს იქით ჩემთვის გზა არ არსებობს. მაგრამ, ხომ იცი, სად მიდიხარ და თავს გაუფრთხილდი...ჩემთვის, დედაჩემის ხსოვნისათვის. მამაშენის სახელისათვის. ნუ დაიწვები იმ ცეცხლში, ნუ დაიწვები... თორემ უშენოდ ჩემი ცხოვრებაც დამთავრდება...

მარინეს ცრემლი წასკდა, დათოს მკერდს მიეყრდნო და ჩუმად ატირდა.

მაღალი ხეებიდან ფოთლები ცვივა. შორიდან მოდის კვამლის ტკბილ-მწარე სურნელი. ბაღის სკამზე ჯარისკაცი და გამხდარი გოგონა ხელჩაკიდებულნი სხედან და გვიანი შემოდგომის ნახევრად შიშველ ხეებს მიღმა ღრუბლებით ჩაქუფრული ჩრდილოეთისაკენ იცქირებიან.

ხეებს კი ფარფატით სცვივა უკანასკნელი ფოთლები...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



— რისთვის მოხვედი, ახლა მაინც თქვი მართალი!

— ყოველთვის მართალს ვამბობ. დასახმარებლად მოვედი.

— შენ უნდა დამეხმარო? რით?

— ახლა, დათო რომ წავიდა...

— მერე?

— იქნებ რამეში დაგჭირდე...

— მაინც?

მარკლენა ფეხს უხერხულად ინაცვლებს და დაბნეულად შესცქერის მარინეს.

— იქნებ გჭირდება რაიმე. პროდუქტი... ტანსაცმელი... ფული...

მარინე გამომწვევად უყურებს.

— შენ ფიქრობ, რომ მშიერი ვკვდები, უმწეო და უპატრონო ვარ?

— არა, მაგას არ ვფიქრობ. ვფიქრობ, რომ ზედმეტად ამაყი ხარ და შიმშილით რომ კვდებოდე, ხმას არ ამოიღებ...

— ეგ თუ იცი, რად მოხვედი?

— ისე.. იქნებ დაგჭირდე.

— გითხრა, რისთვის მოხვედი?

მარკლენამ შეხედა, მერე თვალი მოარიდა და ყრუდ თქვა:

— მერე რა არის ამაში ცუდი?

— ისაა, რომ მეც შეურაცხმყოფ და დათოსაც.

— მე სუფთა გულით მოვედი. არავის შეურაცხყოფას არ ვაპირებ.

— შენ ხომ იცი, რომ დათო მიყვარს....

მარკლენამ სკამი გამოსწია.

— შეიძლება დავჯდე?

— დაჯექი. თუმცა სჯობდა, წასულიყავი.

მარკლენა სკამზე ჩამოჯდა.

— ცოტა ხანს დავჯდები. შენც დაჯექი, თუ შეიძლება.

— რა ცერემონიებია?! აჰა, დავჯექი, რა გინდა?

მარკლენა ცოტა ხანს დაფიქრდა, თითები მაგიდაზე აათამაშა, რაღაცნაირად საწყლად გაიღიმა, ძალა მოიკრიბა და ნაძალადევი სიცილით უთხრა:

— მე რომ სათადარიგო ვიყო, არ შეიძლება?

— ვერ გავიგე! — გაუღიმებლად უპასუხა მარინემ და დაკვირვებით შეხედა.

— „ზაპასნოი“ იცი რა არის ფეხბურთში?

— ვიცი, მერე?

— მე დათოს „ზაპასნოი“ ვიქნები!

— აა, მივხვდი! — თქვა მარინემ და ანგარიშმიუცემლად წამოდგა. — ესე იგი... ესე იგი, თუ დათოს რაიმე მოუვიდა, შენ... შენ უნდა შეცვალო? ასეა, არა? მივხვდი, ახლა მივხვდი... არ გრცხვენია, მარკლენ?

— რა ვთქვი სამარცხვინო, მარინე?

— ვერ ხვდები?

— ცუდი არაფერი მითქვამს. იცი, მიყვარხარ. სხვანაირად როგორ დაგიმტკიცო, რომ მართლა მიყვარხარ?

— მე რომ დათო მიყვარს?

— გიყვარდეს! ხომ არ მითქვამს, გადაიყვარეო?! — იყვირა უცებ მარკლენამ და ისიც წამოხტა. — ოღონდ მე ყოველთვის, გესმის, ყოველთვის მზად ვარ... მზად ვარ ხელი გამოგიწოდო, გვერდში ამოგიდგე... შეგირთო, თუ ნებავს! არ მინდოდა ამ სიტყვის თქმა, მაგრამ ვამბობ... მზად ვარ შეგირთო, სახლიდან გავიქცე და შეგირთო, ყველაფერზე ხელი ავიღო და შეგირთო... დღეს, ხვალ, ათი წლის შემდეგ, ოცი წლის შემდეგ... როცა შენ მოისურვებ!

— გძულს დათო?

— არა, არ მძულს... არ მძულს, ოღონდ, ოღონდ... როგორ ვთქვა? კი არ მშურს, არა! რაღაცა სხვაა. თუმცა მშურს კიდეც, ხშირად შურსაც გაუვლია ჩემს გულში, მაგრამ ეს არაა მთავარი. ყველაფრად კარგი ბიჭია, პირდაპირი, ჭკვიანი, მამაცი... ფრონტზეც წავიდა, მაგრამ... მაგრამ შენ არ იქნები მასთან ბედნიერი, ვერ იქნები ბედნიერი, რადგან, რადგან... სულ თავის თავზე ფიქრობს, სულ პირველობა უნდა.

ის თავისთვის იქნება, შენ კი — მისთვის. გაიგე? მე კი — პირიქით, პირიქით...

— რა პირიქით?

— ის პირიქით, რომ მე ვიქნები შენთვის და არა პირიქით! როგორ არ გესმის? ომში წავიდა, დაბრუნდება? დაბრუნდეს, დაბრუნდეს, იყავით ბედნიერნი, მაგრამ, რომ არ...

— რას ამბობ? — შეჰკივლა მარინემ.

— ნუ ამბობ, ნუ იტყვი... მაშინ არ ვიცი, რა მომივა, მაშინ მე მოვკვდები...

— სწორედ მაგას გეუბნები. სწორედ რომ არ მოკვდე, არ გადაჰყვე, არ დაიღუპო, მე ვარ აქ, შენს გვერდით. ყოველთვის, ყოველთვის...

— მაგ მიზნით იზრუნე თეთრ ბილეთზე? — შესძახა ისტერიულად მარინემ.

— მე არაფერზე არ მიზრუნია...

— მამაშენმა მოგიხერხა, ხომ? რა განსხვავებაა?! შენ, სწორედ შენ და შენისთანა გაბედნიერებულებს უნდა დაგედოთ იქ თავი ამ თქვენი უზრუნველი ცხოვრებისათვის! მაგრამ რას იზამ? პირიქით ხდება! განა თქვენთვის სწირავდნენ თავს ჩვენი მამები? განა თქვენ გადასარჩენად წავიდა ცეცხლში დათო? განა თქვენ გამო, განა თქვენი მსუყე ცხოვრების გადასარჩენად უნდა დაიღუპოს?!

მარინეს ტირილი აუვარდა, შეუჩერებელი, მოუთოკავი, მთელი არსების მომცველი, სტიქიონივით მოვარდნილი. მხრები უთრთოდა, ტანი უცახცახებდა.

მარკლენამ ჭიქით წყალი დაუდგა, შემდეგ ახლოს მივიდა, სახიდან ხელები მოაცილა, აკანკალებულ თითებზე ფრთხილად აკოცა. და უკანსვლით ჩუმად გავიდა კარში.

— ეგ არასოდეს, არასოდეს არ მოხდება, არ მოხდება! — შეჰყვირა მარინემ, მაგრამ მარკლენას აღარაფერი გაუგონია — კიბეზე ჩასულიყო და, სადარბაზოს გასასვლელში უაზროდ გაჩხერილს, ცრემლი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა...

## დღიურის უკანასკნელი ფურცლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

31 დეკემბერი, 1943 წელი.

ერთი საათით კვლავ ვუბრუნდები დღიურს.

გადავწყვიტე, აღარ განვაგრძო: ვეღარც ვიცლი და ვეღარც ვერევი ფიზიკურად და სულიერად. დღისით რომ თავიდან ბოლომდე გადავიკითხე, დავრწმუნდი ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში: დღიურშიც კი ვერ ვწერ ყველაფერს, რაც ვიცი და რაც მესმის, სადღაც გონების კუნჭულში ცენზორი მიზის. ვინ და რამ აღზარდა ჩემში შინაგანი ცენზორი? თავისთავად ხომ არ გაჩნდებოდა? ამ სტრიქონებს ახლა სხვა მკითხველი არა ჰყავს და, სანამ ცოცხალი ვარ, ალბათ არც ეყოლება, მაშ რა მემართება, რა მაშინებს?..

ესაა ჩემი უკანასკნელი ჩანაწერი:

როგორც იქნა, დაილია ორმოცდასამი და ორმოცდაოთხში გადავდივართ.

ვაი, რა გრძლად მეჩვენა გასული წელი!

ყველაფერი იყო, სიხარულიც და ცრემლიც, მარცხიც და გამარჯვებაც, კავკასიაცა და სტალინგრადიც, კურსკის რკალიც და თეირანის კონფერენციაც... გაიჟლიტა და დასახიჩრდა მილიონობით ადამიანი.

დათო ცეცხლშია.

მე ვარ ჰოსპიტლის სანიტარი.

დეიდა ელენე შუამთაშია.

მამიდა ფრონტზეა, ჰოსპიტალთან ერთად მომთაბარეობს.

ძია ხუტა დაიკარგა.

პატარა მარიამი ბაქოშია. მისი მეუღლე ბაგრატი დაიკარგა.

ბებო სოფელში ჯახირობს.

ლარისა ვასილევნას ქმარი იბრძვის.

ხანდია დაიკარგა.

ჩაბრია მოკვდა.

ოთარი შრომობს.

მარკლენა ზოგჯერ მაკითხავს, უსიტყვოდ დადგება და დგას...

რამდენი მოთმინება, გაჭირვების ატანა, სისხლის ღვრა მოგვიწევს კიდევ, ვიდრე ეს საშინელება დამთავრდება?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რა მოგველის, რა ჭირი დაგვაკლო ომმა?

ამ ფიქრებში გავატარე დღევანდელი დღე, 31 დეკემბერი. სამსახურიდან თავისუფალი ვარ და, როგორც იქნა, ოთახი დავალაგე და სარეცხი მოვითავე.

წერილს ველოდები ყოველდღე, ყოველთვის, ყოველ წუთს, ვფიქრობ წერილზე თუ არ ვფიქრობ, დღეა თუ ღამე ,მძინავს და მღვიძავს, ველი შინაგანი მოლოდინით. შეუმჩნევლად მექცა ეს მოლოდინი ხასიათის თვისებად. და ასევეა შიმშილის გრძნობა — უწყვეტი, ყოველდღიური, ყოველწუთიერი. აღარც მაწუხებს, თითქოს ჩემგან დამოუკიდებლად არსებობს. მოლოდინი, დიდი მოლოდინი...

დათო ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის მემიზნეა. ძალიან უყვარს თავისი ზარბაზანი, რა პატარაა და რა დიდი ძალა აქვსო!

ახლა გამიელვა აზრმა: იქნებ ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი, ოთარის ხელიდან რომ გამოდის, დათოს ხელში მოხვდეს, ფაშისტთა ტანკი შელეწოს და დათო გადაარჩინოს?! შეუძლებელია? აბა როგორ მოხვდება ათასკილომეტრიან ფრონტზე სწორედ დათოსთან თბილისის ამ პატარა ქარხანაში დამზადებული ჭურვი? რა ვიცი, იქნებ მოხვდეს...

მარშალი სტალინი დაჯილდოებულია სუვოროვის პირველი ხარისხის ორდენით „წითელი არმიის სწორი ხელმძღვანელობისათვის !და მიღწეული წარმატებებისათვის...“ მალე მეორე ფრონტი უნდა გაიხსნას. ვითომ არ დაგვიანდა?..

აღარც შეშა მაქვს, აღარც ნავთი (დღევანდელმა სარეცხმა უკანასკნელი წვეთი შთანთქა). ახალი თვე კი ჯერ არც დამდგარა...

ყველაფერს გავუძლებ, ოღონდ დათო იყოს ცოცხალი. ჩავუთქვი: რაც უფრო გამიჭირდება და ცუდად ვიქნები, მით უფრო კარგად იქნება დათო. ვიცი, სისულელეა, მაგრამ ასეთი ყოფილა მდედრის პასიური ბუნება. არ მინდა, რომ ასეთი ვიყო...

ახლა ღამეა, საწოლში ვწევარ. წინდები მაცვია, ზურგზე შალი მადევს, საბანი მხურავს და მაინც მცივა (ხელები რომ დავმალო, ხომ ველარ დავწერ?). რვეული წინ მიდევს და ფანქრით ვწერ.

გარშემო სიჩუმეა. ჩვენი ხმაურიანი სახლი ჩაბნელებული და ხმაგაკმენდილია. მეზობელს სძინავს ან შინ არაა. ხელებს სუნთქვით ვითბობ და პირიდან თეთრი ორთქლი ამომდის. ალბათ ოთახშიც ისე ჰყინავს, როგორც გარეთ.

თოვლმა დაიგვიანა მაგრად ყინავს და ქრის ქარი. განსაკუთრებით დილით მიჭირს, ყველაფერი, რაც საწოლში არ ჩავიყოლე, გაყინულია: ტუფლები გაფშეკილია — კალოშში აღარ ჩადის, პალტო, ხელთათმანი. ქუდი გახევებულია.

ლარისა ვასილევნა ჰოსპიტალში გადმოვიდა, ჩემსავით სანიტარია, ჩემზე მეტად გამოცდილია და უფრო მშვიდად იტანს სისხლს, ჭრილობას, ჩირქს, კვნესას, ოხვრას და ტირილს. აქაური წიგნაკებით მეტ პურსა და პროდუქტს იძლევიან, ეს კი იროჩკას სჭირდება. ერთად იშვიათად გვიწევს მორიგეობა. სამსახურში ზოგჯერ ირინაც მოჰყავს — დარბის გოგონა პალატებში და ტირიან დაჭრილები... უფრო ხშირად მარტო ტოვებს შინ და მე ვაკითხავ ხოლმე. მართალია, სამსახური გამოიცვალა, მაგრამ ოთახს ჯერ არ აცლევინებენ, თუმცა გადაკვრით გაეგებინეს, რომ მომავალში საჭიროებისამებრ მოიქცევიან.

„ესლი ვიჰონიატ, პოიდუ კ ტოვარიშჩუ ჩერკეზია!“ — ამბობს ლარისა. იმ კაცის იმედი აქვს მხოლოდ. თუ ეს მოხდა, ჩემთან გადმოვიყვან — მარტო ყოფნა მაინც ძნელია..

ღამღამობით ზოგჯერ მესიზმრება სამტრედიელი ახობაძე და ზესტაფონელი ცქიტიშვილი, ჩემს ხელზე რომ დალიეს სული. ზოგჯერ სისხლში მცუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რავი ან უზარმაზარ თოვლიან ველზე მარტოდმარტო დაცემული დათო მესიზმრება და გიჟივით წამოვვარდები ხოლმე...

არ მეძინება. ჩავიწერ ჩვეულებრივ ამბებს.

ვდგები ექვსზე (საათი არა მაქვს, მაგრამ დილით ფხიზლად ვარ და მესმის ქარხნების საყვირის ხმა: ერთი ექვსზეა, მეორე — შვიდის ნახევარზე, მესამე — შვიდზე. საათი ზაფხულში გავყიდე...). ბნელა, ვანთებ ლამპას (ხშირად შუქი არ არის), ვადუღებ ჩაის (თუ ნავთი მაქვს), ვსვამ. კანფეტს, „პოვიდლოს" ან შაქარყინულის ნატეხს ვაყოლებ, საღამოდან შემონახულ პურის ქერქს ვღრღნი.

ვიცვამ ყველაფერს, რაც ტანზე მეტევა. მეორე საყვირზე გავდივარ, შვიდზე ჰოსპიტლის კარს ვაღებ.

აქ წინათ სკოლა იყო, სწორედ ომის წინ, 1940-ში დაამთავრეს მისი მშენებლობა.

უფროსი გვყავს მედიცინის სამსახურის მაიორი დიმიტრი ჯიშკარიანი. აქამდე მხოლოდ ორჯერ ვნახე: ერთხელ, როცა სამსახურში მიმიღო (დათოს რეკომენდაციით) და მეორედ — ამას წინათ, როცა დერეფანში შევეჩეხე. ხელში სისხლიანი ბამბითა და ჭუჭყიანი სახვევებით სავსე ტაშტი მეჭირა და თავჩაღუნული სწრაფად მივდიოდი. რომელიღაც პალატიდან გამოვიდა უეცრად, ტაშტი ისე დავატაკე, ლამის ხელიდან გამივარდა. გაბრაზებულმა შემომხედა, მიცნო, თავი დამიქნია და რატომღაც რუსულად მომაძახა: ფრთხილად, ქალიშვილო! მე კი გავიქეცი...

დეიდა ელენეს ძველი ნაცნობია. მათ შორის მგონი რაღაც უსიამოვნება მოხდა და უბრად არიან.

დეიდა ელენეს კვირაში ერთ წერილს ვუგზავნი, ის კი თვეში ერთხელ მწერს მოკლე ბარათებს. ამ მიმოწერის მთავარი საკითხია — დათოს წერილი ხომ არ მოსულა, ხომ არაფერი გაგიგია. დათოს იშვიათ წერილებს ერთმანეთს ვუგზავნით, საბოლოოდ კი ჩემთან იყრის თავს...

როცა ჩამოვა ხოლმე და ერთად ვართ (ან ის ათევს ღამეს ჩემთან, ან მე მის ბარაკში), ერთხელაც არ ახსენებს ჩვენს უფროსს, თითქოს გაურბის კიდეც მასზე საუბარს. მეც არაფერს ვეკითხები, თუ საჭიროა, თვითონ მეტყვის.. რა უნდა მომხდარიყო მათ შორის?

ახლა მინდა ცოტა ვიოცნებო. მაგალითად, როგორ წარმოვიდგინო გამარჯვება, ანუ ის დღე, როცა ყველაფერი დამთავრდება? იქნებ ასე:

რა ბრწყინვალე დღე გათენდა გამარჯვების დღე!

მთელი ქალაქი გარეთაა.

პროსპექტები, ქუჩები, მოედნები ხალხითაა სავსე — ყველა ზეიმობს!

სახლები, აივნები დროშებით, ნოხებით, ყვავილებით და სურათებითაა აჭრელებული. ყველა ნანატრი მშვიდობის გამაბრუებელ გრძნობას მოუცავს!

თითქოს ჰაერიც ლაღი, სურნელოვანი, დამათრობელი, მშვენიერია!

მაღაზიები გაჭედილია სანოვაგით — ყველაფერი თავისუფლად იყიდება!

იქით გარმონი უკრავს, აქეთ დოლს აბრაგუნებენ, ცეკვავენ, მღერიან, ხელებს იქნევენ, ერთმანეთს ეხუტებიან, ტირიან...

სიხარულის ცრემლი, სიხარულის ღიმილი, ალტაცებული შეძახილები, წუთიერი თავდავიწყება!...

იქით სამხრეებიან ოფიცერს ასი ხელი ჰაერში ისვრის და ისევ ფრთხილად იჭერს, აქეთ ყავარჯნიანი ნაფრონტალი ყვავილების გროვაში დგას, უმწეოდ იღიმება და სიხარულის ცრემლი ჩამოსდის!..

დადგა ნანატრი მშვიდობა. მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა!

ვაშა! ჩვენ გავიმარჯვეთ!

შეწყდა ზარბაზნების ქუხილი, ბომბების გრიალი, თვითმფრინავების ზმუილი, ტყვიამფრქვევების ჭახჭახი, ნაღმების ბათქა-ბუთქი, ავტომატების ტკაცუნი...

არც შეტევა, არც თავდაცვა, არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანკების გრუხუნი, არც სირბილი, არც სისხლი, არც სიკვდილი...

აღარც შიმშილი, აღარც სიცივე, აღარც რიგები, აღარც შიში...

წარმოუდგენელია! დაუჯერებელია!

მშვიდობა, მშვიდობა, მშვიდობა!

ჩამოვლენ შვილები, მამები, დედები, ძმები, დები... ჩამოვლენ ცოცხლები, გამარჯვებულნი, ბედნიერნი.

რა ტკბილია მშვიდობის პირველი დღე! თანაც — უცხო, შეუჩვეველი, უცნაურად მწარე და ტკბილი.

და დაბრუნდება ფრონტიდან ყველა!

და ჩამოვა დათო!

დაბრუნდებიან ჩვენი მამებიც!

და იქნება ცხოვრება მშვიდობიანი, აღსავსე ღიმილით, ბედნიერებით, ნდობით, პატივისცემით, ურთიერთსიყვარულით... და გაგვახსენდება განვლილი ჭირი, ცრემლი, უბედურება, სისხლი და სიკვდილი, როგორც შორეული ბუნდოვანი სიზმარი...

ფანტაზია არ მყოფნის იმ დღის აღსაწერად. ასე იქნება?

ნეტავ იმ დღეს!

მაინც როდის დადგება ეს ნანატრი დღე? იქნებ 44-ში, ან 45-ში, ან 46-ში? იქნებ კიდევ გაგრძელდება ეს ჯოჯოხეთური ომი? რომ მოკვდეს ჰიტლერი ან მოკლან? ხომ შეიძლება ბომბი დაეცეს? (ინგლისელები გამუდმებით ბომბავენ ბერლინს).

რად უნდა იყოს დამოკიდებული ერთი კაცის სურვილზე ხალხის ბედი, ქვეყნის ბედი, მსოფლიოს ბედი? რა უფლებით?

ძალის უფლებით, ძალის უფლებით, ძალის უფლებით...

ძლივს დავმშვიდდი. საბანი გადამვარდნია, სიცივისაგან მაკანკალებს. ახლა უკვე ალბათ ახალი წელია. მგონი, გადაცილდებოდა თორმეტს.

ქალაქი დუმს. ოთახში ყინავს. ხელები გამეთოშა. თითები მეწვის. ხანდახან ისე მახველებს, ლამის მკერდი ამომგლიჯოს...

ვამთავრებ. მშვიდობით, ძველო წელო!

გამარჯობა, იქნება გამარჯვება. ახალო?!

## მარინეს წასვლა

ოჰ, რა ძნელი დასაწერია ეს თავი?

რა ბედნიერი ვიქნებოდი, რომ სულაც არ იყოს იგი ამ წიგნში!

წარმოიდგინე, მკითხველო:

ომის დამთავრებამდე ერთი წელიწადიღა რჩებოდა. დაბრუნდებოდა ომიდან უვნებელი და გამარჯვებული დათო. ის და მარინე შექმნიდნენ ერთ ბედნიერ, მართლაც ბედნიერ ოჯახს. გაიხარებდნენ ნათესავ-მეგობრები. და ერთ მშვენიერ დღეს მათი გულებიც აღივსებოდა უდიდესი სიხარულით...

რა კმაყოფილებით აღვწერდი ამ ამბებს!

მაგრამ ამგვარი ბედნიერი დასასრული სხვა წიგნებს აქვთ. ამ წიგნს კი, სამწუხაროდ, არა...

ნათელა-ექიმის დეპეშა ელენე მიზანდარს:

**„სასწრაფოდ ჩამოდით. მარინე უკანასკნელ დღეშია".**

ეს დეპეშა ელენეს მხოლოდ მესამე დღეს აუტანეს შუამთაში.

კვლავ დიდთოვლობა იყო.

საბავშვო სახლს სურსათიც აკლდა და სითბოც აკლდა. ბავშვებში იფეთქა გრიპის ეპიდემიამ. ზოგიერთს ფილტვების ანთებაც დაემართა.

დეპეშა მოადგილემ ამოიტანა. ძლივს გაარჩია ელენემ სველ ბლანკზე მკრთალად და ოკრობოკროდ დაბეჭდილი რუსული ასოები.. ძლივს ჩასწვდა დეპეშის აზრს. თავი რომ ასწია, მის გარშემო მოგროვილი თანამშრომლები დაინახა. წამოდგა, წელში გაიმართა და მოკლედ თქვა:

— ჩქარა ცხენი! ბავშვებს მიხედეთ!..

მირბის ცხენი თელავისკენ. თოვლიანი გზა ბილიკებადაა დაყოფილი. მირბის გატკეპნილ ბილიკზე ცხენი და აქეთ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იქით ისვრის გაყინული თოვლის ნაფლეთებს. ელენეს სუსხიანი ქარი სცემს, სახეს შალის ბოლოთი იწმენდს და გაჰყურებს მშვიდად მბზინავ თოვლიან მთებს. ცივგომბორიდან კვლავ სათოვლე ღრუბელი მოიზლაზნება და ელენეს გულს ცუდი წინათგრძნობის ტკივილი ხრავს.

საღამოვდება. თურდოს რიყეს ქათქათა მატყლი გადაჰფენია. ვარდისუბნის გამოსასვლელთან ელენემ სურსათით დატვირთული არტემას ლინეიკა დაინახა. არტემას ხელი დაუქნია და ცხენი ააჩქარა.

ღამის მატარებელი. ბილეთი არ არის. შევარდა ელენე სადგურის მორიგესთან. ბილეთი არ არის. მოძებნეს სადგურის უფროსი. ბილეთი არ არის. შეტენეს უბილეთო ქალი გაჭედილ ვაგონში და დაიძრა მატარებელი.

მთელი ღამე ფეხზე დგომა გაყინულ ტამბურში..

თბილისის თოვლჭყაპიანი დილა.

ნესტიანი ქარი ხან ამაზრზენად სისინებს, ხან სევდიანად კვნესის.

ჰოსპიტალი.

— სადაა დიმიტრი ჯიშკარიანი?!

ექიმის დაფეთებული თვალები.

მერე სირბილი მარინეს სახლისკენ.

ვარდისფრად აყვავებული ლოყები, მხურვალე ტუჩები, მიბნედილი თვალები და თეთრ ბალიშზე გაშლილი თმა. გაწვრილებული კისრის უმწეო მოძრაობა. სიცხე. ბოდვა. ნათელა-ექიმი, ლარისა ვასილევნა, ელზას ოთახში — მარკლენა, ოთარი, გიჟ-ეთერა, პატარა ირინე და გოგია...

— გვიანაა... სასწაული თუ უშველის, — დიმიტრი ჰოსპიტალში გარბის.

კონსილიუმი.

— სასტიკი ფილტვების ანთება, ღია კავერნები ორივე მხარეს. სასწაული თუ უშველის...

— მოახდინეთ სასწაული! — ყვირის ელენე, დიმიტრის ხელს სტაცებს და მოაბრუნებს. — გესმის, დიმიტრი, გესმის? ყველაფერზე თანახმა ვარ, ყველაფერზე! რაც გინდა, მთხოვე, მოახლედ დაგიდგები...

დიმიტრის ჩაღუნული თავი.

ორი ბებოს უიმედო ქვითინი...

...იმ ღამეს მარინე ჰოსპიტალში მორიგეობდა. უგუნებოდ იყო, თავი სტკიოდა და ხანდახან აჟრჟოლებდა.

თებერვლის უკანასკნელი კვირადღე თენდებოდა.

დილით შინ რომ დაბრუნდა, თავი სასტიკად სტკიოდა. მთელი კვირა ვერ მოიშორა ხველება. ახლაც დაგუდულად ამოახველა და თითქოს მკერდი გაეპო...

ოთახში ციოდა. არც ერთი წვეთი ნავთი არ ჰქონდა. მთელი თვეა, ღუმელი არ დაუნთია. უკანასკნელად სკამებს აპობდა, მაგრამ ერთი სკამიღა დარჩა...

სველი პალტო დაფერთხა და დაჰკიდა. მხოლოდ ფეხსაცმლის გახდა შეძლო და კაბიანი ჩაწვა ლოგინში.

სიცხემ აუწია. დაიწყო ბოდვა.

დათო, დათო, დათო! გახსოვს, დათო, გაზაფხული? კიდევ გაზაფხულდება თბილისში, კიდევ მოვა აპრილ-მაისი... ლამაზ თბილისში გაზაფხულდება, ხე აფეთქდება მწვანე გუნდებად, ცაო მაღალო, მთაო მაღალო, კვლავ სილამაზე დაგიბრუნდებათ... რად არ მპასუხობ, დათო? მახსოვს, პირველად სასწავლებელში..

— რა მოხდა, მარინე, რა გამღერებს?

— ვინ არის? ო, ელზა, ჩემი კეთილი მეზობელი! რა ბედნიერი ვარ, რა ბედნიერი ვარ! ხედავ, ელზა, გაზაფხული დადგა, გრძნობ, რა სითბოა?

— სიცხე გაქვს, მარინე, დიდი სიცხე. სადაა სიცხის საზომი?

— ო, ჩემ სიცხეს რა გაზომავს, რა გაზომავს, რა გაზომავს... კარგია სიცხე! სად არის სიცხე?.. ელზა, ელზა, ჩემო კეთილო, შენ მართლა გიყვარს დათო? მართლა გიყვარს? ხომ გიყვარს? არა, მართლა? ხომ გამჩნევდი, ხომ გამჩნევდი და არ ვიმჩნევდი. დათო ყველას უყვარს, არა? იცი, რა სასტიკად ვეჭვიანობდი? იცი, რა სასტიკად.. მახსოვს, პირველად... გიყვარდეს, გიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რდეს, უნდა გიყვარდეს... მეძინება, მეძინება... ხან მაყრიალებს, ხან მცხელა, დედააა!.. ელზა, ელზა, სად მიდიხარ?

— ახლავე, მარინე, გენაცვალე, ახლავე! ნათელა-ექიმს მოვიყვან. ვიცი, სადაც ცხოვრობს, მარკლენასაგან ვიცი...

— დედა, დედა, დედიკოო! მომიახლოვდი, მომხვიე ხელიი, ჩემთან მოდიიი... როგორ გალურჯებულხარ, გცივა, დედიკო? მე კი გავთბი, როგორც იქნა.. იცი, დედა, დათო ჩამოვიდა, ჩაბრია ჩამოვიდა, მამა დაბრუნდა, დაბრუნდა მამა... არა არა, ასე არვარგა, განა ესაა ლექსი? ლექსმა უნდა დაკვესოს, დაუკრას, გაცეკვოს — დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს... შემოსილნო გამჭვირვალე ბლონდებით... დედა, დედა, სად ასვენია საქართველოს ცხელი გული, დედიკო, ილიას საფლავში თუ სვეტიცხოველში?.. ლექსი მღერის, ლექსი ცეკვავს... ალბათ, ალბათ მომავალში განათდება.. განა არ განათდა, დედა, განა არ განათდა...

— დეიდა ნათელა, აქ რამ მოგიყვანათ? ჩამძინებია. სიცხე მაქვს?

— ახლავე, მარინე, არ შეშინდე, ახლავე მოგივლით, მოგარჩენთ... ცოტა ხანს ხელი გააჩერე, არ ამოგივარდეს სიცხის საზომი... რა გატირებს, გოგო, არ გრცხვენია? აბა შემომხედე!

— არა, დეიდა ნათელა, განა მართლა ვტირი? უბრალოდ მდის ცრემლი, რაღაც გამახსენდა. რამდენია?

— არა უშავს, ცოტა დიდი სიცხე გაქვს, ახლავე დაგალევინებ წამალს, ახლავე მოგივლით. — ნათელა-ექიმი ელზას ოთახში შევარდა —ელზა! დეპეშაა გასაგზავნი, მომეხმარე, გენაცვალე, სადაა ქაღალდი?.. აჰა, დავწერე, გამეგზავნე ფოსტაში. აი ფულიც, აიღე. კარგი, რადგან არ გინდა, ნუ გინდა! ქალო, სად გარბიხარ ეგრე? პალტო ჩაიცვი. ცუდადაა საქმე, ელზა, გენაცვალე, ცუდადაა.

ღამით — ბოდვა, წამლები, მერე სიმშვიდე, ძილი.

დილით? დილით — სიწყნარე, სისუსტე.

მესამე დღეა.

მიდიან და მოდიან ექიმები, მიდიან და მოდიან მეზობლები, ნაცნობები.

ჩამოვიდა ორი ბებო, აჩრდილებივით სხედან კუთხეში და ცრემლში იხრჩობიან უსიტყვოდ.

კვლავ ექიმები.

— რაა ეს, ნემსი მიჩხვლიტეს? წავედი ბურანში, წავედი, წავედი, მოვდივარ, დედიკო...

მეოთხე დღე. მოვარდა ელენე. მოვიდა დიმიტრი. მოვიდნენ ექიმები. კვლავ წამლები, კვლავ ნემსები, კვლავ ბოდვა, კვლავ დათო, კვლავ დედა...

მეხუთე დღე. სხედან მარკლენი, მარგალიტა, ელზა, გიჟ-ეთერა. დგანან ექიმები. გავარდა ჯანსახკომში ელენე...

კვლავ ბოდვა, გახშირებული სუნთქვა, სისხლიანი ნახველი...

მეექვს დღე.

სისუსტისაგან ველარ ინძრევა. სახეებს ძლივს არჩევს. თრთიან გალურჯებული ტუჩები, სცივა ფეხებს, უსკდება თავი. და მაინც ჩურჩული, ჩურჩული, ჩურჩული, — დათო, დედიკო, მამიკო და უცებ ბღავილი —, მამაა!..

უკანასკნელი სიზმარი თუ მოჩვენება:

...დარბაზი, დიდი, უთალო, მზით გაკაშკაშებული.

გაზაფხულის სურნელი.

მუსიკა — ცისფერი, წითელი, მწვანე, ლურჯი ტალღები, წრეები — ვალსი.

ხან მძლავრად მგრგვინავი, ხან — მინაზებული, ხან — თავბრუდამხვევი, ხან — ალერსიანი.

ტრიალებს, ტრიალებს მარინე.

გრძელი თეთრი კაბა აცვია.

თმებზე ყვავილების გვირგვინი ადგას.

სწრაფად ტრიალებს მარინე, სული ეხუთება, ცეცხლი ედება.

---

თენგიზ ბუაჩიძე
გზა გავშვობისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრიალებს, ტრიალებს და თანდათან ზევით იწევს.

მუსიკის ტალღა მიაქანებს.

ზევით, ზევით, მზის ჩახჩახა სხივებით მბრწყინავ სილაჟვარდეში..

მეშვიდე დღე...

ქვითინებენ საწოლთან იატაკზე დამხობილი ბებიები.

საშინელი ხმით შებღავლა შეშლილმა ელენემ.

ზლუქუნებენ ოთარი, მარგალიტა, მარკლენა.

გარინდებული დგას ნათელა ექიმი.

უმწეოდ ზის ელზას ოთახში დიმიტრი ექიმი.

და ღიმილით, კეთილი ღიმილით დადის ოთახიდან ოთახში ეთერა...

და უცებ კარებში — ქუდმოხდილი და მოღუშული ამხანაგი სიმონის აჩრდილი (ცოლშვილს თუ ეძებს!). უწამწამო ქუთუთოებიდან დაკვირვებით შეჰყურებს იგი მარინეს დაწყნარებულ სახეს, მარმარილოსავით გაფითრებულ მშვენიერ პროფილს...

გარეთ მარტის ცივი ქარი დაქრის — სიმარტოვის ქარი. ხან თოვს, ხან მზე ანათებს, ხან ღლისით ბნელდება, ხან საღამოს ნათდება.

უბერავს მარტის ქარი და გაზაფხულის მოლოდინში ოხრავს, კვნესის და წელში იზნიქება ბევრის მნახველი, ბერის მოწმე ბებერი თბილისი...

## ეპილოგი

### ხსოვნა

თანდათან აღდგა მივიწყებული მუსიკის ჰანგი. ოდნავ, სულ ოდნავ ჟღერს იგი და ძლივს ბჟუტავს ვარსკვლავი უმზეო ცაზე..

ამომავალი მზის სხივები ვერ სწვდება ტირიფის ძირს. ქანდაკივით უძრავად დგას პატარა ბიჭი და მის გვერდით ხელაპყრობილი ხვდება მზეს სასწაულის მომლოდინე გოგონა...

და უწყვეტ არს სრბოლა დღეთა — თითქმის ორმოცი წელი გავიდა...

დროს მიჰყვება ყოველივე — სიხარულიცა და დარდიც, ღიმილიცა და ჰმუნვაც, სიცილიცა და ცრემლიც. მოდიან ახალი დღენი და მოაქვთ ახალი განცდანი. და ასე იქნება მუდამ — ერთი დამთავრდება, მეორე დაიწყება — უწყვეტი ჯაჭვი, უსასრულო ბილიკი, მარადი სრბოლა.

და მოუხელთებელი.

მთვარის ბილიკი წყალზე. ხომ მართლა ახლოა მისი საწყისი? ხომ თითქოს მართლა ბილიკია?

მიუახლოვდები და ქრება, მარაოსავით გაიშლება სხივი, ათასფრად აბრჭყვიალდება წყალი.

მოშორდები და კვლავ ჩნდება ბილიკი — მკვეთრი ზოლი, შორს რომ მიდის და ჰორიზონტს მიღმა იკარგება.

მოვლენები და საგნები უნდა შეიცნო, როგორც თავისთავად არის. შენეული შეცნობით, შენეული აღქმით არ უნდა შეუცვალო ბუნება, თორემ ხელთ შეგრჩება მოჩვენებითი ამბები, ილუზია.

ვინ გადავა მდინარეს მოჩვენებით ხიდზე ან ვინ შედგება მთვარის ბილიკზე?

მიდიან წლები. მოდის ახალი თაობა, ახალი ცხოვრებით, ახალი საზრუნავით, ახალი პრობლემებით.

რა შინაგანი ნერვითაა იგი დაკავშირებული წარსულთან?

თითქოს ყველაფერი მეორდება — სიყვარული და სიძულვილი, შური და უშურველობა, თავდადება და ღალატი. ასე იყო, რაც კაცობრიობას თავი ახსოვს. ასე იყო პირამიდების პერიოდში, ასე იყო ბიბლიის შექმნის დროს, ტროის ეპოქაში, ათენის აყვავებისას, ფარნავაზის მეფობისას, რომის რესპუბლიკაში, კეისრების იმპერიაში, კიევის რუსეთში..

მაგრამ ვინ იტყვის, რომ ყველაფერი უცვლელია?

აჰა, მოვიდა კიდევ ერთი ახალი თაობა, წარსულის პირმშო, მომავლის მშობელი. და სისხლით და ტანჯვით მოპოვებული მშვიდობა ისეთივე ბუნებრივია მისთვის, როგორც ეს ჰაერი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყალი, როგორც დღევანდელი ტელევიზორი და კოსმოსური ხომალდი.

თაობათა შინაგანი ხიდია ორი ურთიერთსაპირისპირო უნარი ადამიანისა: უნარი ხსოვნისა და უნარი დავიწყებისა.

მხოლოდ ხსოვნა რომ იყოს, ცხოვრება შეჩერდებოდა, ერთ ადგილზე გაიყინებოდა, უნებისყოფო მჭვრეტელობად იქცეოდა.

მხოლოდ დავიწყება რომ იყოს — მაინც შეჩერდებოდა, რადგან ყველაფერი თავიდან უნდა დაწყებულიყო.

და მაინც ყოველ ახალ თაობას თავისი საზრუნავი ყველა წინა თაობის საზრუნავზე უფრო დიდ საზრუნავად მიაჩნია.

მართალიც არის. სხვანაირად მისი ცხოვრება აზრს დაჰკარგავდა. ამას კი უსასრულო განვითარებაზე დაპროგრამებული ადამიანის ბუნება და შინაგანი არსი ვერ დაუშვებს.

თუ ადამიანი მართლაც ევოლუციის ნაყოფია, ხსოვნას მისი წინაპრის გაადამიანების საქმეში ერთი უპირველესი ადგილთაგანი ენიჭება. ხსოვნას ემყარება შრომის პროცესიც და სულიერი ცხოვრებაც. ვისაც წარსულის ხსოვნა არა აქვს, მას არც მომავალი ექნება... ამიტომ იღიმება მეხსიერების ქალღმერთი მნემოსინე...

მუსიკის იმ ობოლ ჰანგს მეორე ემატება, იწყება მელოდიის მსგავსი რაღაც. უკუღმა ტრიალებს საათის ისარი, ტრიალებს დღე და ღამე, ჩრდილი და სინათლე და უკუღმა დაბრუნებული კინოფირივით თანდათან გვაახლოვებს საწყისთა საწყისებს...

კვლავ დავყურებ ძველ სურათს. გახუნებულ და გაცრეცილ მუყაოდან მიცქერენ ბავშვები, მიცქერენ პირდაპირ თვალებში და ოდნავ, სულ ოდნავ ეღიმებათ. ვის ერგო საბოლოოდ ოქროს თევზი? წინასწარ რომ ყველაფერი ვიცოდეთ, განა სიცოცხლე ეღირებოდა?

1943 წლის ნოემბერში დათო მიზანდარი ფრონტზე წავიდა. ღირსეულად იარა ომის სისხლიან გზებზე. ომის მიწურულს, 1945 წლის 29 აპრილს, ოცი წლის ასაკში გმირულად დაეცა ბერლინის ბრძოლების დროს. დაკრძალულია საბჭოთა მეომრების ძმათა სასაფლაოზე ტრეპტოვპარკში...

ელენე მიზანდარი, ჯერ ორმოცისაც რომ არ იყოს, მთლად გათეთრდა და შავები ჩაიცვა. კვლავაც საბავშვო სახლებში მსახურობდა და ზრდიდა უდედმამო ბავშვებს...

ჩაბრიას ობოლი საფლავი თითქმის წაიშალა. იმ ადგილზე იდგა გაბარდნილი ცაცხვის ხე, რომელსაც ზაფხულობით უხვად ესეოდა მოზუზუნე ფუტკარი...

დაბრუნდა ტყვეობიდან ძია ხუტა, დაბრუნდა ნატანჯი, გალეული, ავადმყოფი. დაბრუნდა მამიდა ნინოც. მისი შემწეობით ძია ხუტამ სიცოცხლისკენ მოიხედა.

ვეღარ დაბრუნდა ძია ბაგრატი. ვეღარ დაბრუნდა ხანდია.

ვეღარ დაბრუნდა, ვეღარ იხილა დღის სინათლე, მშობლიური კარმიდამო და მთაგორები, დედის სიხარული და სატრფოს თვალები ასიათასობით ახალგაზრდამ...

ლარისა ვასილევნას ქმარიც ვეღარ დაბრუნდა. განისვენებს ლიტვის მიწაში, ოთხ კილომეტრზე კაუნასიდან. დედაშვილი სამუდამოდ თბილისში დარჩა. დღეს ირინა ქართული ოჯახის რძალია..

ევგენისა და მირიანის სახელები აღდგა ომის დამთავრების ათი წლის თავზე. მათი სურათები და ეკას გადიდებული პორტრეტი ერთად ჰკიდია ელენეს ოთახში... დათოსა და მარინეს სურათებთან ერთად...

მიდიან წლები. მოდის ახალი თაობა. დგება ახალი დროება.

წელიწადში ერთხელ, ზაფხულობით, ჩააკითხავდა ელენე მარინესა და დათოს მიერ დაუტირებელ ორი ბებოს საფლავს სოფელში. მოინახულებდა ხანდიას მშობლებს, იდგა მდინარის პირას ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიფის ჩრდილში და ყურს უგდებდა იდუმალი ბუნების სუნთქვას, მდინარის შეუწყვეტელ ჩხრიალს... დაფიქრებული მზერით აცილებდა ხეობაში გრიალით შემოჭრილ მატარებლებს, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი გზით რომ მიდიოდნენ აღმა და დაღმა...

ეს რა ხმა გაისმოდა უცებ, უჩვეულო, ახალი, არგაგონილი? მზერა მიაწყდებოდა ცის თაღს, მაგრამ იგვიანებდა — უხილავი ლაინერი მანამდე გადაჰკვეთდა უნაგირა მთებზე დამხობილ სილაჟვარდეს და ხსოვნად მხოლოდ ხმას დატოვებდა...

სხვა ბავშვები მორეკავდნენ ახლა საქონელს, სხვა ზღაპრებს იტყოდნენ ღამღამობით ჩაბჟუტული ცეცხლის პირას. სხვა გრძნობა შეიპყრობდა მათ ახლა, სხვა განცდა, სხვა ხალისი, სხვა ტკივილი და სხვა ოცნება, მაგრამ არსი იმ გრძნობათა, განცდათა ხალისისა და ოცნებისა იგივე იყო, მარად იგივე და უცვლელი...

გაუნძრევლად იდგა ელენე ტირიფის ჩრდილში, თვალს აყოლებდა მდინარის შეუწყვეტელ სრბოლას, მერცხლების სრიალს და, ვინ იცის, რაზე ფიქრობდა...

ღამეს ნათესავებთან გაითენებდა და ჩამოვიდოდა ისევ თბილისში. მიხედავდა საფლავს ვაკეში, საათობით იჯდა იქვე გარინდებული. საფლავის უბრალო ქვაზე ორი წარწერა ჩანდა:

ეკა მინდელი. 1906-1942.

მარინე მინდელი. 1926-1944.

შემდეგ მოივლიდა ნაცნობ ადგილებს, მივიდოდა დათოსა და მარინეს სკოლებში, ზოგჯერ მწერალთა ბაღში შეივლიდა, კლუბშიც შეიხედავდა, მიჯდებოდა კუთხეში და უსიტყვოდ უსმენდა სხვებს...

1976 წელს, როდესაც 70 წელს მიღწეული ელენე მიზანდარი გარდაიცვალა, ხალხმა დიდ პატივი სცა ღვაწლმოსილ პედაგოგს. მის სავანეს დღემდე არ მოჰკლებია მადლიერ აღზრდილთა ზრუნვა.

მიდიან და მიდიან წლები შეუჩერებლივ. მოდიან ახალი თაობები, ახალი სიხარულით, ახალი საზრუნავით, თავისებური ოცნებით, ტკივილით და იმედით...

ჭეშმარიტად, ვის გრძლად ჰგონია, მისთვისცა არის ერთისა წამისა...

...სუსტად, სუსტად ჟღერს ჰანგი ნაცნობი მუსიკისა.

მე დავადექი გზას ბავშვობისაკენ.
გავყევი მხოლოდ ჩემთვის ნაცნობ
ბილიკს,
ნელა, კრძალვით და ტაატით მივიწევ
უკან,
გადაბრუნებულ კალენდრიდან ცვივა
ფურცლები
და თანდათან,
ვითარცა სიზმარში,
ვუახლოვდები შორეულ და დავიწყებულ დღეებს.

მივდივარ, მივდივარ, მივდივარ და სიზმრად ნახული ბავშვობის წიაღში მელანდება და მიზიდავს ერთი სახე და ერთი ღიმილი.

და ჩემთვის კვლავ გაისმის — „მახსოვს, პირველად სასწავლებელში", კვლავ გაისმის — „იქნებ, იქნებ მომავალში განათდება". კვლავ გაისმის — „მთელი ცხოვრების მანძილზე სწორედ ჩვენ გვმართებს ზნეობრივი მაქსიმალიზმი", კვლავ გაისმის — „შენ კიდევ ბევრჯერ მობრუნდები ამ მწვერვალთან..."

და რეკენ 22 ივნისის ზარები...

ოდეს ბილიკი ჩათავდება და ერთმანეთის პირისპირ დავდგებით, თანატოლნი და თანასწორნი,

იგი შემოვა ჩემში და მე შევალ მასში. ჩვენ ვიქნებით ერთსულ. ერთხორც და ერთგული.

მაშინ დადგება მარადიული დუმილის ჟამი.

მაგრამ არასოდეს არ გაქრება მოგონება შორეულ მეხთატეხაზე, სულის სიმტკიცეზე, ერთგულებასა და უმზეო დილის უკვდავ სიყვარულზე...

არ უნდა გაქრეს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუტა გაგუა

## გზა

იმ გზით რომ მევლო, ამ გზით კი არა,
მე ავიცდენდი —
ზოგჯერ მგონია —
ამდენ ჭრილობას, ამდენ იარას,
უძილო ღამეს და აგონიას.

დავიმოკლებდი მიზნამდე მანძილს,
გლეხი კაცივით გამრჯე და გამძლე,
და უშურველი მოყვრების თვალწინ
მეტს მოვიმკიდი სიკეთის მარცვლებს.

შენც პატიოსან ლუკმას არჩევდი
სუფრაზე ჯდომას მდიდარ ბიძებთან,
და შიში, შიში მარტოდ დარჩენის
ლოგინში ჯოჯოს არ მომიწვენდა.

ტყეში ჩრდილივით მიმალულ მზაკვარს
ჩავუქროლებდი შტრაუსის ვალსით.
არ ამიბნევდა ნაღველი გზაკვალს,
ამოკითხული შემხვედრის თვალში.

და თუ ღალატი დამცემდა დაბლა,
კვლავ აღვსდგებოდი ფერფლიდან სფინქსად,
ამოვანგრევდი დაბებკილ საფლავს,
მაგრამ მე ეს გზა ვარჩიე იმ გზას.

იქნება ვცდები და მეჩვენება,
რომ მე ვარჩიე, მავალმა ცალად, —
სინამდვილეში, როგორც ენება,
ისე მატარა განგების ძალამ.

დე იყოს ასე, მაგრამ ფინიში,
მე ხომ ვიცოდი — ბოლო ფინიში
აქ მომიყვანდა ხელებაპყრობილს
ჩემი სამშობლოს გულში — თბილისში.

ამ გზაზე ცოტა მერგო ალერსი,
ზოგიერთს მაინც ემახსოვრება:
არც უკეთესი, არც უარესი —
ჩვეულებრივი, როგორც ცხოვრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სიკეთის მონოლოგი

გამჩენმა რკინის
გაძლება მომცა,
ქედსაც იმის წინ ვიდრეკ მიწამდე,
დღემდე რაც ვნახე და განვიცადე,
რამეთუ წელში
გასწყვეტდა ლომსაც.

ერთხელაც ზურგში
მესროლეს, როცა
მთვარიან ღამით გამოვცდი შუკას.
ლაჩარს ისარი მივუგდე უკან, —
გამჩენმა რკინის
გაძლება მომცა.

ქალს კი, ვინც სხვისი
ჭიქიდან მოსვა
და სხვასთან დარჩა, ღალატის წილად
ლაზათიანი ვაკმარე სილა, —
გამჩენმა რკინის
გაძლება მომცა.

ძმათაგან რამდენს
შეაშრა ლოცვა
ბაგეზე... მათი წმინდა სახელის
ბოლო წუთამდე ვარ შემნახველი,
გამჩენმა რკინის
გაძლება მომცა.

და ვიდრე გული
გულს ენაცვლება,
და ვიდრე ელტვის კეთილი კეთილს,
ადრეა-მეთქი სიმღერა გედის, —
გამჩენმა მომცა
რკინის გაძლება.

მტრებმაც იციან,
მტრის ძმაკაცებმაც,
მარადიული სიკეთე მქვია —
ჩემი მომრევი არ არის ტყვია, —
გამჩენმა მომცა
რკინის გაძლება.

მაგრამ პურის და
სინათლის მთესველს,
მე რომ ვიცოდე, მოუტანს შვებას
ჩემი გაქრობა, — მე იმის ნებას
არ გადავუხვევ —
გავქრები დღესვე.

●

ყურებჩამოყრილ ფოთლებს აქეზებს
შუადღის სიო, ჩუმი და ფრთხილი,
და დასთამაშებს დედას სახეზე
ჩრდილი და შუქი, შუქი და ჩრდილი.

გაფაციცებით ჩემკენ მზირალი,
ჭიშკართან მჯდარი — ალუბლის ძირას,
ფიქრებში ისე ღრმად ჩაძირულა,
რომ ვერც კი მამჩნევს მუდარით მზირალს.

მაგრამ მე ვხედავ, ვიცი და ვხედავ,
ვისზე ამოსდის მზეცა და მთვარეც..
გაორებულა საბრალო დედა —
იქით და აქეთ აპარებს თვალებს:

იქით — სიჩუმე ჰყვავის მოწყენით,
აქეთ — ბრიალებს მზე დაჟინებით;
იქით მკვდარია, აქეთ — ცოცხლები,
იქით მამაა, აქეთ — —შვილები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხნის ნაჯაფარ-ნაამაგარი,
სახედაღლილი და ნაფიქრალი,
იქ რომ გვგონია — ისევ აქ არი,
აქ რომ გვგონია — ისევ იქ არი...

წელში მოხრილი, დაბერებული,
ჯოხს ეყრდნობა და დგება წვალებით,
და, პირზე ხელებაფარებული,
მე ცრემლებს ვყლაპავ და ვიმალები.

●

ნაცნობი ხმები მოესმა ისევ —
სმენა დაძაბა კაცმა:
ზემო სართულზე უკრავდა ბიზეს
ორი სტუდენტი — და-ძმა...

ვინც გამოსცადა: მწარე ყოფილა,
როგორც ასპიტის შხამი,
ქალისგან ურცხვად უარყოფილი
კაცის ფიქრები ღამით, —

შეკრთა, საკუთარ თავს შეუშინდა,
როცა ქალალდის ფურცელს —
ორად დაკეცილ ფურცელს —
უჯრიდან
ამოაყოლა უცებ:

მრავალთა შორის სურათი ერთი,
სადაც — კეკლუცად მდგარი —
მონატრებული შვილების გვერდით—
იღიმებოდა ქალი.

„ვაიმე, ქალმა შეგცოდა, ღმერთო,
ეშმაკს მიჰყიდა სული,
და მაინც —— ძნელი ყოფილა
ერთობ,
ქალზე იძიო შური.

რა ბედენაა, დასწვდე იარაღს
და გადარეულ დიაცს,
ღალატის ხანჯლად რომ გაიარა
გულში, — ახალო ტყვია;

დაღვრილი სისხლით უწამლო
ტკივილს
და სამართალი სოფლის
დასწყევლოს... —
ადგა,
შუბლიდან ცივი
ჩამოიხოცა ოფლი.

სევდანარევი ღიმილით პირზე
მძიმე ალაპყრო მზერა.
ზემო სართულზე მცხოვრებნი ბიზეს
ამახინჯებდნენ ჯერაც...

არა, ის სიკვდილს არ გაურბოდა,
ვით გაურბიან სხვები, —
არ დაამძიმა მშობლის კუბოთი
შვილების სუსტი მხრები.

იმათთვის წმინდა და საფიცარი —
ყოველ აისს და დაისს
ის გაუთლელი ოთხი ფიცარი
მას ზურგზე აწევს მაინც.

## კურთხეულ იყოს

ოლეჩკას

ღმერთმა შეგვინდოს
კაცებს სიბეცე,
არც მე მომსვლია აქამდე აზრად:
ჩამოსვლა სხვაა, სულ სხვაა ასვლა
სამშობიარო
სახლის კიბეზე.

მთლად გამჭვირვალე,
როგორც ჰაერი,
გონებას წუთით გამოგიფიტავს,
როცა ეშვება ქალი კიბიდან
გაღიმებული
და სხვანაირი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ კი — ადიხარ
მძიმედ და ქშინავ,
სახეზე ოფლი გადაგდის დაღლილს.
ვიღაცა კივის — ზანზარებს სახლი,
ზემო სართულზე
ზრიალებს მინა.

ქალი კივილით
იყუჩებს ტკივილს.
ქალი რომ კივის, ღმერთს ვევედრები,
სამშობიარო სახლის კედლები
არ გაიბზაროს,
ქალი რომ კივის.

კურთხეულ იყოს
იმის მშობელი,
კურთხეულ იყოს იმის მარჯვენა,
ვინც ეს ტაძარი მკვიდრად აშენა
და — დააჭყავლა
ახალშობილი.

და მაინც, ზოგჯერ,
კივილი ქალის
კედლებს თუ ბზარავს და არყევს
ფუძეს,
ბავშვის ჭყავილი ამრთელებს უცებ
და სახლს უბრუნებს
სიცოცხლის ხალისს.

ძვირფასო! როგორც
ზედამხედველი,
თავს ზემოთ ქუში ღრუბელი მადგას...
გაბზარულია ისედაც ათგან —
შენ გამიმრთელე
გულის კედელი.

## აკაკი ვასაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

გ. ასათიანს

ჩვენ რა გვაშორებს — ათიოდ წელი,
სხვა არაფერი ამ წლების გარდა,
ორთავეს გულში გვჭირს საქართველო
და ვცხოვრობთ, როგორც ჩვენს მამებს სწამდათ,

და გამაჩნია ამქვეყნად თუ რამ,
გამახსენდება თუ რამ საამო,
გავუზიარებ, ძვირფასო გურამ,
მაგ შენი სულის მღიმარ საღამოს.

ჩვენ ხომ ორთავეს, უტყუარ გზნების
გვხიბლავდა ერთ დროს რემბო და პოე,
და ნამსხვრევები ცისფერ ყანწების
ავგაროზებად შემოვიტოვეთ,

და თუმცა გვტკივა ცხოვრების ხინჯი,
უღონოდ კი არ მივსტირით წარსულს,
ჩვენ აქაც ვწირავთ, — თუმც ფრიად გვიჭირს, —
რაც სიმართლედ გვწამს და რაც გულით გვსურს,

და თუ მავანნი გაგვიგულისდენ,
კიდეც გაჰკვესეს ჭყირტად ქილიკი,
ჩვენ კარგად ვიცით, ვინ სად უმიზნებს
და რა ჯაგნარშიც ვიკვლევთ ბილიკებს,

და როგორც მოდგამს ჯიშად ჩვენს გვარტომს,
კვლავაც შევძახოთ ცხოვრებას ოჩანს, —
შენ გაგიმარჯოს იმისთვის, რაც რომ
გულში დაგაქვს და, რაც კაცად გლოცავს.

### გულო, იხარე...

განა ვერ ხედავ? ახალ-უხლები,
თუმც ჯერაც ნორჩნი და ხელუხლებნი
და მაინც უკვე ტანად უხრელნი
აღმსდგარან — ჯიშით ქართლის მუხები.
შენ კი გეგონა სულ მთლად აჰკაფეს?
გეგონა სული მოუშთო მუმლმა?
მიმოიხედე, ძმაო, და ნახე,
რა იცის მიწამ, ფესვმა ქართულმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, აჰყევი მცხეთისკენ ზეგანს,
ან თუნდაც შიო-მღვიმისკენ ტაფობს, —
ეს სიზმარია თუ ცხადში ვხედავ
რომ ფერი მუხის უხვად კიაფობს?!
ო, ფერი მუხის, სამშობლოს ფერი,
სულს რომ სიყრმითგან ესაბამება, —
და მღერის, ისევ მღერის ქართველი:
შენთვის სიცოცხლე...
შენთვის წამება..
და კვლავ მაღლდება სული ურყევი, —
რა სასწაულად ჰყვავის აპრილი?! —
მუხლს იმაგრებენ ჩვენი მუხები
უკვე თამამად ტოტებაყრილნი,
ჩამდგარან რიგში, როგორც ჯარები, —
გულო, იხარე ამ სიუხვეთი! —
დროც მოვა, ქართულ მზის მცხუნვარებით
„მამულოს“ ერთხმად დაიქუხებენ.

### ნეტავ შენ, ჩიტო...

ნეტავ შენ, ჩიტო, ლაჟვარდის მეტი
რომ არა იცი ამ ქვეყანაზე, —
შენ გაიხარე, გწყალობდეს ღმერთი,
სულიც შენია და სილამაზეც...

მე კი ვით განვვლო ეს ცოდვის გზები?
სიმწრისგან უკვე მიშრება ყელი, —
ყოველდღე შენზე ოცნებით ვდგები,
ვწვები და — შენზე ოცნებას ვწყევლი,
რადგან გიცქერ და, მეც ფრენა მინდა,
მაგრამ ეს რარიგ დამძიმდა სული
რომ ვეღარ ვიწევ ცოდვილ მიწიდან
ეკალ-ჯაგნარში გამოხლართული?

და მაინც შენკენ მოვილტვი მაღლა
და მანუგეშებს კვლავ შენი ნახვა, —
ჩემი სხეული ლოდინმა დაღრნა,
სული ჭიდილში შემომელახა,
და ზოგჯერ ვფიქრობ:
სულ იყო ფუჭი
რაც იმედს ვწირე და რაც ვიზრუნე?
ალალს ვამბობ და — გაგება უჭირთ,
ცოცხლად ვიწვი და — არც ვინ მიყურებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე განა ვჩივი?!
ესაა კაცის
ბედი მცლაგავი, ფიქრი ორჭოფი:
ყოფნა მსურს, მაგრამ — გული არ მაცლის,
ფრენა მსურს, მაგრამ — ძალა არ მყოფნის,
და ნუ დამძრახავ, რომ ვერა ვწყდები
ჩემად წილხვედრილ გზების ნაპირებს,
და თუ ამ გზებზე სულიც წარწყმდება,
ძვირფასო, ესეც ნუ გაგაკვირვებს, —
ეს მე ვარ, კაცი!
რა, ვერ მიცანი
მონა ყოფნის და ნატვრა ფრენისა?!
ეს მე ვარ-მეთქი — კითხვის ნიშანი —
გამრუდებული გაორებისგან.

●

მე განა მძინავს,
მე უბრალოდ თვალი მივლულე
და ნუღარ მაკრთობთ ყრმობის იმედთა
მოგუგუნე ბრძოლის ზარებო,
ნუღარც თქვენ —
სხივმფენ სიამეთა ცეტო ქარებო, —
მე უკვე ვნახე,
რა არის სწრაფვა და რა — სიცხადე,
და ისიც ვიცი,
საით მომიხმობთ ან რას მიქადით
და, აღარ მინდა!...
სულ სატყუარზე რომ ანავარდეთ, დაიღალა და
თავიც გაბეზრდა ჩემს ლაღ მიმინოს,
და ახლა დროა —
დრო დაოკების,
დრო შორით ჭვრეტის
და მოლოდინში გარინდების —
დრო სამძიმილო —
თვალდახუჭულმა ვიმხედველო
და მხილველმა — ბრმობა ვითმინო.

**ვით სამიზნეში ნახტომი შველის**

ო რაღა ახლა,
ო რაღა ახლა,
როცა ეს წლები სიცოცხლეს კრძალავს,
გულში სინაზე რად განმიახლე
ან სიზმარივით რისთვის მეახელ
ლამაზო ქალო, ქალო შავთვალა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განა არ ვიდექ უკვე იმ ზღვართან,
ზღვართან სიმშვიდის — საზღაოდ თმენის,
ცხოვრებამ თითქოს სულიც ამართვა,
თითქოს მაქცია კერპად წარმართთა
და უცებ —
მაკრთობს ეგ სახე შენი.

და გადაკარგულს ყრმობაში ღიმილს
ჩურჩულით ისევ მახსენებს მთვარე, —
ძვირფასო, ხედავ, ბედს აღარ ვჩივი,
ანდა რას ვაქნევ ძველ გულისტკივილს
როს შენი მოსვლით მესხივმფენარე.

ბედისწერაა შენი აქ მოსვლა
ვით სამიზნეში ნახტომი შველის,—
და ვიცი, თუმცა გეტრფი და გლოცავ,
თუ ჩემად მსურხარ — მე უნდა მოგკლა...
და ვაი რომ ღმერთიც ვეღარ გვიშველის?!

●

თავს ნუ იტყუებ სიყვარულის ნაზი სიზმრებით,
ჩემო ლამაზო, —
სოკო რომ მხოლოდ ტყეში ამოდის,
განა ტყე უყვარს?!
მას, უბრალოდ, სინესტე და ჩრდილი სჭირდება...
და თუკი, ჩემი მიუსაფრობით,
შენს გაშლილ თმათა გიშრის ბინდში
შორით მოვლანდე სულდგმის იმედი, —
რაღად მეშორვი?
ჩემთვის ჩრდილს, ნეტავ,
უძვირფასესო,
რად არ იმეტებ?

●

მოკვდა ჯერ ლადო მთაწმინდელი — სილაღე კუნთის,
მოკვდა რჩეულა — ჯიში სულისა,
მოკვდა ედიშერ — სიკეთის სევდა,
მოკვდა ნიაზი —
ხელჩაქნეული დაუდევრობის მომხიბვლელობა,
მათ გაჰყვა შოთაც —
ჩვენი ბოჰემის უკანასკნელი ავანჩავანი...
ისინი მოკვდნენ —
(როგორც ამბობენ, თითქოს შემთხვევით) —
ახალ თბილისის გზნება, ეშხი და ნაღდი ლირიკა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ახლა,
სადღაც,
ძველთუბანის ვიწრო შუკებში
შმაგად შევყმუით მომდურავ დღეებს
მე და, ძვირფასი, ბანდალა-კიკა:

„ცხოვრებააა
ჩაალაააად
ალააააარ ღიიიიირს...“

კიკა ძლივსღა უკრავს არღანს
მე ღვინოში ბოლმისაგან ვიხრჩვები, —
ვაი რომ არღა,
ვაი რომ არღა,
ის სულმნათი,
გულმართალი,
პირმღიმარი ბიჭები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქუჟუნა წვიმა მოვიდა...

## იმერი ხარაძე

### ძახილი

დედაო ჩემო, საქართველოვ, —
შენ ჩემო პირმშოვ,
დღევ გუშინდელო და დიადო
დღეებო ხვალის,
შენი სიცოცხლის დასტურია
დღე დღევანდელი,
ჯერ არსმენილი რომ იტვირთა
მომავლის ვალი...
ააჩირაღდნე საზეიმოდ
ყველა დარბაზი
და ნუ დარჩები მარტო მზის და
ღმერთის ამარა...
შეჰკარ კამარა,
არწივების
შესაშური
შეჰკარ კამარა!..

## დარეჯან ბატიაშვილი

### ზმანება

ისევ ვათიე ეს ღამეც თეთრად,
ჩამოითენთა ცა დანაფერი,
გამოანათეს სხვა სურათებმა,
გამომელვიძა, სხვა არაფერი!

მე ღრმა ვარ, როგორც თრუსოს
ხეობა
და მაღალი ვარ, ვით მყინვარწვერი.
მეც გამაჩნია ჩემი მეობა,
მთათა კარიბჭეს მეც მივაგენი.

ვხედავ, მზეს როგორ ვუახლოვდები
და როგორა მცემს ქარი პირაქეთ,
გამართულია ჩემი ოდები,
შევსებულია ჯამი პირამდე.

დაცემულ ტყეში სადგურობს ჭმუნვა,
აქვს სიზმრეული მასაც იერი,
რად უნდა ვიყო მე ამ დროს ჩუმად,
ბროლით სავსეა თვალსაწიერი.

გამოანათეს სხვა სურათებმა,
გამომელვიძა, სხვა არაფერი!

## ლინა ბარათაშვილი

●

მე შენს ფუძეზე
შემოდგმული
სიყვარულით სავსე
სურა ვარ...
და წვეთწვეთად
გულზე გეღვრები.

## ციცინო შევარდნაძე

●

სევდით დავხედავ თმაში ჭაღარას,
და მზერას ვტყორცნი მწვანე
კოინდარს,
რატომღაც მჯერა, უსაზღვროდ
მჯერა, —
დაკარგულ იებს ვიღაც მომიტანს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნაზი ხელაია

## თქვენ მამაჩემის სახელი გქვიათ

თქვენ მამაჩემის სახელი გქვიათ,
და მამის სითბოს მიბრუნებთ თითქოს,
თქვენ მოდით გვიან,
ძალიან გვიან,
თეთრი ღიმილი
სულს მაინც მითბობს!

თქვენ მამაჩემის სინაზით მიმზერთ,
ძალას მაძლევთ და სულს მინუგეშებთ,
თქვენი სული და სიკეთე ვიგრძენ
ამაო ლოცვის სიმსუბუქეში!..

მარინე ფოცხვერაშვილი

## იმედი

დაეჭიდება შვილიშვილი პაპას, რომელსაც
ბავშის თვალებში საკუთარი ჯიში ახარებს.
გაუჯავრდება თვალჩამთბარი ბებრულ სიკეთით
და წარმოიდგენს ვრცელ სახნავზე მუხლმაგარ ხარებს
გამწევი ქედით, მამა-პაპის სისხლით და ფესვით.
სიტყვა ქართული მათ სხვაგვარად გაუჭრით ალბათ,
მაგრამ ექნებათ ძველქართული სითბო და დამღა,
არც არასოდეს დაჰყვებიან ძირმწარე დაღმართს,
გაიყოლებენ სიკეთისკენ მავანთ და მავანთ...

...და ეჭიდება შვილიშვილი პაპას, რომელსაც,
ბავშვის თვალებში საკუთარი ჯიში ახარებს.

ნინო მდივანი

## გაზაფხული

ასე გგონია, ხის კენწერო მზემდე ადისო!
ხემ ხეს შტოები გადააჭდო სამარადისოდ,
მზემ მთვარე ნახა, ვარსკვლავებიც დაწყვილდნენ ცაზე,
რად მოიწყინე, —
გაზაფხული ამ ქვეყანაზე
არც შენ დაგტოვებს ასე მარტო, ნუ გედარდება,—
(ბედნიერება, მკერდზე ერთი ხელის დადება...)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ აბულაძე

## შვილს

მე ისევ ბავშვი მგონიხარ,
ისევ პატარა კრავი,
ქალარა გამოგრევია,
მოგიკვდა ჩემი თავი.

დღეს აივანზე მერცხლებმა
ველარც კი გიცნეს, ხედავ,
შვილიც რომ შეივერცხლება
საამაყო აქვს დედას.

იამზე ჩიქავა

•

მარადიული ტკივილების ცივ
სამყაროში
იძირება თქვენი სიშორე...
ო, მირიადგზის ცოცხალო სევდავ!
ჟამიდან-ჟამად იმ ტრფიალით
ვარ მონუსხული,
რომლითაც თქვენ
მამულზე ფიქრი
და საქართველოს მთები გიყვარდათ

ტერეზა ჯოჯუა

## ახალწლის ღამე

კვლავ შენ სახელზე ვმისნობ ამ ღამეს...
უკანასკნელი საათი მიქრის...
თოვს... და თან მიაქვს ძველი წლის ტვირთი,
როგორც გადაღლილ გრძნობათა ტვირთი
და გულში ახალ მოლოდინს არწევს...

ამ ღამით მოვა ყველა აჩრდილი...
და ამიტკიებს შეფერილ ღარებს,
ჩამორეკავენ ჩათვლემილ ზარებს,
გამახსენებენ ტკბილსა და მწარეს...
ო, რამდენს იტევს ახალწლის ღამე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე უეცრად გაქრება ყველა...
და ერთადერთი დამრჩება ჩელა —
შენზე სიმღერა ნაგვიანები —
და მოვლენ ისევ განთიადები —
გამოგონილი განთიადები...

## გულიკო დვალი

●

არ არსებობდეს ღალატი, იქვი
და სადღაც სოფლის ბოლოს
მქონდეს ქოხი და სოფლელი ბიჭი
მიყვარდეს სოფლელ გოგოს
და ფეხშიშველი ღელესთან დიდხანს
გიცდიდე ზვინის ჩრდილში,
გელოდებოდე ამ დილა-სისხამ
სიხარულით და შიშით,
გელოდებოდე თივის სურნელით
გულისპირზე და თმაზე,
ეს სიყვარული განუკურნელი
მჭირდეს მაშინაც ასე...
მეფერებოდეს მზეში დამწვარი
ბრინჯაოსფერი მკლავი,
მწიფე ყანები პურის და ქერის
თვალს გვარიდებდნენ კრძალვით.
მინდვრის ყვავილით ვწნავდეთ გვირგვინებს,
ხბორებს ვმწყემსავდეთ ერთად,
მე და მზის გულზე გაშლილ გვირილებს
ლაშე გვეძინოს შენთან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანო იორამაშვილი

# ჩემი მოთხრობა

# ნოსტალგია

ვანო ქორიძეს წელიწადში ორჯერ-სამჯერ მაინც უხდება სამსახურიდან წასვლა ლენინგრადში. ადრე უშველებელ სიას და ფულს გამოატანდნენ ხოლმე და თავის საქმის მოგვარების შემდეგ ენაგადმოგდებული დარბოდა მაღაზიებში. სასტუმროში რომ ამდენ რამეს შეიტანდა, რცხვენოდა კიდეც, სპეკულანტი არ ვეგონოო. ახლა ჭკუა ისწავლა, არავის არ ეუბნება სად მიდის და არის თავისთვის წყნარად. ქარხანაში საქმე მოათავა, მერე „ლიტეინი" პროსპექტზე ისადილა და სეირნობით გაუყვა პესტელის ქუჩას. მუზეუმები თითოჯერ კი ჰქონდა დათვალიერებული და რა ექნა, არ იყო იმის კაცი, საათობით მდგარიყო თითო სურათთან. ფურმანოვის ქუჩის კუთხეში სიგარეტი იყიდა და ერთი კათხა ლუდიც უნდოდა დაელია, მაგრამ ფარდულთან იმხელა რიგი იდგა, ამ რიგში ოქროსთვის არ ჩავდგებიო, გაიფიქრა და „საზაფხულო" ბაღში შევიდა დროის მოსაკლავად. ცოტა ხანს ტბასთან ჩამოჯდა და გედების ყურებით გაერთო. მერე წამოდგა და ნევის მხარეს დაუყვა გზას. პატარა ბიჭებს ფანტანკაში ანკესები გადაეყარათ და მოთმინებით ელოდნენ. კრილოვის ძეგლთან ჩამოჯდა. ექსკურსანტებს სათვალიანი ქალი ძეგლის შესახებ ესაუბრებოდა და ძალაუნებურად ყური მიუგდო. თურმე კლოდტს ცხოველები რომ გამოუძერწია, ყველა ცხოველი სახლში ჰყოლია და ნატურიდან მუშაობდა. არც ამისთანა ამბები აინტერესებდა დიდად და ყური მოარიდა. მის გვერდით პატარა ლამაზი გოგო თამაშობდა. იქვე იჯდა მისი უფრო ლამაზი დედა, ჟურნალს კითხულობდა და დროდადრო ბავშვს გამოელაპარაკებოდა ხოლმე.

ვანომ ბავშვს დაუწყო თამაში. გასწევდა ხელს, ვითომ უნდა დაეჭირა, ის უცებ უკან გახტებოდა და აკისკისდებოდა. მერე ისევ მივიდოდა, ახლოს დადგებოდა და შეკავებული სიცილით გამომწვევად ელოდებოდა. ისევ გასწევდა ხელს და უარესი ხარხარით გახტებოდა უკან.

დედამ შენიშვნა მისცა, ჭკვიანად იყავიო. ბავშვი მაინც ერთ ამბავში იყო.

— მაკა, გეილახები ახლა! — თქვა ქალმა ქართულად და ვანომ გაკვირვებით შეხედა.

ქალი გაიბადრა.

— დედა, ქართველი ხართ? — წამოდგა და ვანოს საკმზე გადმოჯდა.

— საიდან, ბატონო, აქანა ცხოვრობთ თუ ჩამოსული ხართ.

ვანომ უპასუხა.

— დედა, რო გევიგონებ ქართულ ლაპარაკს, ერთი კვირა ბედნიერი ვარ მერე.

ვანო ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ეს ქალი ქართველი იყო. რუსულად წმინდად ლაპარაკობდა, უაქცენტოდ. ქართულად კი აშკარა იმერული კილოთი.

— თქვენ აქ ცხოვრობთ, ქალბატონო? — ჰკითხა ვანომ.

— აქანა, აბა! ცამეტი წელია აქანე ვცხოვრობ და ექვსი წელია სულ არ ვყოფილვარ საქართველოში.

— რუსია ქმარი ალბათ.

— რავა გეკადრებათ. ქართველია მარა, დიდი ხანია აქანა ცხოვრობს და არ ეთმობა აქაურობა. სულ კი მპირდება წავალთ, წავალთო, მარა მატყუებს, ვიცი. უბედური მამაჩემი ჩემს დარდს გადაჰყვა, არ უნდოდა ამ სიშორეზე ჩემი გამოშვება. ის კი არა. ჩემი და აბაშაშია გათხოვილი და იმაზე ამბობდა, შორიაო. ხრეითიდან ვარო, ჩემო ბატონო. ჩვენი დედა, რა სახლი, რა ეზო, რა კოინდარი, რა დავტოვე და სად წამოვედი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— როგორ? არ თქვათ ახლა, ხრეითი ჯობიათ ლენინგრადს, — გაიცინა ვანომ.

— რავა არ ჯობია, — გაიკვირვა ქალმა. — ეს რასაც აქანა უყურებთ, კია დიდებული, მარა უნდა ნახო მუზეუმივით და წახვიდე შენს სახლში მერე. კი შევეჩვიე თითქოს, მარა რაღა შეჩვევაა, შენიანს რომ ვერ ნახავ. ნამეტანი ძნელი ყოფილა. ისე მომიკვდა მამაც და დედაც. ცოცხლებს ვერც ერთს ვერ ჩავუსწარი. დედაჩემის გასვენებასაც კი ვერ დავესწარი, ფრენა არ იყო, სამი დღე აეროდრომზე ვიჯექი. კი თქვეს, არ იქნება ფრენაო, მაგრამ არ წამოვყევი ქმარს სახლში. მაინც იმედი მქონდა. კვირას დედაჩემი დაასაფლავეს და ორშაბათს მე ჩავედი. აგერ ექვსი წელი გავიდა. იმის შემდეგ სულ ვაპირებთ, ვაპირებთ და ხან რა გამოჩნდება და ხან რა, ვერ მოგვიხერხებია წასვლა. ქართულ ლაპარაკსა ვარ მონატრებული. მაგი თუ არ გამოსცადე, ვერ გაიგებ. ლექსებში რომ ლამაზი სიტყვებია სამშობლოზე, იგიც არაა ეს. ამას ვერა კაცი ვერ დაწერს.

— მერე თქვენი ქმარი რას გეუბნებათ?

— კი მპირდება, წავალთო, მარა მე მამშვიდებს ამით. შეჩვეულია აქაურობას. დიდი ხანია აქანა ცხოვრობს და არ ეთმობა. აუხირებია ილია, აკაკი, ჯავახიშვილი აქ იყვნენო. მერე შე დალოცვილო, ისინი რომ იყვნენ, ისწავლეს და ქე წავიდნენ აქედანთქვა. მართლა იმისთანა რამეს რომ აკეთებდეს, კი ბატონო, ხმასაც არ ამევიღებდი, მარა იმას ვჩივი, რომე ჩვეულებრივი ინჟინერი გინდ აქ იყავი და გინდ იქ, არ დააკლდება ლენინგრადს ეს. გუშინ ერმიტაჟში მყავდა ბოვში, ბიჭი მყავს უფროსი, თორმეტი წლის. არქეოლოგიის განყოფილებაში რომ ეს ნაირნაირი თიხის ჭურჭელი დავათვალიერეთ, გული შემეკუმშა თლათ, შრომშა გამახსენდა. მამიდა მყავს გათხოვილი შრომაში, ბატონო. კაი კაცი იყო, აცხონოს ღმერთმა მამიდაჩემის ქმარი. გექნებათ გაგებული სევასტი მოდებაძე. დედა, ხელი ჰქონდა ოქროსი, ყველას ნახელავისაგან გამოირჩეოდა მისი ჭურჭელი. ახლა ჩემი მამიდაშვილი მისი ნახევარიც არ არის, მარა მამამისს მეჭურჭლე ერქვა და ამას მხატვარი კერამიკოსი ჰქვია, ჩემო ბატონო.

ქალი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ ინატრა:

— ერთი კვირა დღეს გამართონია კიათურაში და მერე მომკლა. მე შენ გეტყვი. უზრდელი სიტყვა-პასუხს გეიგონებ ან გკადრებს ვინმე რამეს უხიავს.

— აბა, ლენინგრადს თუ მართლა ხრეითი გირჩევნიათ და რაღა უნდა გითხრათ, — გაეცინა ვანოს. — კი მაგრამ, თქვენი ქმარი სად ნახეთ, ესეც თქვენებურია?

— არა, ბატონო, მე ის იყო დავამთავრე. ეს უკვე ინჟინერი იყო, აბესაძეებში ჩამოვიდა სტუმრად. მელიტონ აბესაძის ბიჭიც აქანა სწავლობდა და ამხანაგობდა ამას. დამიძახეს მისახმარებლად. აქამდე მქონდა ცომში ხელები, ა! არ დეიჯერებთ და არც კი შემიხედია ზედ. ისე დიდი მეგონა, რაფერ წარმევიდგენდი რასმე. ის დღე იყო და ის. არ მომცა საშველი. მე ასეთი კი არ ვიყავი. არა მიშავდა რა შეხედულად.

ასეთი კი არ ვიყავიო, არა და, იმისთანა ლამაზი იყო, თვალს ვერ მოწყვეტდა კაცი. ვანოს უნდოდა ეთქვა, ეხლაც ლამაზი ხართო, მაგრამ ვერ მოახერხა, თანაც რა ვიცი, ცუდად არ გამიგოსო და სიჩუმე ამჯობინა.

— შესახედად არც ჩემი ქმარი დეიწუნება. მაგან ამიბა თვალები. მამაჩემი იყო ძალიან წინაალმდეგი. იმ სიშორეს როგორ გაგიშვაო და თანაც ნამეტანი ლამაზია და მაგი ოჯახში არ გამოდგება, არ გაგამწაროსო. იქეთ ისინი და აქეთ ეს. არ მომეშვა არაფრით. ამასობაში მეც ქე შემიყვარდა. დავკარი ფეხი და წამოვყევი ჩუმად. იმ დღიდან ჩავარდა მამაჩემი ლოგინად და აღარც ადგარა. მე კი ვწერდი წერილებს, მარა შემომწყრალები იყვნენ და პასუხს არ მაძლევდნენ. ის კი არა, ჩემო ბატონო, უფროსი ძმა აპირებდა თურმე წამოსვლას, ორივეს დავხოცავო და ახლა ჩემი ქმრის უკეთესი არავინ ჰყავს. მამაჩემის სიკვდილი კი შემატყობინეს, რომ ჩავედით, მაშინ შეგვირიგდნენ. მამაჩემი ვილას ახსოვდა. მეორედ მოსვლა იყო პირდაპირ, მე მტიროდნენ.

ქალი ყვებოდა და თან ტიროდა.

— რავა ვაპატიებ ჩემს თავს ამას, მე მოვკალი მამაჩემი.

# დ ე პ ე შ ა

ოლას ნაჯაფარმა ხელებმა დაისვენეს. საამდღისოდ ცალკე გადალაგებული საცვლები, ძვირფასი კაბა და ფეხსაცმელები გადმოიღეს და მიცვალებულის გაპატიოსნებას შეუდგნენ.

რძალმა თქვა, მე ხელს ვერ მოვკიდებ, მეშინიაო და ამ საქმისათვის კოპუაანთ ეთერა ამოიყვანეს.

ეთერამ, — რა იყოთ, ბალღნო, ცოცხალი კეთილი ქალი იყო და მკვდარმა რა უნდა დაგიშაოთო და მიცვალებულის ჩაცმას შეუდგა. მაგრამ, როცა ჯერი ფეხსაცმელზე მიდგა, ვე-

ᲜᲐᲜᲝ ᲘᲝᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲠᲘ ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაფრით ვერ ჩააცვა. ფეხები ძალიან დასივ-ბოდა და არაფრით არ ჩასდიოდა. თქვეს, გავ-ჭრათო. მაგრამ უფროსი და წავიდა წინაღმ-დეგი. ფ[illegible] არ [illegible], ჩემ კაცს მაგეებით უნ-და მიუვიდეო. მოუკვდეს დაი, და ეხლა უნდა გა[illegible]ბედურ[illegible]?

— [illegible] იქაც ხო არ უნდა აატოხო. — წაიბურტყუნა რძალმა.

მაგრამ დამ — ეეჰ! ჯიგარი არ გეწვის და ეგრე იმიტომ ამბობო.

საბოლოოდ ვერაფერი მოახერხეს. მართლა გაჭრეს და ისე ჩამოაცვეს. ოლას ახალი თავ-საფარიც ჰქონდა. მაგრამ თავზე ხომ არ წა-აკრავდნენ. დაკეცეს და მხარქვეშ ამოუდეს. თავთით ჯამით ხორბალი, ჭიქით წყალი დაუდ-გეს და სანთელი დაუნთეს. მერე ყველაფერი წესი შეასრულეს. სურათიც გაადიდეს. გაზეთ-შიც გამოაქვეყნეს და ქელეხის თადარიგიც და-იჭირეს.

პანაშვიდზე, როცა ხალხი მოვიდა, ბიჭები კედელთან ჩამომწკრივდნენ. რძლები სკამებ-ზე ჩამოსხდნენ. დას, პატარა, გამხდარ მოხუცს, თავი უცახცახებდა. მაგრამ რძლებს მაინც წაჰკრა წკიპურტი.

მოგიკვდა დაი. — წვრილკისერა გოგოს გადიდებულ სურათს შეხედა და განაგრძო. — შენი ვეწერა უნდა გჯდომოდა ქირისუფლადა. რო იმას დაეგლიჯა თმაი და ცრემლი დაეყარა შენთვისა. ბიჭები ბარემაც იმდურდრებიან გულში. მაგრამა რცხვენიათ ხმის ამოღებაი.

რძლებმა ქვეტექსტი მშვენივრად გაიგეს.

ნეხი თქვენც დაგეცათ. რას ამბობ. ერთი შავი დღე კი აღარ გამახსენდება თქვენგანო, გაიფიქრა უფროსმა რძალმა. მაგრამ დაინახა კარებში საბჭოს თავმჯდომარე შემოვიდა და უცბად ხმამაღლა დაიწყო: — დედამთილოო, დე-დამთილი როგორ დაგიძახო, რო დედაზე ტკბი-ლი იყავი. ჩვიდმეტი წელია ამ ოჯახში ვარ და წინ ზიხარ, უკან დაჯექი არ გვიკადრებია ერთ-მანეთისთვისაა. რო ვავიხედამ და აღარ იგულ-გულებ შენ მონაგრებულ არემარეზედა, ხო სიმ-წრით წელები უნდა დამეწვას. როგორ უნდა გავძლოო.

თავმჯდომარემ ყველას ხელი ჩამოართვა. მერე მიცვალებულის თავთით დადგა და ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ თქვა. — ესე ყოფილა, რა. რაც გინდა იფაფხურო. ბოლო მაინც ეს ყოფილა ჩვენი. მერე ისე გადახედა ყველას, კრებაზე რომ გადახედავდა ხოლმე. ჯიბიდან დეპეშა ამოიღო. სათვალე გაიკეთა და ხმა-მაღლა წაიკითხა:

იმერლიშვილების ოჯახს!

ვიზიარებ თქვენს მწუხარებას, ჩემი საყვარე-ლი ოლას გარდაცვალების გამო. ვწუხვარ ავადმყოფობის გამო დაკრძალვას ვერ ვესწრე-ბი.

ანიკო წერეთელი

უუმბარის გავარდნასა ჰგავდა ამ გვარისა და სახელის წაკითხვა. სოფელში რამდენი წელი იყო, ამაზე იცინოდნენ და არა სჯერო-დათ ეს ნაცნობობა. საქართველოსა და საბჭო-თა კავშირის სახალხო არტისტი, მსოფლიოში ცნობილი მსახიობი თუ ოლას დაელაპარაკებო-და, რას წარმოიდგენდნენ.

ოლას რამდენჯერ ჰქონდა მონაყოლი, მაგ-რამ მოგონილი ეგონათ. ოლა ყვებოდა, პირვე-ლად როგორ ეჩხუბა ანიკოს და აი, სწორედ ეს ვერ წარმოედგინათ. ვერ გაუბედავდაო. ოლამ კი მაშინ მშვენივრად გაუბედა, იმიტომ, რომ არ იცოდა, ვინ იყო და არც აინტერესებ-და. ეს ამბავი კი ასე მოხდა.

ავიდა მატარებელში ოლა ვაშლებით დატ-ვირთული კალათებით, კუპეს კარი გააღო და კალათები შიგ შეალაგა.

—რას შვრები, ქალო? სად მოდიხარო? — იკითხა აღშფოთებულმა, ზვიადი შესახედაო-ბის შუახნის ქალმა.

— მა რა ვქნა, მხრებზე ხო არ შევილაგებ.

— ეხლავე გამცილებელს დაუძახე, - უთხრა ქალმა, მზისგან გაშავებულ გოგოს.

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრას, -- დაადევ-ნა ოლამ და ჩამოჯდა.

გამცილებელი დინჯად შემოვიდა და ოლას ბილეთი სთხოვა. ოლას ბილეთი კი ჰქონდა მაგრამ სხვა ვაგონის.

ზვიადი შესახედაობის ქალი ოდნავ ხრიხწი-ანი ხმით უხსნიდა გამცილებელს.

— ორადგილიანი კუპე არ იყო და მე სპე-ციალურად ოთხივე ბილეთი ავიღე, რომ არავინ შემოსულიყო ჩემს კუპეში.

— ადე, ქალო, და გაბრძანდი გარეთ, — თქვა შეკავებული სიბრაზით გამცილებელმა.

ოლამ ხელები მუხლებზე დაიდო. ფანჯარა-ში გაიხედა და დაუტკეპნა:

— ფეხსაც არ მოვიცვლი აქედანა.

— ქალო, იცი შენ ეს ვინ არი?

ოლამ შეხედა ქალს დაცინვით. ამ საყურეე-ბის, მძივების და სამაჯურების პატრონი ვინ იქნებაო და არც დაუმალავს თავისი აზრი.

— ვინც უნდა იყოს, რამდენი კახპაა ქვეყა-ნაზე!

გამცილებელი აღშფოთდა და ხელით წაიწია. მაგრამ ქალებმა ხარხარი დაიწყეს და თვითონ ჩაუდგნენ შუაში.

მერე სიცილით რომ გული იჯერეს, გამცი-ლებელს უთხრეს, კარგი, წადი. რაღა დარჩა თბილისამდე, იყოსო. კასპამდე ოლა პირგამე-ხებული იჯდა, მერე ქალმა ჰკითხა, ესა და ეს კინო არ გინახავსო? ოლას არ ენახა.

— ტელევიზორი გაქვთ სახლში? — დაინ-ტერესდა ქალი.

— იჰ, შენ გახარებას, ტელევიზორისთვის მოცლა ვისა აქვს. პირველი ჩემი რძლები გა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოიჭიმებიან ხოლმე, აბა უიმათოდ არა მოხდეს რა.

ანიკო წერეთელი გაკვირვებული იყო. პარიზში და ლონდონში თაიგულებით ხვდებოდნენ. ნიუ-იორკში სასტუმროსთან ავტოგრაფების მსურველებს ორ საათამდე ვერ დააღწია თავი და აქ, თავის ქვეყანაში ოლას მისი არსებობაც არ გაეგო.

ანიკო წერეთელი წამოდგა, წელზე ხელი მოიკიდა და შეწუხებული სახე მიიღო.

— ჰაჰები გტკივათ? — ჰკითხა ოლამ.

— ხო, თირკმელები მტკივა, არაფერმა არ მიშველა.

— მერე ჯორისძუა ბალახი შინჯეით?

— რა? — გაუკვირდა ანიკო წერეთელს.

— ჯორისძუა ბალახი, ჩვენში იცის, ჭაობიან ალაგას, მაგითანა წამალი არა არის რა.

— აბა, სად ვიშოვი მაგას, მოიცა ჩავიწერო, იქნებ ჩემს შოფერს ვაშოვნინო.

— იი, ჩვენთან მაგი მეტი რა არი, დამიწერეთ თქვენი მისამართი და მეორედ რო წამოვალ ბაზარზე, წამოგიღებთ. ისე გაგიხადოთ ჰაჰები, რო სუ ჩემი მლოცველი იქნებით.

ანიკო წერეთელმა მისამართი ჩაუწერა და ორი კვირის შემდეგ ერთი ტომარა ჯორისძუა ბალახი და ერთი კალათა ვაშლითა და ჩურჩხელებით დატვირთული ოლა ანიკო წერეთელს მიადგა. ოლამ ფეხზე გაიხადა, მაგრამ ანიკომ ჩააცმევინა და ისე შეიყვანა სახლში. ოლა შეკრთა. ასეთი არაფერი ენახა. ყველაფერი ბრწყინავდა. უზარმაზარი ჭაღი, ჩუქურთმიანი ავეჯი, ბროლი და ფაიფური.

ვაი, ჩვენი ბრალიცა, როგორ ცხოვრობს თურმე ხალხი, — გაიფიქრა გულში, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ანიკო წერეთელმა იმ საღამოს თეატრში წაიყვანა. ლოჟაში მჯდარმა ოლამ სცენაზე რომ დედოფლის ტანსაცმელში გამოწყობილი ანიკო დაინახა, ველარ მოითმინა: — უი, დაიწვი, ანიკო, გაქრი აჰა!

ამის შემდეგ კიდევ რამდენჯერმე ჩაუტანა ის ბალახი და მართლა მოარჩინა. ანიკო თავის მეგობარს ეძახდა. მაგრამ სოფელში ეს ამბავი არავის სჯეროდა. ოლა, იქნებ დაიჯერონო და წვრილმანებს უყვებოდა: ვაი, ცხოვრობენ, ცხოვრობენ რო ჰაა, რეები აქვთ სახლში, ხალხნო, აბა რა გითხრათ, სახელებიც არ ვიცი. იჰ, საოხრეზე ალებულს სატიალოზე ჰყრიან. ერთი ტიტველა ქალის სურათი უკიდიათ, უიმეე, ბავშვების პატრონები მაინც არ იყვნენ, გენაცვალეთ. მაგრამ რაც არ უნდა ეთქვა, ვინ დაიჯერებდა, სად ანიკო წერეთელი და სად ოლაო.

ფოსტაში დეპეშა რომ მოვიდა, მათა დაიბნა და იმ წუთში საბჭოში შეარბენინა. სოსე ფოსტალიონი ელოდებოდა, რომ მიეცათ და სხვა დეპეშებთან ერთად ისიც წაეღო, მაგრამ თავმჯდომარემ — ვააჰ, ხედავთო? შუაზე გაკეცა, ჯიბეში ჩაიდო და მე თვითონ წავიღებო, თქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყუყუნა წვიმა მოვიდა

### მანანა აბრამიშვილი

●

დამაშვრალ ხელებს გაუჩნდათ შიში,
ლელვის ტანივით მოქნილი შიში,
გაქცევაც გინდა,
ყვირილიც გინდა —
წყურვილი გიშლის.

დახეთქილ პეშვებს გაუწვდი ვინმეს,
გაიჩენ ცეცხლსაც გადამშრალ
სულში,
ამაოდ ალბათ,
ამაოდ, რადგან
იმ ვიღაცასაც —
წყურვილი უშლის.

### ზუმრუდ გოდერძიშვილი

●

მე რომ მეორე სიცოცხლე მქონდეს,
ისევ და ისევ ვინატრებდი
ამ წუთს, ამ წამებს,
უშენობის დროს რომ მაწამებს.

მე რომ მეორე სიცოცხლე მქონდეს,
ისევ და ისევ ვინატრებდი
იღბალს იმ ქალის,
შენს მკლავებში რომ მიმქრალი.

მე რომ მეორე სიცოცხლე მქონდეს,
ვიცი, შენ ისევ იქნებოდი
სხვა ქალის ქმარი,
მე მექნებოდა ცარიელი სახლი
და კარი.

### ნელი ჩაჩავა

#### ჩემი სიცოცხლეც

ფართოდ გავაღე ყველა სარკმელი,
მზეა, ცხოვრება არ მელრუბლება,
მიწის სურნელი, ზეცის ნათელი,
გულს სიყვარულით ელამუნება.
ცხოვრების ჩარხის წალმა ტრიალი,
ნუმც მომიშალოს დედა-ბუნებამ,
სიოს ჩურჩული, ხეთა შრიალი,
ანაფრენ ლექსად მებულბულება.
ჯერ უთქმელი მაქვს ყველა
სათქმელი,
ის რაც დავთესე უნდა ვახარო,
სანთლად აანთე ჩემი სიცოცხლეც,
მზეო ნათელო, ცაო მაღალო.

### დიანა წიკლაური

●

ჭეშმარიტებავ,
შენს ძებნაში დაშვრა მრავალი,
მრავალს, შენს ზღურბლთან მოსულს,
რწმენის უმტყუნა ძალამ...
ჭეშმარიტებავ,
შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,
ყველა იმედით ელტვის შენი
დიდების ალამს...
ვითარცა ტალღა მოქცევისას
ეხება ნაპირს
და, უკუქცეულს,
კვლავ მოქცევის ათრთოლებს ჟინი,
ასევე სული შენთა კიდეთ
შენაჭიდები,
ამ ჯადოსნურ წრეს ვერ გადავა
ვერასდიდებით...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანი ოქრუაშვილი

### შენსკენ, მამულო!

არ ვიცი, რომელ გზა-ბილიკს გავყვე,
აქ შარაგზებიც ბევრზე ბევრია,
ვით შორს, ნისლებში გაშლილ მთის
კალთებს,
ჩემს ოცნებებსაც ლურჯი ფერი აქვთ.

მიხმობს, მეძახის მთათა სამყარო
და გაუკვალავ ბილიკთა წყება,
იყუჩე, გულო, მზის სხივნაყარო,
კლდეს ბევრი ქვა და ნატეხი სწყდება.

მე მაინც ურჩი მთასვლელი ვრჩები,
ლაღი ოცნებით, გულით ალალით,
მამულო, შენსკენ მოდიან გზები —
გაკვალულიც და გაუკვალავიც.

მერი ნაჭყებია

### გამოთხოვება გალაკტიონ ტაბიძესთან

გამოგეთხოვეთ აპრილის თვეში,
როცა ყვაოდა იასამანი,
რა ცივი იყო ის გაზაფხული,
რა მკაცრი იყო.
რა დასანანი!
მთიდან ყვირილი ისმოდა ირმის,
ბარად კვირტების იდგა ტკაცუნი,
ახლაც მაყრუოლებს ის გაზაფხული,—
რა მკაცრი იყო, რა ვაჟკაცური!

ელისო კალანდარიშვილი

### ფრაგმენტები

ზეცა შეზანზარდა და
ჭიქებივით ჩამოიმსხვრნენ
ჭირხლიანი ღრუბლები.
ჩვენ ისევ მიწაზე ვდგავართ,
თითებიდან სისხლი გვდის და
ვაგროვებთ დამსხვრეულ ზეცას.
მე მტკივა
ლურჯი, ლურჯი, ლურჯი.....

ყვირის ხმასავით მსუბუქი
დედამიწა.
დათვის ბელები კოტრიალობენ
მზიან ველზე.
ამოვარდნილა უკანასკნელი
ქარბუქი.
მღერიან ქორწილსმონატრებული
ქალწულები.
ჩვენ უსასრულოდ ვდგევართ
და გვტკივა ერთმანეთი,
მიწაზე ეს ტკივილი არ ეტევა
ზევით ცა არის.

. . . . . . . .

ქარმა დაგვიბერა და წაგვიღო.

ცირა შალაშვილი

### ბედის ნებიერება

რატომ ხდება ხოლმე —
იანვრის ქარით გაყინულ სახლში
დედა შემოვა
და ყველაფერი თბილია უკვე.
შენ ხარ პატარა,
(წლები საკუთარ მნიშვნელობას
კარგავენ ამ დროს)
შენ ხარ პატარა
და დაღლილ დედას
სულ უმიზეზოდ ფეხებში რომ
გაებლანდები —
გიხარია მისი ბუზღუნი,
მერე დივანზე
კატის კნუტივით მოიკალათებ
და იტრუნები.
— რა მდიდარი ხარ,
ნეტავი შენ! —
რა ბედნიერი!

ქრისტინე ჭინჭარაული

### თუ გიყვარს...

თუ გიფიქრია ოდესმე,
თუ ჩაგიხედავს გულში,
დღეს ვინ ხარ, ხვალ ვინ იქნები,
ან ვინ იყავი გუშინ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თუ ·წყალში არ ჩაგიყრია
სიტყვა. გარჯა და შრომა,
შენი ცხოვრების ნაბიჯებს
თუკი წინასწარ ზომავ.

თუ გიყვარს დიდი სამშობლო,
სხვაზე არასდროს გასცვლი,
შენი ოცნების ჯეჯილებს
თუ სარეველებს აცლი.

თუ სადღეგრძელოს ერისას
მხოლოდ თასით არ დალევ,
თუ პირნათელი შეაღებ
შენი მომავლის კარებს.

თუ გიყვარს ძირი ოჯახის,
ერის, სიმტკიცის, ვაზის,
მაშ, გხურებია, ყმაწვილო,
ქუდი კაცური კაცის.

ნათელა ჩხაიძე

## აი, ეს არის შენი მამული

თუ უცხო მხარეს დაგიყოვნდება,
ვისი ნახვა გსურს. ვინ გყავს
ნატრული?
სული ასე რომ გეწევა მისკენ, —
სწორედ ეგ არის შენი მამული!

სხვის მთებს, სხვის ზეცას როცა
უცქერი,
ჩუმად რომ შენსას ადარებს გული,
ხომ გირჩევნია. რომ შენი
სჯობდეს? —
აი. ეგ არის სწორედ მამული!

თუ სადმე უცხო, ლამაზ ხეს ნახავ,
სად გსურს იხილო ის გადარგული?
ყველა სიკეთე რომ მისთვის გინდა, —
აი, ეს არის სწორედ მამული!

და მასში ცუდი თუ დაინახე.
სულით ხორცამდე ხარ მოჟამული.
მისი ტკივილი ასე რომ გტკივა, —
აი, ეს არის სწორედ მამული!

ვინ გაგიბედავს გკითხოს; —
თუ გიყვარს
მისი მთაველი და მისი ხნული.
ასე უსაზღვროდ რომ დაუპყრიხარ, —
აი, ეს არის სწორედ მამული!

მაგ დაზრდილ შვილებს შენ არ
დასთმობდი,
თუნდაც მოეცათ სამყარო სრული;
მას რომ დასჭირდეს?.. არც
დაფიქრდები, —
აი, ეს არის სწორედ მამული!

ლილი ხუციშვილი

## ძველი სახლი

დროს წაუშლია სიცოცხლის კვალი...
ყრუ კედელთან დგას ძველი კარადა.
და იატაკზე მოპნეულ კირით
ობოლი სახლი გაჭაღარავდა,

ო, როგორ ჩქარობს წუთისოფელი,
ბედმა არ იცის არვის დანდობა,
მტვრიან სარკეში ჩანს ძველი ჭერი
და გარდასული ახალგაზრდობა.

უხმოდ ჩარბიან კიბეზე წლები,
მხრები მძიმდება დროის ლოდებით,
მაგრამ ბოლომდე ბავშვებად ვრჩებით
რადგან სიყვარულს სულ
ველოდებით,
რადგან სიყვარულს სულ
ველოდებით,
ვახ. თუ დამთავრდა აწ ყველაფერი,
ჩრდილების მხარეს მივექანები...
მე მხოლოდ სითბო მწყურია ახლა,
იმისთვის მოველ დანგრეულ
სახლთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეილა ცომაია

# ორი მოთხრობა

## თენგო

მაროამ ხელთათმანები მოირგო და, თოხის ტარს დაყრდნობილი, ეკლის ღობეშემოვლებულ ეზოს გადაღმა თხრილში ჩადგა. თოხი გვერდზე მოიდო და ხელით სარეველა ბალახების ამოთხრას შეუდგა. რომელიც არ ემორჩილებოდა თოხით ჭრიდა, ნამეტანი მომრავლდნენ ეს ფესვგასახმობები, ბოსტანში მწვანილების მორწყვა-მოვლით ლამისაა წელში გაწყდეს ქალი, მაგრამ მაინც ძლივს მოჩანან მიწაზე ეს ოხრები. ვერ იქნა და ვერ ამოიყარეს ტანი. ესენი კი რამ გადარია და გაალაღა ასე. ძირიც რომ მაგარი აქვთ...

მარო წელში გასწორდა და მომჩვარული შუბლიდან ოფლი ჩამოიწმინდა. მერმე თხრილს გახედა. ორი იმდენი საქმე კიდევ ედო წინ. მაინც რამსიგრძეა ეს ოხერი და ტიალი. ხალხისა რცხვენია, არ უნდა უპატრონო სახლკარს დაამგვანოს ეზო, თორემ სადღაა ჯანი. ეს შვილები კი...

ამ პატარა ოდა სახლში ხუთი შვილი გაზარდა მარომ, ახლა რომ სიძველისაგან და ქარისაგან განზე გადაბრეცილა და აქეთ-იქიდან ნაძვის ბიჯები შეუყენებიათ კეთილ მეზობლებს.

სამი შვილი თბილისში დაბინავდა, ერთი სოხუმში და ერთიც აგერ, გვერდზე უსახლობს, მაგრამ მასაც თავისი ოჯახი აქვს, თავისი წვრილ-შვილით და მოხუცი დედისათვის სადა სცალია. ამ შვილს მაინც ხედავს მარო კვირაში ორჯერ, დანარჩენები კი წელიწადში ერთხელაც არ დაენახვებიან. წერილებსაც კი ამადლიან, არ გვცალიანო. ერთი თავი აბარია, თავის სარჩოს კი იშოვის იმოდენა ეზოშიო, თავს იმშვიდებდენ ქალაქელი შვილები და საზრუნავს იცილებენ. საწყალი მარო კი... ნეტავ რას ჭამენ, საქმეებს როგოროლა აუდიან, ავად ხომ არ არიანო... დღედაღამ ფიქრობს, და ამ დარდიანი ფიქრებით ათენებს ღამეებს. „ოღონდ თვითონ იყვნენ კარგად, არაფერი გაუჭირდეთ და ჩემი თავი ჯანდაბას!“ ინატრებს და კვლავ ფუსფუსით განაგრძობს საქმეს.

— აჰაი, მარო! ხუთი შვილი გაზარდე და ერთიც არა გყავს მომხმარე? მისწერე წერილი და ჩამოვლენ, შე ქალო... — შესძახებენ ეზოში მოსაქმეს მეზობლები.

— სა სცალიათ, ნანა. თავისი საქმეები აქვთ... — გაამართლებს მარო შვილებს.

— აგერ, შვილიშვილებს დაუძახე, შე ქალო. მოკვდებიან, რომ მოგეხმარონ?

— სა სცალიათ, ნანა. სასწავლი აქვთ, — მათაც გაამართლებს მარო და კვლავ წვალებით ჩახრის მუხლს.

ხუთი შვილიშვილი კი ანცად დარბის ეზოში. ნაბოლარა თენგო მიდგება ხის მესერთან მხოლოდ და ფიქრიანი თვალებით მიაჩერდება ეზოში მოფუსფუსე ბებოს. დედა შინ რომ არ იყოს გაძვრებოდა მესერში და ისიც მასთან ერთად ჩაცუცქდებოდა...

პატარა თენგოს ფეხებთან ვაშლი დაეცა და მოლზე გაგორდა. თენგომ გაბრწყინებული თვალებით ახედა ხეს და გაგორებულ ვაშლს დაედევნა. იქაურობა მოათვალიერა, ატაცებული ვაშლი უბეში იკრა და მოკურცხლა.

— ბებო, ჭამე...

მარომ ცნობისმოყვარედ მოხედა ზურგს უკან მდგარ შვილიშვილს და სახე გაუნათდა.

— არ მინდა, ნანა. შენ ჭამე...

— ჭამე, ბებო. დედას არ დაუნახავს...

— შენ ჭამე, ნანა. შენ უფრო გარგებს, მოზარდი ხარ.

— მე ბევრი ვჭამე, ბებო. გამომართვი. რა? -

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვედრებით ნათქვამს გულიც ამოაყოლა პატარამ.

— ეს ხეები ხომ ყველა შენი დარგულია, ბებო?

— ახლა თქვენია, ნანა. ამ ღობის გაღაღმა და გაღმოღმაც ყველაფერი თქვენია, ნანა. მე რათ მინდა...

ზოგჯერ რძალი, პატარა თენგოს ხელით, სადილს გაუგზავნიდა დედამთილს, თან მიაყოლებდა: აჰა, მიუტანე იმ სულძაღლიანხო. თენგო გახარებული მიურბენინებდა ბებოს მოხაკითხს, თითქოს დედამაც ასევე დაუმადლებლად გამოატანაო. დედის ნათქვამით დასუსხულ პატარა გულს კი აბა, როგორ აჩვენებდა ბებოს...

— ჭამე, ბებო. დედამ გამოგიგზავნა, — მოეფერებოდა ბებოს.

— მადლობელი-თქო, ნანა, უთხარი... — მადლობას არ დაახანებდა მარო.

დედამ თენგო პურის საყიდლად გაგზავნა. სოფლის ერთადერთ მაღაზიაში, სადაც სასურსათო საქონელთან ერთად სხვა წვრილმანი ნივთებიც იყიდებოდა, თენგოს ყურადღება რაღაც ნივთმა მიიპყრო. თენგომ დიდხანს იწრიალა თაროსთან.

— ის მინდა, ძია, — მან პატარა თითი მტკიცე გადაწყვეტილებით გაიშვირა.

— დედიკომ დაგაბარა? წაიღე, ბიძიკო...

თენგომ ნივთი უბეში შეინახა, პური ორივე ხელებით გულთან მიიხუტა და გახარებულმა სახლისაკენ მოკურცხლა.

—ხურდას აკლია... — მაშინვე შენიშნა დედამ.

— გზაში დამეკარგა... — ამოიდუდღუნა თენგომ და თავი მუხლებამდე დახარა.

იმ ღამეს თენგო ლოგინში მოუსვენრად ცმუკავდა. ერთი სული ჰქონდა როდის გათენდებოდა. ინათა თუ არა, ლოგინიდან მალულად გამოძვრა და ტრუსიკის ამარა გაიქცა ბებოსთან, რომელიც სიმინდით სავსე ჯამით ეზოში იდგა და ქათმებს „ჯიე-ჯიეს" ძახილით აპურებდა.

— ბებო, გილოცავ რვა მარტს... — თენგომ მუჭა გადაშალა.

პატარა ხელის გულზე მას მახათი ედო...

— შენ შემოგევლე, ეს რა მომიტანე? სად იშოვე, ნანა... — მადლიერებით ავსებული მარო ბუტბუტით ლოცავდა შვილიშვილს და ათრთოლებული ხელებით იწმენდდა ლოყაზე უნებურად ჩამოგორებულ ცრემლს.

# წ ლ ე ბ ი

ლამარამ სირბილით გადაჭრა გადასასვლელი და აჩქარებით განაგრძო გზა. მკაცრი კაცი ჩანს ახალი უფროსი. აგერ, ორი კვირაა მოსულია და ჯერაც არ გაუხსნია შუბლი. ნეტა ღიმება თუ იცის? ამ კითხვაზე მას, უნებლიედ, გუშინდელი შემთხვევა მოაგონდა... გუშინ, ჯერ იყო და რის ვაი-ვაგლახით ავიდა ავტობუსში. მერე, ნახევარი გზაც არ გაევლო, რომ მოტორმა გაგულისებით დაიწყო ხრუტუნი. ცოტა ხანი კიდევ იჯახირა და არაქათგამოცლილმა, სვენებ-სვენებით განუტევა სული. ავტობუსიც მაშინვე გაჯიუტებული შედგა.

ლამარას თვალწინ წარმოუდგა კარებთან აყუდებული უფროსი, რომელმაც დაგვიანებული თანამშრომლის დანახვაზე სახე მოღუშა, დაშვებულ ცხვირთან მაჯა მიიტანა და საათს მკაცრი მზერით დახედა. წყალი არ გაუვა, წამებში აღნუსხა დაგვიანება...

— უუუ!.. — ლამარას გააჟრჟოლა და ნაბიჯს უფრო აუჩქარა.

მოაჯირზე დედაბერი დაყრდნობილიყო და თავი საცოდავად ჩაექინდრა.

ლამარა, თითქოს მკერდით უხილავ კედელს მიასკდა, სუნთქვაშეკრული შედგა და ქალის მოხრილ ტანს შეშფოთებით დააკვირდა... მოხუცს ცალ ხელში ძველისძველი ბადურა ეკავა, რომელშიც ერთი ბოთლი რძე, ხაჭო და არაუანი წესრიგით ჩაელაგებინა. სახე საბრალოდ ჩამოგრძელებოდა.

ირგვლივ მანქანები გრიალებდნენ, ენერგიული ნაბიჯების ხმა ისმოდა და ხმაურში ირეოდა, გამაყრუებლად ერთვოდა ცხოვრების საერთო გუგუნს.

„... ცუდად არის!" გაუელვა ლამარას.

— ცუდად ხომ არა ხართ? — მზრუნველად შეეკითხა ქალს.

— Сердце... — ძლივს აღმოთქვა მოხუცმა.

ლამარას სულ გადაავიწყდა თავისი მკაცრი უფროსი. დაუძლურებულ ქალს ბადურა ჩამოართვა, წელზე ხელი ფრთხილად მოხვია და ნაბიჯი აუწყო.

— ნუ გეშინიათ. აი, მიგიყვანთ სახლში და კარგად იქნებით. ექიმსაც გამოვიძახებთ. ნუ გეშინიათ... — ანუგეშებდა გზაზე. თან ცდილობდა, აჩქარებული ნაბიჯი არ გამოსვლოდა, მოხუცს სიარული უჭირდა.

— ეეე... აღარ ვიქნები კარგად ეს ჩემი უკანასკნელი დღეებია, — სინანულით ჩაილაპარაკა ქალმა.

— ასე შეგაშინათ ერთმა გულის აჩქარებამ? ესეც გაგივლით და კვლავ კარგად იქნებით. —

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღიმილით გაამხნევა ლამარამ და უნებურად ძრწოლამ დაუარა სხეულში.

ქალის სისხლდამშრალ და ნაოჭებად ჩამოწელილ სახეზე უკანასკნელი სხივები ციმციმებდნენ...

დედაბერმა ხელების კანკალით გააღო გამოკეტილი ოთახის კარი. ოთახში სიცივე და მდუმარება გამეფებულიყო. „რადიო არა გაქვთ?“ ხმის გაუღებლად იკითხა ლამარამ და ძებნა დაუწყო. ზედ, ქალის საწოლის თავზე ეკიდა იგი. ლამარა კედელს მივარდა და ხმის ჩამრთავი სწრაფად გადაატრიალა. ქალი მზრუნველი სიფრთხილით ჩააწვინა ლოგინში, სათბურები თბილი წყლით გაუვსო და ზურგზე და ფეხებზე დაადო ნახევრად გაყინულს.

...გზაზე ფიქრები აედევნა და მთელი დღე არ მოსცილებია. გონებით ბუნების კანონზომიერ მოვლენებს სჯიდა, — რაღაცაში ედავებოდა...

ძნელია მშვენიერებასთან განშორება!

დაამთავრა თუ არა სამუშაო, ლამარა მაშინვე მისკენ გაიქცა. ფეხზე დაუხვდა იგი. ეამა.

— ხომ გითხარით, კარგად იქნებით მეთქი, — შესძახა აღტაცებულმა — ხანდახან მოვალ და მოგხედავთ.

— ქმარ-შვილი ომში დავკარგე... აღარავინა მყავს... — მწარედ დაილაპარაკა დედაბერმა.

— რატომ, არავინ? მეზობლები, კეთილი ადამიანები... — გული გაუმაგრა ლამარამ.

— ეეჰ... რამდენმა ჩამიარა. მოხუცი აღარავის უნდა...

— რას ამბობთ! ალბათ, ცუდად ყოფნა ვერ შეგატყვეს, თორემ...

„მოხუცი აღარავის უნდა...“ ლამარას ტყვიასავით მოხვდა გულში. „ნუთუ?...“ ფიქრები აეშალა. მოუსვენარი ფიქრები ხან უკან დაარბენინებდნენ და ხან წინ, თითქოს მანძილს აზომვინებსო ყმაწვილობიდან სიბერემდე. რა ხანმოკლე ყოფილა პირველი. სამი გაელვება მხოლოდ. დანარჩენი კი... სიბერისაკენ ჩაქჩაქით მიმავალი წლები.

ელდა ეცა. თვალწინ წარმოუდგა ოღროჩოღრო გზა, რომელიც უსასრულობაში იკარგებოდა. იგი ნელა მიდიოდა ამ გზაზე, უფრო სწორად, გზა მოდიოდა მისკენ და მანძილი მათ შორის თვალშეუსწრები სისწრაფით მოკლდებოდა... გულზე ძრწოლა აეტორღიალა. არ უნდოდა თავი გაეცა. აფორიაქებული მზერა ქალის საწოლზე გადაიტანა და იქ, მოულოდნელად, მისკენ მოპყრობილ ცისფერ თვალებს წააწყდა. ლამარამ მზერა ვერ მოსწყვიტა მას. რაც მეტს აკვირდებოდა უფრო და უფრო იზიდავდა. მოხუცი თოვლში ამოსულ იასავით ლამაზი იყო...

ოთახი უნაზეს ფერთა ათინათით გაივსო და თავის ჰაეროვან ნისლში გაახვია საგნები. ქალიშვილის ბაგეებიდან სიცილი გადმოიფრქვა.

იდგა ლამარა და გულიანად კისკისებდა. მოხუციც იცინოდა. იცინოდნენ ორივენი. — დედაბერი წელთა სიმძიმით წელში მოხრილი, ლამარა კი ფოთლის გასაშლელად გამზადებული ტოტი სიცოცხლისა.

# ჟუჟუნა წვიმა მოვიდა...

ლია ასათიანი

## მოოჭვილი მთებით ქალაქი

ბჭობს კარიბჭესთან
მოოჭვილი მთებით ქალაქი,
ვითარცა კალო,
ამოვსებული მზიური ხვატით.
სამკურნალოა
თუბალეთის თბილი ტალახიც,
და შენი ხატით.
გვსურს ულრმესი და უძლეველი
კაბადონების კალთა მოვხატოთ,
მეჯვე და ქალო,
როგორც სამყაროს დიდი სამკვიდრო.
აქ, ყოველივე
იმედების ნერგი ხარობს...
ნატვრისთვალია თვალსაწიერ
თითეულ ქვაში
და უკვდავების წყაროდ მოჩქეფს
ყველა ნაკადი,
რამაც გვაკვება და დაგვაკვება
ვიდგეთ აქამდი
და მარადისით,
მანამდის, ვიდრე
მოგვდგამს და ძალგვიძს
ქმედითნი ვიყვნეთ...
ანდამატი აქვს, თუ მაგია
ლალად მოდენილ
„ლილეოს“ და „მრავალჟამიერს“
რაიც ქვაკირად ადუღაბებს
ლიხის გადაღმა იმიერს და
მოლმით ამიერს...
თითქოს, ნაჭდევი ყველა ჭირთა
ლამობს ალაგმოს,
ბჭობს კარიბჭესთან
მოოჭვილი მთებით ქალაქი.

ცირა გოგეშვილი

შევიდა კაცი მდინარეში,
როგორც ტყეში და
მიუყურადა წყლის შრიალს ხარბად.
მთვრალი ხეების ბარიტონი
სხლტებოდა სლიპ და წვეტიან
ქვებზე,
ხავსის ბურუსში ინთქმებოდა
უნივერსალი...
და ჩარგო კაცმა თავი ისევ
მდინარის ფულუროში, —
როგორც მეთაფლიე დათვი,
გემოს უსინჯავდა წყლის ხმას...
მერე მზერა სივრცეში გაფანტა,
ხოლო უწვრილესი ფერად-ფერადი
ბალახები,
ჯერ ისევ ნედლი და ნამიანი,
კბილებით ჰქონდა ჩაბღუჯული...
მღეროდა კაცი ტყიური გუგებით...

მალვინა მუკბანიანი

საით მიდიხართ, ნისლებო,
ფთილების ჩუმი შრიალით,
საითკენ მიგერეკებათ
მოუსვენარი ნიავი.
მინდა თქვენს ღვთიურ კალთაში
დაღლილმა ჩამოვისვენო, —
მო, ფრთები შემომახვიეთ,
საით მიდიხართ, ნისლებო?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი ჟღენტი

## სადღეგრძელო

ეს გაუმარჯოს, ქართული მიწის,
მშობელი მიწის ეშხსა და ჯავარს,
ვინც ამ მიწაზე უცეცხლოდ იწვის
და მაინც არ ჰგავს ეულად მავალს.
ეს გაუმარჯოს, ქართული ზეცის
ბრწყინვას, ლაჟვარდში მტრედების
ფართქალს,
ვისაც უსიტყვოდ ნათქვამი ესმის
და გულთან მიაქვს წუხილი სხვათა.
ეს გაგიმარჯოს, შენ, საქართველოვ,
დედავ, მშობელო უთვალავ გმირთა,
მტერთაგან ბევრჯერ ნამუსრ-
ნათელო,
ბევრჯერ მისულო სიკვდილის
პირთან,
მაგრამ ყოველთვის უკვდავთა კერად
მაინც აღმდგარო ისევ და ისევ.
შენ კვლავ სივრცეებს უშიშრად
სერავ
და ირმის ნახტომს მზისაკენ მისდევ!

ციური ჯანდიერი

●

ყველა ეპოქის მხატვარი —
დრო.
ყველა ეპოქის დამტევი —
დრო.
ყველა ეპოქის მსახვრალი —
დრო.

ლალი სხირტლაძე

## წვიმა

ისევ წვიმის წვეთები,
შენ და ჩემი ლექსები,
ისევ ძველი ხალისით
გული დუღს და მევსება.
ღამე მშვენიერია,
ფიქრს იმედის ფერი აქვს
და ნანატრი წვეთებიც
მოდიან და მღერიან...
ჰგავს ოცნებას გამხელილს,
მსგავსის არ ვარ მნახველი, —
რა ლამაზად წამოსცდა
წვიმას შენი სახელი.

ელენე ნადირაშვილი

## სამშვიდობო და საგაზაფხულო

სიმღერების ცეცხლი,
იმედების ზღვა,
მოწმენდილი ზეცა,
დათოვლილი მთა...

ძველი ოდა, კერა,
თონე, ვაზის რქა,
აფეთქილი ნუში —
თუ იქნება ხვალ?!

განა ჩემს თავს ვდარდობ,
ოცნებათა ღვარს, —
ცივგომბორის ჯადოს,
გუთნეულს და ხარს.

ხან შემიპყრობს შიში,
სიხარული — ხან,
რუსთაველის ჯიში
ხომ იქნება ხვალ...

შვილთა შვილის შვილი
გადაიხდის ვალს?!
ყრუანტელი მივლის:
ჩვენ ვიქნებით ხვალ!

ნუნუ ქალაბეგაშვილი

## თოვლი

თმებზე მადნება თოვლი,
დედის ხელივით თბილი,
თქვენთან და კვლავ თქვენ შორის
იმედიანად ვივლი.
ფიფქები... ფიფქი მღერის,
შრიალ-შრიალით თრთოლვა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილი, რა თბილი ხელი,
თეთრი, რა თეთრი თოვა,
დედის ღიმილი, თორემ
თოვლი ყოველთვის მოვა!

## დალი ფიროსმანაშვილი

●

შენც იმ დროს ნატრობ,
ალანძული ნუშის ყვავილი
მუხლზე რომ გეჯექი,
ბები,
თეთრი ცხენის ძუისაგან
დამიწან ბეჭედი.

## ნათელა მეგრელიშვილი

### სამომავლო

მერვე სართულზე ჰკიდია ბუდე,
ჰკიდია ბუდე მზესთან სულ ახლოს,
მალე შეგვცინებს თეთრი აპრილი,
თეთრი აპრილი, კვირტში რომ
სახლობს.

იები სცვივა ულრუბლო ზეცას
და წინ გაშლილი ლურჯი სივრცეა,
მალე იბარტყებს მერცხლების
ბუდე. —
იქ სამომავლო სამზადისია.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ასფურცელა

ზურამ პეტრიაშვილი

## მსახიობი

ᲘᲧᲝ ერთი ქალაქი...

იმ ქალაქის მცხოვრებთ თეატრში სიარული უყვარდათ.

გაიკვრებოდა თუ არა აფიშები, ამა და ამ დღეს წარმოდგენაა დანიშნულიო, მაშინვე რიგები დგებოდა თეატრის სალაროებთან. წინასწარ იყიდიდნენ ბილეთებს და მერე, როგორც დღესასწაულს, ისე ელოდნენ წარმოდგენის დღეს.

დადგებოდა ის დღეც და, მოსაღამოვდებოდა თუ არა, თავიანთ საუკეთესო კაბებსა და კოსტიუმებში გამოწყობილნი გამოვიდოდნენ სახლებიდან მოქალაქენი. ქალები კაცებს მკლავში ხელს გამოსდებდნენ და აუჩქარებლად გაუყვებოდნენ ქუჩებს. გზად ყვავილებსაც იყიდდნენ, ხვდებოდნენ ნაცნობებს და მიდიოდნენ საუბრით.

იგონებდნენ დიდი ხნის წინანდელ დადგმებს და ბოლო დროის წარმოდგენებს.

იგონებდნენ ადგილებს სხვადასხვა სპექტაკლებიდან და ისე ლაპარაკობდნენ სცენის გმირებზე, როგორც ცოცხალ ადამიანებზე.

ერთი სიტყვით, ნამდვილი სიყვარულით უყვარდათ თეატრი...

განსაკუთრებით ხშირად იმ საუბრებში ერთი მსახიობის სახელს ახსენებდნენ.

ის მსახიობი ჩვეულებრივი კაცი იყო.

არც სხვებზე უკეთესი გარეგნობა ჰქონდა და არც უფრო ძლიერი ხმა. დასში ბევრი იყო მასზე კარგი მომღერალი, მოცეკვავე და მოფარიკავე. და მალაყებსაც სხვები უკეთესად გადადიოდნენ.

მაგრამ როგორც კი ის შემოვიდოდა სცენაზე, მაყურებელთა გულები უცებ ძლიერ იწყებდნენ ძგერას.

და შემდეგ უკვე აღარავის ახსოვდა საკუთარი თავი.

მხიარულობდნენ, თუ ის მხიარულობდა, და ნაღვლიანდებოდნენ, თუ ის ნაღვლიანობდა. მასთან ერთად ფიქრობდნენ, მასთან ერთად იტანჯებოდნენ, მასთან ერთად რისხვით ევსებოდათ თვალები... და როცა იგი რამპასთან მოსული, ხელებს გაშლიდა და უხილავი ცისკენ დაიწყებდა ცქერას, მათაც იპყრობდა თავისუფლად ფრენის სურვილი.

თეატრისაკენ მიმავალი მაყურებლები იგონებდნენ ყველა წარმოდგენას, რომელშიც კი იმ მსახიობს ეთამაშა, ოღონდ ერიდებოდნენ წინასწარ რამე ეთქვათ წარმოდგენაზე, რომლის სანახავადაც ახლა მიდიოდნენ.

განა ეეჭვებოდათ, რომ იმ საღამოსაც ააძგერებდა მათ გულებს მსახიობის თამაში?

არა, მათ სხვა რამის ეშინოდათ.

არცთუ იშვიათად მსახიობი აგვიანებდა წარმოდგენაზე, ხანდახან კი სულაც არ მოდიოდა ხოლმე.

ნუ იფიქრებთ, რომ გაყოყოჩებული იყო, აქაოდა ყველაზე კარგი მსახიობი ვარო.

ისეც მომხდარა, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ რომ გამოსულან თეატრიდან, მაყურებლებს დაუნახავთ, როგორ მორბოდა ის კაცი მათკენ დაღლილი და გულამოვარდნილი, ხან მტვერში, ხან ტალახში ამოსვრილი, და ხანაც ტანსაცმელჩამოხეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოირბენდა ქოშინით და სთხოვდა ხალხს, მაპატიეთ, მერწმუნეთ ჩემი ბრალი არააო.

და მაყურებლებს სჯეროდათ მისი. გრძნობდნენ, რომ მსახიობს მართლა ჰქონდა რაღაც საიდუმლო მიზეზი.

მაშინ ეტყოდა ვინმე:

— გვითხარი, იქნებ ჩვენ დაგეხმაროთ რამეში, იქნებ ჩვენ გიშველოთო

— არა, ვერც დამეხმარებით და ვერც მიშველითო, — უპასუხებდა კაცი ნაღვლიანად და წავიდოდა

დაიშლებოდნენ ჩაფიქრებული მაყურებლები..

ხალხი არ ამბობდა საყვედურს, მაგრამ სპექტაკლის ჩაშლა მაინც უსიამოვნო რამაა და, ცხადია, არ მოსწონდა თეატრის დირექტორს.

თუმცა მსახიობიც ძალიან უყვარდა და მის უდანაშაულობასაც კარგად გრძნობდა, მაგრამ, აბა, რა ექნა, დირექტორი იყო და რამე უნდა ელონა. ამიტომაც სულ იმას ფიქრობდა, როგორ ამოეცნო მსახიობის საიდუმლო.

ბოლოს ასეთი ეშმაკობა მოიფიქრა:

მოდი, სათითაოდ დავიბარებ ყველას. ვინც თეატრში მუშაობს — შეგარდერობეებით დაწყებული და რეჟისორებით დამთავრებული და ვეტყვი, რა ვქნა, სხვა გზა აღარაა, ეს მსახიობი უნდა დავითხოვოთ თეატრიდან, ამდენი სპექტაკლის ჩაშლა აღარ შეიძლება-მეთქი.

იცოდა, რომ ის კაცი ყველას უყვარდა და აუცილებლად გაამჟღავნებდნენ, თუ იცოდნენ რამე.

ასეც მოიქცა.

ყველა მხურვალედ ეხვეწებოდა დირექტორს, ნუ გააგდებთ მსახიობსო, მაგრამ ცოდნით არავინ არაფერი იცოდა.

დაღონებული დირექტორი უკვე იმაზე ფიქრობდა, სხვა გზა აღარა მაქვს, ქალაქის თითოეულ მცხოვრებთან მომიწევს ლაპარაკიო, რომ ერთხელაც მის კაბინეტში მოხუცი მებილეთე ქალი შევიდა.

— ცოტა რამ მე ვიცი, შვილო, — უთხრა მოხუცმა ქალმა. — მსახიობმა დამაფიცა არავისთვის მეთქვა, მაგრამ რადგან მისი გაგდება გადაგიწყვეტიათ, უნდა გითხრათ, დიდი ხნის წინათ მთხოვა, როცა მე ვთამაშობ, არავითარ შემთხვევაში მაყურებელთა დარბაზში ბავშვი არ შემოუშვაო

— სულ ეგაა?

— ჰო, და მას შემდეგ ხშირად შემახსენებს ხოლმე თავის თხოვნას

დირექტორმა მადლობა გადაუხადა მოხუც ქალს.

— ხომ არ გააგდებ, შვილო?

— არა, არაფრის გულისთვის, — უთხრა მტკიცედ დირექტორმა.

მოხუცი მებილეთე ქალი წავიდა.

დირექტორი დაფიქრდა და მერე თქვა:

— ალბათ ახლა მაინც გაირკვევა ყველაფერი

...და იმავე საღამოს, როდესაც შუა სცენაზე მარტოდმარტო მდგარი მსახიობი ნაღვლიანად ამბობდა მონოლოგს, კულისებიდან პატარა ბიჭუნა გამოვიდა.

ეს დირექტორის შვილი იყო. თვით დირექტორი კი კულისებიდან უთვალთვალებდა სცენას.

ბიჭუნა მსახიობისაკენ გაემართა.

აჰა, მიუახლოვდა რამდენიმე ნაბიჯზე.

და უცებ...

მსახიობი ლამაზ, მწვანეფოთლება ხედ გადაიქცა.

მაყურებლებს ჯერ საგანგებოდ ჩაფიქრებული სცენური ფოკუსი ეგონათ და აქა-იქ ტაშიც დასცხეს.

მაგრამ მერე მიხვდნენ, რომ სასწაული მოხდა მათ თვალწინ და გარინდულნი მიაჩერდნენ სცენას.

იდგა ხე.

საიდანღაც სიომ დაუბერა და ჩუმი შრიალით აათამაშა ფოთლები...

უყურებდნენ მაყურებლები.

იდგა კოხტა ხე სცენის შუაგულში. მას ნელა უვლიდა გარს და შეჰყურებდა პატარა ბიჭი...

ცოტა ხნის შემდეგ კი კულისებიდან თეატრის დირექტორი გამოვიდა.

ერთხანს ისიც ჩუმად უყურებდა მოშრიალე ხეს, მერე კი უნებლიეთ ამოიხრა და ბიჭუნას უთხრა:

— წამოდი შვილო, უკვე შენი ძილის დროა.

— როგორ მოხდა, მამი? — ჰკითხა ბიჭუნამ და მამის ხელს ხელი ჩაჰკიდა.

— ეგ ძალიან კარგი მსახიობია, შვილო.

— იცოდა, რომ ეგეთი ხეები მიყვარს?

— ჰო, ალბათ, იცოდა, — უთხრა დირექტორმა. — თუ გინდა, ჩვენც დავრგოთ ეზოში ეგეთი ხეები.

— დავრგოთ, — თქვა ბიჭუნამ და მერე ხეს მიუბრუნდა: — ნახვამდის!

როგორც კი დირექტორი და მისი ბიჭუნა კულისებს მიეფარნენ, ხე ისევ კაცად იქცა.

და თითქოს ვიღაცის ძახილი გაიგესო, მაყურებლები ერთად წამოდგნენ ფეხზე.

მსახიობი ჩუმად მოვიდა რამპასთან და თავდახრილი გაჩერდა.

დუმდნენ მაყურებლებიც...

სიჩუმე დირექტორის ხმამ დაარღვია, მას ბავშვი მეუღლისთვის გაეყოლებინა სახლში და დაბრუნებულიყო.

— მაპატიე, თუ ძმა ხარ, არ გინდოდა საიდუმლოს გამჟღავნება, მაგრამ ვერ მოვითმინე, რომ არ გამეგო, — უთხრა დირექტორმა მსახიობს.

— ჰო, ადრე არ მინდოდა, მაგრამ ახლა მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხარია, რომ ასე მოხდა და მინდა მადლობა გითხრა.

მსახიობმა ხელი ჩამოართვა დირექტორს. მერე კი ხალხს მიმართა, ახლა დასხედით, ჩემს ამბავს გიამბობთო.

და აი, რა უამბო.

. . . . .

თურმე როდესაც მსახიობობა დაიწყო, გადაწყვიტა, თუ მინდა კარგად ვითამაშო, ადამიანებს ყურადღებით უნდა დავაკვირდეო.

დადიოდა ქუჩებში და ყველგან, სადაც ხალხი იროდა: მაღაზიებში, ბაზრებში, სადგურებში... სწავლობდა ვის როგორი მიხრა-მოხრა ჰქონდა, სად როგორ ლაპარაკობდნენ, როდის როგორ გამომეტყველებას იღებდნენ.

როცა სიარულით დაიღლებოდა, თავის ფანჯარასთან დაჯდებოდა და საათობით უცქერდა გამვლელებს..

დადიოდა ქალაქში, სოფელ-სოფელ, მთაბარად. .

და მართლაც უკეთ და უკეთ თამაშობდა სცენაზე.

და კიდევ უფრო მეტად აკვირდებოდა ხალხს.

ქვეყნად არასოდეს არავის შეუსწავლია ადამიანების ქცევა ისე კარგად, როგორც მან შეისწავლა.

იცოდა, როგორ იცინიან ჭაბუკები, როცა ცხენზე ამხედრებულები წვიმიან ველზე მიჰქრიან.

იცოდა, როგორ უყურებს ქალიშვილი თავისი ფანჯრის წინ აყვავებულ იასამანს.

იცოდა, როგორ უთრთით ხელები მოხუცებს, როცა შვილიშვილისაგან მიღებულ წერილს ხსნიან.

იცოდა, როგორ კრთის ბავშვი, როცა პირველად ჩიტს დაინახავს.

უკვე ყველაფერი იცოდა, რაც უნდა სცოდნოდა

და თუმცა მიზნად სულაც არ ჰქონია, უცებ აღმოაჩინა, რომ საოცარი უნარი შეიძინა: იმით, თუ ვინ როგორ იდგა, როგორ მიდიოდა ან როგორ იყურებოდა, მსახიობი ხვდებოდა, ვინ რაზე ფიქრობდა

საზღვარი არ ჰქონდა მის სიხარულს:

ახლა როცა ადამიანთა ფიქრების გამოცნობაც შეეძლო, კიდევ უკეთესი მსახიობი გახდებოდა.

არა, იგი სახელ-დიდებაზე არა ზრუნავდა. უბრალოდ, თავისი საქმე უყვარდა და უხაროდა, რომ თავისი თამაშით კიდევ უფრო მეტად აალელვებდა მაყურებლებს.

...ერთხელ ზამთრის დილით ქალაქის ბაღში მიდიოდა მსახიობი.

თოვდა. დიდი ხეები თეთრად ვადაპენტილიყვნენ.

არავინ ჩანდა ბაღში.

დათოვლილი ხეივანი რომ გაიარა და შებრუნდა, მსახიობმა დაინახა პატარა ტბის პირას სკამზე ახალგაზრდა ქალი და ექვსიოდე წლის გოგონა ისხდნენ და ტბას უცქეროდნენ.

„გოგონა რაღაც დიდ ჩიტებზე ფიქრობს" — მიხვდა მსახიობი.

მაგრამ არ გახარებია, რომ მიხვდა.

თუმცა გოგონას სახე არ დაუნახავს, მსახიობმა უცებ იგრძნო, რომ გოგონა დანაღვლიანებული იყო და საშინლად შეეკუმშა გული.

სწორედ ამ დროს გოგონამ ჰკითხა ქალს:

— აქ გედები რომ იყვნენ, რა იქნენ, დედა?

— გაფრინდნენ, შვილო.

დედის ხმაც ნაღვლიანი იყო.

— ყველა გაფრინდა? — ისევ ჰკითხა გოგონამ.

— ჰო, ალბათ ყველა.

— როდის დაბრუნდებიან?

— ზაფხულში.

— ეჰ, ზაფხულამდე იმდენი დროა... — თქვა გოგონამ და ამოიოხრა.

და უცებ მსახიობმა იგრძნო, რომ ძლიერ მოუნდა ხელები დაექნია ფრთებივით.

დაიქნია რამდენჯერმე, დაიქნია მძლავრად და — აფრინდა.

ტბაზე რომ დაფრინდა, უკვე გედი იყო..

— დედა, დედა, ნახე, გედი მოფრინდა! — დაიძახა გახარებულმა გოგონამ. სკამიდან ჩამოხტა და წყალთან მიირბინა.

— ჰო, შვილო, გედია, ნამდვილი გედი. — გახარებული იყო დედაც.

დაცურავდა გედი ტბაზე.

ბავშვი დიდხანს უცქეროდა მას.

ძლივს წაიყვანა დედამ.

ისინი რომ თვალს მიეფარნენ, ტბაში მოცურავე გედი ისევ იქცა კაცად. ძლივას გამოცურა ნაპირზე.

თავით ფეხამდე სველი იყო. იდგა გაოცებული და ეს თქვა ბოლოს:

— ერიჰაა, ეს რა ამბავია ჩემს თავსო.

წამოვიდა.

ხეივანში რამდენიმე მოსეირნეს ჩაუარა. იმათ იცნეს, გაუკვირდათ, რატომ დასველებულაო და უთხრეს, ხომ არ გიშველოთო.

არა, გმადლობთ, ნუ შეწუხდებითო, — უთხრა მსახიობმა და ჩაფიქრებულმა განაგრძო გზა.

მიდიოდა.

და უცებ იგრძნო, რომ კვლავ რაღაც მოუვიდა.

რომ გამოერკვა, ხმა მოესმა.

— ცუგო, ცუგო! — ამბობდა ვიღაც და თავზე უსვამდა ხელს.

აიხედა.

---

გურამ პეტრიაშვილი

ზღაპრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიჭუნა დაჰყურებდა.

სამიოდე წლის თუ იქნებოდა ბიჭუნა, მაგრამ ახლა ძალიან დიდი ტანის ჩანდა.

მსახიობმა ფეხებზე დაიხედა და პაწია თათები რომ დაინახა, მიხვდა, ლეკვად ქცეულიყო.

ცუდადაა საქმეო, — იფიქრა და მოკურცხლა, რაც შეეძლო ამაოდ მოსდევდა ბიჭუნა.

ბიჭუნა რომ აღარ ჩანდა, ლეკვი ბუჩქებში შევარდა და იქცა კაცად.

— ერიჰაა, — თქვა მეორედ და გაეცინა თავის თავზე.

მთელი დღე იქ იყო.

ფეხებს აბაკუნებდა და ხელებს იქნევდა, რომ გახურებულიყო.

კარგად რომ დაღამდა, კაცმა თქვა, ალბათ ბავშვებმა უკვე დაიძინესო, გამოვიდა ბუჩქებიდან და წავიდა სახლში.

მივიდა, სასწრაფოდ ჩაი აადუღა, ბლომად დალია და ჩაწვა თბილ ლოგინში.

ძლივს გადაურჩა ფილტვების ანთებას.

მას შემდეგ ემალებოდა ბავშვებს.

მთელი დღეები სახლში იჯდა.

მაგრამ წარმოდგენაზე ხომ უნდა წასულიყო?!

ქუჩები რომ დაცარიელდებოდა, მაშინ ტოვებდა სახლს და ფრთხილად მიდიოდა.

თუმცა თეატრის ახლოს ცხოვრობდა, მაინც ხშირად უძნელდებოდა მისვლა.

ზოგიერთ მშობელს ძილის წინ გასასეირნებლად გამოჰყავდა ბავშვები. შორიდან დაინახავდა თუ არა ბავშვს, მსახიობი გაიქცეოდა და სხვა ქუჩაზე შეუხვევდა. მაგრამ ხშირად ხდებოდა, რომ აქ სხვა ბავშვს დაინახავდა. იქიდანაც გაიქცეოდა, ახლა სხვა ქუჩაზე შეუხვევდა, დაიმალებოდა, გამოვიდოდა, გაუხვევდა, გამოუხვევდა და ამდენი წვალების მიუხედავად, ხანდახან მაინც გადაეყრებოდა რომელიმე ბავშვს.

და მაშინვე გადაიქცეოდა...

რაღად არ გადაქცეულა!

ლეკვად, სპილოდ, ბეკეკად, ზებრად, ფარშავანგად, ბელურად, ცხვირგრძელ კლოუნად, ჟირაფად, მერცხლად, ლიპიან მედოლეედ, ბულბულად, პატარა ბიჭად, ცინდლად, ბაჭიად და ასე შემდეგ... და ასე შემდეგ...

და იმის მიხედვით, თუ რად გადაიქცეოდა, სხვადასხვაგვარად შველოდა თავს.

თუ მიწაზე მოსიარულე არსებად გადაიქცეოდა, მაშინ სხვა გზა აღარ ჰქონდა, უნდა გაქცეულიყო და სადმე შემალულიყო. ფრინველად გადაქცეული კი ხეზე ან სახლის სახურავზე აფრინდებოდა ხოლმე...

მერე კი, კვლავ კაცად ქცეული, სამალავიდან რომ გამოძვრებოდა ან სახურავიდან ჩამოფოფხდებოდა, მთლად მოსვრილი და დახეული ჰქონდა ტანსაცმელი...

 აი, ასეთია ჩემი ამბავიო, — დაასრულა თხრობა მსახიობმა.

მე გავურბოდი ბავშვებს, რადგან ძალიან მიყვარს თეატრი და მათ გამო ათას რამედ გადაქცევა ხელს მიშლიდა ჩემს საქმეში.

დღეს კი, როდესაც ბიჭუნამ თქვა „მიყვარს ხეებიო“ ის გოგონაც მომაგონდა ნაღვლიანი რომ ფიქრობდა გედებზე და მივხვდი, ყოველთვის იმად გადავიქცეოდი, რაზეც ოცნებობენ ბავშვები.

და იქნებ მსახიობის ბოლო მიზანიც ესაა, შეძლოს ბავშვის ოცნებად ქცევა.

მინდა დაგემშვიდობოთ, როგორც მსახიობი და ამიერიდან სხვაგვარად ვემსახურო ქალაქს...

ამ სიტყვებით მსახიობმა დატოვა სცენა.

მას შემდეგ ასე ცხოვრობდა:

მთელი დღე ფანჯარასთან იჯდა.

ფანჯარაზე თხელი ფარდა ჰქონდა ჩამოშვებული. თვითონ ხედავდა ქუჩას, ქუჩიდან კი ვერ ხედავდნენ.

უყურებდა ქუჩას და როცა რომელიმე ბავშვი მის ფანჯარს გაუსწორდებოდა, მსახიობი იქცეოდა იმად, რაზეც ბავშვი ოცნებობდა.

გაივლიდა ბავშვი და მსახიობი კვლავ კაცად იქცეოდა.

ჩაიწერდა დიდ დავთარში, ეს ბავშვი ამაზე და ამაზე ოცნებობსო, და კვლავ განაგრძობდა ფანჯარაში ცქერას.

საღამოობით კი მასთან მიდიოდნენ მშობლები, იგებდნენ რაზე ოცნებობდნენ მათი შვილები.

და უსრულდებოდათ ოცნება ბავშვებს.

ახლა შეიძლება იკითხოთ, იქნება ბავშვი სულაც ოქროს მთებზე ოცნებობდა ან ცაში უნდოდა გაფრენა, მაშინ რაღას იზამდნენ ან ის მსახიობი ან მშობლებიო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეგეთი ოცნებები ბავშვებს არა აქეთ.

ბავშვები ყოველთვის მეგობრებზე ოცნებობენ. იმაზე, ვისთან ერთადაც ითამაშებენ, ვისაც თავის ფიქრებს გაანდობენ.

ყველა ბავშვს სხვადასხვანაირი წარმოუდგენია ის მეგობარი. ზოგს უნდა, რომ ლეკვს ეთამაშოს, ზოგს კლოუნთან უნდა მეგობრობა, ზოგს კი უნდა, რომ პაწია ნერგს დასტრიალებდეს თავს.

ხოლო როცა ისეთი მეგობარი გაუჩნდება, როგორზეც ოცნებობდა. ბედნიერია ბავშვი.

დიახ, ბედნიერები იყვნენ იმ ქალაქის ბავშვები.

ავადაც კი აღარ ხდებოდნენ

როდესაც საოცნებო მეგობარი გვერდით ჰყავს, ვერც ერთი ავადმყოფობა ვეღარ ერევა ბავშვს.

ეს იყო ბედნიერი ბავშვების ქალაქი.

კიდევ ის უნდა დავამატოთ, რომ თეატრში სიარული ისევ უყვარდათ მცხოვრებთ.

ისევ მოუთმენლად ელოდნენ წარმოდგენის დღეს.

და ახლა მათ სხვა მსახიობები უძგერებდნენ გულებს.

ლამაზია ქალაქი, სადაც თეატრი უყვართ.

მაგრამ მხოლოდ ლამაზი არ იყო ქალაქი.

ახლა ეს იყო ოცნებაახდენილი ბავშვების ქალაქი.

ასეთი ქალაქი კი მშვენიერია.

ცხოვრობდა კაცი.

იგებდა ბავშვების ოცნებებს.

დიდი დრო გავიდა...

მოხუცდა კაცი. და ერთ ღამეს, როცა ყველა მშობელი გაისტუმრა, კაცი მივიდა სარკესთან.

დიდხანს უცქეროდა თვალებში თავის ორეულს.

ბოლოს ჩურჩულით თქვა:

„მეც მეკუთვნის ერთი ოცნება".

გაიღიმა.

და აუსრულდა, რაც ინატრა...

შუაღამისას მსახიობის სახლის ფანჯრიდან ფერადი ღრუბელი გამოვიდა და მეზობელი სახლებისაკენ ნელა გაფრინდა.

მთელი ღამე იარა ღრუბელმა ქუჩებში.

თითქოს ეთხოვებოდა ქალაქს.

განთიადისას ქალაქის ბაღში მიფრინდა იმ ადგილას, სადაც პირველად იქცა გედად მსახიობი.

იქ ღრუბელი მიწას დაეფინა.

დაუბერა დილის ნიავმა, გაფანტა, გაქრა ღრუბელი.

და იმ ადგილას რაღაც დარჩა.

ეს იყო შვიდფერი ფანქარი.

ზოგი მკითხველი იკითხავს, ნუთუ ეგეთი საოცნებო რამაა ფანქრად ქცევაო?

მათ მხოლოდ ეს შემიძლია ვუპასუხო:

გააჩნია ვისთვის...

# ბეჰემოთი და სიზმარი

ერთხელ ბეჰემოთმა სიზმარი ნახა.

რომ გამოეღვიძა, მიიხედ-მოიხედა და გაოცდა: ისევ ტალახიან დიდ გუბეში იწვა.

ეს გუბე კი სულაც არა ჰგავდა იქაურობას, რაც ძილში ნახა.

მე ხომ ეს წუთია სულ სხვაგან ვიყავიო, — იფიქრა.

ბეჰემოთმა არ იცოდა, რა იყო სიზმარი.

დაიწყო ფიქრი, ან იქ როგორ ჭავედი, ან ახლა აქ როგორ გავჩნდიო.

ამასობაში კვლავ ჩაეძინა.

და კვლავ იგივე ესიზმრა.

გამოეღვიძა და ნახა, რომ ისევ გუბეში იყო.

როგორ ხდება ეს ყველაფერი? — იფიქრა ბეჰემოთმა. — ალბათ ვიღაცას მივყავარ უცებ და მერე ასევე უცებ უკან მაბრუნებს. უცნაურია, რატომ ვერა ვგრძნობ, როგორ მივყავარ, ან ვინაა ისეთი ღონიერი, რომ ასე იოლად დამატარებს, ან ისეთი კეთილი, რომ ჩემთვის მოუცლია და ასეთ კარგ ადგილას დავყავარო.

ბეჰემოთს მოსწონდა, რასაც ხედავდა სიზმარში. უნდოდა იქ დიდხანს დარჩენილიყო, მაგრამ მალე გაეღვიძებოდა ხოლმე.

იფიქრა, მოდი რამენაირად ვნახავ, ვის მივყავარ და ვთხოვ, იქნებ მეტხანს დამტოვოსო.

ასეთი ეშმაკობა იხმარა. დახუჭავდა თვალებს და იყო ასე. ელოდა, აი, ახლა მოვა ის, ვისაც მივყავარ, და დავინახავო, მაგრამ აბა რას ნახავდა. ისევ ჩაეძინებოდა ხოლმე ლოდინში.

ეტყობა, ის ჩემზე ეშმაკი ვინმეაო, — დაასკვნა ბოლოს, მაგრამ მაინც არ დაუკარგავს იმედი, რომ როდესმე ნახავდა, თუ ვის მიჰყავდა იმ ლამაზ მხარეში.

ერთხელ, კვლავ თვალდახუჭული რომ იწვა გუბეში, ჩურჩული ჩაესმა:

— არ გაახილო თვალები, ყური მიუგდე ჩემს ხმას და გამომყევიო.

ბეჰემოთს გული შეუხტა სიხარულით.

— მოვდივარ, — თქვა მანაც ჩუმად. და მიჰყვა ჩურჩულს თვალდახუჭული. თან გაიფიქრა. აი, ხომ მაინც შევხვდი იმას, ტყუილად არ ველოდიო.

ყველა ბეჰემოთს თუ არაბეჰემოთს სიცოცხლეში ერთხელ აუცილებლად ეტყვის რაღაც იდუმალი ხმა, დახუჭე თვალები და გამომყევიო. მაგრამ იშვიათად აღმოჩნდება ვინმე, რომ დაუჯეროს იმ ხმას. უმრავლესობა მაშინვე თვალებს დააჭყეტს, წამოვარდება და დაიწყებს ხმამაღლა მსჯელობას, სად უნდა წავიდე, რატომ უნდა წავიდე, თანაც რატომ თვალდახუჭული? იქნებ ჩემი კლდეზე გადაგდება უნდათო. არადა სჯობს კი, რომ მშვიდად მიენდოს იმ ხმას და მიჰყვეს უკან.

ჩვენი ბეჰემოთი კი მიენდო ხმას. ალბათ იმიტომ, რომ სიზმარს ხედავდა და დიდხანს ელოდა ვიღაცას.

ზურაბ პეტრიაშვილი

ზღაპრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჰყვებოდა ჩურჩულს ბეჰემოთი.

— წამოდი, წამოდი, აქეთ, აქეთ, აქეთ, — ეუბნებოდა ხმა.

მიდიოდნენ ძალიან დიდხანს.

ბეჰემოთი ფიქრობდა, იქ მივყავარ ხმას, იმ მხარეში, იმ ლამაზ მხარეშიო. თან ახლა ესეც აოცებდა, ამდენ ხანს მივდივართ, ამხელა გზა ყოფილა იქამდე და ადრე ისე უცებ როგორ მივყავდი, რა ლონიერი ყოფილაო. ჰოდა, ალბათ დაიღალა ჩემი ტარებით და ახლა წინ მიმიძღვება, ბოლოს და ბოლოს არც ისე მსუბუქი ვარო.

ბეჰემოთმა იცოდა თავისი ამბავი. ეტყობა, ბევრჯერ ეფიქრა, თუ ვინ ვინაა და რა კიდევ რა არის. და ამიტომაც ერგო ალბათ ჯილდოდ სიზმარი.

მიდიოდნენ.

ბევრჯერ შესცივდა და ბევჯერ დასცხა ბეჰემოთს. ბევრჯერ დაღალა აღმართმა, ბევრჯერ დაეცა და დაგორდა კიდეც ქვიან დაღმართზე. მაგრამ კვლავ ერთგულად მიჰყვებოდა ხმას.

— აქეთ, აქეთ, — შრიალებდა ხმა.

მიდიოდა ბეჰემოთი. მან უკვე ისწავლა თვალდახუჭული სიარული. ესმოდა ხმები და ხვდებოდა, ტყე ხმაურობდა ირგვლივ თუ ნაკადული ჩხრიალებდა, ქარი წიოდა ხევებში თუ ფოთოლი ეცემოდა მიწას. გრძნობდა სად მიდიოდა: ბალახზე თუ სილაში, რიყეზე თუ რბილ ბილიკზე.

და აი, ერთხელ პატარა აღმართი რომ აათავა, ხმამ უთხრა:

— გაჩერდი!

ბეჰემოთი გაჩერდა.

იდგა და ელოდა, როდის ეტყოდა ხმა, თვალები გაახილეო.

მაგრამ აღარ ისმოდა ალერსიანი ჩურჩული.

იდგა ბეჰემოთი. ეშინოდა, ვაითუ ადრე რომ გავახილო თვალები ამდენმა ლოდინმა და წვალებამ უქმად ჩამიაროსო.

იდგა და უცებ სასიამოვნო სითბო იგრძნო.

მიხვდა, ესაა ნიშანიო.

და გაახილა თვალები. .

პატარა გორაკზე იდგა და მის წინ თვალუწვდენელი ფერად-ფერადი ყვავილოვანი ველი იყო. ხოლო ველის ბოლოში დიდი მზე ამოდიოდა. სწორედ მისი სხივების სითბო იგრძნო ბეჰემოთმა.

უცქეროდა გახარებული ბეჰემოთი და უცემდა გული.

სწორედ ყვავილოვან ველს ხედავდა იგი სიზმრად.

მაგრამ ერთი რამ არ იყო ხოლმე მის სიზმარში: ამ ველზე ფერად-ფერადი პეპლები დაფარფატებდნენ და ნამის წვეთებზე არეკლილი სხივები ელავდნენ პეპლების ფრთებზე...

სიზმარი ძნელად ახდება, მაგრამ თუ ახდა, ასე იცის: იმაზე უკეთესია ხოლმე ვიდრე ძილში ხედავს კაცი...

მოიცათ, რატომ კაცი? ჩვენ ხომ ბეჰემოთზე ვყვებით ამბავს.

ასე უნდა დაგვეწერა:

სიზმარი თუ ახდა, იმაზე უკეთესია ხოლმე, ვიდრე ძილში ხედავს ბეჰემოთი.

მაგრამ აქ არა ჩანს, რომ ეს ყველაფერი ადამიანებსაც ეხება, მე კი, როგორც უკვე მიხვდით, მათაც ვგულისხმობდი ამ ამბის წერისას.

რომ არც ამბის სიმართლე დაირღვეს და ჩვენც ზუსტად ისა ვთქვათ, რისი თქმაც გვინდა, დავწეროთ ასე:

სიზმარი თუ ახდა, იმაზე უკეთესია ხოლმე, ვიდრე ძილში ხედავს სიზმრის მხედველი.

ესაა სწორედ მთავარი, სიზმრის მხედველი ხარ თუ არა. აქაა მთავარი განსხვავება სხვადასხვა არსებებს შორის. დიახ, თუმცა ვიღაცვიღაცებს შეიძლება ძალიანაც ეწყინოთ, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ სიზმრის მხედველი კაცი და სიზმრის მხედველი ბეჰემოთი უფრო ჰგვანან ერთმანეთს, ვიდრე ორი კაცი, რომელთაგან ერთი ხედავს სიზმრებს, მეორე კი არა, ანუ ერთი არის, მეორე კი არაა სიზმრის მხედველი.

ბოლოს კი ამ ჩემს მსჯელობას ისიც უნდა დავამატო, რომ კარგი იქნება, ეს ორი სიტყვა შევაერთოთ და ყველას, ვინც ღირსია, ასე დავარქვათ — სიზმრისმხედველი.

აი, ვსხედვართ საღამოს ხეივანში და მოდის კაცი, რომელსაც ეტყობა, რომ სიზმრებს ხედავს. ხოლო ეს რომ ყოველთვის ეტყობათ, ამაზე ნამდვილად ვერ შემედავებით.

მოდის კაცი, ჩვენ ვუცქერით და საიდანღაც თავისთავად ჩნდება სიტყვები:

ხეივანში მოდის კაცი,

მოდის სიზმრისმხედველი...

ეს კი უკვე ლექსის დასაწყისია და იმას ნიშნავს, რომ ჩვენც სიზმრისმხედველები ვყოფილვართ. ლექსებს სიზმრისმხედველები წერენ და წერენ იმიტომ, რომ სხვებსაც ხედავენ სიზმრისმხედველებს.

ახლა კი, თუ არ გამიწყრებით, გამოგიტყდებით პატარა ეშმაკობაში და გეტყვით: ეს გრძელი მსჯელობები იმისთვის დამჭირდა, რომ ცოტა ხანს ბეჰემოთი მარტო დაგვეტოვებინა თავის სიხარულთან. სხვისი თვალი არაა ამ დროს საჭირო.

დავუბრუნდეთ ჩვენს ბეჰემოთს.

გახსოვთ? უცქეროდა ფერად ველს და სიხარულით უცემდა გული.

მაშინ გახარებული დავტოვეთ, მაგრამ ახლა უკვე ნაღვლიანი იდგა და თავი ჩაექინდრა.

რატომ მოიწყინა?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმიტომ რომ ფიქრობდა, ახლა ეს ველი კვლავ გაქრება და ისევ ჩემს ბუჭყიან გუბეში დამაბრუნებენო.

ესეც იფიქრა, რაც შეიძლება ფხიზლად ვიქნები და წამყვანი რომ მოვა, არ გამომეპარება, ვთხოვ არ წამიყვანოსო. ხოლო ერთხელ გულში დაიმუქრა კიდეც, გავუძალიანდები, ვნახოთ, თუ ძალით როგორ წამიყვანენო.

მაგრამ კარგად იცოდა. ტყუილი იყო მისი ფიქრი, როცა იმას უნდოდა, მაშინ წაიყვანდა წამყვანი.

იდგა დაღონებული ბეჰემოთი...

ველზე პეპლები ფარფატებდნენ...

მერე ერთი ძალიან ლამაზი პეპელა მოფრინდა ბეჰემოთთან და ჰკითხა, რამ დაგანაღვლიანაო.

ბეჰემოთი გაოცდა. ეს სწორედ ის ხმა იყო, აქეთ რომ მოუძღვებოდა.

— აქ შენ მომიყვანე? — ჰკითხა ბეჰემოთმა.

— ჰო, მე მოგიყვანე — უთხრა პეპელამ.

ნუთუ ადრეც ამას მოვყავდი ხოლმე? კი მაგრამ, როგორ? ეს ხომ ასეთი პატარაა, ან რატომ ადრე არ მიჩვენებდა ხოლმე თავს, ან მაშინ სად იყვნენ ეს სხვა მისებრივე ფარფატები და ფერად-ფერადები? — აირია კითხვები ბეჰემოთის გონებაში.

მაგრამ ეს არ იყო მთავარი კითხვები. მთავარი კითხვა სხვა იყო.

— ახლა ისევ უკან უნდა დავბრუნდე? — ჰკითხა ბეჰემოთმა პეპელას.

— რატომ უნდა დაბრუნდე, შენ გინდა ეგრე?

— არა, მაგრამ... ადრე ხომ ყოველთვის ვბრუნდებოდი ხოლმე.

— განა ადრეც ყოფილხარ აქ? — ჰკითხა პეპელამ.

ბეჰემოთს იმედი მიეცა, თუ ამ ფარფატამ არ იცის, რომ აქ ადრეც ვყოფილვარ, ესე იგი ამას არ მოვყავდი მაშინ და იქნებ იმ ვიღაცისგან განსხვავებით ამან აქ დიდხანს დამტოვოსო.

— მე ბევრჯერ ვყოფილვარ აქ, — უთხრა ბეჰემოთმა პეპელას. — ოღონდ მაშინ თქვენ არ იყავით ხოლმე.

— აბა, მითხარი, როგორ ხდებოდა?

— როგორ და ჩემს გუბეში რომ ვიწექი დამეხუჭებოდა თვალები და უცებ აქ გავჩნდებოდი ხოლმე. ვიღაც წამომიყვანდა და მერე კი უკან წამიყვანდა ისევ.

პეპელამ გაიღიმა. მან იცოდა, თუ რატომ გაუწია გულმა, რომ ცხრა მთა გადაეფრინა და მაინცდამაინც ეს დიდ გუბეში მთვლემარე ბეჰემოთი მოეყვანა აქ. პეპელამ იცოდა, რომ ბეჰემოთი სიზმრისმხედველი იყო, მაგრამ ის კი არ იცოდა, რომ სწორედ ამ ველს ხედავდა სიზმრად ბეჰემოთი.

— ის ხომ სიზმარი იყო. შენ სიზმარს ხედავდი ხოლმე, — უთხრა პეპელამ ბეჰემოთს.

— სიზმარი რა არის?

— სიზმარი შენს გონებაშია მხოლოდ. შენ არსადაც არ მიდიხარ, წევხარ გუბეში და ყველაფერს, რასაც ხედავ, თვითონ წარმოიდგენ ძილში.

— მაშ ეს ყველაფერი, სიზმარია? — კვლავ საშინლად დაღონდა ბეჰემოთი. -- ნუთუ სიზმარია ეს ველიც და...

ბეჰემოთმა არ დაამთავრა სათქმელი, მაგრამ პეპელა მიხვდა, რაც სურდა ეთქვა ბეჰემოთს.

„მე ვენანები," — გაიფიქრა პეპელამ და ალერსიანად უთხრა: — ნუ გეშინია, ახლა რასაც ხედავ, ცხადში ხდება ყველაფერი.

— ცხადში?

— ჰო, ეს ველიც ისეთივე ნამდვილია როგორც... რა ვთქვა... როგორც მაგალითად შენი გუბე.

— მაშ შეიძლება სამუდამოდ აქ დავრჩე და ამ ველს ვუყურო? — ჰკითხა ბეჰემოთმა გაუბედავად.

— შეგიძლია.

— გმადლობთ, — თქვა ბეჰემოთმა. დაჯდა გორაკზე და ამოიოხრა: — რა კარგია!

პეპელა ყვავილებზე აფარფატდა და ბეჰემოთიც მიიპატიჟა.

— შემოდი ველზე.

— ვერ შემოვალ, ყვავილებს გავთელავ, — თქვა ბეჰემოთმა და უცებ ატირდა, რადგან სიზმრადაც და ახლაც სულ ეს უნდოდა სწორედ, რომ ველზე გასულიყო. მაგრამ ვერც სიზმრად და ვერც ახლა ამას ვერ იზამდა.

— ნუ გეშინია, გადმოდგი ნაბიჯი, — უთხრა პეპელამ.

— არა, ცოდვაა ყვავილები.

— დამიჯერე, ყვავილებს არაფერი მოუვათ.

— მე ძალიან მძიმე ვარ.

— ნუ გეშინია.

— ნუ გეშინია, ნუ გეშინია, გაბედე, — უთხრეს სხვა პეპლებმაც. ისინიც მოფრენილიყვნენ და თავს დასტრიალებდნენ ბეჰემოთს.

— მაშ ცუდი არაფერი მოხდება? — თქვა იმედმიცემულმა ბეჰემოთმა და წამოდგა.

— დახუჭე თვალები, — უთხრა პეპელამ.

დახუჭა ბეჰემოთმა თვალები.

— გადმოდგი ნაბიჯი, — უთხრა პეპელამ ჩურჩულით.

— აქეთ... აქეთ,— დაიჩურჩულეს სხვა პეპლებმაც.

გაბედა ბეჰემოთმა, გადადგა ფეხი და... ველარ დააკარა მიწას...

ჰაერში აფრინდა უცებ.

---

გურამ პეტრიაშვილი

ზღაპრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიწყო ფრენა.

ო, ეს ისეთი კარგი გრძნობა იყო!

ბეჰემოთს სული შეუგუბდა სიხარულისაგან.

ასე რომ არა, ალბათ, მთელ ველზე დაიყვირებდა:

— დავფრინავ, ჰეეე, დავფრინავ!

— ეჰე-ჰეეე, ფრენა დაიწყო ბეჰემოთმა! ფრენა.

ეს ისევ მე ჩავერთე თხრობაში. რა ვქნა, მინდა ყველამ გაიგოს, რომ ასეთი დიდებული რამ მოხდა.

მაგრამ ვინ იცის ახლა ეს ამბავი?

მე და კიდევ თქვენ.

მოდით, იცით, რა ვქნათ? თუ ახლა ღამეა, თქვენს მეზობლებს ძილს ნუ დავუფრთხობთ, მაგრამ თუკი დღეა და თქვენც გაგახარათ ბეჰემოთის სიხარულმა, გააღეთ ფანჯარა და დაიძახეთ:

— ფრენა დაიწყო ბეჰემოთმა, ფრენა დაიწყო, ჰე-ჰეე!..

ეზოში ალბათ ბავშვები თამაშობენ, გაჩერდებიან და გამოიხედავენ თქვენკენ.

თავს ნუ მოვიტყუებთ, ალბათ, მათ შორის ისეთიც აღმოჩნდება, რომ გულგრილად იტყვის: ფრენა არა, ისა! და შეიძლება გადააპურჭყოს კიდეც.

მაგრამ ერთი ნამდვილად დაგიძახებთ:

— ფრენა დაიწყო?

— ჰო, ჰო ფრენა!

— ბეჰემოთმა? — დაგიძახებთ ისევ.

— ჰო, ბეჰემოთმა, — უპასუხებთ თქვენ.

იმას თვალები ცისკენ გაექცევა. ერთხანს იქნება გარინდული. მერე კი მოსწყდება ადგილს და გაიქცევა.

გაიქცევა დროდადრო წაასკინკილავებით ხან ერთ, ხან მეორე ფეხზე და იძახებს ხმამაღლა:

— ბეჰემოთმა დაიწყო ფრენა! ბეჰემოთმა დაიწყო ფრენა!..

დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ბავშვი სიზმრისმხედველია.

და თუმცა მე ის ბიჭი თუ გოგონა არც მინახავს, სანაძლეოს ჩამოვალ, რომ კარგი საამხანაგო ბავშვია. თუ გოგონაა, დაბეზღება ეჯავრება და, თუ ბიჭია, არასოდეს გამოვა და მარტო არ დაიწყებს დიდი ვაშლის ჭამას...

...დაფრინავდა ჩვენი ბეჰემოთი პეპლებს შორის.

დასცქეროდა ლამაზ ყვავილებს.

მერე ძირს დაეშვა და ნამის წვეთში თავისი თავი დაინახა.

თავისი თავი და მზე.

აფრინდა ისევ.

დაფრინავდა და მის ირგვლივ ფერხულს უვლიდნენ პეპლები.

მერე მისი მეგზური პეპელა ცისფერ ყვავილზე დაჯდა.

— მოდი, შენც აქ დაჯექი, — უთხრა ბეჰემოთს.

— აბა როგორ, მე ხომ ამხელა ვარ? — შეყოყმანდა ბეჰემოთი.

— მოდი, ნუ გეშინია!

მიფრინდა ბეჰემოთი და ჩამოსკუპდა ყვავილზე პეპელას გვერდით.

და ყვავილს არც შესტყობია კიდევ ვინმე თუ დააფრინდა, უფრო მეტად არ გაჰლუნვია ღერო...

არაფერია უფრო ნაზი და მსუბუქი, ვიდრე სიზმარახდენილი ბეჰემოთი.

# პიანინო და პეპლები

პატარა ბიჭუნას ოთახში პიანინო იდგა.

ლამაზი იყო პიანინო. დიდი ხნის წინათ გაეკეთებინა ოსტატს, წითელი ხით მოეპირკეთებინა და ჩუქურთმებითაც დაემშვენებინა.

ვინ იცის, რამდენი ხელი შეხებოდა მის კლავიშებს.

იდგა კუთხეში იდუმალებით სავსე და ბიჭუნას გულს უფანცქალებდა.

პიანინოზე დედა უკრავდა საღამოობით.

ავახშმებდა ბიჭუნას, ხელ-პირს დაბანდა, ჩააწვენდა ლოგინში და მუჯდებოდა საკრავს.

ახდიდა კლავიატურის სახურავს და ერთხელაც გამოხედავდა საბნიდან თავამოყოფილ ბიჭუნას.

ის თვალებგაფართოებული უყურებდა დედას და ელოდა.

დედა გაუღიმებდა და დაიწყებდა დაკვრას...

უკრავდა დედა.

უსმენდა ბიჭუნა და თან ფანჯარაში იყურებოდა.

იქ კი ხან ღრუბლები მისდევდნენ ერთმანეთს და ქარი არხევდა ხეთა ტოტებს, ხან იმ ტოტებს წვიმის წვეთები სწყდებოდნენ ნელა, ხანაც დათოვლილებს ნაზად ავარდისფრებდათ ჩამავალი მზის შუქი.

უკრავდა დედა.

დაბინდდებოდა.

ბიჭუნას საძილედ მიელულებოდა თვალები.

დედა ნელა შეწყვეტდა დაკვრას და ფრთხილად დახურავდა კლავიატურის სახურავს. მერე ადგებოდა, შუბლზე აკოცებდა ბიჭუნას და ოთახიდან გავიდოდა.

დედა კარს გაიხურავდა თუ არა, თითქმის მძინარი ბიჭუნა პიანინოსთან მიტანტალდებოდა. დიდი წვალებით ახდიდა კლავიატურის სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხურავს, დაბრუნდებოდა ლოგინში და იმწამსვე იძინებდა.

ხშირად ეღვიძებოდა შუაღამისას და უცქეროდა პიანინოს. სახურავსაც იმიტომ ახდიდა ხოლმე, უყვარდა ბნელში თეთრად რომ მოჩანდა კლავიშები და მთვარიან ღამით ფოთლების ჩრდილები რომ დაფარფატებდნენ ზედ.

დილით, გაიღვიძებდა თუ არა, მაშინვე პიანინოსთან მიირბენდა.

ძლივს აფოფხდებოდა სკამზე.

დაჯდებოდა და უყურებდა კლავიშებს.

დიდხანს იჯდა ასე.

ხანდახან ხელს გაიწვდიდა, უნდოდა კლავიშებს შეხებოდა, მაგრამ ვერ ბედავდა.

მერეც მთელი დღე პიანინო ახსოვდა.

უცებ შეწყვეტდა ხოლმე თამაშს, მიატოვებდა ტოლებს და გაიქცეოდა. ისე შევარდებოდა თავის ოთახში, თითქოს ეშინოდა, იქ აღარ დამხვდება პიანინოო.

შეხედავდა და მაშინღა მოითქვამდა სულს. მერე ფრთხილად მიუახლოვდებოდა...

რამდენჯერმე სწორედ ამ დროს შეაღო ოთახის კარი დედამ, მაგრამ ბიჭუნას არ გაუგია.

პიანინოს კედელს აჰკვროდა და ყური მიედო, თითქოს რაღაც ჰანგებს უსმენდა.

დედა ფრთხილად გამოიხურავდა კარს...

მერე კი ხანდახან, ვითომ სხვათაშორის, ჰკითხავდა ხოლმე: გინდა დაკვრა გასწავლოო?

ბიჭუნა ისე შეხედავდა დედას, თითქოს ამ კითხვამ შეაშინაო, და თავს მაგრად გაიქნევდა უარის ნიშნად.

დედა აღარაფერს ეტყოდა ხოლმე.

და კვლავაც უკრავდა ბიჭუნასთვის საღამოობით...

გაზაფხულის ერთ დილას გაიღვიძა ბიჭუნამ, გაიხედა პიანინოსკენ და გაოცებული წამოჯდა ლოგინში.

უცქეროდა.

აფერადებულიყვნენ კლავიშები.

ბიჭუნა გადმოცოცდა ლოგინიდან, ნელნელა მიუახლოვდა პიანინოს და ნახა, რომ ფერად-ფერადი პეპლები ისხდნენ კლავიშებზე.

ყოველ კლავიშზე თითო პეპელა იჯდა.

ბიჭუნა ფრთხილად აცოცდა სკამზე.

დაჯდა და უცქეროდა.

პეპლები ჯერ უძრავად ისხდნენ. შემდეგ ერთმა პეპელამ შეატოკა ფრთები. აფრინდა, აფარფატდა ერთ წამს და დაფრინდა ისევ.

ის დაფრინდა და სხვა აფრინდა. იმანაც ერთ წამს იფარფატა და დაბრუნდა კლავიშზე.

და იმავ წამს მესამე პეპელა აფარფატდა...

ასე რიგრიგობით აფრინდებოდნენ და დაფრინდებოდნენ პეპლები, აფრინდებოდნენ და დაფრინდებოდნენ.

ბიჭუნა უცქეროდა გახარებული.

მერე იგრძნო, რომ თავისი აფრენ-დაფრენით რაღაცას ეუბნებოდნენ პეპლები.

და მიხვდა...

გაიწოდა ფრთხილად ხელი და იმ კლავიშს დაჰკრა თითი, საიდანაც იმწამს პეპელა აფრინდა.

მერე მეორე პეპელა აფრინდა და იმის კლავიშს დაჰკრა თითი ბიჭუნამ, მერე — მესამისას, მერე — მეოთხისას...

პიანინოს ხმა რომ შემოესმა, დედა იქით გაეშურა...

ბიჭუნას არ გაუგია, როგორ გაიღო კარი. ის ყურადღებად ქცეული მისჩერებოდა პეპლებს და თითებს ურტყამდა კლავიშებს.

აფრინდებოდნენ და დაფრინდებოდნენ პეპლები.

ახლა უკვე ორ-ორი, სამ-სამი და უფრო მეტიც ფარფატებდა ერთად.

და ბიჭუნაც მიჰყვებოდა მათ ნებას.

ხმიანობდა პიანინო და თანდათან საუცხოო ჰანგებად იქცეოდა მისი ხმები.

კედელს მიყრდნობილი უსმენდა დედა.

ეხებოდა ბიჭუნა კლავიშებს აფრენილი პეპლების ადგილას.

ფარფატებდნენ პეპლები...

ეხებოდნენ ბიჭუნას თითები კლავიშებს.

უკრავდა ბიჭუნა!

უკრავდა და მის ირგვლივ პეპლები დაფარფატებდნენ...

დიდხანს უკრავდა. შემდეგ კი პეპლები დაფრინდნენ თავ-თავიანთ კლავიშზე.

და ბიჭუნამ შეწყვიტა დაკვრა.

დაჰყურებდა პეპლებს ბიჭუნა.

მერე ერთად აიშალნენ პეპლები, ერთხანს იფარფატეს ოთახში, ფანჯარაში გაფრინდნენ და გაქრნენ.

იყურებოდა ბიჭუნა ფანჯრისკენ. მერე მოიხედა და არ გაჰკვირვებია, დედა რომ დაინახა. პეპლებზე ფიქრობდა და დაღონებულმა ჰკითხა დედას:

— აღარ მოვლენ, დედი?

— მოვლენ, შვილო, ნუ გეშინია, — უპასუხა დედამ.

და მართლაც მას მერე ხშირად მოფრინავდნენ პეპლები.

სადაც უნდა ყოფილიყო, ბიჭუნა მაშინვე გრძნობდა პეპლების მოფრენას და მორბოდა.

მიუჯდებოდა პიანინოს და უკრავდა.

თავს დაჰფარფატებდნენ პეპლები...

საღამოობით მაინც უნდოდა, რომ დედის დაკვრა მოესმინა. მაშინ დედა ეუბნებოდა ღიმილით, შენ ხომ თვითონაც შეგიძლია დაკვრაო.

— მე მხოლოდ მაშინ ვუკრავ, როცა პეპ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლები მოფრინდებიან, შენ კი, როცა გინდაო, — უპასუხებდა ბიჭუნა.

და დედაც დაუკრავდა ხოლმე...

იზრდებოდა ბიჭუნა.

და ერთხელ, გაზაფხულის წყნარ საღამოს, იგრძნო, რომ შეეძლო თვითონ ეხმო პეპლები.

მიუჯდა პიანინოს.

ხელი შეახო კლავიშებს და მართლაც მაშინვე მოფრინდნენ პეპლები. აფარფატდნენ ოთახში ფერად-ფერადები და ფრთასიფრიფანები...

უკვე უკრავდა ბიჭუნა!

გავიდა წლები....

გაიზარდა ვაჟი.

ახლა თვითონ უკრავს საღამოობით და მისი დაკვრის მოსასმენად მეზობლები და სხვა ნაცნობები მოდიოდნენ.

ვინც დაეტეოდა, ოთახში დასვამდა ხოლმე დედა, დანარჩენები კი გარეთ, ბაღში ისხდნენ და ღია ფანჯრებიდან გამომავალ ჰანგებს უგდებდნენ ყურს.

პიანინოს ხმა ქუჩამდე აღწევდა, გამვლელებიც ჩერდებოდნენ და უსმენდნენ.

ქალაქში ხმა გავარდა, ესა და ეს ვაჟი ძალიან კარგად უკრავს პიანინოსო.

და თეატრის დირექტორმა ვაჟს ბარათი გამოუგზავნა, რომლითაც კონცერტის გასამართავად იწვევდა.

ვაჟს გაეხარდა. ბარათი დედას აჩვენა და ჰკითხა, რა ვქნაო.

— დათანხმდი, შვილო, რაც ურო მეტ ხალხს მიანიჭებს სიამოვნებას შენი დაკვრა, მით უკეთესიო, — უთხრა დედამ.

— მეც ეგრე ვფიქრობო, — თქვა ვაჟმა. და თანხმობა შეუთვალა თეატრის დირექტორს.

იმან მაშინვე გააკვრევინა აფიშები მთელ ქალაქში.

წავიდა ვაჟი და საბარგო ავტომანქანა დაიქირავა. მერე მეზობლებს სთხოვა, პიანინოს წაღებაში დამეხმარეთო.

ასწიეს პიანინო და ფრთხილად გამოიტანეს სახლიდან. ფრთხილად გაატარეს ეზოში. ფრთხილად გაიტანეს ქუჩაში და ფრთხილადვე შედეს მანქანის ძარაზე.

მერე ყველანი ავიდნენ ძარაზე, პიანინოს მოჰკიდეს ხელი, არ იჯანჯღაროსო, და ვაჟმა მძღოლს ჩასძახა კაბინაში, თუ ძმა ხარ, რაც შეიძლება ნელა წადიო.

— ნუ გეშინია, მეც მიყვარს მუსიკის მოსმენა, ისე კი არ არისო, — ამოსძახა მძღოლმა.

წავიდნენ.

პიანინო რომ მიიტანეს თეატრში, დირექტორი ძალიან გაოცდა.

— რად გინდოდათ, რომ მოგქონდათ, ჩვენ მშვენიერი საკონცერტო როიალი გვაქვსო, — უთხრა ვაჟს.

— ვიცი, მაგრამ მე მხოლოდ ამ პიანინოზე ვუკრავო, — უპასუხა ვაჟმა.

რა ექნა, ხომ ვერ ეტყოდა, ბავშვობიდან ეს პიანინო მიყვარს და სხვა საკრავზე დაკვრა არ მინდაო.

— კი ბატონო, თქვენი ნებააო, — ხელები გაშალა დირექტორმა.

საღამოს თეატრის დარბაზი ხალხით იყო სავსე.

მაყურებლები მალიმალ შეხედავდნენ დახურულ ფარდას და ერთმანეთს უყვებოდნენ, რაც იცოდნენ ვაჟის შესახებ. ყველა მოუთმენლად მოელოდა კონცერტის დაწყებას.

დედაც აქ იყო. საპატიო ლოჟაში დაესვა დირექტორს.

დედა ღელავდა, მისი ვაჟი ხომ ახალ ცხოვრებას იწყებდა ამ საღამოს.

აი, ჩაქრა დარბაზში შუქი და გაიხსნა ფარდა.

განათებული სცენის უკანა კედელი შავი ხავერდით იყო დაფარული. სცენის შუაში პიანინო იდგა.

უცებ დედას შეებრალა პიანინო, ახლა ამდენი ხალხის წინ მარტო მდგარი და ჩაიჩურჩულა, ნეტავი ყველაფერი კარგად დამთავრდებოდესო.

გამოვიდა ვაჟი.

ხალხს თავი მდაბლად დაუკრა და თვალებით დედა მოძებნა.

გაუღიმეს ერთმანეთს.

მიუჯდა ვაჟი პიანინოს, ერთ წამს ყური მიუგდო დარბაზში ჩამოვარდნილ სიჩუმეს...

დაჰკრა კლავიშებს.

და იმავ წამს ფერადი პეპლები აფარფატდნენ სცენაზე.

უკრავდა ვაჟი.

სულგანაბული ისხდნენ მაყურებლები და ტკბებოდნენ პიანინოს ჰანგებითა და შავი ხავერდის ფონზე მოფარფატე ფერად-ფერადი ფრთების სილამაზით.

უცქეროდა დედა ვაჟს და ტიროდა სიხარულით...

დიდხანს უკრავდა ვაჟი.

მერე ნელ-ნელა დასხდნენ პეპლები კლავიშებზე. ვაჟმა შეწყვიტა დაკვრა და იჯდა თავდახრილი.

ერთხანს დუმდა დარბაზი.

შემდეგ ატყდა ტაშისცემა.

წამოდგა ვაჟი და მივიდა რამპასთან.

მაყურებლები ტაშს უკრავდნენ, „ბრავოს" გაიძახოდნენ და ყვავილებს ისროდნენ სცენაზე.

იდგა ვაჟი თავდახრილი.

მის ფეხთით ყვავილები ცვიოდა.

მერე ვაჟმა მკერდთან მიიტანა ხელი და მადლობა გადაუხადა მაყურებლებს. ჩაიჩოქა და ყვავილების აკრეფას შეუდგა. მოაგროვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდ თაიგულად, წამოდგა და საპატიო ლოჟისკენ წავიდა.

მაყურებლებმაც გაიხედეს იქით და დაინახეს, რომ ლოჟაში სანდომიანი შესახედაობის ქალი იდგა და ახლა მის ირგვლივ დაფრინავდნენ პეპლები.

ეს იყო ბედნიერი წამი.

ტაშს უკრავდნენ ფეხზე წამომდგარი მაყურებლები.

თვალებზე სიხარულის ცრემლები უბრწყინავდა დედა-შვილს.

უღიმოდნენ ერთმანეთს.

და შვილს დედისთვის დიდი თაიგული მიჰქონდა.

მას შემდეგ ყოველ კვირა უკრავდა თეატრში ვაჟი.

კონცერტის დღეს მიჰქონდათ თეატრში პიანინო და მერე უკან მოჰქონდათ.

მძღოლი წინასწარ ფეხით გაივლიდა ხოლმე გზას ვაჟის სახლიდან თეატრამდე, სადმე ქვა ხომ არა გდია, ან ორმო ხომ არ გაჩენილა, პიანინო არ შეჯანჯღარდეს და არ გაფუჭდესო.

პიანინოს გამოტანაზე რომ მიდგებოდა საქმე, ვაჟს ეუბნებოდნენ, ეს ჩვენ დაგვაცადე, შენ შენი საქმე გაქვს და ხელებს მისთვის გაუფრთხილდიო.

ვაჟი ჯერ უარობდა, მაგრამ ბოლოს დათანხმდა.

ახლა პიანინო სხვებს მიჰქონდათ თეატრში. ვაჟი სახლში რჩებოდა. კონცერტის დაწყების წინ გამოუვლიდა დირექტორი და მიჰყავდა თავისი რბილი მანქანით.

თუმცა დედას ბევრს ეხვეწებოდნენ ვაჟიც და დირექტორიც, ის მაინც აღარ მიდიოდა კონცერტზე. იჯდა სახლში და ელოდა, როდის დაბრუნდებოდა შვილი.

ბოლო დროს გული უგრძნობდა დედას, რაღაც ცუდი მოხდებაო, და ეუბნებოდა კიდეც ვაჟს: ფრთხილად იყავი, შვილო, მეშინია ცუდი არაფერი მოხდესო.

— რას ამბობ, დედა? რა უნდა მოხდეს, ნახე, დღეს რამდენი ყვავილი მომართვესო, — ეტყოდა ვაჟი.

— ჰო, შვილო, ვხედავო, — უპასუხებდა დედა, მაგრამ რა ექნა, ისევ ცუდს უგრძნობდა გული...

ვაჟი ცნობილი პიანისტი გახდა, ახლა უკვე სხვა პატარ-პატარა ქალაქებიდანაც ჩამოდიოდნენ მის მოსასმენად.

გაზეთები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უკეთ შეასხამდა ხოტბას მის დაკვრას და ფოსტალიონი ვერ აუდიოდა ნაზ, ცისფერკონვერტიანი და სურნელოვანი წერილების მოტანას.

ერთ დღეს კი მათი სახლის კარზე ვიღაც კაცმა დააკაკუნა.

კაცი შორი დიდი ქალაქიდან ჩამოსულიყო.

ვაჟს გული აუფანცქალდა სიხარულით, უკვე გაგებული ჰქონდა, რომ იმ ქალაქში იყო საქვეყნოდ ცნობილი დიდი საკონცერტო დარბაზი, სადაც მხოლოდ გამოჩენილ პიანისტებს იწვევდნენ.

კაცმა მართლაც ეს უთხრა ვაჟს: იმ დარბაზში გიწვევთო.

— რა კარგია, არა, დედა? — მაშინვე დედას მიუბრუნდა ვაჟი.

— ჰო, შვილო, — თქვა დედამ. მას მაშინვე არ მოეწონა ეს ეშმაკურად მოღიმარი კაცი.

ვაჟი კი გახარებული დადიოდა ოთახში.

მერე იმან დააფიქრა, იმ სიშორეზე პიანინო როგორ უნდა წაეღოთ.

უთხრა კაცს:

— გზაში პიანინო რომ გამიფუჭდეს, რა ვქნა?

— რა პიანინო? — ვერ მიხვდა კაცი.

— აი, ეს პიანინო. მე სხვა საკრავზე არ ვუკრავ.

კაცმა გაიცინა.

— იმ დარბაზში ამას ვინ შეგატანინებს, იქ უძვირფასესი როიალი დგას, რომელსაც ყოველდღე ათი ოსტატი დასტრიალებს თავს. ანდა რომ დაგაკვრევინონ კიდეც ამაზე, რად გინდა, ამისი ხმა რად ევარგება!

კაცმა ახადა კლავიატურის სახურავი და ცალი თითი დაუკაკუნა კლავიშებს.

ვაჟი დაჯდა და ჩაფიქრდა.

დედას გული ჩასწყდა, რომ შვილმა კაცს მაშინვე არ გასცა საკადრისი პასუხი მათი პიანინოს დაცინვისათვის.

ადგა, უკაცრავადო, ჩუმად უთხრა კაცს, კლავიატურას სახურავი დაახურა და გავიდა ოთახიდან.

ვაჟს არ გაუგია დედის გასვლა.

ფიქრობდა.

კაცი დოინჯშემოყრილი იდგა და დაჰყურებდა ვაჟს.

ბოლოს ვაჟმა თავის აუწევლად თქვა:

— შენ რას იტყვი, დედა?

მერე, რომ დაინახა, დედა აღარ იყო ოთახში, ჩაილაპარაკა:

— კარგი, თანახმა ვარ.

და კაცმა კიდევ ერთელ გაიღიმა ცბიერად...

...დანიშნულ დღეს, დანიშნულ საათზე ხალხით გაიჭედა იმ დიდი ქალაქის, დიდი საკონცერტო დარბაზი.

ცბიერღიმილიანი კაცი გამოვიდა სცენაზე და კონცერტის დაწყება გამოაცხადა.

ვაჟს ისიც დაავიწყდა, ხალხს ესალმებოდა.

მიუჯდა ვეება, შავად მოელვარე როიალს და რამდენიმე წუთს გაუბედავად დასცქეროდა კლავიშებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბათ, მიხვდით, რისიც ეშინოდა.

ბოლოს გაბედა, შეახო თითები კლავიშებს და...

აფარფატდნენ პეპლები დიდ სცენაზე.

ვაჟმა შვებით ამოისუნთქა და განაგრძო დაკვრა...

ძალიან მოეწონათ მსმენელებს ვაჟის კონცერტი.

და კიდევ მრავალჯერ დაუკრა მან იმ დიდ დარბაზში.

მერე კი სხვა დიდ ქალაქებშიც მიიწვიეს.

მთელ ქვეყანაზე სახელგანთქმული პიანისტი გახდა...

დადიოდა ქალაქიდან ქალაქში.

და იქ, დიდ დარბაზებში, დიდ სცენაზე როიალს რომ მიუჯდებოდა, თავისი პიანინო აგონდებოდა. ერთ წამს დამნაშავედ იგრძნობდა ხოლმე თავს, მაგრამ მერე იფიქრებდა: აბა, რა ვქნა, მთელ ქვეყანაზე თან ხომ ვერ ვატარებდი და, ეგეც არ იყოს, ამხელა დარბაზებს იმისი ხმა სად გასწვდებოდაო...

უკრავდა.

ფარფატებდნენ პეპლები.

მერე დასხდებოდნენ კლავიშებზე.

ვაჟი დაამთავრებდა დაკვრას.

და ატყდებოდა მქუხარე ტაშისცემა...

დადიოდა ვაჟი ქალაქიდან ქალაქში და ყველგან თან დაჰყვებოდა ის კაცი. ის პიანისტის იმპრესარიო გახდა და თავისი ხეირი ჰქონდა.

რამდენიმე წელი ისე გავიდა, რომ სახლში ალარც ყოფილა პიანისტი.

მოიარა მთელი დედამიწა.

და თუმცა ხშირად უგზავნიდა დედას წერილებს და თავის წარმატებებსაც ატყობინებდა, დედა მაინც ნაღვლობდა.

— რატომ დარდობ, არ გიხარია, შენი შვილი ასეთი გამოჩენილი კაცი რომ გახდა? — ეკითხებოდნენ ნაცნობები.

დედა მხოლოდ ამოიოხრებდა და უფრო და უფრო იპყრობდა წუხილი...

დადიოდა პიანისტი ქალაქიდან ქალაქში.

და ყველგან დიდი ალტაცებით ხვდებოდა მსმენელი მის დაკვრას.

ერთ დილით რომელიღაც დიდი ქალაქის სასტუმროს ნომერში გაიღვიძა პიანისტმა.

იწვა რბილ ლოგინში და სიამოვნებით იგონებდა, როგორ დახვდნენ ღამით სადგურზე.

გაიხსენა როგორი მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს და როგორ ესროდნენ ყვავილებს.

მერე იფიქრა, დედაჩემს რომ ენახა ეს ყველაფერი, რარიგ გაიხარებდაო.

მოაგონდა, დედა რომ ჩააწვენდა ხოლმე ბავშვობისას ლოგინში და გამოხედავდა ხოლმე ვიდრე დაკვრას დაიწყებდა.

გაიხსენა ეს ყველაფერი და უცებ შეეშინდა, მიხვდა, რომ დავიწყებოდა, რას უკრავდა ხოლმე დედა.

ვერაფრით ვერ გაიხსენა ის მელოდია.

შეშფოთდა პიანისტი და დააპირა მიეწერა დედისთვის, ეთხოვა, გამახსენე, რას უკრავდი ჩვენს პიანინოზეო, მაგრამ ვინ დააცალა, მოვიდნენ და უთხრეს, ჩვენი ქალაქის საპატიო სტუმარი ბრძანდებითო, წაიყვანეს, ქალაქის ღირსშესანიშნაობანი აჩვენეს, ბანკეტი მოუწყეს, სადღეგრძელოები უთხრეს და საღამომდე გადაავიწყდა კიდეც რა აწუხებდა დილით.

იმ საღამოს განსაკუთრებული მონდომებით უკრავდა პიანისტი, რადგანაც იცოდა, რომ საპატიო ლოჟაში იჯდა კაცი, რომელიც მუსიკის ყველეზე საუკეთესო მცოდნედ იყო აღიარებული.

უკრავდა პიანისტი. მუსიკათმცოდნეს უბის წიგნაკი ეჭირა ხელში და რაღაცებს ინიშნავდა. თან ხანდახან კულისებისკენ გაიხედავდა ხოლმე.

იქ კულისებს ამოფარებული იდგა იმპრესარიო, ხანდახან გამოყოფდა პეპლების საჭერ ბადეს და ცდილობდა პეპლების დაჭერას.

მუსიკათმცოდნე მას დაჰპირდა პეპლები დამიჭირე და შენზე დავწერ, რომ ყველაზე კარგი იმპრესარიო ხარ ამ ქვეყანაზეო.

მუსიკათმცოდნეს რაღად უნდოდა პეპლები?

ფიქრობდა, მაგიდაზე დავიდებ, გამადიდებელი შუშით დავაკვირდები, ავწონი, ფრთებს გავუზომავ და უკეთ შევისწავლი ამ პიანისტის დაკვრასო.

მაგრამ ამაოდ წვალობდა იმპრესარიო.

პეპლები კი ხვდებოდნენ ხოლმე ბადეში, მაგრამ, ვითომც არაფერიო, ისე გაივლიდნენ მასში და განაგრძობდნენ ფრენას.

ბრაზობდა იმპრესარიო, ეგონა, ვერ ვიქცევი ხერხიანადო.

მერე პეპლები სათითაოდ დასხდნენ კლავიშებზე და პიანისტმა შეწყვიტა დაკვრა.

ატყდა ტაშისცემა. იმპრესარიომ იფიქრა, კიდევ უნდა ვცადო პეპლების დაჭერა, თორემ სახელ-დიდებას ვკარგავო.

ის იყო პიანისტი უნდა წამომდგარიყო და თავის დახრით მადლობა გადაეხადა ხალხისათვის, რომ სცენაზე იმპრესარიო გამოჩნდა. მოვიდა პიანისტთან, დაიხარა და ჩასჩურჩულა: მუსიკათმცოდნე გთხოვს კიდევ დაუკრა მისთვისო.

— როგორ დავუკრა, ვერ ხედავ, უკვე დასხდნენ პეპლები? — უთხრა პიანისტმა.

— ხომ იცი, მუსიკათმცოდნე აპირებს დაწეროს, რომ შენა ხარ ყველაზე საუკეთესო პიანისტი დედამიწაზე და ნუ აწყენინებ.

პიანისტი შეყოყმანდა.

იმპრესარიომ ეს რომ დაინახა, დაამატა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას უყურებ მაგ პეპლებს, შენ უკრავ და არა ეგენი.

— კი, მაგრამ უკვე დასხდნენ და აღარ შეიძლება დაკვრა.

— დიდი ამბავი, ისევ თუ აფრინდებიან — გაიღიმა იმპრესარიომ.

პიანისტი ჩაფიქრებული დასცქეროდა პეპლებს.

ხალხიც გარინდული უცქეროდა, რა მოხდებაო.

— ჰა, რას იზამ, უკრავ, თუ არა? — ჰკითხა იმპრესარიომ.

პიანისტმა ჩუმად დაუქნია თავი.

იმპრესარიო სასწრაფოდ გავიდა სცენიდან, პეპლების საჭერი აიღო და მოემზადა.

იჯდა პიანისტი და უცქეროდა პეპლებს.

პეპლები ისხდნენ გაუნძრევლად.

დახუჭა თვალები პიანისტმა, დასცხო კლავიშებს და იგრძნო, რომ მყისვე დაავიწყდა დაკვრა.

პეპლები აფრინდნენ, რამდენიმე წამს აფართხალდნენ ჰაერში და მერე ფერად წვიმად დაცვივდნენ სცენაზე.

პიანისტმა თვალები გაახილა, დაინახა მკვდარი პეპლები და ცრემლები წასკდა.

ჩაიჩოქა, აკრიფა პეპლები.

მდუმარედ უცქეროდა ხალხი.

იდგა კაცი და უცნაური თაიგულივით მიეხუტებინა მკერდზე დახოცილი პეპლები.

მერე გაქრნენ პეპლები.

და თავჩაღუნულმა კაცმა დატოვა სცენა.

ხალხიც დაღონებული წავიდა.

მხოლოდ ის მუსიკათმცოდნე იყო გახარებული, ასეთი მნიშვნელოვანი ამბის მომსწრე გავხდი, დიდი პიანისტის ბოლო კონცერტი ვნახეო.

იმპრესარიო ისე წავიდა, აღარავის უნახავს.

დაბრუნდა შინ კაცი.

ყველაფერი უამბო დედას.

და მეორე დღიდანვე დაიწყო თავიანთ ბაღში ფუსფუსი.

დილიდან საღამომდე იქ იყო.

ყვავილებით აავსო ბაღი.

რგავდა ახალ ნერგებს, ბარავდა, თოხნიდა, სხლავდა, მარგლავდა, კოხტა ბილიკები გაჰყავდა.

მხოლოდ დასაძინებლად შედიოდა თავის ოთახში.

პიანინო კვლავ იდგა კუთხეში, მაგრამ კაცი ახლოს მისვლასაც ვერ ბედავდა.

კაცს ძალიან უნდოდა ეთხოვა დედისთვის, დაუკარი რასაც ბავშვობაში უკრავდი ჩემთვისო, მაგრამ ვერც ამას ბედავდა.

დილით, გაიღვიძებდა თუ არა, პიანინოსკენ გაიხედავდა...

მაგრამ არა და არ მოდიოდნენ პეპლები.

კაცი კვლავ უვლიდა ყვავილებს.

ბაღს დიდი ღობე შემოავლო, ნარგავები არავინ გამიფუჭოსო და მუშაობდა თავაუღებლად.

რანაირი ყვავილი არ იყო მის ბაღში.

ლამაზად იდგნენ ბუჩქები, კოხტა ხეივნები ჰკვეთდნენ ერთმანეთს...

გადიოდა წლები...

კაცი არ ჰკარგავდა იმედს, რომ ოდესმე მოვიდოდნენ პეპლები მის ყვავილნარად ქცეულ ბაღში.

მუშაობდა კაცი. ყვავილების და ხეების მოვლაში სურდა გაექარვებინა დარდი. მას ხომ უფრო და უფრო აწუხებდა, რომ ვერაფრით მოეგონებინა, თუ რას უკრავდა მაშინ დედა.

კაცმა ბაღის მოვლა რომ დაიწყო, დედა ცოტა ხანს გახარებული იყო. მერე და მერე კი მეტად დანაღვლიანდა.

— რაა, დედა, რატომ ნაღვლობ? — ჰკითხავდა კაცი.

— არაფერია, შვილო, არაფერი, — ამბობდა დედა ჩუმად...

დიდი დრო გავიდა...

კაცი ახლა თვით იყო მოხუცი და თვითონ-და ცხოვრობდა სახლში.

კვლავ უვლიდა თავის ბაღს.

ერთ დილით რაღაც ხმაური შემოესმა ბაღიდან.

გავიდა გარეთ და დაინახა, პატარა გოგონა და ბიჭუნა შემოპარულიყვნენ ბაღში.

დადიოდნენ და ერთმანეთს აჩვენებდნენ ყვავილებს.

უცქეროდა მათ კაცი.

დადიოდნენ ბავშვები.

უყურა კაცმა, უყურა და მიხვდა, რაც სურდა მისთვის ეთქვა დედას.

მიხვდა, რომ კვლავ დაუშვა შეცდომა.

იმავე დღეს დაანგრია ბაღის ღობე.

გავიდა ქალაქში და გამოაცხადა, მოდით ხალხო, ისეირნეთ ბაღში, თქვენთვის მომიცია, ყველასი იყოსო.

მერე ხელოსნები წაიყვანა.

და საღამოს, ხალხი რომ მოვიდა, ბაღში საქანელები, კარუსელები და სხვა გასართობები ნახეს.

ფარნები ანათებდა ხეივნებს...

დასეირნობდნენ მოქალაქენი და სიამოვნებით ისუნთქავდნენ ყვავილთა სურნელს.

თამაშობდნენ ბავშვები.

ყველაფერი კარგად იყო. მარტო ის პატარა გოგონა და ბიჭუნა წაკინკლავდნენ და გაებუტნენ ერთმანეთს, არა მე ვიპოვე ეს ბაღი, არა მეო.

დასეირნობდა ხალხი.

---

ზურაბ პეტრიაშვილი
ზღაპრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ისმოდა მხიარული შეძახილები და ვიღაც მღეროდა კიდეც

ოღონდ არავინ არაფერს უკრავდა. მოხუცის ერიდებოდათ, არ გავახსენოთ ძველი უბედურებაო.

მიდიოდნენ, მადლობასეუბნებოდნენ და ცდილობდნენ შემთხვევით ისეთი არაფერი წამოსცდენოდათ, მუსიკასთან რაიმე კავშირი ჰქონოდა.

მაგრამ ქალაქში ერთი ხეპრე რომ არ იყოს, ისე როგორ იქნება. ჰოდა, ის ხეპრე ბაღნარში და ყვავილნარშიც რომ შეიყვანო, მაინც ხეპრედ დარჩება.

სწორედ ასეთმა ხეპრემ უთხრა მოხუცს:

— მოდი, ახლა ერთი დაუკარი კიდეც, ჯეელობა გაიხსენეო.

მეტად უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა.

გაფითრებული იდგა მოხუცი.

ყველა ჩუმად იყო. თვით ის ხეპრეც კი მიმხვდარიყო თავის ხეპრეობას და დარცხვენილი სხვებს ეფარებოდა.

იდგნენ ჩუმად.

და უცებ ლამაზმა ჰანგებმა დაარღვია სიჩუმე.

ჰანგები კაცის სახლიდან ისმოდა.

ყველა იქით გაიქცა.

მიიჩქაროდა მოხუციც.

მიდიოდა და ცრემლი სდიოდა.

მივიდა სახლთან.

გაატარა ხალხმა.

შევიდა თავის ოთახში და ნახა:

ის პატარა გოგონა და ბიჭუნა ერთად მისხდომოდნენ პიანინოს.

კლავიშებზე პეპლები ისხდნენ და რიგრიგობით ფარფატებდნენ ჰაერში.

გოგონა და ბიჭუნა ეხებოდნენ თავისუფალ კლავიშებს და გაისმოდა ჰანგები.

უსმენდა ხალხი.

უსმენდა მოხუცი და ტიროდა...

მე იმასღა გეტყვით, რასაც თქვენც მიხვდით: ეს სწორედ ის მელოდია იყო, რომელსაც მაშინ, შორეულ ბავშვობაში უკრავდა დედა.

# გოგონა და ოქროს თევზი

ერთი გოგონა მამამ არდადეგებზე ზღვისპირა ქალაქში წაიყვანა დასასვენებლად.

გოგონას ძალიან შეუყვარდა ზღვა. სულ მასთან უნდოდა ყოფნა.

ტალღა რომ უკან დაიხევდა, გოგონა გაჰყვებოდა და სულ ახლოს მივიდოდა ზღვასთან, აიფოფრებოდა ტალღა და გოგონა უკან გამოიქცეოდა სიცილით.

შორბოდა გოგონა.

მოსდევდა ტალღა. თანდათან პატარავდებოდა, უკლებდა ხმაურს და ბოლოს გაუწვებოდა ფეხებთან.

მერე დარცხვენილივით დაიხევდა ზღვისკენ გოგონა გაჰყვებოდა.

და თავიდან დაიწყებდა თამაშს...

როცა ზღვა წყნარი იყო. გოგონა ფერად კენჭებს აგროვებდა ან სილის კოშკებს აგებდა. ხანდახან კი დაჯდებოდა და გარინდული დიდხანს, დიდხანს უცქეროდა ზღვას.

მერე ადგებოდა: უხმაუროდ გაივლიდა სილაზე და ნელა შევიდოდა ზღვაში.

გაცურავდა წყნარად, წყლის გაუშხეფებლად, და როცა ნაპირი შორს დარჩებოდა, გადაბრუნდებოდა ზურგზე და დახუჭავდა თვალებს.

იწვა და ყურს უგდებდა ზღვას.

ეჩვენებოდა. თითქოს რაღაც საამო ხმა ესმოდა

დიდხანს უსმენდა ხმას, მერე კი ისევ წყნარად გამოცურავდა ნაპირზე

სამწუხაროდ, არდადეგები ძალიან დიდხანს არ გრძელდება ხოლმე.

დადგა გამგზავრების დღე.

მამა მატარებლის ბილეთების საყიდლად წავიდა.

გოგონა კი იჯდა ნაპირზე და ნაღვლიანი უცქეროდა ზღვას.

გვერდით წყლიანი მინის ქილა ედგა ფერადი კენჭებისათვის.

ჯერ კი აპირებდა კენჭების შეგროვებას. მაგრამ მერე ვეღარ დაუდო გული.

უცქეროდა ზღვას.

ზღვა ისეთი წყნარი იყო. თითქოს იმასაც ენანებოდა გოგონასთან განშორება და დანაღვლიანებული გარინდულიყო.

უცებ ზედ ნაპირთან წყლის ზედაპირი შეტოკდა და ზღვიდან რაღაც პატარა, წითლად ელვარე საგანი ამოფრინდა.

გოგონამ ვერ მოასწრო დაენახა, რა იყო, რომ იმ რაღაცამ წყლიან ქილაში მოადინა ტყაპანი და წყლის შხეფები სახეზე მიასხურა.

ჩაიხედა გოგონამ ქილაში და დაინახა, რომ შიგ ოქროს თევზი ჩაფრენილიყო.

ჯერ უცქირა როგორ დაცურავდა თევზი, მერე კი ჩაყო ხელი, ამოიყვანა და ისევ ზღვაში გაუშვა.

განა არ უნდოდა, რომ ლამაზი ოქროს თევზი ჰყოლოდა? მაგრამ იფიქრა: თევზს ალბათ სურდა ერთ წამს ჰაერში აფრენილიყო და შემთხვევით ჩავარდა ჩემს ქილაშიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთილი გოგონა იყო და აბა, შემთხვევით ხომ არ ისარგებლებდა და ოქროს თევზს ხომ არ დაატყვევებდა?!

არ გასულა რამდენიმე წამი, რომ ისევ ამოფრინდა წყლიდან ოქროს თევზი და ისევ ჩაფრინდა ქილაში.

გოგონამ კვლავ გაუშვა თევზი, თამაშობს, ცელქობს და ჩემს ქილაში შემთხვევით ვარდებაო.

მაგრამ იმავ წამს ამოფრინდა თევზი ზღვიდან, გაიელვა ჰაერში, ჩაფრინდა ქილაში, და მოუსვენრად დაიწყო ცურვა.

გოგონა ჩაფიქრდა.

მერე აიღო ქილა და თვალებთან მიიტანა.

მაშინ მოცურდა ოქროს თევზი კედელთან, ერთ ადგილას გაჩერდა და მოაცქერდა გოგონას.

გოგონამ გაულიმა: მივხვდი, ჩემთან გინდა ყოფნაო.

— კარგი, წამოდი, ვიყოთ მეგობრები. — ჩაიჩურჩულა გახარებულმა.

ოქროს თევზმა რამდენჯერმე დაარტყა წრე ქილაში და ისევ ცხვირწინ გაუჩერდა გოგონას.

ალბათ ასე გამოხატა სიხარული...

წამოიყვანა გოგონამ ოქროს თევზი.

ყველაფერი უამბო მამას.

მამა, ცოტა არ იყოს, უცნაური კაცი იყო. იმის მაგიერ რომ ზოგზოგი სხვა მამებივით ბუზღუნი დაეწყო, ისედაც ამოდენა ბარგი გვაქვს, ეს რაღად გვინდა რომ სახათაბალოდ ავიკიდოთო, ქილა მაღლა ასწია, თქვა, ვინც მოვიდა გაუშარჯოსო და მაშინვე აკვარიუმის საყიდლად გავარდა.

ღამით მატარებელში დიდხანს არ დაიძინა გოგონამ. იჯდა ფანჯარასთან და პატარა მაგიდაზე დადგმული აკვარიუმისათვის ორივე ხელი ჩაეჭიდა, ვაითუ მატარებელმა უცებ დაამუხრუჭოს, აკვარიუმი გადმოვარდეს და გატყდესო.

უცქეროდა თევზს.

და თევზიც მხიარულად დაცურავდა წყალში.

ბოლოს ჩაეძინა დაღლილ გოგონას.

და თევზიც გაირინდა წყალში. ალბათ იმანაც დაიძინა.

მამა ფრთხილად რომ აწვენდა ლოგინში, გოგონა რაღაცას ბუტბუტებდა მძინარი, ალბათ ისევ იმაზე წუხდა, თევზს არაფერი მოუვიდესო.

—- ჰო, შვილო, ნუ გეშინია, ნუ გეშინია, —- ამშვიდებდა მამა.

და სხვა მგზავრების გასაოცრად მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს, დარაჯობდა აკვარიუმს..

დედასაც გაუხარდა აკვარიუმში მხიარულად მოცურავე ოქროს თევზი რომ ნახა.

გოგონას ოთახის ერთ კუთხეში მაგიდას ლამაზი სუფრა გადააფარა და იქ მიუჩინა აკვარიუმს ადგილი.

მას შემდეგ ცხოვრობდა ოქროს თევზი იმ სახლში.

გოგონა თავს ევლებოდა თევზს და ისიც ყოველნაირად ცდილობდა გაეხარებინა პატარა მეგობარი. დაინახავდა თუ არა ოთახში შემოსულს, მაშინვე ლამაზად იწყებდა კუდისა და ფარფლების ქნევას, ჯერ წრეებს დაარტყამდა აკავრიუმში, მერე კი ამოხტებოდა და ჰაერში შეითამაშებდა.

ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

და ბედნიერები იყვნენ ამით.

ერთი მეტად საინტერესო რამეც უნდა გითხრათ.

ღამით მშობლები ტკბილ ძილს რომ უსურვებდნენ, შუბლზე აკოცებდნენ, სინათლეს ჩააქრობდნენ და გავიდოდნენ, გოგონა კიდევ დიდხანს არ იძინებდა.

იწვა სიბნელეში და უცქეროდა აკვარიუმს, სადაც დროდადრო ქუჩიდან შემოსულ შუქზე თევზი გაიელვებდა ხოლმე.

თან ჩუმად ჩურჩულებდა გოგონა: ვითომ თევზს ელაპარაკებოდა. აი, მე ამას ვეუბნები, ის კი ასე მპასუხობსო.

მერე, კი, ქალაქის ხმაური რომ მიწყდებოდა, გოგონა გაირინდებოდა.

სიჩუმეში მას კვლავ ესმოდა ის საამო ხმა, რომელსაც ზღვაში შორს შესული უსმენდა ხოლმე.

რა იყო ეს ხმა?

გოგონა ამას არასოდეს არავის გაუმხელდა, მაგრამ თვითონ კი ფიქრობდა, ოქროს თევზი მღერის აკვარიუმშიო.

ალბათ მაშინაც, ზღვის ზედაპირზე თვალდახუჭული რომ იწვა ხოლმე, ოქროს თევზი უვლიდა irგვლივ და მღეროდა.

თევზი მღეროდაო?!

ალბათ ამას კი ვეღარ მოითმენს ურწმუნო მკითხველი, რომლის მსგავსი, ვიცი, რამდენიმე მაინც ეყოლება ჩემს ნაწერს. გაბრაზდება და კუთხეში მოისვრის რვეულს.

რა სიმღერა, რის სიმღერა, ვის გაუგია თევზი მღეროდესო. — დიდხანს იბურტყუნებს გაცეცხლებული და შეიძლება იქამდეც მივიდეს, რომ აიღოს რვეული და დახევა დაუპიროს...

მოიცა, მოიცა, ჩემო კარგო! რვეულს ნუ დახევ, იქნებ სხვამ წაიკითხოს.

დამშვიდდი და მომისმინე.

ვიკამათოთ კაცურად: მე ჩემსას გეტყვი, შენ შენი მითხარი. განა არ ვიცი, ჩემი არც აქამდე გჯეროდა რამე.

ვიცი, არ დაიჯერე, რომ შეიძლება კაცმა თავისი ნებით ატაროს უშველებელი უშნო ცხვი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რი.. და ისიც რისთვის?! რომ მადლობა უთხრას რაღაც პეპელას, რომელიც არავინ იცის, კიდევ მოვა თუ არა.

ისიც ვიცი, რას ფიქრობ ქუდის მდევნელებზე: ჯერ ერთი, მთელ დედამიწაზე არავინ იქნება ეგეთი და თუ შემთხვევით მაინც აღმოჩნდა ვინმე, რაღაც სულელური კულულის შერხევას მთელ სიცოცხლეს რომ შესწირავს, იმას ასე გულაჩუყებულმა ხოტბა კი არ უნდა შეასხა, არამედ უნდა დაიჭირო, და, როგორც წესია, ჭკუა ასწავლოო.

ისიც კარგად ვიცი, ვის თვლი ღირსად, რომ მასზე იწერებოდეს ხოტბა.

ასეთი კაცი შენა ხარ, ხომ?

შენ უნდა იყო ნაწარმოების გმირი და ნაწარმოებში კი უნდა ხდებოდეს, ასე ვთქვათ, საშენო რამეები.

აი, მაგალითად, მიდიხარ ქუჩაში და უცებ ხედავ, ტროტუარზე საფულე გდია. გაიხედგამოიხედე. არავინ გიყურებს. აიღე საფულე და იტაკე ჯიბეში. გაიქეცი. შევარდი სახლში. ჩაკეტე კარი, ჩამოაფარე ფანჯრებს ფარდები. ამოიღე საფულე, გაშალე, გადმოყარე ფული, ხედავ, უამრავი მანეთიანი ყოფილა. ო, რა კარგია! შენ შეგიძლია დაიწყო უნეტარესი საქმიანობა: ფულის თვლა. თვალე და თვალე, თვალე და თვალე... თვალე მანეთიანები და... ვაშაა!!! მილიონ-ნახევარი მანეთის პატრონი გამხდარხარ!

ან კიდევ ასეთი ამბავი:

გახვედი ღილით და ხედავ ვეება ატმის ხე ამოსულა შენს ბაღში. ნაყოფი ასხია და რა ნაყოფი: გოგრის სიმსხო ატმები, გემოზე შეწითლებულები.

მოწყვიტე. დაიწყე ჭამა. ვაჰ, ვაჰ, რა კარგია. კურკებიც არა ჰქონია. ჩაკბიჩე როგორც გინდა! ადრე ხომ ეს კურკა გიშლიდა ხოლმე, რომ ბოლომდე დამტკბარიყავი ატმის ჭამით. თუ არ გაფრთხილდებოდი, კბილი მოგიხვდებოდა მაგარზე და შეიძლება გტკენოდა კიდეც. ეს ატამი კი, ნატვრაა პირდაპირ. ჭამე და ჭამე. მიდი და მიდი!

კარგი ამბებია, არა?

ვიცი ძალიან მოგეწონებოდა ორივე, მაგრამ...

ახლა სადღა იყო შენი ნაქები სიფხიზლე და დაკვირვებულობა?

განა საფულეში მილიონნახევარი მანეთიანი ჩაეტევა, ძვირფასო?

ან უკურკო ატამი როგორ იქნება! კურკაში ხომ თესლია ატმის ხისა.

მაგრამ შენ ამეებს, ცხადია, ველარ უფიქრდები, როცა საშენო ამბებს გიყვებიან.

ეგეთი ამბების სმენისას შენ ძალიან მიმნდობი ხდები.

მაგრამ საკმარისია ვინემ თქვას, თევზი მღეროდაო, მაშინვე აპილპილდები: რაო? ვის გაუგია? გვატყუებენ! არიქა! დაიჭირეთ, არ გაუშვათო.

ვხვდები, ოქროს თევზის სიმღერა მხოლოდ საბაბი იყო. შენ უფრო იმან გაგაცეცხლა, მე რომ ვთქვი, ერთმანეთი ძალიან უყვარდათმეთქი.

რა არის ეს სიყვარული, რა ფერისაა, როგორი გემო აქვს, სად ან ვის უნახავსო — მკითხავ დამცინავად.

და არც ისე ადვილია შენთან კამათი.

აი, მე გეუბნები:

— ოქროს თევზი დიდი ხანია უცქეროდა გოგონას ზღვიდან და მასთან მეგობრობაზე ოცნებობდა. ამიტომაც დაბრუნდა მინის ქილაში, თუმცა გოგონამ ორჯერ გაუშვა-მეთქი.

— მაგრამ ხომ შეიძლება, რომ უბრალოდ სხვა დიდი თევზი დასდევდა და იმ მინის ქილაში შეელოდა თავს ოქროს თევზი? — მპასუხობ შენ.

— მაშინ იმაზე რაღას იტყვი, რომ გოგონას დანახვაზე სიხარულით თამაშს იწყებდა და წყლიდანაც კი ამოხტებოდა ხოლმე?

— რა უნდა ვთქვა, ცხადია, იმიტომ იწყებდა თამაშს, რომ უხაროდა, ახლა საჭმელს მომცემსო.

— თვითონ გოგონა რაღად ევლებოდა თავზე, ის ხომ არაფერს მოელოდა ოქროს თევზისაგან.

— როგორ თუ არაფერს, გოგონას მოსწონდა, რომ მას ეყოლებოდა ლამაზი ოქროს თევზი, სხვებს კი არა, — მპასუხობ შენ მშვიდად.

და ახლა უკვე მე მჭირდება თავის შეკავება, რომ არ გავბრაზდე.

მტკიცე და შეუვალია, შენი მსჯელობა.

ვიცი ძნელია შენი დამარცხება, ჩემო ურწმუნო მკითხველო.

მაშ განვაგრძოთ ამბავი.

გაკვეთილებს რომ დაამზადებდა, გოგონა ჩართავდა ხოლმე მუსიკას და ცეკვავდა ოთახში. ამით უნდოდა რომ ოქროს თევზი გაერთო. ის ხომ სულ მარტო იყო აკვარიუმში.

მოცურდებოდა ოქროს თევზი აკვარიუმის კედელთან და უყურებდა გოგონას.

ერთხელაც, ასე რომ ცეკვავდა, გოგონამ შეხედა კედელთან მოცურებულ თევზს, შეეცოდა და იფიქრა, მოდი, ასე უფრო გავახალისებო, აიღო აკვარიუმი, ორივე ხელით დაიდო თავზე და განაგრძო ცეკვა.

ჯერ თავის ოთახში ცეკვავდა.

მერე კი სასტუმრო ოთახში გავიდა ცეკვაცეკვით. დიდი სარკის წინ გააფრიალა კაბა და გაოცდა: ოქროს თევზიც ცეკვავდა.

მხოლოდ ერთ წამს შედგა გოგონა.

შემდეგ კი განაგრძო ცეკვა.

თავზე აკვარიუმი ეჭირა და, და ოქროს თევზი ცეკვავდა აკვარიუმში...

მას შემდეგ ხშირად ცეკვავდნენ ასე.

გამოეწყობოდა გოგონა კოხტად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დასვამდა თავის დედ-მამას.

ჩართავდა მუსიკას.

დაიდებდა თავზე აკვარიუმს და იწყებდა ცეკვას.

აჰყვებოდა თევზიც.

გახარებული უყურებდა დედ-მამა ამ უცნაურ სანახაობას.

კარგი იყო ძალიან.

და რაც ყველაზე უფრო საოცარია:

შეწყობილად ცეკვავდნენ გოგონა და ოქროს თევზი.

ერთნაირად ირხეოდნენ, ერთნაირად ტრიალებდნენ და ოქროსფერი ფარფლებიც ცისფერი კაბის ფრიალს იმეორებდნენ ზუსტად...

ამ ცეკვის შესახებ არც გოგონას და არც მის მშობლებს არავისთვის არაფერი უთქვამთ.

ეს მათი საოჯახო საიდუმლო იყო.

პატარა, ლამაზი საიდუმლო.

მაგრამ ალბათ შემთხვევით ვინმემ ფანჯრიდან თუ მოჰკრა თვალი ოქროს თევზის და გოგონას ცეკვას.

და უცნაური მოდა გავრცელდა ქალაქში.

გოგონებმა, ქალიშვილებმა და ხნიერმა ქალებმაც კი პატარა-პატარა აკვარიუმები დაიმაგრეს ქუდებზე, შიგ თევზები ჩაისვეს და ისე დადიოდნენ.

ზოგმა ძალიან ფაშფაშამ, ხარჯი ხარჯიაო, და დიდი აკვარიუმი დაიდგა თავზე, შიგაც ერთის ნაცვლად უამრავი თევზი ჩაისვა.

ბევრს თან მაგნიტოფონიც დაჰქონდა და უკრავდა.

ყველას იმისი იმედი ჰქონდა, თევზები თანდათანობით უფრო და უფრო მიბაძავდნენ თავიანთი პატრონების მიხრა-მოხრას და ბოლოს და ბოლოს მთლად შეეწყობოდნენ.

მაგრამ დრო გადიოდა. თევზებს კი არა და არ ახალისებდა მუსიკა. კვლავ უძრავად იწვნენ აკვარიუმის ფსკერზე ან საცოდავად ეკვროდნენ კედლებს. არ აინტერესებდათ არც მათი პატრონი და არც იმისი მიხრა-მოხრა.

ის კი არადა, როგორც კი ვინმე აკვარიუმიანი მდინარის პირას ან ხიდზე გაივლიდა, თევზი მაშინვე გადახტებოდა ხოლმე და ჰაერში მისი კუდის მხიარული გაქნევაც მხოლოდ ერთს ნიშნავდა, მადლობა ღმერთს, თავს ვუშველეო.

რამდენიც არ ეცადნენ, არავის არაფერი გამოუვიდა. იმ ოქროს თევზის გარდა არც ერთი არ იცეკვა აკვარიუმში.

და ხელად გადავარდა მოდიდან თავზე აკვარიუმების ტარება...

მე მგონია, ახლა უკვე ალარავისთვის უნდა იყოს საეჭვო გოგონას და ოქროს თევზის სიყვარული.

მათ უხაროდათ ერთად ცეკვა.

გრძნობდნენ ერთმანეთის გულის ცემას.

და იმიტომაც ცეკვავდნენ შეწყობილად.

ახლა რაღას იტყვი, ურწმუნოვ?

ეჰ, შენ ისევ შენსაზე ხარ.

შეწყობილად კი არ ცეკვავდნენ, არამედ თევზი ჰბაძავდა გოგონას. ეს კი სულ სხვა რამაა. თევზს მოეწონა იმ სახლში ცხოვრება: კარგად უვლიდნენ, კარგად აჭმევდნენ და იყო არხეინად. ამიტომაც გადაწყვიტა ცოტა ესიამოვნებინა მასპინძლებისათვის და ჰბაძავდა გოგონას ცეკვასო, — მეუბნები და ძალიან კმაყოფილი ხარ, რომ შენებურად ყველაფერი ასე იოლად აიხსნება.

აბა, რა გიყო, როგორ დაგაჯერო იმათ ურთიერთსიყვარულში?

მე დარწმუნებული ვარ, რაიმე ხიფათი რომ შემთხვეოდათ, მაშინ ყველაფერი გაირკვეოდა.

მაგალითად, ყაჩაღები რომ დასხმოდნენ თავს იმათ სახლს ოქროს თევზის მოსატაცებლად, ვიცი, გოგონა გადამალავდა თევზს და ვერავითარი მუქარით ვერ აიძულებდნენ გაეცა მეგობარი, მაგრამ მაშინ ოქროს თევზი თვით გასცემდა თავს — ამოხტებოდა სამალავიდან, აგერ ვარ, წამიყვანეთ, ოღონდ გოგონას ნურაფერს დაუშავებთო...

მაგრამ ყაჩაღებს ოქროს თევზი მხოლოდ მაშინ აინტერესებთ თუ ის მართლა ოქროსგანაა გაკეთებული, ამიტომაც არ დასხმიან თავს იმ სახლს.

არც სხვა ხიფათი შემთხვევიათ მეგობრებს, თორემ მაშინ ნახავდი...

— ჰოდა, თუ არ შემთხვევიათ, აბა რა ვიცით ვინ როგორ მოიქცეოდა? — მაწყვეტინებ შენ სიტყვას, უკვე მთლად დარწმუნებული გამარჯვებაში.

მოიცა, მოიცა, ბოლომდე მომისმინე.

ერთხელ ღამით გამოეღვიძა გოგონას.

ფანჯრიდან შემოსულ მთვარის შუქზე დაინახა, რომ ოქროს თევზსაც არ ეძინა, შფოთიანად დაცურავდა აკვარიუმში.

მიაყურა გოგონამ, მაგრამ აღარ მღეროდა თევზი.

შეშფოთდა გოგონა, წამოდგა და მივიდა აკვარიუმთან.

თევზიც მოცურდა კედელთან.

უცქეროდნენ ერთმანეთს.

მთვარის სხივები წყალქვეშაც აღწევდნენ და ელავდნენ ოქროს თევზის სხეულზე.

უცქეროდა გოგონა.

და უცებ იგრძნო, რომ ტიროდა ოქროს თევზი.

აქ კი ვეღარაფერს იტყვი, ჩემო ურწმუნო მკითხველო.

თევზებიც ხომ ცოცხალი არსებები არიან და ამიტომაც მათაც კარგად იციან, რა არის ხევდა.

---

ზურაბ პეტრიაშვილი
ზღაპრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ტირიან კიდეც.

ჩვენ რომ ვტირით, ცრემლები ლაწვებზე გვაშრება ან ცხვირსახოცები გვისველდება და ისიც შრება ბოლოს.

თევზების ცრემლები კი სულ ზღვაში გროვდება, ზოგი იქვე, ზღვის თევზთა თვალთაგან დადენილიც და მდინარეების ჩამოტანილიც.

იქნებ მლაშეც ამიტომაა ზღვა.

ტირიან თევზები.

მაგრამ იმ გოგონამდე არავინ იცოდა ეს, რადგან წყალში თევზის თვალებზე ცრემლს ვერანაირად ვერ დაინახავ.

ეს მხოლოდ მოსიყვარულე გულს შეუძლია...

უცქეროდა გოგონა მტირალ თევზს და თვითონაც ტიროდა.

მერე აიღო აკვარიუმი, მიიკრა მკერდზე და გავიდა სახლიდან.

მიდიოდა დიდხანს.

არაფერზე არ ფიქრობდა, ტიროდა, ტიროდა და აკვარიუმში ცვიოდა მისი ცრემლები...

თვითონაც ვერ გაიგო, როგორ აღმოჩნდა ხიდზე.

ხიდს მკრთალად ანათებდა ფარანი და ოდნავ მდინარემდეც აღწევდა მისი შუქი.

თეთრი, გრძელი პერანგისამარა იდგა გოგონა ხიდის მოაჯირთან, მკერდზე აკვარიუმი მიეკრა და თევზს დაჰყურებდა.

დაწყნარებულიყო თევზი, მშვიდად უვლიდა წრეებს აკვარიუმში, თითქოს ეთხოვებოდა გოგონას.

დიახ, ხიდზეც მოსიყვარულე გულმა მოიყვანა გოგონა, გულმა უგრძნო, რომ თავისი ზღვა მოენატრა თევზს...

ახლა აღარ ტიროდა გოგონა.

უსმენდა.

განშორების სიმღერას მღეროდა თევზი...

მერე ამოხტა, შეითამაშა ჰაერში და ოდნავ მორკალული და ლამაზ, ნაღვლიან ღიმილს დამსგავსებული ჩაფრინდა მდინარეში...

— მაინც წავიდა, ხომ? — იტყვი შენ გახარებული, რომ მთლად არ გამტყუნდი.

შენ ახლა მზადა ხარ დამეთანხმო, კი ბატონო, მჯერა რომ გოგონას უყვარდა, მაგრამ თევზი რომ გაიქცა, ეს რაღაა. დიდი სულელური რამე ყოფილა ეს სიყვარული, თუკი შეიძლება ერთს უყვარდეს და მეორეს არა. ურთიერთობა მე ისეთი მესმის, როცა არავინ რჩება წაგებული. მაგალითად, მე იმას მივცემ ფულს, ის მე მომცემს კანფეტსო.

არა, გენაცვალე, სიყვარული წაგება-მოგებისათვის არაა.

სიყვარულს არა აქვს ეგეთი მიზანი.

როცა ვინმე უყვართ, არა ფიქრობენ, რატომ და რისთვის.

უყვართ და მორჩა.

და თევზს რომ მართლაც არ ჰყვარებოდა გოგონა, ამით გოგონას სიყვარული სულაც არ დაკარგავდა აზრს...

მართლაც რომ არ ჰყვარებოდა...

ოქროს თევზს კი...

თუმცა, მოდი, ბოლომდე მოვისმინოთ ამბავი.

დაბრუნდა გოგონა სახლში ცარიელი აკვარიუმით.

ჩაწვა ლოგინში და დიდხანს იყო თვალგახელილი.

წარმოიდგინა, თუ როგორ მიცურავდა ოქროს თევზი თავისი ზღვისაკენ.

მერე ჩაეძინა და სიზმარშიც იმას ხედავდა, თუ ათას ფათერაკსა და განსაცდელს თავს როგორ აღწევდა მისი მეგობარი...

დილით ოქროს თევზის წასვლა უამბო მშობლებს.

— ნუ გეშინია, დაბრუნდებაო, — უთხრეს იმათ.

გოგონამ ნაღვლიანად დახარა თავი...

გავიდა ხანი...

გოგონა აღარ ცეკვავდა ხოლმე გაკვეთილების სწავლის შემდეგ.

ის ახლა აკვარიუმს უმზადებდა ოქროს თევზს.

შიგ ლამაზ კოშკს აგებდა.

მშობლებს ერთხელაც არ წამოსცდენიათ, რად გინდა მაგას რომ აკეთებ, თევზი არსად ჩანსო.

პირიქით, ეხმარებოდნენ კიდეც.

ერთ საღამოს გოგონამ ჩაასხა წყალი აკვარიუმში, შეხედა ხომ ლამაზად ჩანს წყალში კოშკიო, ჩაიცვა ის ცისფერი კაბა, რომლითაც პირველად იცეკვა ოქროს თევზთან ერთად და დაელოდა შუაღამეს.

დედ-მამაც ფხიზლობდა მასთან ერთად.

წიგნს კითხულობდნენ და ხანდახან გახედავდნენ აკვარიუმის წინ ჩაფიქრებულ გოგონას, მერე ერთმანეთს შეხედავდნენ და ჩუმად ამოიოხრებდნენ.

შუაღამისას სამივენი გავიდნენ სახლიდან.

ისევ მთვარიანი ღამე იყო.

გოგონას ფრთხილად მიჰქონდა აკვარიუმი.

მდიოდნენ მდინარისაკენ.

მამა ოხუნჯობასაც კი ცდილობდა და დედას ნაღვლიანად ეღიმებოდა მის ხუმრობაზე.

— ეს დედ-მამა რაღამ გადარიაო! — გაბრაზებული იტყვი შენ.

ჰო, შენსავით, ალბათ, სხვებიც ფიქრობენ.

ამიტომაც სეირის საყურებლად ბევრი გაჰყვა ამ უცნაურ ოჯახს...

მიდიოდნენ სამნი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არავის აქცევდნენ ყურადღებას.

ხიდს რომ მიუახლოვდნენ, მამამ თქვა, ჩვენ აქ დავრჩებითო, და გოგონა მარტო შევიდა ხიდზე.

ცაზე იყო მთვარე.

კვლავ მკრთალად ანათებდა ფარანი.

იდგა გოგონა.

ნელა გავიდა ერთი საათი.

უცქეროდა ხალხი, არაფერი ხდებოდა.

ეჰ, რა ტყუილად გავიტეხეთ ძილიო, უკვე ამბობდნენ ზოგიერთები.

და უცებ მდინარის ზედაპირთან რაღაცამ იელვა.

ამოფრინდა ოქროს თევზი, აფრინდა, მხიარულად შეითამაშა და ჩაეშვა აკვარიუმში...

გული შეუფართხალდა ხალხს.

უცქეროდნენ.

და კიდევ უფრო გაოცდნენ:

გოგონას და მისი თევზის გარშემო საოცარი ცისფერი ნათება დაინახეს...

სადა ხარ, ურწმუნო მკითხველო?

რატომ გაჩუმდი?.

დაიჯერე, რომ არის სიყვარული?

თუ იმიტომ დუმხარ, რომ ფიქრობ, როგორ მიპასუხო?...

. . . . . .

...კვლავ შემდეგაც მოენატრებოდა ხოლმე ოქროს თევზს ზღვა.

კვლავ ელოდა გოგონა.

მთვარიან ღამით დაბრუნდებოდა თევზი.

და კვლავ ანათებდნენ ცისფრად.

— ეს ცისფერი ნათება რაღა ჯანდაბაა, როგორ თუ ანათებდნენ? — ჩაიბურტყუნებ შენ, რომ მიჩვენო, იხტიბარი არ გამიტეხიაო.

როგორც ნახე, მათ უყვარდათ ერთმანეთი.

მაშ რაღად გიკვირს?

სიყვარულს საერთოდ ყველაფერი შეუძლია.

ხოლო ნათება მთლად ჩვეულებრივი რამაა მისთვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდია არაბული

## სიტყვები

სიტყვები — ჩემი ურჩი მონები,
ჩვენს წინ სხედან და შემომცინიან,
ზოგი იკივლებს თავმოწონებით,
ზოგი კი მიცდის, მაგრამ ცივია.
სიტყვები — ჩემი ფიქრის კედლები,
სტრიქონში დამწვარს ჰგავანან აგურებს...
ზოგს ჩემკენ ვუხმობ და ვევედრები,
ზოგს გარეთ ვაგდებ და ვანადგურებ.
ზოგი მახელებს,
ზოგი მაწყნარებს,
ზოგნი კი ჩემზე ძალიან სწუხან,
როგორც გრიგალში ქარი არყნარებს,
მწუხარე გულის მიბერტყენ ბუხარს.
ზოგი მათგანი ველად გავუშვი,
ზოგს ჩავურაზე ლექსში კარები...
ვარ მუდამ ამგვარ აურზაურში,
დაუმშვიდები,
დაუწყნარები.
და სულ ერთია,
ვზივარ მეფის კარს,
თუ არის ჟამი სულის შეწირვის...
გასაოცარი ამ სიტყვებისგან
მთელი ცხოვრება მაქვს აწეწილი.

## თბილისის რიჟრაჟებს

ჩუმად ჩავივლი რუსთველის გამზირს
და სიყვარულის მწვავს აგონია,
ამგვარ დიდების რაიმე მსგავსი
ამქვეყნად სხვაგან არსად მგონია!

კვლავ რა იქნება, აბა, ვინ იცის,
სულს ვინ დაიწვავს ამის მიგნებით,
ისევ იქნება ჩვენი თბილისი,
მაგრამ თბილისში ჩვენ არ ვიქნებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ რომ ვუცდიდით გზაში, იმ ნიავს
დრო მიმოაბნევს ნაწილ-ნაწილად,
აქ სხვა თაობის კაცნი ივლიან,
სხვა თოვლი მოვა,
მოვა სხვა წვიმა.

ამ ქუჩებს სხვა ხმა ააგიჟმაჟებს,
სულ სხვა იქნება გზების გამყვანი...
ჩემი თბილისის ნათელ რიჟრაჟებს,
ასწლის მერმინდელს,
ჩემი თაყვანი!

## ქარი ჩვენი მხრის

რა ლამაზად თოვს,
რა ძალიან ქრის
ქარი ჩვენი მხრის
შუა მთას და ფხოვს.
ჩვენს ყანებს და ზვრებს,
ჩვენს ხახსა და თხრილს,
ჟამს თესვის და ხვნის
დაჰკაშკაშებს მზე.
მაინც ვიღაც ხნავს,
ისე, როგორც სურს,
თავის წესს და რჯულს
არ ანებებს თავს!..
ქრის,
ძალიან ქრის
შუა ქართლს და ფხოვს,
ზეცა ცრემლებს ღვრის,
წვიმს და კიდეც თოვს...

თქვი, რად ელავს, აწ
დროა შენი თქმის...
თოვს,
გრიალებს,
ქრის,
ირიჟრაჟა რაც...
ქარის ჩვენი მხრის
სხვაგვარია ხმაც.
გაუმარჯოს მის
გონებას და მკლავს,
ვინც საკუთარ ხმის
ერთგულია კვლავ!
ვინც ბობოქრობს სულ,
ხმალს ლესავს და ხნავს,
თავის წესს და რჯულს
არ ანებებს თავს!

## გველეთთან დაყოვნება

ჩემი ხმა უნდა ზარად გაგიჯდეთ,
ღვიანო,
ჩემნო ტკბილნო წაწალნო,
მე შეიძლება კიდეც გავგიჟდე,
მაგრამ სიგიჟე არვინ დამწამოს!
შიშიათანავ,
კუთხო,
საყონდევ,
ნისლმოხვეულო მუდამ კლდესალო,
მე შეიძლება თქვენთან დავყოვნდე,
დასაყოვნებლად კი არ მეცალოს!

ჯვარის ტყევ, ელვადაკრულო ასგან,
უკვე დამდგარო მამის წისქვილო,
მე შეიძლება კოცონზე დამსვან
და მოძმემ იქვე ჩაიქირქილოს...
ადგილის დედავ,
ხატო,
მზისპირო,
ჭალებო,
ბევრჯერ ნაწვიმ-ნარიყო,
მე შეიძლება კიდეც ვიტირო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს ტირილი სულაც არ იყოს!
სახილევ,
გველეთ ოოთიათ ხოლო,
ჩემო მთათხვაფო,
ჩემო მთათგვერდო,
მე მოვალ ასე ივლისის ბოლოს

და ცუდი რამე არ დამახვედროთ!
გველეთო, მიწავ, კუკუათ წილო,
გაჩუქებულო ჩემგან სალარო,
მგონდებით,
მაგრამ ძალიან ვცდილობ
ფიქრი როგორმე ჩამოვახანო!

## პოეზიის ბერხენი

*ირაკლი აბაშიძეს*

ირაკლი! — წმინდა პოეზიამ დაგაბერხენა,
შენ მისი მადლი დღესაც მოგაქვს შენებურ ჯაფით...
ვერავინ ადგამს აქ ჯერხნობით შენხელა ნაბიჯს,
ბიჯმძიმე კაციც აქ ჯერხნობით არ ჩანს შენხელა!

ირაკლი! — შოთა პალესტინას შემოგხვედრია,
საქართველოზე გილოცნიათ ორივეს ერთად...
ვინც ერის წყლულთა მოზიარედ აკურთხა ღმერთმა,
დიდი ტკივილიც, ამბობენ, რომ მისი ხვედრია!

ირაკლი! — მამულს ახლა ყველგან დაჰკრავს მზისფერი,
მის სადიდებელს ყველგან დიდი რწმენით გალობენ,
შენ მასზე ერთი გულმტკივანი ხარ ხევისბერი
და შენებურად კიდევ ერთხელ დაამწყალობნე!

თქვი საქართველოს სადღეგრძელო ბარემ ერთხელაც,
რომ არ გეთქმოდეს, შენ ისეთი რა შეგემთხვევა,
ჯერხნობით კაცი კაცთკითხული არ ჩანს შენხელა...
ირაკლი! — ლექსმა და კაცობამ დაგაბერხენა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ტიკარაძე

# სასწაული

რომანი

ამჟამადაც უწინდებურად დაბალი ხმით ლაპარაკობდა ბელა, მაგრამ თვალებში აღარ ახცქეროდა რეზოს, თავი ჩაეღუნა, ულონოდ დაედრიკა დაბლა, თვალთა ქუთუთოებიც ძირს ჰქონდა დახრილი, საქციელზეც და ხმის ინტონაციაზეც დამჩნეოდა აშკარად, ისეთ რასმეს ამბობდა ახლა, რაც აწუხებდა კარგა ხნიდან მოყოლებული და რეზო მიხვდა, გუმანმა აგრძნობინა, უტყუარმა, მამაკაცურმა, დიდებულად რომ ჰქონდა განვითარებული: ქალს მონატრებოდა იგი, მამაკაცური ალღოც რომ არა, დიდი ამბავი არ უნდოდა ამის გამოცნობას, ბელა თავადვე ამხელდა ბუნებრივად და უშუალოდ... ლელამ კი იცოდა ადრევე, რეზოს რომ მოეჯადოვებია ბელა, ისე მოეხიბლა, წარამარა ვაჟის ხსენებას იყო, თვალებს იბურუსებდა წამსვე, როგორც მოაგონდებოდა, და ახლა, ბელამ რომ თქვა, რა მოხდებოდა, სადმე გენახეო და საყვედურიც აშკარად გამოურია ხმაში, ლელა განცვიფრებული დარჩა, თითქმის გაოგნებულიც, ეგებ მომეჩვენაო. ჯერ იყო და, ქალურ თვალთნაქცობად მიიჩნია იმისი ნათქვამი, ჩემდამი უფრო იქნება გამიზნულიო, მაგრამ მიხვდა მერე, ლამაზ რომ ჩაუკვირდა და განსაჯა, უფრო კი ლაპარაკება რომ გაიხსენა ბელასი, ისე დაბნეულად და უშუალოდ წარმოსთქვამდა სიტყვებს, სიმართლე იყო ყველაფერი, არადა, ვერ წარმოიდგენდა ვერასდიდებით, დღევანდელი საღამო რომ არა, თუკი იმ დღის შემდგომ, რაც ერთმანეთი გაიცნეს, არც ერთხელ აღარ შეხვედრიან ერთმანეთს ბელა და რეზო; ხოლო რამდენჯერმე მაინც ახსენებდა ხოლმე ბელა რეზოს, თანაც უჩვეულო ქალური სინაზითა და სითბოთი, ასე ეგონა, ყოველდღიურად ხვდებიან ისინი ერთიმეორესო, მარტო ეგ კი არა, იმასაც ეჭვობდა, შორსაც შესტოპავდნენო, ახლა კი მოულოდნელად გაირკვა, ლალის დაბადების დღის მერე ერთხელაც აღარ შეხვედრიან თურმე ერთმანეთს ქალ-ვაჟი და ლელას ისევ თვალწინ დაუდგა ბონდო, მაგრამ, წელანდელისა არ იყოს, არც ამჯერად შებრალებია, მოენატრა ხელახლა, ისე მოენატრა, ტანში შეაძაგძაგა გახსენებამ, ყინვად დაუარა, და შეეცადა, თვალი აერიდებია როგორმე სინამდვილისათვის, მაგრამ ამოიცნო უმალვე, შეუძლებელი მოხურვებოდა. აშკარად შეიცნო უნიათობა თავისი თავისა და კმაყოფილება მოჰგვარა სისუსტის შეგრძნებამ, სხეული კი ათრთოლებოდა და აყრუანტელებოდა... ხოლო რეზო ფიქრს ველარ გაჰქცეოდა: „სულელი ვარ, ნაღდი ტუტუცი," — და კიდევ სხვა ამისდამაგვარი სიტყვებითაც ითათხავდა თავს, ბელას საყვედურგარეულ, მაგრამ მაინც ლამაზ ხმას რომ ისმენდა და თვალმოუცილებლივ მისჩერებოდა ჯადოდ აბრდღვიალებულ, მომხიბვლელ ქალს, რომელმაც სულ რაღაც ოხუთმეტიოდე წუთში ბევრი რამ აგრძნობინა ისეთი, რასაც თავად ვერ წარმოიდგენდა ვერასდროს და თანაც ისე უბრალოდ, თითქოს ხხვაგვარი რამ არ შეიძლებოდა და გრძნობდა რეზო, ასე რომ იყო მართლაც, ყალბი თავაზიერა თუ სურვილთა მიჩქმალვა-შენიღბვა ამაზრზენსა და თითქმის გულისამრევს ხდიდა იმათ ურთიერთობას. ჰო, ადრე ვერ მიხვდებოდა ვერასდროს იმას, რაც ბელამ აგრძნობინა ამჯერად, თუმცა გახსენებია ხოლმე ქალი და ძალზე ხშირადაც, შემოდგომის ის მომხიბვლელი, გრილი შუაღამეც ათრთოლებია თვალწინ. მაგრამ

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ცისკარი" 1981 წ. № 11, 12, 1982 წ. № 1, 2.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმისდამაგვარი თამამი ფიქრები, მაშინ რომ სწვეოდა ნასვამზე, ბელას სავსე, ათრთოლებული სხეულის სიმხურვალე რომ სწვავდა, შემდგომ აღარასდროს გაუვლია გონებაში. მიუყვებოდა რეზო ახლა ყინვიან ქუჩას და ბელასა და თავის, სიამოვნებისმომნიჭებელ ფიქრებს ულიმოდა თავისას, ადვილად ხელმისაწვდომი რომ ეგონა და სჯეროდა კიდეც, აუცხადდებოდა აუცილებლად, ასრულდებოდა როცა იქნებოდა, მაგრამ იმ ამბავს, რაც იმ ღამით მოხდა, არ მოელოდა და არა. „რა გოგოა? რეგვენი ვარ მართლაც. დღემდე რომ არ ვნახე...“ ამასობაში კი ლელას სახლამდეც მიეღწიათ და ბელამ გაიოცა: „ღმერთო, ეს რა უცებ მოვედით, არც მიგრძვნია, ისე გავერთე...“ და რატომღაც ჩაფიქრდა უცებ, თითქოსდა უმიზეზოდაც: იცოდა რეზომ კარგად ამგვარი თვისება ბელასი, იმ ღამიდანვე დამახსოვრებოდა — ჩაფიქრდებოდა მოულოდნელად, ისე უცაბედად, გაგიჭირდებოდა მიხვედრა საბაბისა... მერე კი უცებვე ჩამოიცილა ბელამ ის ფიქრი, რომელიც წამის წინ დაუფლებოდა და რეზოს მიმართა: „წამოდი, ახლა მე მიმაცილე სახლამდე...“ გამოემშვიდობნენ ისინი ლელას და ახლაც, ისევე როგორც წელან, აქეთ რომ მოდიოდნენ, ტაატ-ტაატით დაადგნენ გზას: ბელას ხელმკლავი გაეყარა რეზოსთვის და თანდათან ქრებოდნენ ღამის სიბნელეში, შორიდან, აი, იქიდან, სადაც ლელა იდგა, იმდაგვარად ილანდებოდა, თითქო მკლავზე ჩამომკონწიალებოდა ბელა რეზოს და ისე მიაბიჯებდნენ... მერე და მერე ნელინელ შეერივნენ ისინი ღამისეულ წყვდიად-უკუნეთს, ერთხელაც არ მოუხედავთ უკან, ლელასკენ, ჯერ მხოლოდ რეზო გაუჩინარდა სიბნელეში, ბელა კი, რადგან ტანთ ჭრელი ქურქი ეცვა, კვლავ დიდხანს ჩანდა, სიბნელე ვერას აკლებდა და ახლა, როცა რეზო ღამეს შერეოდა, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს მარტოდმარტო მიაბიჯებდა ბელა, მიირხეოდა ნელი, აუჩქარებელი ნაბიჯით და ბოლოს თეთრ, უფორმო ლაქად იქცა იგი, ცოტაც და, ის თეთრი ლაქაც გაქრა, წყვდიადს შეერთქვიფა და დარჩა ლელა განმარტოებით მდგარი ზამთრის ყინვიან ღამეში, თავის სახლის წინ, ქუჩაში, მაგრამ შინ როდი შესულა, იქ იდგა მოყინულ ტროტუარზე კარგა ხანს და სიბნელეს გასცქეროდა თვალმოუცილებლად, ქუჩას უმზერდა დაჟინებით, კვლავ იქითკენ იყურებოდა, სადაც ბელა და რეზო გაუჩინარებულიყვნენ წელან. არაფრით არ უნდოდა მარტოდ დარჩენა მაშინ ლელას, შინ შესვლაც არ სურდა, განმარტოებისაც ეშინოდა და შინაურებისაც, ოჯახის წევრების უბრალო დანახვასაც ვერ იტანდა, რატომ? ეს კი არ გაეგებოდა, არც ეპრიანებოდა, მიზეზს ჩაწვდენოდა ამგვარ გუნებაზე მოდგომისას... „მოდი, მეც წამიყვანეთ“, — გაიფიქრა ჯერ, როცა იმათ ემშვიდობებოდა, სურდა კიდეც ეთქვა, რასაც ფიქრობდა, მაგრამ, როგორც კი თვალი შეავლო ბელასა და რეზოს, მიხვდა უმალ, შეუძლებელი მოენდომებინა: ქალ-ვაჟს აშკარად დასტყობოდა სიხარული და შვება სხვათაგან განმარტოებისა და დარჩა მარტო, მერე კი მიხვდა, სიმარტოვისა იმიტომ ეშინოდა, ბონდო დაუდგებოდა ისევ თვალწინ, არც შემცდარა, ახლა წელანდელზე გაცილებით უფრო დიდი სურვილი გასჩენოდა იმისი ნახვისა და არც ამჯერად გახლდათ სიბრალულით გამოწვეული ესა... წარმოუდგენლად ზედმეტი სიცხადით დასდგომოდა იმ ყინვიან ღამით თვალწინ ლელას ბონდო, გარკვევით ხედავდა იმის სახის ნაკვთებს, ჩაღრმავებულ ყორანა თვალებს, თხელ, თითქმის სიფრიფანა ნესტოებს, ზემოთ აწეულ, შუაში ორად გაყოფილ ნიკაპს და სამოსსაც; გაღეღილ საყელოს პერანგისას, დაუდევრად ჩაცმულ პალტოს და კიდევ სხვა უამრავზე უამრავ წვრილმანს და გაცილებით უფრო მეტიც, ეჩვენებოდა, თითქოს სუნთქვაც ჩაესმოდა იმისი, დიახ, გვერდით ამოსდგომოდა თითქოს, ჩაფიქრებული, ფერმიხდილი, არეულ-დარეული და, როგორც ყოველთვის, ამჟამადაც დაღვრემილ-დადარდიანებული. ასეთად ახსოვდა თითქმის ყოველთვის, რაც კი ერთმანეთი გაეცნოთ და ახლა თავის სახლის წინ მარტოდ მარტო მდგომი და ამფორიაქებელ ფიქრებს დამორჩილებული, გულწრფელად ცდილობდა, ეგება როგორმე შემებრალოს ისევო, მაგრამ არა, ფუჭი ნატვრა იყო და მეტი არაფერი, სიბრალული ბონდოსი გაჰქრობოდა, არ სწვევია იმ ღამით და დარწმუნებული იყო უკვე, არც აღარასოდეს ეწვეოდა აწი, აღარ მობრუნდებოდა... მერე კი უკანასკნელი ღონე მოიკრიბა, რათა ბონდოს ხატება ჩამოეცილებია და ვერაფერი რომ ვერ ილონა, რეზოზე და ბელაზე დაიწყო ფიქრი, თუმც არ ეხალისებოდა ოდნავადაც, თავს ატანდა ძალას და ისე ფიქრობდა, ბოლოს მოუხმო, როგორც იქნა, უნარს წარმოსახვისას, ბევრი რამ წარმოიდგინა თვალნათლივ: ახლა, აი, ამ წუთას, ოთახში იქნებიან ჩაკეტილნი, შესვლისთანავე გადარაზავდა ბელა კარსო, და თითქოს ძალიან ახლოდან შესცქეროდა, ცხადად დაუდგა თვალწინ, ერთმანეთს ჰკოცნიდნენ ბელა და რეზო, იმდენ ხანს, სუნთქვა ეკვროდათ, მაგრამ ვერ სცილდებოდა ტუჩები ტუჩებს და მერე თითქოს კაბას იძრობდა ბელა, თამამად და მოურიდებლად იძარცვავდა სამოსს, თან კი ბიჭს შესცქეროდა ჩაბურუსებული თვალებით და საამო, დიდიხნის ნაოცნებარი შეხვედრით გაბრუებულს, სხეულის ყოველი ნაკვთი აცახცახებოდა წარმტაცად, ბოლოს კი იდგა ვაჟის წინ სამოსგანძარცული, ფაფუკი, თეთრი, აგიზგიზებული და საწოლისაკენ მიუხმობდა, მაგრამ ამაო, ფუჭზე ფუჭი რამ იყო ის საოცარი უნარი წარმოსახვისა, ახლა რომ გამოეწვია და დამორჩილებოდა, მაინც ვერ დაიბრუნა უწინდელი გრძნობა, იოტისოდენადაც არ შებრალებია ბონდო, უხაროდა კიდეც, ასე რომ იყო, აღარაფერი აღარ სჭირდა დღეის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამას იქით შესაცოდებელი და ნაზვა მონატრებოდა მისი. აი, ეს ახალი განცდა იყო უწინდელი სიბრალულის გრძნობის სანაცვლოდ რომ დაპატრონებოდა, შეუმჩნევლად და შეპარვით, მოულოდნელად დაუფლებოდა იმის არსებას, ბატონ-პატრონად დასდგომოდა და დაემორჩილებინა სამარადისოდ და ახლა ერთხელ ფიქრობდა, სურდა ამოეცნო როგორმე, როდის ან როგორ შემობრძანებულიყო მის სულში ის უცხო და ჭიუტი, ამქვეყნად მხოლოდ და მხოლოდ საბატონოდა და დასამორჩილებლად მოვლენილი მტანჯველი, ბედნიერების მომნიჭებელი და ძალზე ტკბილ-მწარე გრძნობა, რომლის სახელი კარგად უწყოდა ლელამ, ჰო, ყველაფერს ჩასწვდა ზამთრის იმ ყინვიან ღამით, შეიცნო სიმართლე, თანდათანობით ჩაუღრმავდა ჭეშმარიტებას და მიზეზს დაუწყო ძებნა მომხდარისას, იცოდა რაკი, უმიზეზოდ არაფერი ხდებოდა ამქვეყნად და გაუელვა: „ძალზე ხშირად ვფიქრობდი ხოლმე ბონდოზე, ახლა კი ყველაფერი გვიანია, ჩემი ბრალია, რაც მოხდა, ძალიან ხშირად მებრალებოდა, რა მრჯიდა მაინც, რა, რა... თუმცა, ძალიანაც კარგად ვიქცეოდი". იცოდა ახლა სიმართლე: მძაფრ და მტანჯველ სიყვარულად გარდასახულიყო თურმე ის გამუდმებულ-აჩემებული გრძნობა სიბრალულისა... მარტოდენ მტკივნეულ ბედნიერებას მინებებოდა მაშინ ლელა, უცხოს, მანამდე არარსებულს, აუცილებელი და საჭირო რომ გამხდარიყო და ერთი რამ კიდევ: ისე ენატრებოდა ბონდო, ძვლები სტკიოდა და სტეხდა, დამშვიდდებოდა მაშინვე, ორიოდ წამით მაინც რომ მოეკრა თვალი იმისთვის და უეცრად ცრემლი ჩამოუგორდა ლაწვებზე, საამო, ცხელი, თითქმის მდუღარე, შვებისმომგვრელი კურცხალი, მერე ლაწვებიდან ტუჩებზე დაუგორდა, იქაც არ დაჰკარგოდა ადრინდელი სითბო-სიმხურვალე და მლაშე გემო შეიგრძნო ბაგეებით ლელამ, თვალები კი ფართოდ ჰქონდა გახელილი იმ დროს, სუნთქავდა ღრმად, თანაზომიერად, ყინულოვანი, ცინცხალი ჰაერი უვსებდა ფილტვებს და იმ გამჭვირვალ, ფართო ცრემლს მიღმა, განუწყვეტლივ რომ მოედინებოდა ორთავ თვალთაგან კოკისპირულსავით, მხოლოდ ბონდო ცახცახებდა, კანკალს აეტანა ციებ-ცხელებიანივით, ნერვულსა და გამაღიზიანებელს და კვლავაც იმგვარივე იყო როგორც ყოველთვის, ფერმიხდილი, დადარდიანებული, თითქოს უსაშველოდ გადაქანცული... უხმო, ხშირმა მდუღარე ცრემლმა ქვითინი მოიყოლა მერე და მერე, ქვითინებდა ლელა და ბონდო ენატრებოდა, ნიადაგ მომქანცველ ფიქრებს მინებებული ჭაბუკი, რომელსაც თავისივე ნებითა და სურვილით, რაკი სხვაგვარად ვერც წარმოედგინა, ისეთი ქალი ექცია კერპად, რომელსაც არ ესმოდა მისი და სულიან-ხორციანად დანებებოდა იმ კერპს, თავადვე რომ შეექმნა და ეღიარებია... „არა, არ შემიძლია, უნდა ვნახო აუცილებლად, ამაღამვე, ერთხელ მაინც უნდა მოვკრა თვალი როგორმე. თორემ ვერ გავათენებ ამაღამდელ ღამეს, არ შემიძლია, არა, არა..." — ფიქრობდა ლელა და ცრემლი უთუთქავდა გუგებს თვალისას, ლაწვებს, ლოყებს და იმ მდუღარე ცრემლში კვლავ და კვლავ ის ერთადერთი არსება ცახცახებდა, რომელიც სანატრელი გამხდარიყო, მტანჯველად ძვირფასი და უცილობლად საჭირო...

ხოლო ბელა და რეზო დიდხანს მიუყვებოდნენ ხმის ამოუღებლად ნეონის ნათურების მკრთალ შუქში ატივტივებულ ქუჩებს ზამთრისას, სიწყნარე და სიმყუდროვე, ირგვლივ რომ დასადგურებულიყო, ისიც, ხმას რომ არ იღებდა არც ერთი მათგანი და აუჩქარებელი, ზომიერი ნაბიჯით მიდიოდნენ, თითქოს საგანგებოდ დაეხწავლათ ერთ დროს და მერე საგულდაგულოდ შემოენახათ დღევანდელი ღამისათვის, ისიც, ორივე ფიქრთა დინებას რომ ახლევნებოდა და დამორჩილებოდა თავისას და კიდევ ერთი მთავარი რამ — ქალსაც დიდებულად რომ გაეგებოდა და ვაჟმაც უწყოდა მშვენივრად საბაბი ერთურთის იდუმალი, ჯერ გაუმხელელი ფიქრისა, ერთმანეთის დარდი ჰქონდათ მხოლოდ და მხოლოდ იმათ მაშინ, საოცრად თბილსა და ჩვეულებრივ ინტიმურს ხდიდა ყოველივეს, ღამეს და ქუჩებს, სუსხსა და ზამთარს და, უპირველეს ყოვლისა კი, იმათ ურთიერთობას... მიირხეოდნენ ნელა იმ ცივ, დიდებულ და ერუანტელისმომგვრელ, წარმტაც სიჩუმე-სიმყუდროვეში, დაბლა კი, ძირს, ხან ქვაფენილებზე და ხანაც ტროტუარებზე აცახცახებული ჩრდილები მიცოცავდნენ მათი, ნება-ნება, ლამაზად მიცურავდნენ, როგორც მდინარის პირად მდგარ ხეთა ლანდებში წყლის კრიალა, მდორე ზედაპირი, გრძელდებოდნენ და იწელებოდნენ ზოგჯერ, პატარავდებოდნენ და მოკლდებოდნენ ხან, უკან აედევნებოდნენ დროდადრო, ხანაც გვერდით, ხანდახან კი წინ გაუსწრებდნენ და მიუძღოდნენ. ხოლო რეზოს გრძელი, საამოდ თბილი და ფაფუკი თითები მოემწყვდია ბელასი თავის თითებში, ახედავდა ხანგამოშვებით ქალი, ჯერ დანისლული მზერით ასცქეროდა ჩაფიქრებული, თვალები ენამებოდა და ეცვარებოდა იმ დროს, მერე კი, ვიდრე მზერას აარიდებდა, ღიმილი უნათებდა თვალებს, ოდნავ, ძლივშესამჩნევად უპობდა სავსე, ამობურცულ ბაგეებს და მეორდებოდა წარამარა ასე და რეზოც დიდხანს შესცქეროდა ხოლმე ქალს, ყველაფერი სიამოვნებდა ახლა ამქვეყნიური, განსაკუთრებით კი სითბო ბელას ფაფუკი თითებისა და ჯადოღიმილისა და ისევ იმას ნანობდა და შემოსწრლოდა გულზე დარდად: „სად ვიყავი, აქამდე უნდა მენახა", და გაცილებით უფრო მეტი სანაღვლოც გაჩენოდა, მაგრამ ლამაზი დარდი იყო ისა, ნეტავ რამდენიმე წლის წინათ შევხვედროდით ერთმანეთ-

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სო... ბოლო ბელამ, თითქოს იმის ფიქრთა მდინარებას ჩასწვდა. შესაძლოა, ამოიცნო მართლაც, წელანდელზე უფრო სასიამოვნო ხმით წამოიწყო:

— საძაგელო, — ეჩურჩულებოდა და შესცინოდა, სითბო ელვრებოდა თვალთაგან, სითბო და კიდევ მომნუსხველი ნათელი და ჩურჩულით ნათქვამი ცხელი იყო, მომჯადოებელი,—გრძნობ თუ არა დანაშაულს, მითხარი, სიმართლე მითხარი, არ დამიმალო, გრძნობ თუ არა...

— ვგრძნობ, — პასუხობდა რეზო და იმის თვალთაგან გადმოღვრილი ნათელი თენთავდა, ცხელი სიტყვები აბრუებდა, უბჟუოდა სხეული და ეწადა დიდხანს გაგრძელებულიყო ყინვიანი ქუჩები, ყოფილიყო ცივი ღამე ზამთრისა გაუსრულებლივ, სჯეროდა ახლა, ერთურთისთვის მოვლენოდნენ ისინი ქვეყანას, მხოლოდ ერთიმეორისათვის, — ჰო, დამნაშავე ვარ...

— გადაწყვეტილი მქონდა, ხმა აღარ გამეცა შენთვის, — და ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მიჩუმდა ბელა, რეზო კი შესცქეროდა, როგორ მიაბიჯებდა თავჩაქინდრული, ნაბიჯიც მოშვებოდა ამ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმის შემდგომ, კარგა ხანს აღარ ამოუღია მერე ხმა და რეზო მიხვდა, არ უნდოდა ბელას თქმა იმისა, ახლახან რომ წამოიწყო, ძალაუნებურად წამოსცდენოდა. ფიქრი გაემხილა ხმამაღლა და ახლა თავჩაქინდრული რომ მოაბიჯებდა, გუნებაში სწონიდა, გაეგრძელებია თუ არა ის, რაც სურვილგარე წამოიწყო და უფრო მიმზიდველი და სათნო გახდა ბელა იმ ორჭოფობის ჟამს, მოკრძალებული, თითქმის გაუბედავი, საერთოდ კი არ უნდა ყოფილიყო ასეთი, იშვიათად თუ დაემართებოდა ალბათ ამგვარი რამ და შედგა უცებ ვაჟი, შეაჩერა ბელაც და შეებრალა, არა, არ შეეფერებოდა მსგავსი უმწეობა-უხუსურობა ბელას, მარტო ამჟამად კი არა, არასდროს და შუბლზე შეახო თითი, აუწია თავი: შესცქეროდნენ ახლა ისინი ერთმანეთს გარინდულნი, კვლავ ჩაფიქრებული იყო ბელა, სევდას მინებებული და რეზომ იმ ამობურცულ, ლამაზ ბაგეებზე ჩამოაცურა თითი — დენმა დაუარა თითქოს სხეულში, შეკრთა უცებ, იგრძნო სიმხურვალე და სილბო ქალის ტუჩებისა და მერეც ხმის ამოუღებლად იდგნენ, ბოლოს კი ღიმილი აუკიაფდა ბელას თვალებში, სახეზეც მოეფინა,— ჰო, ვფიქრობდი, ხმას აღარ გავცემ თუკი... თუკი როგორმე მისი ნახვა მეღირსა-მეთქი, მაგრამ დღეს რომ დაგინახე, — ჩამოიშორა ღიმილი და თვალები ჩაიბინდ-ჩაინაღვლიანა, რეზო კი მიხვდა, იაზრა უმალვე, დაკვირვებული თვალი ჰქონდა საერთოდ და იშვიათად თუ შეცდებოდა, ამ ქალს ყოველი ვითარების ჟამს ძალუძდა ნიღაბივით მოერგო და მერე, როგორც კი მოისურვებდა, უცებვე ჩამოეცილებია ღიმილი, მაგრამ საოცრად ბუნებრივად გამოსდიოდა იმ ნიღბის მორგება-ჩამოცილება, რა თქმა უნდა, თავადვე იცოდა ესა და ისიც გაეგებოდა, ძალზე რომ შვენოდა უეცარი, მოულოდნელი ცვალებადობა ღიმილისა სევდანარევი გამომეტყველებით. უფრო მეტსაც მიხვდა რეზო, წლების მანძილზე ხელოვნურად გამომუშავებული და მერე გულმოდგინედ დახვეწილი, ჩვევადქცეული თვისება იყო ესა, ბელამ კი, ორიოდ წუთიც არ გასულიყო, რამდენჯერმე შეიცვალა სევდანარევი გამომეტყველება ღიმილით და მერე დაკვირვებით შეათვალიერა რეზო, არ გამოჰპარვია, ამჟერად რაღაც ანალიზით რომ იყო იგი გართული, შეცბუნდა წამით, დაეტყო კიდეც შეკრთომა და უეცრად უკარნახა და მიახვედრა ალღომ, შინაგანი მოთხოვნილებისდა მიხედვით უნდა მოქცეულიყო ყოველთვის ამ ვაჟთან ურთიერთობისას, ბუნებრივადა და უშუალოდ და აღარც დაუყოვნებია, შეასრულა განზრახული, მხოლოდ ღიმილი დაიტოვა სახეზე, ასე სურდა რადგან, შინაგანად ეწადა და ერთ ამბავს ჩასწვდა კიდევ, რეზოს დაკვირვების წყალობით ბევრი იმდაგვარი რამის მიხვედრა და ამოცნობა ძალუძდა, რასაც სხვა ვერ იაზრებდა ვერასდროს: ღიმმორეული შესცქეროდა ვაჟს და როცა დაატყო აშკარად, აღარაფერს ფიქრობდა იგი და არც აანალიზებდა რაიმეს, განაგრძო: — მაგრამ დღეს, დაგინახე თუ არა, როგორც კი მოგკარი თვალი შორიდან, ისე გამეხარდა შენი დანახვა,—ჩურჩულებდა, აღარც ილიმებოდა და არც სევდა აღბეჭდვოდა სახეზე, რეზომ კი იცოდა, სიმართლეს ამბობდა ამჟერად იგი, რაც განეცადა იმას, უცებვე ირწმუნა ქალისა, შეამჩნია თუ არა, ნიღაბივით რომ აღარ ირგებდა და იცილებდა ღიმილსა და სევდას, — ისე გამეხარდა, გადამავიწყდა ყველაფერი, მარტო ის კი არა, ადრე რასაც ვიქადნიდი, ყოველივე ამქვეყნიური, — და საყვედურზე გადავიდა ისევ ბელა, აღარ ჩურჩულებდა, ოდნავ აუმაღლა ხმას, — რა დიდი ამბავი მოხდებოდა ვითომ, გენახე სადმე,— თვალზე ცრემლი მოადგა მერე, დაინამა უპეები: შესცქეროდა რეზო, როგორ ბრჭყვიალებდა ის ცრემლი ნათურების მკრთალ შუქზე, — მე კი, მე კი, ვინ იცის, რამდენჯერ დავაპირე, მოდი, რაც იქნება, იქნება, ვეტყვი ლალის და სადმე შემახვედრებს-მეთქი, მაგრამ მერიდებოდა ყოველთვის, მეგონა, შენ თვითონ მოიფიქრებდი...

უსმენდა და შესცქეროდა რეზო ბელას, თვალს არ აცილებდა და სჯეროდა ყველაფერი, ჰო, მაშინვე იწამა, როცა ღიმილი ჩამოიცილა და აღარც სევდანარევი გამომეტყველება აჩნდა, ხმასაც უმალ რომ აუმაღლა, როგორც კი სამდურავზე გადავიდა, ბუნებრივი იყო იმჟამად ყოველი მოქმედება და საქციელი ქალისა: ღიმილის ჩამოცილება, ხმის ოდნავი ამაღლება, ისიც, თავი რომ ჩაექინდრა, უცაბედად, თავის თავადა და ხელოვნურობა-ნაძალადეობის გარეშე თვალზე მომდგარი ცრემლიც, რომელმაც მერე ღაწვებზეც დააჩნია მკრთალი ნაკვალევი და აბრუებდა და აჟრჟოლებდა, სხეულის ყოველ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუნთს უკუმშავდა ზამბარასავით, უჭიმავდა და უმკვრივებდა, თან კი ერთდროულად თენთავდა და ადუნებდა კიდეც რეზოს ლამაზი, უშუალო ხმით ნათქვამი საყვედურები ბელასი, ყინვიანი ღამე, სიწყნარე და უშფოთველი სიმშვიდე სახლებში გამოკეტილი ძილსმინებებული ქალაქისა და საკუთარი, ხან დაწმენდილი და ზოგჯერ მღვრიე, არეულ-დარეული ფიქრები და რაც ყველაზე მთავარია, ქათქათა, გრძელი, ფაფუკი თბილი თითები ბელასი, რომელიც ხელში ჰქონდა მომწყვდეული ფრთხილად და, ვინ იცის, უკვე მერამდენედ ხდებოდა, კვლავაც შემოდგომის მაშინდელი ტკბილი და ტკივილნარევ-წამლეკ-თავბრუდამხვევი ათიოდ წამი ახსენდებოდა შუაღამისა და თავის მკლავებში აფართხალებული ბელა, ცხელი ტუჩები და მოქნილი, ფაფუკი სხეული ქალისა და ეჩვენებოდა და სჯეროდა, კიდეც, ახლანდელი ყინვიანი ღამე გაგრძელება იყო წარსულში ჩარჩენილი შემოდგომის იმ გრილი შუაღამისა... „რატომ ჩემით არ ვნახე ბელა, — მტკივნეულად ფართხალებდა და ტივტივებდა გონებაში სინანული, — რას ვუცდიდი, მეორე დღესვე უნდა მენახა...“

რა იცოდა რეზომ, არ უწყოდა და აზრადაც არ მოუვიდოდა ოდესმე და ვერც შეიტყობდა ვერასდროს, არა, არაფრისდიდებით არ გაუმხელდა ბელა, ქალი გახლდათ რადგან იგი და თანაც ყოველმხრივ ზედმეტად ქალური ქალი და ამიტომაც არ იტყოდა ყველაფერს, არ მოინდომებდა თქმას, თავისი ფიქრებისათვის დაიტოვებდა როგორც საჭირო და აუცილებელ საიდუმლოს, რომელიც დედამიწის ზურგზე არც ერთი ადაიანისათვის არ იყო განკუთვნილი, მით უმეტეს კი მამაკაცისათვის, რომ მასაც ძალზე ხშირად მოჰგონებია და დასდგომია თვალწინ მარტო ეგ კი არა, მონატრებია კიდეც ის საამო ათიოდე წამი შემოდგომის გრილი შუაღამისა, ბიჭის მკლავებიც ხშირად გახსენებია და უგრძვნია პირვანდელი სიცხადით ფიქრში და იმ მკლავებში აფართხალებაც მოსურვებია, დღემდე ახსოვდა მომთენთავი ჟრუანტელი და ტკბილი ტკივილი სხეულის ყოველ ნაკვთზე, ვაჟის რკინასავით მკლავების და დაკუნთული ტანის შემოსალტვისას რომ იგრძნო. ეგ ყველაფერი განსაკუთრებული სიცხადით წელან გაახსენდა და გააბრუა კიდეც მოგონებამ, დაარეტიანა, აი, მაშინ, რამდენიმე წუთის წინ, რეზომ ტუჩებზე რომ შეახო თითი... გზა განაგრძეს მერე, კარგა ხანს იდგნენ იქა და ორივეს მობეზრებოდა უმოძრაობა, უთქმელად, თითქმის ორივემ ერთდროულად გადადგა ნაბიჯი, ერთიმეორეზე ფიქრობდნენ ისინი და მთლიანად ერთად იყვნენ, ერთურთში იწყებოდნენ, ურთიერთისაგან განუყოფელნი, ერთ არსებად ქცეულნი, ხოლო სუსხი და ყინვა ყოველი ნაბიჯის გადადგმასთან ერთად ძლიერდებოდა, მაგრამ რა მნიშვნელობა ჰქონდა, არც ერთს არ ედარდებოდა ესა, ვერც ამჩნევდნენ, რადაი აღარაფერი არსებობდა ახლა ირგვლივ, და ხიჩუმეში ბელას ხმა გაისმა უცებ: „აი, ჩემი სახლიც, ძალიან მალე მოვედით, — ხმაში ხევდა არ გამოურევია და რეზოს ეწყინა ესა, — სხვა დროს კი, როგორ მიგრძელდება ხოლმე ეს გზა...“ ბელას დალაპარაკებისთანავე შეცბუნდა რეზო, იქამდე ღრმად ჩაფიქრებული მიაბიჯებდა, აქ კი შეკრთა უეცრად, არ მოელოდა, ასე ახლოს თუ იცხოვრებდა ბელა; ნაბიჯი შეხდგა უცებ, გაქვავდა და მერე კარგა ხანს იყო ჭონდაკებადქცეულ-გაშეშებული, თვალსაც არ ახამხამებდა მოულოდნელობისაგან აფორიაქებული, იფიქრებდი, სუნთქვაც შეჰკვრია და მაჯისცემაც შეჩერებიაო; ხოლო ბელამ უცებვე შენიშნა შეცბუნება ვაჟისა და, რაღა თქმა უნდა, მიზეზსაც ჩასწვდებოდა, იმითი ამოიცნო, მოწყვეტით რომ შეჩერდა და გაშეშდა ადგილზე მისი სიტყვების გაგონებისთანავე, შესცქეროდა ახლა რეზოს, სიამოვნებდა იმისი ცქერა, „ვერ ვეთმობის“ შეგრძნება უდუნებდა და უღრუღლებდა სხეულს და ვაჟის დღეს დამორჩილებოდა თავადაც, იმასაც ვერ ეთმობოდა: ბოლოს და ბოლოს შეხვედროდა მრავალი ნატვრისა და ოცნების შემდგომ და წელან, თვალი მოჰკრა თუ არა, მაშინვე გადაწყვიტა ის, რასაც რამდენიმე წამის მერე იტყოდა, იქამდე კი, სათქმელის გამხელამდე, ფიქრს მინებდა, ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს მხოლოდ ახლაღა სწონიდა გონებაში იმას, რაც კარგა ხანი იყო გადაეწყვიტა. ქალური თვალთმაქცობა იყო ესა, ფიქრობდა და ფიქრობდა მოსაჩვენებლად, ხოლო რეზო გუნებაწამხდარ-შეცბუნებული იყო, შეფიქრიანებული, და დაკვირვებისათვის არა სცხელოდა, დროებით მიჩლუნგებოდა და მიკარგოდა ეგ უნარი, თორემ ადვილად მიხვდებოდა, განგებ რომ მერყეობდა ქალი და ბოლოს, როგორც იქნა, დაადგა საშველი, ჯერ მზერა შეავლო ვაჟს ისე, თითქოს ფიქრს დაალწია თავი და როცა რეზომაც შეხედა, წარმოთქვა: — „იცი რა? მარტო ვცხოვრობ მე, — უცებ, ამ სიტყვების თქმისთანავე აუწყლიანდა თვალები, ხოლო რეზო წამსვე გამოერკვა, შეტოკდა და ბელას მილმა ჩაბნელებულ ქუჩას მიაპყრო თვალი, იცოდა ახლა, რასაც იტყოდა ქალი და სიხარული დაეუფლა, მყის შეუმსუბუქდა სხეული, იგრძნო ის სუფთა, ცივი ჰაერი სასიამოვნოდ რომ უვსებდა ფილტვებს და ცხელზე ცხელი, მდუღარე სისხლი, ძალუმადა და ჰძლავრად რომ მოძრაობდა ძარღვებში, ბელამ კი განაგრძო წამოწყებული: — ჰო, მარტო ვცხოვრობ, — მღელვარება მიეძალა ქალს, ვერ მიჩქმალა ვერაფრით, ისე კი ეწადა გულით და რეზოს ესიამოვნა რომ ვერ შეძლო, — ღვინო მაქვს შინ, ბევრი არა, მაგრამ შენ უნდა გეყოს მგონი და... და გაგიმასპინძლდები, — ამის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერე, რაკილა თქვა სათქმელი, ამოიოხრა ერთი და დაეტყო, უგზოუკვლოდ რომ გაუქრა მღელვარება, — საჭმელიც მომეძებნება..."

უარს ვეტყვით, თავი მოიტყუა რეზომ, ყასიდად მაინცო და მართლაც ერიდებოდა, ცოტა არ იყოს, როდი გამოჰპარვია ბელას იმისი მერყეობა, გაუღიმა, ხელკავი გამოსდო მერე. ხელოვნურობის ნასახიც არ აფერმკრთალებდა ამჯერად მის მოქმედებას და გაახარა რეზო შინაგანად ქალის უშუალობამ... ჰო, წელანვე იგრძნო ბელამ ამ ბიჭთან ბუნებრიობა იყო ყოველთვის აუცილებელი, სხვაგვარად არ შეიძლებოდა და გადაწყვიტა, უშუალოდ მოქცეულიყო, როცა კი მასთან იქნებოდა და იცოდა წინასწარვე, დაუბრკოლებლად შეძლებდა განზრახულის შესრულებას...

ხოლო უფრო მოგვიანებით, „თამადა მე უნდა ვიყო..." თქვა ბელამ, მსუბუქი, საზაფხულო სამოსი ეცვა და ზამთარი დავიწყებოდა მაშინ რეზოს, აპრილის, მწვანე ლორთქო ბალახის სურნელი და მზის მცხუნვარება იგრძნობოდა ოთახში. შესცქეროდა რეზო ბელას და თანდათანობით ითენთებოდა, უმღვრევდა გონს ბელას ხმა, იმის სავსე, ფაფუკი სხეულის მზერა და თავდავიწყებაც მოდიოდა თავისთავად, უცილობელზე უფრო საჭირო, გონის წამრთმევი, ქალთან სიახლოვის წინ რომ იცის და თბილი სიმშვიდეცა და საამო თავდაჯერებაც დარწმუნებული მამაკაცისა, ხოლო ბელას ღვინით სავსე ჭიქა ეკავა ხელთ:

— წინააღმდეგი ხომ არ იქნები, თამადა მე უნდა ვიყო დღეს...

— არა, — უპასუხა რეზომ, ერთმანეთის საპირისპიროდ მისხდომოდნენ გაწყობილ სუფრას და რეზო წამოდგა, გვერდით მიუჯდა, თეფში და ჭიქაც გადაიტანა იქითა მხარეს, ხოლო ბელამ ღიმილით გადახედა ჯერ და მერე მოიწყინა უცებ: ჩაუბურუსდა თვალები, წყვილი ცრემლი ჩამოსწყდა მოულოდნელად და დაირცხვინა, აშკარა იყო მოერიდა კურცხალისა, რომელიც უნებურად, თითქოსდა უმიზეზოდაც მოსდგომოდა თვალზე და ორივე ხელის გაშლილი თითები აიფარა სახეზე, მიხვდა რეზო, არ უნდა შეემჩნია ცრემლი ბელასი, ასეც მოიქცა, — დიასახლისი შენა ხარ და თამადაც შენ უნდა იყო, რა თქმა უნდა...

— ამ ჭიქით, — თქვა ბელამ, ის წყვილი კურცხალი რომ შეაშრა და ფიქრიც ჩამოიცილა და უცაბედმა შეცბუნება-აღელვებამაც გაუარა, არც ილიმებოდა მაშინ და არც ჩაფიქრებული იყო, სიმშვიდე დაჰპატრონებოდა — დღევანდელ დღეს გაუმარჯოს და კიდევ, იცი, რას? აი, იმ საღამოს, ჩვენ რომ გავიცანით ერთმანეთი...

შემდგომით შემდგომ კი თამბაქოს კვამლმა აავსო ოთახი, ხოლო რეზოს ქალის ცივ მუხლებზე დაედო თავი, ხელები წელზე შემოეხვია იმისთვის და სულიან-ხორციანად მინებებოდა და დამორჩილებოდა წამლეკ, ყოვლის დამანგრეველ-გადამბუგველ სურვილს, ბელა კი თმაში უცურებდა თითებს, ნელინელ, ფრთხილად, შუბლისაკენ და ბაგეებისაკენ ჩაუცურებდა მერე, ბიჭის ცხელი სუნთქვითა და მხურვალე ტუჩებით იმდუღრავდა, შვებისმომგვრელი და აუცილებლად საჭირო ტკივილი იყო ყველაფერი და თავი ამოუტრიალა ვაჟს, დაიხარა, დაიდრიკა და გამოზომილი, მსუბუქი, ჰაეროვანი მოძრაობით მიუახლოვა ტუჩები იმის ტუჩებს: ნაყოფით დახუნძლული ხის ნედლი ტოტი იყო იგი მაშინ, დროზე უნდა გაკრეფილიყო...

თვალი რომ გაახილა ბელამ, ბნელოდა ოთახში, ჩამომძიმებულიიყო კედლები და ჭერი, დაინახა მერე, გარეთ, სარკმელს მიღმა ტანთ იძარცავდა არემარე, ნელნელა, თანდათან ნაცრისფერდებოდა და საამოდ იცრიცებოდა ლამისეული ბინდი, იმას კი ვაჟის მკერდზე ედო სახე, თითქოს ზღვის უკაცრიელ სანაპიროზე იწვა შიშველი და მცხუნვარე მზეს ეფიცხებოდა, ნელინელ ერკვეოდა და იკრეფდა გონს ლამაზად მოდუნებულ-ქანცგაცლილი და ჩათბუნებული, ვაჟის ღრმა სუნთქვა, საკუთარი სხეულისა და კმაყოფილების მტკივნეული შეგრძნება უცინცხალებდა გონებას, და, აი, გამოიღვიძა, გამოფხიზლდა მთლიანად როგორც იქნა და დეტალ-დეტალ-თვალნათლივ დაინახა წუხანდელი საღამო: დაბურული, მკრთალი, სიზმრისეულ-ზმანებისეული ყინვიანი ქუჩები ქალაქისა და მერე დანარჩენი ყველაფერი, რაც კი წინა ღამით მომხდარიყო და კიდევ უფრო მჭიდროდ მიეტმასნა ვაჟს, უვარვარებდა ტუჩები, მკერდიც უხურდა, ტკბილ ტკივილს დამარტოხელებოდა ყოველი ნაკვთი მოთენთილ-აჟრჟოლებული სხეულისა და კიდევ უფრო მეტი სიახლოვის სურვილი ახელდა თვალს, ილვიძებდა თანდათან, მაგრამ ამაყი იყო თანაც ქალი — გონება უარყოფდა და გაურბოდა იმას, რასაც სისხლი თუ სხეული მათხოვრობდა... რეზომაც გამოიღვიძა მერე, უცებ დაალწია ძილს თავი, თითქოს დამშეული ნადირი იყო, რომელსაც ძილში აულია მსხვერპლის გეში და შვებაც თავისთავად მოვიდა: თითქოს არც არსებულიყოს არასდროს, უგზოუკვლოდ გაუქრო ქალს წამისწინანდელი სიამაყე, ჰო, ერთმანეთი სჭირდებოდა ორივეს, არაფერი ჰქონდათ სამათხოვრო და კიდევ ერთხელ მობრუნდა ტკბილი ტკივილი... ბოლოს კი ხელახლა ჩაეძინა რეზოს, ხოლო ბელა კვლავ მჭიდროდ მიჰკვროდა, სუნთქვას ისმენდა მისას, მშვიდსა და მძლავრს, გრძნობდა, როგორ ევსებოდა ფილტვები რეზოს მიერ ამონასუნთქი ჰაერით და ერთადერთი ფიქრიღა უბურუსებდა გონებას: „მეტყვის თუ არა რამეს, როცა გამოიღვიძებს, მკითხავს თუ არა... მკითხოს ნეტავ, აქვს უფლება, ვაიმე, რა კარგი იქნება, რომ მკითხავდეს, ყველაფრის უფლება აქვს, ადრე შემხვედროდა მაინც. რაღას უცდის, რატომ არ იღვიძებს, გამოიღვიძოს ერთი ბარემ და მკით-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხოს ნეტავ...“ სარკმელს მიღმა კი გარიჟრაჟი იყო უკვე, ზამთრის ყინვიანი, კრიალა დილა, რომელიც ოთახშიც შემოსულიყო, კედლებზე, ჭერსა და საწოლში ფართხალებდა. ხოლო რეზო ძილში გრძნობდა ქალს, სხეულის სიმხურვალეს იმისას და ისიც იცოდა, გარეთ, ქუჩებში, ნაადრევი განთიადი რომ შემობრძანებულიყო...

●

თოვდა დღისით და მერე ისიც როგორ, აღარ იკითხავთ? — ასეთ დიდ თოვლობას ჯერაც არ მოვსწრებივართო, გაიძახოდნენ წარამარა, ამას რომ იტყოდნენ, ყველა ის ზამთარი აუფარახალდებოდათ თვალწინ და გაუყინავდათ სხეულს, ღვთის რისხვად რომ მიეჩნიათ ერთ დროს, მერე კი გამქრალიყო უკვალოდ — როგორც ბევრი სხვა რამ ცხოვრებაში, ისიც მისცემოდა მივიწყებას და ეს ახლანდელი რომ არა, ალბათ აღარც მოაგონდებოდა ვინმეს; მაგრამ სურდათ თუ არა, იხსენებდნენ მაინც ძალაუნებურად და ასეთი არ ყოფილა ის ზამთარიო, ამბობდნენ. მოხუცებულები იტყოდნენ ჯერ, ამის თქმაზე მრავალმნიშვნელოვნად გადახედავდნენ მსმენელთ, თანაც დარბაისლურად მოჭუტავდნენ თვალებს, ამით მეტ დამაჯერებლობას სძენდნენ ნათქვამს, შუახნისანიც აჰყვებოდნენ მერე იმათ ფეხის ხმას, ბოლოს უფრო პატარა ასაკისანიც...

თოვდა ღამითაც, უჰ როგორ: გლეხები უთენიაზე რომ გამოიღვიძებდნენ, მიმოატარებდნენ მზერას აქეთ-იქით და განცვიფრებას იყვნენ, ხედავ შენა? რამხელა ჩამოუთოვია წუხელო... ცოტაც და, მეზობელი მეზობელს გადასძახებდა და იყო მერე დაუმთავრებელ-უსასრულო სჯა-ბაასი გაჭიანურებულ, უსაშველო ზამთარსა და ყელში ამოსულ თოვლზე... ირგვლივ კი განუწყვეტლივ თოვდა და თოვდა, გარეშემო, მაღალ მთათა ზეცად ატყორცნილი მწვერვალები, ზაფხულშიც მარადიული თოვლით რომ იყვნენ დაფარულნი და დილიდან საღამომდე კაშკაშებდნენ თვალისმომჭრელად, მოსაბეზრებელ სითეთრეს შესთქვეფოდნენ ამჯერად, იფიქრებდი, სადღაც გამქრალან, აღარც არიანო, ველარ ამხელდნენ არსებობას ჭარბი სითეთრის გამო; ზაფხულში კი ზაფხულში იცოცხლე! ხოლო შემდგომ, როცა შემოდგომა იწურებოდა და თრთვილი იზილეს ბარად, თოვლმა, ადრე მიუწვდომლად რომ გამოიყურებოდა, თითქმის ნატვრადა და ოცნებად ქცეული, მოყვრულად მოსული მტრისა არ იყოს, შორიდან იკეკლუცა და იკეკლუცა ჯერ, თავისას როცა მიაღწია, თავი რომ მოაწონა და უფრო მეტიც მოხიბლა და მოაჯადოვა ისინი, ვისაც უნდა მისჭროდა, იმ მარად თეთრი მთებიდან, შეუმჩნევლად და მოკრძალებით ჩამოინაცვლა ქვევით და ქვევით და ბოლოს, რაკი სიფხიზლე მოხდუნებოდათ და დასჩლუნგებოდათ დამხვდურთ, და ძალაც აძლევდა საშუალებას, მეტი არა დარჩენოდა რა, მოურიდებლად დაეპატრონა ირგვლივ ყოველივესა და ყველაფერს, ფერიც თავისი გააბატონა...

ჰო, ეგრე იყო, თრთვილის მერე, ზამთრის პირველმა სუსხმა დაჰკრა თუ არა, ახლომახლო ქედებზეც ჩამოთოვა და ისინიც იმ შორეულ, მაღალ მწვერვალებს დაამსგავსა, შეათეთრ-ააკაშკაშა, მერე და მერე, ერთ მშვენიერ დღეს, ბარადაც მოვიდა თოვლი: ჩამოინისლა ჯერ, ჰაერში ცივი სუნი დატრიალდა ნესტისა და მერე მოთოვა და მარტო ის შორი მწვერვალები და მთები კი არა, ზაფხულშიც რომ კაშკაშებდნენ თვალისმომჭრელად, ახლომახლო ქედებიცა და გორაკებიც გააუჩინარა, თოვლიანი ზამთარი მონდომებითა და საგულდაგულოდ მალავდა იმათ არსებობას... გლეხები კი, გამოიღვიძებდნენ თუ არა, გონს რომ მოეგებოდნენ, ოდა-სახლების სახურავებზე გადიოდნენ მაშინათვე, გულმოდგინედ თოვლავდნენ, მონდომებით იქნევდნენ ნიჩბებს თანაც დროდადრო ცას ახედავდნენ ხოლმე, თუმცა, კაცმა რომ თქვას, რაღა საჭირო იყო ზევით, ცისაკენ მზერა, ბარდნიდა და ბარდნიდა და თავდაც გადათეთრებულიყვნენ სახურავებზე გასული გლეხები, თითქოს კურდღლებივით შეჰგუებოდნენ გარემოს. ჩამოდიოდნენ ბოლოს, საქმეს როგორც კი მოითავებდნენ, და, იცოდნენ წინასწარვე, შებინდებამდე ერთხელ კიდევ მოუწევდათ სახურავებზე გასვლა, და გადაიპატიჟებდა მეზობელი მეზობელს: არიქა, დროზე გადმოდი, პურ-მარილი მზად მაქვსო... ჯორკო-სკამებზე ჩამოსხდებოდნენ შემდგომ, ბუხრის პირას, ტაბლასაც იქვე გააშლევინებდნენ ოჯახის დიასახლისს, გადახედავდნენ სუფრაზე მიმობნეულ მწვანილს, და უცებ მშიერ ხარებს დაედრებოდნენ კაცები. მაგრამ ადამიანები იყვნენ და თავს იკავებდნენ, ნელ-ნელა წრუპავდნენ ოდნავ შემთბარ ღვინოს, გემოს აყოლებდნენ, ზედ დაშაშხულ ღორის ხორცსა და მჭადს დაატანდნენ, მწვანილსაც გადასწვდებოდნენ, თითქმის ულაპარაკოდ, ხმის ამოუღებლად შესვამდნენ პირველ სამ ჭიქას, გაგვიმარჯოსო, ამას თუ იტყოდნენ მხოლოდ, შემდგომ კი, ჭამის მადაც რომ გაეხსნებოდათ და სმისაც, დიდებულ გუნებაზე მოდგებოდნენ: უქებდნენ და უდიდებდნენ მასპინძელს ღვინოს, გულღია მუსაიფიც არ დააყოვნებდა, ჩაფიქრდებოდნენ თავიდან, ბრძნულად შეავლებდნენ მზერას ერთმანეთს და ლაპარაკს იწყებდნენ დარბაისლურ-ზრდილობიანს, სასაუბრო-სამასლაათო კი, მიხვდებით ალბათ, ერთადერთი ჰქონდათ იმ დღეებში — ლაპარაკობდნენ ზამთრისა და თოვლის შესახებ, აბოლებდნენ და იკვამლებოდნენ თანაც. „აღარ აპირებს გამოდარებას, — ამბობდნენ დინჯად და დააყოლებდნენ აუცილებლად, — წროულს ზაფხულიც კაი იქნება და ჭირნახულიც, მახე იცის დიდთოვლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბამ, ა, ნახეთ, მასთე თუ არ იქნეს...“ და კიდევ ათას ამბავზე საუბრით ირთობდნენ თავს. მოედებოდნენ ამ მთისას და იმ ბარისას, შემდგომ წარსულიც მოაგონდებოდათ — აქებდნენ გარდასულ წლებს, სიტყვა მოატანდა და მიცვალებულებსაც მოიხსენიებდნენ, გააპატიოსნებდნენ...

ხოლო გარეთ თოვდა და თოვდა განუწყვეტლივ, თეთრი იყო ცაცა და ქვეყანაც და მაშინაც იბარდნებოდა, სტუმრები და მასპინძლები როცა გამოემშვიდობებოდნენ ერთიმეორეს: სტუმარი ოჯახს დაუბრუნდებოდა თავისას და უმალვე ეუსებოდა ნაკვალევი მასპინძლის ეზოდან სტუმრის კარმიდამომდე...

საღამომდე, ვიდრე მეორედ უნდა ჩამოეთოვათ სახურავები, გვარიანი დრო დარჩენილიყო კიდევ და სიწყნარე სუფევდა ირგვლივ ყველგან, ისეთი მკვდრული და ხევდისმომგვრელ-ამაზრზენი, იფიქრებდი, სოფელი აყრილა და გასტამბოლება-გაციმბირების შიშით ტყეს შეხიზვნია, გაფირალებულ-გაყაჩაღებულაო... იმ დილით კი, რომელზეც მე მოგითხრობთ ახლა, როცა გლეხებმა გამოიღვიძეს, აღარა თოვდა, მომდგარიყო საშველი, თუმც არც ვინმეს გაჰკვირვებია მაინცდამაინც ესა და, არცა სწყენია. ეგ კი არა, აღნიშვნის ღირსადაც არ ჩაუთვლიათ, ისე ჩვეულებრივ ამბად მიიღეს: „აღარ თოვს“, — გაიფიქრეს თავისთვის. ჰო, აღარა თოვდა. მაგრამ ოდასახლების სახურავებს მაინც სქლად დასწოლოდა თოვლი. გლეხებს გაკვირვება მეროლა დაეტყოთ, ზამთრის სუსტი, ფერწასული მზე რომ ამოიწვერა: ჯერ ახლომახლო გორაკები და ფერდობები ამოტივტივდა მკრთალ სინათლეში, მერე უფრო შორეულ-შორეულნი, ბოლოს მზეც თანდათან ზევით ავიდა, გაიქრო გაცრეცილი ფერი და ის მარადიული თოვლით დაფარული მთები და მწვერვალები გახადა საჩინონი, გამოაშკარავა, მაგრამ ამჟამად იმათი სითეთრე გარეშემო, ირგვლივ ყველგან დასადგურებულზე უფრო სპეტაკი და ცივი იყო, არამიწიური. გლეხებს კი დიდი დრო გასულიყო მზე აღარ ეხილათ და ამბობდნენ: „გვეშველა, მგონი, გამეიდარა...“

იმ დილით, ჯერ კიდევ იქამდე, ვიდრე ფერმიხდილი მზე დაჩნდებოდა ცას, აპოლო ოდასახლის სახურავზე გასულიყო, ნინუცა კი ქვევით იდგა, და დროდადრო ასცქეროდა ქმარს, რომელიც რიტმულად და დინჯად იქნევდა ნიჩაბს და წუხანდელი თოვლიც მოზომილად ცვიოდა ძირს. ხან აპოლოს აჰედავდა ნინუცა — ახლა მხოლოდ ის ფართო ნიჩაბი მოჩანდა ქვემოდან და ნიჩბის ტარზე შემოხვეული სუსხისაგან გალურჯებული თითები — ზანაც კი ძირს ჩამოყრილი თოვლს დააყოლებდა მზერას. იქ, იმ ადგილზე იდგა ქალი მას შემდგომ, რაც კაცი სახურავზე გასულიყო, ფეხიც არ მოუცვლია, ისე კი, კაცმა რომ თქვას, საქმე დაგროვებოდა ქვეყნისა, სად ეცალა უქმად დგომისათვის და რამდენჯერმე წასვლაც კი დააპირა, მაგრამ როგორც ნაბიჯს გადადგამდა, მოჰკრავდა უმალ თვალს აპოლო და არ დააყოვნებდა, „ე, ქალო, ნინუცა რაია ახლა, მაცალე პაწეც, მოვრჩები და მერე მიხედე საქმეს...“ ჩვეულება ჰქონდათ ასეთი, ახალგაზრდობიდანვე მოსდგამდა, როცა კი მუშაობდა, ცოლი გვერდით უნდა ჰყოლოდა და თუმცა მიჩვეული კი იყო ნინუცა ამგვარ ახირებას ქმრისას, მაგრამ იმ დილით, წასვლა რომ უნდოდა და ქმრის ხმამ შეაჩერა, რამდენჯერმე მიაწყევლა მაინც. სათოხარშიც არც თუ ისე იშვიათად წაუყვახია: აპოლოს ნინუცა, აიჩემებდა და ქალსაც მეტი რა შეეძლო, აედევნებოდა წყევლა-კრულვა-ბურტყუნ-ბუზღუნით. ის კი ცოლს რომ დაიგულებდა გვერდით, უფრო საგულდაგულოდ მუშაობდა, ხელხვავიანადაც და, რაც მთავარია, დიდებულ გუნებაზეც ბრძანდებოდა...

გალიზიანებულიყო ახლა ნინუცა, ერთ ადგილზე ცუდუბრალო დგომა სიცივედა და ქინვად გასჯდომოდა ძვალ-რბილში, ხოლო გუნებაში — წყევლა-კრულვის კორიანტელად, რომელსაც ცოტაც და, გადმოაფრქვევდა კიდეც... ბოლოს გადაწყვიტა. როგორც იქნა, წავალ, საქმეს მივხედავ, იყვიროს და, თუ უნდა, თავში ქვაც ეცლიაო, მიტრიალდა კიდეც წასასვლელად, მაგრამ ვიდრე ნაბიჯს გადაადგამდა, დაინახა, მუშაობა შესწყვიტა აპოლომ, სახურავის კიდემდე ჩამობობღდა ნიჩბიანად, ფრთხილად მოცოცავდა, ჩამოაღწია ბოლოს და წელში გაიმართა, ნიჩაბს დაეყრდნო მარცხენა ხელით, მარჯვენა შუბლს მიაჩრდილა და გზას გახედა, დაინტერესდა ნინუცა და იმანაც იქით გიხედა, მაგრამ კაციშვილი არ ჩანდა დათოვლილ შარაზე...

— ნინუცა, ეგერ, გზაზე, — ჩამოსძახა აპოლომ და გაჩუმდა, თითქოს ენა წართმეოდა კვლავ იქით იყურებოდა, უბრად იყო, ვიდრე მოთმინების ფიალა არ აევსო ნინუცას და იმან რომ ასძახა: ჰე, შე კაი დედმამიშვილო, მალირსე, თქვი, რა ამბავიაო, ამოღერღა, როგორც იქნა: — „გედეონი გამოჩნდა მგონი ეგერ გზაზე...“

ამის გაგონება იყო და ლოყაზე იტკიცა ხელისგული ჯერ ნინუცამ, სიხარულის ნიშნად, რა თქმა უნდა, გზას გახედა მერე, მაგრამ კვლავაც ვერაფერი დალანდა, აწრიალდა ადგილზე, აფაცურდა, ჭიშკართან შევეგებებიო, გადაწყვიტა თავიდან, გადადგა კიდეც რამდენიმე ნაბიჯი, მიბრუნდა მერე ისევ უკან, ახედა სახლის სახურავს და თავისთვის ჩაილაპარაკა, აპოლოს კასაგონად არ უთქვამს — „დედა, ჩემი მონატრებული შვილი...“ და ქმარს ასძახა:

—კარგად დააკვირდი ერთი, აპოლო, გედეონია ვითომ?,..

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტრისტან ლაბარტყავა

# იდეოლოგიური ბრძოლის ზემოქმედება კომუნისტური აღზრდის პროცესზე

კომუნისტური პარტიის პროგრამაში მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება განვითარებულია თანამედროვე ეპოქის ანალიზის საფუძველზე, დადგენილია მსოფლიო განვითარების ძირითადი მიმართულებანი — პერსპექტივები, დასახულია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანები. ამავე დროს ანალიზი აქვს გაკეთებული იმ კანონზომიერებებს, რომლებიც სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის პერიოდში მოქმედებენ. აქვე მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე მოცემულია კომუნიზმის მშენებლობის ძირითადი მიმართულება. 1. კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა; 2. სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარება და კომუნისტურ-საზოგადოებრივ ურთიერთობაში გადაზრდა; 3. კომუნიზმისათვის შესაფერისი, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდა. ესენი ერთიანი ჯაჭვის ის ძირითადი რგოლებია, რომელთა გადაწყვეტის პროცესში წყდება მასთან დაკავშირებული სხვა ამოცანებიც.

საბჭოთა ადამიანის ახალი, კომუნისტური პიროვნული თვისებები გამომუშავდება საბჭოთა ყოფის წესით, მიზანდასახულობით, პარტიის სისტემატიური იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით. მთელი ეს პროცესი მეცნიერულად დასაბუთებულია და წარმოადგენს კარგად კოორდინირებული აღმზრდელობითი სისტემის ჩამომყალიბებლურ ზემოქმედებას.

აღზრდის ობიექტურ ფაქტორთა მოქმედება დიალექტიკურად ეხმარება სკკპ და ყველა მისი ორგანიზაციის იდეოლოგიურ მოღვაწეობას. განვიხილოთ, თუ როგორ უნდა იქნას კათვალისწინებული იდეოლოგიური ბრძოლის ზოგიერთი ასპექტი საბჭოთა ადამიანის კომუნისტური აღზრდის პროცესში. შევეხოთ აღზრდის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ მთელ რიგ მიმართულებებს: მსოფლმხედველურს, პატრიოტულ-ინტერნაციონალურსა და ზნეობრივს.

კომუნისტური მსოფლმხედველობა, წარმოადგენს რა მშრომელთა რევოლუციური გარდაქმნის იარაღს, ფლობს მთელ რიგ დამახასიათებელ თვისებებს, რითაც ის ძირითადად განსხვავდება ბურჟუაზიული მსოფლმხედველობისაგან.

პირველი თვისება ის არის, რომ კომუნისტური მსოფლმხედველობა ღრმად შემოქმედებითი და რევოლუციურია. მარქსიზმ-ლენინიზმი თავისი სულისკვეთებით ვერ იტანს უმოძრაობას, ჩამორჩენილობას. მთელი თავისი შინაარსით იგი გამოხატავს სოციალური სამართლიანობისაკენ ლტოლვას, ახალი ურთიერთობებისა და ახალი ადამიანის შექმნას. სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის მსოფლმხედველობის რევოლუციურ-შემოქმედებითი ხასიათი ნებას აძლევს მას იყოს მუდმივად აქტიური, ცნობისმოყვარე, მაძიებელი. აზროვნების შემოქმედებითი ხასიათი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დაინახოს და დააფასოს ჭეშმარიტად ახალი და შეებრძოლოს ძველს, დრომოჭმულს, გადაფასებულს, აგრეთვე შესძლოს შემოქმედებითად და პასუხისმგებლობით გადაწყვიტოს ნებისმიერი ამოცანა.

მეორე თვისება ის არის, რომ კომუნისტური მსოფლმხედველობა ღრმად ოპტიმისტურია. იგი დაფუძნებულია დიად პერსპექტივებზე, კომუნისტური იდეალების სრულ განხორციელებათა მტკიცე რწმენაზე. ისტორიული ოპტიმიზმი გამომდინარეობს ისტორიულ პროცესში ხალხთა მასების გადამწყვეტ და თანდათანობით მზარდი როლიდან. თავად ისტორიული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროცესის ლოგიკაში (სოციალისტური სისტემის ძალთა გაძლიერება, კოლონიალიზმის ნგრევა, იმპერიალიზმის შევიწროება და ა. შ.) ჩანს სოციალური პროგრესის გარდაუვალი სვლა, კაცობრიობის მოძრაობა კომუნიზმისაკენ. მაგრამ კომუნისტურ იდეალთა განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მრავალ სიძნელეთა გადალახვით; ისტორიულად განწირული ძალების წინააღმდეგ სასტიკი ბრძოლით. კომუნისტური მსოფლმხედველობის ღრმა ოპტიმიზმი განამტკიცებს ადამიანის რწმენას თავის ძალაში, აღჭურავს მას მყარი მრწამსით ახლის, მოწინავის უძლეველობით.

მესამე თავისებურება ის არის, რომ კომუნისტური მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ თვისებას წარმოადგენს მისი პარტიულობა, მებრძოლი შეურიგებლობა ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და მორალის ნებისმიერ გამოვლინებასთან. ყოველგვარი კომპრომისული დამოკიდებულება უცხო მოვლენებთან, არამარქსისტულ შეხედულებებთან, დრომოჭმულ ტრადიციებთან, სინამდვილეში კაპიტულაციის ნაბიჯს ნიშნავს.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა და ყოველმხრივ დაასაბუთა კომუნისტური აღზრდის დაყენებისადმი კომპლექსური მიდგომის იდეა. „...თანამედროვე პირობები,* — ახალ ამოცანებს სახავს პარტიის იდეოლოგიურ საქმიანობის წინაშე. პარტიულ ორგანიზაციათა პრაქტიკა გვიჩვენებს გზას, რომლითაც შეგვიძლია მივაღწიოთ მისი ეფექტიანობის ამაღლებას. ეს არის კომპლექსური მიდგომა აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი, ესე იგი იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის მჭიდრო ერთიანობის უზრუნველყოფა მშრომელთა სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებების გათვალისწინებით"[1].

კომუნისტური აღზრდისა და პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობისადმი ყოველმხრივი, კომპლექსური მიდგომის აუცილებლობა გაპირობებულია თანამედროვე ეტაპზე საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური, სოციალური და სულიერი სფეროს ურთიერთკავშირის შემდგომი გაღრმავებით.

კომუნისტური აღზრდის პროცესი მრავალმხრივია თავისი შინაარსით. იგი თავისთავად გულისხმობს ადამიანზე ისეთი ფაქტორების კომპლექსურ ზემოქმედებას, როგორიცაა ცხოვრების მატერიალური პირობები, სოციალური გარემო, ოჯახი, სკოლა, შრომითი კოლექტივი, პროპაგანდისა და აგიტაციის, კულტურისა და ხელოვნების მრავალნაირი საშუალებები.

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისადმი პარტიული ორგანიზაციების კომპლექსური მიდგომის განსახორციელებლად აუცილებელია, უზრუნველვყოთ ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ფაქტორების ერთობლივი ზემოქმედება ადამიანზე, მისი შეგნების, ზნეობრივი ნორმებისა და პრინციპების ჩამოყალიბებაზე.

XXV ყრილობამ თანამიმდევრულად განავითარა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ეს იდეა და მთელი ყურადღება დაუთმო პრობლემის გადაჭრის პრაქტიკული გზების შემუშავებას. დებულებები აღზრდის მთელი საქმის დაყენებისადმი კომპლექსური მიდგომის შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში, თანამედროვე ეტაპზე ამ დარგში პარტიის პოლიტიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა.

აღზრდისადმი კომპლექსურ მიდგომას მთელი რიგი ნიშნები გააჩნია. ძირითადი ნიშნებია: პირველი. აღმზრდელობითი (იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი) ზემოქმედების მიზნებისა და მიმართულებების ერთიანობა; მეორე, საზოგადოებრივი ცხოვრების ტექნიკურ-ეკონომიკური, ორგანიზაციული, იდეოლოგიური და სხვა ფაქტორების გათვალისწინება; მესამე. აღზრდის ყველა საშუალების მუშაობის დაგეგმვისა და კოორდინაციის გაუმჯობესება; მეოთხე, სხვადასხვა ჯგუფის თავისებურებათა განათლებისა და სწავლების თანამიმდევრული შეხამება, ამასთან ყველა ადამიანის ჩაბმა სოციალურ პრაქტიკაში, მათი მონაწილეობა აღმშენებლობითს შრომასა და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში; მეექვსე, აღმზრდელობითი ღონისძიებების შედეგიანობის მუდმივი პრაქტიკული შემოწმება, ამ საფუძველზე მეცნიერული მეთოდების გამოყენებასთან თვითაღზრდის პროცესის კორექტირება[1].

აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომა იდეოლოგიური კადრების წინაშე აყენებს პასუხსაგებ ამოცანას, რომ აღზრდის ყველა ფორმა და მეთოდი გამოყენებული იქნეს ეფექტიანად და გამომუშავდეს მუშაობის ახალი ფორმები. ეს დააჩქარებს პარტიის პროგრამით დასახული ამოცანის — მშრომელებში მეცნიერული მსოფლმხედველობის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, კომუნისტური მორალის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და სოციალისტური პატრიოტიზმის — ჩანერგვის განხორციელებას.

იმისათვის, რომ დღეს ბურჟუაზიული იდეოლოგია ცდილობს ბრძოლის ასპარეზი მთლიანად გადაიტანოს ადამიანის სულიერ სამყაროზე, იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის საჭიროა პარტიულმა ორგანიზაციებმა სრულყონ პროპაგანდის-

---

1 სკკპ XXV ყრილობის მასალები. გამომც. „საბჭოთა საქართველო", თბილისი, 1976 წ. გვ. 101.

1 გაზ. „პრავდა" 1976 წ. 14 სექტემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტული და სააგიტაციო მუშაობა, მიზანსწრაფულად წარმართონ ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური და სულიერი ფაქტორების ზემოქმედება ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. ამიტომ იდეოლოგიური მუშაკის ამოცანა არ შეიძლება შემოიფარგლოს წმინდა პროპაგანდისტული ფუნქციებით; იგი აქტიურად უნდა ებმებოდეს სოციალურ პროცესებში და წარმართავდეს მას. ნამდვილი იდეოლოგიური მუშაობა შრომითს კოლექტივში არ შეიძლება დავიყვანოთ მხოლოდ ლექციების, მოხსენებების კითხვამდე და სხვა მასობრივ-პოლიტიკური ღონისძიებების ჩატარებამდე. მხედველობის არედან არ უნდა გამოგვრჩეს, რომ ადამიანის აღზრდაზე, შრომითი კოლექტივის საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედებას ახდენს შრომის ორგანიზაციის დონეც, მოწყობილობათა ტექნიკური მდგომარეობაც, მატერიალური მომარაგებაც, კადრების პროფესიული და საერთო საგანმანათლებლო დონეც, ზნეობრივი კლიმატიც; ადამიანთა ცხოვრების და დასვენების პირობები და სხვა.

დღევანდელობის პრობლემები სამეურნეო ხელმძღვანელების წინაშე სვამს საკითხს, რომ იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში მათი უშუალო მონაწილეობა არ შემოიფარგლოს მარტო ლექციების, მოხსენებების კითხვითა და სხვადასხვა მასობრივ-პოლიტიკურ ღონისძიებებში მონაწილეობით, არამედ ამასთან ერთად საჭიროა სისტემატიურად იფიქრონ იმაზე თუ როგორი აღმზრდელობითი შედეგები მოჰყვება მათ მიერ მიღებულ და გატარებულ ეკონომიურ და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებს. თუ სამეურნეო ხელმძღვანელი ანგარიშს არ უწევს თავის გადაწყვეტილებათა იდეოლოგიურ შედეგებს, მაშინ ეს აუცილებლად მიგვიყვანს სიტყვისა და საქმის დაშორიშორებამდე, როცა სიტყვით ფართო პროპაგანდას უწევენ სამეურნეო ამოცანებს, საქმით კი არ ზრუნავენ მათი განხორციელებისათვის. ხდება ხოლმე, როცა წარმოების ხელმძღვანელობა დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა, მაგალითად, დისციპლინისა და მომჭირნეობის რეჟიმის განმტკიცებისათვის, მაგრამ პრაქტიკულად არაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არ ირღვეოდეს დისციპლინა, მაღლდებოდეს მუშაკთა პასუხისმგებლობა მომჭირნეობის რეჟიმის განსამტკიცებლად და სხვა. ეს დიდ ზიანს აყენებს იდეოლოგიურ მუშაობას.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის ერთ-ერთი მთავარი მონაპოვარია ცხოვრების საბჭოური წესი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნამდვილი კოლექტივიზმი, ადამიანურ ურთიერთობათა მაღალი კულტურა, ზნეობრივი სიწმინდე.

ზნეობრივი აღზრდის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია ადამიანთა პრაქტიკული საქმიანობის, კომუნისტური იდეურობის, სკკპ პოლიტიკის გაგებისა და მისი განხორციელებისათვის მზადყოფნის ერთიანობა. თითოეულ მოქალაქეს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების წინაშე ყოველი თავისი ნაბიჯის აღმზრდელობითი შედეგებისათვის. პრაქტიკა აჩვენებს, რომ იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ნაკლოვანებანი ხშირად გვევლინება ანტისაზოგადოებრივი მოვლენების მიზეზებად. ნეგატიური მოვლენები იქ პოულობენ ფართო გასაქანს, სადაც მოიკოჭლებს აღმზრდელობითი მუშაობა, სადაც დარღვეულია სიტყვისა და საქმის ერთიანობა, არ უკავიათ აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომლებმაც იციან ჩვენი პოლიტიკა და ჩვენი პრინციპები, მაგრამ პრაქტიკულად ყოველთვის არ იცავენ მათ, არ იბრძვიან მათი განხორციელებისათვის, შემრიგებლურად ეკიდებიან სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დარღვევებს. სიტყვასა და საქმეს შორის განსხვავება, რა ფორმითაც უნდა ვლინდებოდეს, ზიანს აყენებს სამეურნეო მშენებლობას, მაგრამ განსაკუთრებით — ზნეობრივ აღზრდას.

მილიონობით საბჭოთა ადამიანისათვის დამახასიათებელია ნათელი მიზანი, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, რწმენისა და პრაქტიკული საქმიანობის ერთიანობა. შრომისადმი სიყვარული და იმის სურვილი, რომ რაც შეიძლება მეტი სარგებლობა მოუტანოს ხალხს, პარტიას, სამშობლოს, ჩვენი სიამაყეა საბჭოთა ადამიანი, რომელშიც შერწყმულია იდეური რწმენა, მაღალი კულტურა, ცოდნა და პრაქტიკაში მათი გამოყენების უნარი, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდება საზოგადოებრივი მოვალეობისადმი დამოკიდებულებაში, სიტყვისა და საქმის ერთიანობაში, საკუთარი თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობაში.

სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ გვხვდებიან ადამიანები, რომელთა ცხოვრებისეული პოზიცია შორსაა ჩვენი ზნეობრივი პრინციპებისაგან. პატიოსან მშრომელთა აღშფოთებას იწვევს, მაგალითად, ზოგიერთი ისეთი თვისება, როგორიცაა ეგოიზმი, მომხვეჭელობა, მექრთამეობა, ბიუროკრატობა, სამსახურებრივი მოვალეობისა და საზოგადოებრივი დავალებისადმი გულგრილი დამოკიდებულება. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა პრინციპულად შეებრძოლონ მეშჩანური ფსიქოლოგიის ყოველგვარ გამოვლინებას, სრულყონ იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა.

---

ტრისტან ლაბარტყავა

## იდეოლოგიური ბრძოლის ზემოქმედება კომუნისტური აღზრდის პროცესზე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადამიანები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმათ საქმიანობას, რომელთაგანაც მაგალითები უნდა აიღონ. კომუნისტები, ნოვატორები, კოლექტივთა ხელმძღვანელები ყველგან და ყველაფერში უნდა იძლეოდნენ იდეურობის, მაღალი ზნეობის, თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულების ნიმუშს.

ჩვენი მსოფლმხედველობის პრაქტიკულ-კლასობრივი ხასიათი გულისხმობს საბჭოთა საზოგადოების ყველა მოქალაქის აქტიურ ბრძოლას ცხოვრებაში სოციალისტური გეგმებისა და პროგრამების განხორციელებისათვის, გულისხმობს ბრძოლას ბურჟუაზიის იდეოლოგიურ დივერსიასთან, ოპორტუნიზმისა და რევიზიონიზმის ხრიკებთან. საბჭოთა ადამიანთა შეგნებაში მკვეთრი კლასობრივი პოზიციების გამომუშავება საშუალებას იძლევა ცხადად შევაფასოთ მიმდინარე პოლიტიკური მოვლენები, გამოვხატოთ მათ მიმართ სწორი დამოკიდებულება. გვეხმარება წარვმართოთ საგნობრივი ბრძოლა ყოველგვარ უცხოსთან და მტრულთან. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ იდეოლოგიური დივერსიის მსვლელობაში ბურჟუაზიული პროპაგანდისტები ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ პირველყოვლისა საბჭოთა ადამიანთა მსოფლმხედველობაზე, ამასთან ამას აკეთებენ „აკადემიური" გეგმით. იერიში მიაქვთ არა მარტო მარქსისტულ თეორიებზე, არამედ თანამედროვეობის ისეთ უმთავრეს აქტუალურ პრობლემებზე, როგორიც არის ომისა და მშვიდობის, პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის და სხვა პრობლემები.

როგორც ცნობილია, ომის ძირითად საშიშროებას გამალებული ბირთვული შეიარაღება ქმნის. ამჟამად ბირთვული შეიარაღების პრობლემას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სხვადასხვა სახელმწიფოების არა მარტო სამხედრო-სტრატეგიულ კონცეფციებში, არამედ მსოფლიო პოლიტიკაშიც.

ამ პრობლემას მრავალი წახნაგი გააჩნია. ამ პრობლემის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს თვით ატომური პოტენციალი წარმოადგენს. საკმარისია მოვიყვანოთ სულ რამოდენიმე ციფრი, რომ ნათელი გახდება იმ საშიშროების სიდიდე, რასაც მსოფლიოსათვის წარმოადგენს ამ პოტენციალის შემდგომი ზრდა.

განადგურების ატომურ საშუალებათა დაგროვება თავისთავად უკვე ადიდებს მათი გავრცელების საშიშროებას ახალ ტერიტორიებზე. ზრდის მათი გამოყენების რისკს. მაგრამ ამითაც არ შემოიფარგლება საშიშროება. საქმე იმაშია. რომ უკვე არსებული იარაღის მარაგის ზრდასთან ერთად იქმნება ახალი, ბირთვული იარაღის, უფრო საშიში სახეობანი, რომელთა კონტროლის ქვეშ აყვანა სულ უფრო ნაკლებად არის შესაძლებელი. ამავე დროს განუწყვეტლივ იზრდება სამხედრო ხარჯები, მაგალითად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამინისტროს 1982 წლის სამხედრო ბიუჯეტი გასულ წელთან შედარებით გაიზრდება 50 მილიარდი დოლარით და მიაღწევს 270 მილიარდ დოლარს. უახლოეს ხუთ წელიწადში ამერიკის შეერთებული შტატები (1986 წლამდე) ფიქრობს დახარჯოს 1,5 ტრილიონი დოლარი, ე. ი. იმდენი რამდენიც მან დახარჯა უკანასკნელ ათწლეულში.

შესაბამისად იზრდება ნატოში ამერიკის შეერთებული შტატების მოკავშირე ქვეყნების სამხედრო ბიუჯეტი, რაც შეადგენს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში — 28,5, საფრანგეთში — 20-ზე მეტს, ხოლო ინგლისში — მთელი სახელმწიფო ხარჯების 26 პროცენტს. სისტემატურად ზრდის ასიგნებას სამხედრო მიზნისათვის იაპონია: 1958-1961 წლების მანძილზე 641 მილიარდი იენიდან 5682 მილიარდ იენამდე 1976-1980 წლებში.

თავისი ბიუჯეტის 40 პროცენტზე მეტს ხარჯავს სამხედრო მზადებისათვის ჩინეთი.

დიდი სახელმწიფოებიდან მხოლოდ სსრ კავშირი არ ზრდის თავის სამხედრო ხარჯებს.

გამალებულ შეიარაღებაში სულ უფრო ითრევენ არა მარტო მაღალგანვითარებულ ქვეყნებს, არამედ ახალგაზრდა განვითარებად სახელმწიფოებსაც. უკანასკნელ 15 წელიწადში მათი სამხედრო ხარჯები 4,5-ჯერ გაიზარდა. ხოლო აფრიკის ქვეყნებში — 9-ჯერ.

ყოველივე ამის შედეგად მსოფლიოში საერთო სამხედრო ხარჯები უკვე უახლოვდება მილიარდ დოლარს დღეში.

როგორც ვხედავთ გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აშშ პოზიციას ენიჭება. ამიტომ ბურჟუაზიული იდეოლოგიური ცენტრები იდეოლოგიური მუშაობის სისტემაში განსაკუთრებულ ადგილს აკუთვნებენ ისეთი მეთოდების შემუშავებას, რომელიც გააბათილებს აშშ პოლიტიკის აგრესიულობას და წარმოშობს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკის მიმართ ეჭვებს, შთააგონებს ხალხს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის აგრესიულობას, რომ პირიქით გაზმუხტვის „ინიციატორად ყოველთვის გამოდიოდა და გამოდის ე. წ. „თავისუფალი სამყარო".

დასავლეთის იდეოლოგთა საჯარო გამოსვლების, რადიოგადაცემების, ბეჭდვითი პროდუქციის ანალიზისას შეიმჩნევა თუ როგორი დაჟინებით ტარდება მშვიდობიანი თანაარსებობის ბურჟუაზიული ინტერპრეტაცია, საგარეო „მოხმარებისათვის" გამიზნული.

ერთ-ერთი მათგანი ამტკიცებს, რომ „საბჭოების მიერ გამოთქმული მშვიდობიანი თანაარსებობა" — არაგულწრფელია, ვინაიდან სოციალიზმი მასში ტაქტიკურ ილეთს ხედავს. ეს არის ერთგვარი ხერხი იმისა, რომ დასავლეთისაგან ტექნოლოგიური და ეკონომიური

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახმარება მიიღოს, ამასთანავე „გაძლიერებულია სიფხიზლე“ მოპირდაპირე სამხედრო-პოლიტიკური კავშირების მიმართ. ასეთი კონცეფციის მომხრეები ამტკიცებენ, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა — კომუნისტების მიერ დაგებული ხაფანგია, რომელიც მხოლოდ იმისათვისაა გამიზნული, რომ სოციალისტურმა სისტემამ დრო მოიგოს. ავრცელებენ რა მსგავს ჭორებს, მათ ავტორებს სურთ ეჭვები ჩაუნერგონ ხალხს საბჭოთა პოლიტიკის მიმართ; მსოფლმხედველობაში რელატივიზმისა და სკეპტიციზმის ელემენტი შეიტანონ.

აწარმოებენ რა კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციას, სხვადასხვა ანტიკომუნისტური მითების დაცვას, ანტისაბჭოთა იდეოლოგიური შტამპების შექმნას, მიმართავენ რა სოციალისტურ საზოგადოებრივ შეგნებას, ბურჟუაზიული პროპაგანდისტული ორგანოები ყველაფერ ამას, „ხალხთა ნებასურვილად“ ასაღებენ. გამოცდილება გვიჩვენებს, იმისათვის, რომ დავუპირისპირდეთ ბურჟუაზიის ასეთ სულიერ ზეგავლენას და დავამტკიცოთ ჩვენი იდეალები, ძალიან მნიშვნელოვანია ღრმა ცოდნა. საჭიროა მარქსისტული პოზიციიდან წარმოვიდგინოთ ყველა ის მდგომარეობა, ცნება, საკითხთა არსი, რომლის გარშემოც შენდება ბურჟუაზიული სპეკულაცია, საჭიროა მარქსისტულად გავიგოთ კლასობრივი და ზოგადსაკაცობრიო ობიექტური და სუბიექტური შეფარდებები, საჭიროა ხელთ გვქონდეს თეორიულ და პრაქტიკულ მტკიცებათა დამაჯერებელი არგუმენტები. ყველაზე საიმედო საშუალებაა იდეოლოგიურ დივერსიებთან დასაპირისპირებლად, მსოფლმხედველურ საკითხებთან დაკავშირებით ხალხთა თეორიული წრთობის საფუძვლების შესათვისებლად მათში მყარი „გემოვნების“ გამომუშავება და რაც მთავარია მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველთა ღრმა ცოდნა.

ახალი ადამიანის ჩამოყალიბების პროცესში პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საბჭოთა ადამიანებში პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის თვისებებს, რომლებშიც ყველაზე მეტად ვლინდება კომუნისტური მრწამსი, ჩვენი დიადი იდეალებისადმი უსაზღვრო ერთგულება. რატომაა, რომ იდეოლოგიური მტრები ასე დაჟინებით ცდილობენ შეცვალონ საბჭოთა პატრიოტიზმი ნაციონალიზმით და სოციალისტური ინტერნაციონალიზმი კოსმოპოლიტური ინდიფერენტიზმით? რატომაა ეს საკითხები ასე ფართოდ გამოხატული ბურჟუაზიულ რადიო-პროპაგანდაში, „მეცნიერულ“ გამოკვლევებში და ა. შ.? საქმე ისაა, რომ სოციალისტური პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, როგორც პრინციპულად ახალი მოვლენები, წარმოადგენენ არა მხოლოდ მძლავრ მამოძრავებელ ძალას სოციალისტური საზოგადოებისა, არამედ გამოდიან როგორც შეუთანხმებელი ანტიპოდები შოვინიზმის, ნაციონალიზმის, რასიზმისა და კოსმოპოლიტიზმისა.

ყოველ საბჭოთა ადამიანში ცოცხლობს სამშობლოს გრძნობა. ამ სიტყვასთან ასოცირდება ჩვენი სამშობლოს უკიდეგანო სივრცე და მშობლიური სახლი, მშობლიური სიმღერები და ხალხური ჩვეულებანი. მაგრამ მთავარი საბჭოთა პატრიოტიზმისათვის გახდა ღრმად შეცნობილი ლტოლვა, სურვილი, განახორციელოს სამშობლოში კომუნისტური იდეალები, რომლებიც უკვე დიდი ხანია „ევროპაში მოხეტიალე აჩრდილიდან“ რეალობად გარდაიქცა.

ჩვენი პატრიოტიზმის მეორე დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ სოციალისტური სამშობლოს მიმართ სიყვარული და ერთგულება განჭვრეტითი ხასიათის კი არ არის, არამედ ეფექტური მორალურ-პოლიტიკური ფაქტორი და ახალი საზოგადოების წყობილების მამოძრავებელი ძალაა. საბჭოთა პატრიოტიზმის მოქმედი, რევოლუციურ-შემოქმედებითი ხასიათი ჩვენი საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ვლინდებოდა: პირველი ხუთწლედის ბობოქარ დღეებში — დაუოკებელ ლტოლვაში სამშობლოს მაქსიმალურად სწრაფად გადაქცევისა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ, ომისაგან გადამწვარ ხანაში — წმინდა სიძულვილში აგრესორის მიმართ, მათთან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ბრძოლაში და საბოლოო გამარჯვებამდე მზადყოფნაში. ომისშემდგომ წლებში პატრიოტული ძალები გამიზნულია საერთო-სახალხო ბრძოლისაკენ ჩვენი უდიდესი გეგმებისა და პროგრამების სარეალიზაციოდ. სოციალიზმის პირობებში პატრიოტიზმი თამაშობს მძლავრ, მუდმივად მოქმედ სოციალურ, ისტორიის მორალური მამოძრავებლის როლს. საბჭოთა პატრიოტიზმის ქმედითი თვისება აიხსნება მიზანთა ერთიანობით, პირადულ და საზოგადოებრივ ინტერესთა დამთხვევით, ზნეობრივ საწყისთა როლის გაზრდით.

ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ბი-ბი-სისა და „ამერიკის ხმის“ ახალგაზრდათა აუდიტორიებისათვის განკუთვნილ რადიოგადაცემებში დაჟინებითი ჩაგონებაა იმისა, რომ ყამირის დამკვრელური მშენებლობებისა და გმირული ხუთწლედებისათვის „შეწირული“ ხანა გავიდა და ეხლა საჭიროა უფრო მეტად იზრუნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარ თავზე, შინაგან, ხულიერ პრობლემებზეო. თავგანწირვა, ყიზით შეპყრობილობა „თვითონ ტექნიკური საუკუნის მიერაა უარყოფილიო“. როგორ უნდათ მათ, რომ არწივთა ბუდეებში ბინავდებოდნენ ყვავები, რომლებიც იქნებოდნენ ინდიფერენტულნი, უსიცოცხლონი, მშფოთვარენი, უხერხემლონი! მაგრამ სოციალისტური პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის დიადი იდეების მატერიალური ძალის წართმევას ვერავინ ახერხებდა და ვერც მომავალში მოახერხებენ. საქმეები, აღთქმები, ზრახვები, მეტყველებენ სოციალისტურ საზოგადოებაში თაობათა ღრმა მემკვიდრეობითობაზე, ჩვენი იდეალებისათვის ბრძოლაში მათ მუდმივ მზადყოფნაზე.

და ბოლოს, საბჭოთა პატრიოტიზმის კიდევ ერთ მნიშვნელოვან თავისებურებაზე: იგი ღრმად ინტერნაციონალურია. საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ერთიანობა ობიექტურად უზრუნველყოფილია მჭიდრო კავშირით და სოციალისტური სახელმწიფოს ყველა ერისა და ხალხების ძირეულ ინტერესთა დამთხვევით. ჩვენ გვაქვს ერთიანი სოციალური პროგრამა — კომუნიზმის მშენებლობა, ერთიანი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი, გვაქვს ერთიანი მორალი, ერთიანი ტერიტორია. ჩვენ გვყავს საერთო მტერი — იმპერიალიზმი. ამგვარად, ჩვენს დიად ერთობას აქვს საერთო ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური საფუძვლები. ჩვენს ქვეყანაში პატრიოტულ და ინტერნაციონალურ ერთიანობათა პროცესის გაძლიერება გამოიხატება ერთა ძმური მეგობრობის, ურთიერთდახმარების, კულტურათა ურთიერთგამდიდრების შემდგომ აყვავებაში. ჩვენი ქვეყანა მრავალეროვანია და საბჭოთა პატრიოტიზმი არის 100 ზეტი ეროვნებისა და ხალხების სიყვარული თავისი ერთიანი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიმართ. თითოეული მათგანი პირველ ყოვლისა საბჭოთა ადამიანია და ამის შემდეგაა ის რუსი, ქართველი, უკრაინელი, ბელორუსი, ყაზახი, და სხვა ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელი. ბედიღბლის, მიზნების, იდეოლოგიის ერთიანობა ხდის ჩვენს საბჭოთა პატრიოტიზმს საერთოსახალხოს, ინტერნაციონალურს. საბჭოთა პატრიოტიზმი თავისუფალია ნაციონალური შეზღუდულობებისაგან, თავისუფალია ნაციონალურ თავისებურებათა გაზვიადებული მნიშვნელობებისაგან, ტრადიციისაგან, ზნე-ჩვეულებებისაგან. საბჭოთა პატრიოტული ინტერნაციონალიზმი გამოიხატება — საბჭოთა ადამიანების მიერ საერთო თვისებების შეძენაში, რომელიც რელიეფურად გამოიკვეთება ჩვენი თანამედროვის სოციალურ პორტრეტში; გამოიხატება აგრეთვე კომუნისტური მრწამსის, კოლექტივიზმის, საზოგადოებრივ აქტიურობაში, თავისი ვალის მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის ღრმა შეცნობაში და სხვა.

სოციალისტური ინტერნაციონალიზმის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ იდეოლოგთა ბანაკიდან ბევრი მოწამლული ისარია მომართული. ისინი ცდილობენ ჩრდილი მიაყენონ ერთა და ხალხთა მეგობრულ ხასიათს საბჭოთა კავშირში, მკრეხელურად ამტკიცებენ ჩვენი მთავრობის „ექსპანსიონისტურ ჩანაფიქრებს,“ მაგრამ ეს ჭორები, როგორც კი მათ შეუპირისპირებ ისტორიულ, ნამდვილ ფაქტებს იქვე იქცევა უბადრუკ, ყალბ მითებად.

პატრიოტიზმის ინტერნაციონალური ახსნის კრიტერიუმს ჩვენ ლენინურ შრომებში ვპოულობთ. მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პატრიოტ-ინტერნაციონალისტია ის, ვინც თავდადებულად მუშაობს თავის სამშობლოში რევოლუციური მოძრაობის განვითარებისათვის და მხარს უჭერს ასეთ ბრძოლას უკლებლივ ყველა ქვეყანაში[1].

ჩვენს საზოგადოებაში ინტერნაციონალური ტრადიცია განსაკუთრებით ძლიერია. ამის ნათელი დადასტურებაა — რევოლუციური ბრძოლის, სამართლიანი და განმათავისუფლებელი ომების ისტორია, რომლებიც ჩვენმა ხალხმა იძულებით აწარმოა. საბჭოთა რესპუბლიკამ გამოხატა პროლეტარული სოლიდარობა საბჭოთა უნგრეთის მიმართ 1919 წელს და დაეხმარა მონღოლეთს 1921 და 1939 წლებში, ბევრი საბჭოთა პატრიოტი იბრძოდა ესპანეთის ინტერნაციონალურ ბრიგადებში. პროგრესული კაცობრიობა არასოდეს დაივიწყებს საბჭოთა ხალხის გმირობას, რომელმაც მსოფლიოს ხალხები გადაარჩინა ფაშისტურ მონობას, რასაც 20 მილიონზე მეტი ჭაბუკისა და ქალიშვილის სიცოცხლე შეეწირა. საბჭოთა არმიის განმანთავისუფლებლური მისია ალსავსეა ღრმა სოციალური და ზნეობრივი მნიშვნელობით. საბჭოთა ჯარისკაცი პრაღასა და ბუქარესტში, ვარშავასა და ბულგარეთში, ჩრდილო ჩინეთის დაბლობებსა და კორეაში მოვიდა როგორც დამცველი, განმანთავისუფლებელი, ინტერნაციონალისტი და ეს შეუძლებელია ხალხთა მეხსიერებიდან წაშალონ ჩვენმა იდეოლოგიურმა მტრებმა. მრავალრიცხოვანი ძეგლი სხვადასხვა ქვეყნების დედაქალაქებში — საბჭოთა მეომართა ინტერნაციონალური გმირობის ხსოვნისადმი — მარადიული სიმბოლოა საბჭოთა ხალხის კლასობრივი ძმების დიადი სოლიდარობის ლენინური პრინციპის ერთგულებისა. ამასთანავე, არასოდეს დავივიწყებთ, მეომარ-

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 24, გვ. 70.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინტერნაციონალისტებს — რუსეთში სამოქალაქო ომის დროს მებრძოლებს. სხვადასხვა ქვეყნების პატრიოტთა მამაცურ ბრძოლას გერმანელ ფაშისტებთან.

საბჭოთა ადამიანი — პატრიოტი და ინტერნაციონალისტია. ამ სიტყვებში ღრმა შინაარსია ჩადებული.

იმისათვის, რომ პატრიოტიზმის, ინტერნაციონალიზმის კონკრეტული იდეები მატერიალურ ძალად გადაიქცნენ, საჭიროა ისინი გააერთიანო, შეუერთო პირად განცდებს, გრძნობებს, კონკრეტულ პრაქტიკულ საქმეს. საჭიროა ეს იდეები როგორმე „შეიზარდონ" შეგნებაში, გადაიქცნენ შინაგან მრწამსად. პატრიოტულ და ინტერნაციონალისტურ პრინციპებს ჩვენ ტყუილუბრალოდ კი არ ვიცავთ, არამედ განუწყვეტლივ ვადასტურებთ ცხოვრებაში. პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის აღზრდის საქმეში ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ ადამიანს ნება დართო უშუალოდ შეეხოს მაღალს, ამაღლებულს და აალელვო იგი, შეურხიო გრძნობათა ძვირფასი სიმები, ვის არ უნახავს, როგორ მიდიან ადამიანები დიდების ძეგლთან, წმინდა საფლავებთან, მარადიულ ცეცხლთან? მარადიული მადლიერების გრძნობა ეუფლებათ ვეტერანსა და ახალგაზრდა მეომარს, ჭაღარა ქვრივსა და უცებ დასერიოზულებულ მოსწავლეს.

ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის აღზრდაში დიდი ადგილი უჭირავს განმარტებას ჩვენი წყობილების უზარმაზარ სოციალურ უპირატესობაზე, ჩვენი დემოკრატიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა შესახებ, რომელმაც თავისი განვითარების სხვადასხვა დარგში მსოფლიო სიმაღლეებს მიაღწია. წინ რომ გამჭრიახულად შორს ყურება შეგეძლოს, მნიშვნელოვანია ხანდახან უკანაც მოიხედო, რათა დაინახო ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს მიერ სამაგალითოდ განვლილი გზა. როცა ნათელია ჩვენი ხალხის მიერ განხორციელებული სოციალური, ეკონომიური და კულტურული ძვრების სიდიადე, მაშინ განსაკუთრებით გამწვავებულად იგრძნობა ყოველი საბჭოთა ადამიანის სოციალური პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა ჩვენი მამულის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, გაბედული გეგმებისა და პროგრამების მყარ გარდაქმნაზე.

ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს დიდი ადგილი უჭირავს ყველა საბჭოთა რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში. ლექციების, კითხვარების ციკლებში, მოძმე ხალხთა ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადებში, თეორიულ კონფერენციებში, ზოგი ძველი ნაციონალისტური ჩვეულებებისაგან და ტრადიციებისაგან ცალკეული ადამიანების განმათავისუფლებელ სამუშაოში, — ყველაფერ ამაში იმის უფლება ძევს, რომ ღრმად განუმარტო მშრომელებს პარტიის პოლემიკის ნაციონალური არსი, განუმარტო აგრეთვე სსრკ ხალხთა მეგობრობის დიდი მნიშვნელობა ჩვენი სახელმწიფოს ყველა ერისა და ხალხების ჰარმონიული განვითარებისათვის.

ყველაზე საშიში ჩვენი კლასობრივი მტრებისათვის — სოციალიზმის ინტერნაციონალური ერთიანობაა. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ იდეოლოგიურ ბრძოლაში იმპერიალისტური პროპაგანდა განსაკუთრებულ იმედს ნაციონალიზმზე ამყარებს — რომელიც ყველაზე რეაქციული ძალების მოწამლული იარაღია. ილეთები სხვადასხვანაირია: ერთის მხრივ, ბურჟუაზიული იდეოლოგები მიისწრაფიან, რომ რადაც არ უნდა დაუჯდეთ გამოაცხადონ ნაციონალური ცრურწმენანი, ხაზი გაუსვან ამა თუ იმ ხალხის ნაციონალურ თავისებურებებს, გარკვეულ ისტორიულ თარიღებს, „განუმეორებელ თვითმყოფადობას", და ყველაფერი ეს ერთი ეროვნების მეორესთან დაპირისპირების გეგმით კეთდება. სწორედ ამ მიზნითაა, რომ სინათლეზე გამოაქვთ ყოველგვარი კითხვები: ე. წ. „ბალტიისპირული", „ებრაული", „მაჰმადიანური" და ა. შ. იმისათვის, რომ სარწმუნო იყოს თავიანთი მონაჭორი, ბურჟუაზიული პროპაგანდისტები საკუთარი მიზნებისათვის იყენებენ სხვადასხვა რენეგატებს, გადახვეწილებს, ოპორტუნისტებს, რომლებიც მარქსისტულ ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი და ამასთანავე ცილს სწამებენ სოციალიზმს.

ერთ-ერთ ასეთ მათ თავშესაფარს წარმოადგენს ულტრამემარცხენე ალმანახი — „საცნობარო წიგნი", რომელიც დასავლეთ ბერლინში გამოდის. გამოცემის ფურცლებზე იმდენი ინსინუაცია, დეზინფორმაცია, მონაჭორია სოციალისტური ქვეყნების ცხოვრებაზე და განსაკუთრებით ნაციონალურ ურთიერთობათა საკითხებზე, რომ უფრო გამართლებული იქნებოდა ალმანახს ანტიკომუნიზმისა და შოვინიზმის საცნობარო წიგნი ერქვას.

ყოველდღიური ბურჟუაზიული რადიომაუწყებლობის ასობით რადიოსაათი აქვს დათმობილი ჩვენს ქვეყანას. სსრკ ხალხთა მრავალ ენაზე გადმოსცემენ თავიანთ აზრებს ნაციონალურ განსხვავებულობაზე; ისინი ილწვიან ზეგავლენა მოახდინონ ნაციონალურ ფსიქოლოგიაზე, დაარღვიონ საბჭოთა ადამიანის ინტერნაციონალური ხასიათის აზრი და მოქმედება. სწორედ ამიტომ გვასწავლიდა ვ. ი. ლენინი — საჭიროა ყოველთვის ებრძოლო წვრილნაციონალურ შეზღუდულობას, ჩაკეტილობას, განკერძოებულობას[1].

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 442

---

## ტრისტან ლაგარტყავა
## იდეოლოგიური ბრძოლის ზემოქმედება კომუნისტური აღზრდის პროცესზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეორეს მხრივ, შეტევები საბჭოთა პატრიოტიზმსა და სოციალისტურ ინტერნაციონალიზმზე წარმოებს კოსმოპოლიტიზმის პოზიციიდან, რომელიც ამ შემთხვევაში ნაციონალური და მორალური ნიჰილიზმითაა გამოხატული. ამ შეტევათა არსი პატრიოტული იდეების „ძველმოდურობის“ მტკიცებაში მდგომარეობს. ისინი მოითხოვენ გაცილებით ფართო ურთიერთობას დასავლეთის კულტურასა და მორალთან. ბურჟუაზიული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებში, მეცნიერულ ფოლიანტებში უფრო ხშირად წარმოგვიდგება ვიღაც აბსტრაქტული „მსოფლიოს მოქალაქე“, რომელიც თითქოსდა არაფრად აგდებს სხვადასხვა იდეოლოგიებისა და კულტურების „ცრურწმენებს“. ამ შემთხვევაში კოსმოპოლიტიზმის გაცვეთილი იდეები წარმოადგენენ სხვას არაფერს, თუ არა დეიდეოლოგიზაციის უბადრუკ მოდიფიკაციას; წარმომსახველებს, რომ სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ბობოქარ დღეებში იდეოლოგია თანდათან კვდება, „ათავისუფლებს“ რა ადამიანის შეგნებას პოლიტიკური დოგმებისაგან.

მაგრამ არაა ძნელი იმის დანახვა, რომ „იდეოლოგიის დასასრულის“ ბურჟუაზიული თეორია — ისიც იდეოლოგიური დოქტრინაა, ჩაშვებული ამ ბრუნვაში სრულიად განსაზღვრული პოლიტიკური მიზნით.

საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის აღზრდა, რაც ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ძირითად იდეოლოგიურ ამოცანად რჩება, ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკული საქმიანობა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის და სოციალისტური სამშობლოს წარმატებების გამო სიამაყის აღზრდა, ამავე დროს, მოითხოვს ასევე აღვზარდოთ საბჭოთა ადამიანების შეურიგებლობა მტრებისადმი.

იდეოლოგიური ბრძოლის პროცესი უდიდეს გავლენას ახდენს ადამიანთა ზნეობრივი ურთიერთობისა და მორალური შეგნების სფეროზეც. სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გაუმჯობესების პირობებში შესამჩნევად იზრდება ურთიერთსაწინააღმდეგო სისტემების ზნეობრივი კონტაქტები და მორალური ზემოქმედება.

კომუნისტური მორალის არსი და მისი საზოგადოებრივი როლი განსაკუთრებული სიღრმით გაშუქდა ვ. ი. ლენინის სიტყვაში კომკავშირის III ყრილობაზე. „კომუნისტურ ზნეობას, — ამბობდა იგი, — საფუძვლად უძევს ბრძოლა კომუნიზმის განმტკიცებისა და დამთავრებისათვის“[1]. არსებითად, ამ ფორმულაში მთელი ძალითაა გამოხატული კომუნისტური მორალის ძირითადი შინაარსი, მისი მიმართულება და კრიტერიუმები. მიმართავდა რა თაობებს, რომელთა საქმე იყო და არის ახალი საზოგადოების აშენება, დიდი ბელადი ხაზს უსვამდა, რომ ახალგაზრდობის კომუნიზმთან ზიარებისათვის, მასში კომუნისტური ზნეობის ჩამოყალიბებისათვის ყველაზე გადამწყვეტი საშუალებაა შრომა, სოციალური პრაქტიკა, ხალხის კეთილდღეობისათვის მოღვაწეობა, ბრძოლა ყოველივე მტრულის მიმართ, რაც კი ახალ ქვეყანას წინ ეღობება. პირველ შაბათობებში მან განჭვრიტა შრომისადმი პრინციპულად ახალი დამოკიდებულების ჩანასახი, მათში დაინახა ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა.

იმის მიხედვით, რაც უფრო წინ მივდივართ, იზრდება მორალის როლიც. ეს მთელი რიგი გარემოებებით არის განპირობებული და, უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ ფართოვდება მორალური რეგულირების სფერო, იზრდება ამა თუ იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის მნიშვნელობა და ადამიანთა შეგნების როლი. ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საბჭოთა ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა განუწყვეტლივ მისდევს კომუნისტური მორალის ნორმებს, რომ პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეჯახებისას ისინი უპირატესობას ყოველთვის საზოგადოებრივ ინტერესს ანიჭებენ, ესე იგი, მაღალზნეობრივად იქცევიან. გადაშალეთ ნებისმიერი ჩვენი გაზეთი, ჟურნალი, — ჩართეთ რადიომიმღები, მიმოიხედეთ ირგვლივ. ყველგან უამრავ მაგალითს დავინახავთ საბჭოთა ადამიანთა ქცევისა, რაც ნაკარნახევია კომუნისტური მორალის ნორმებით, ცხოვრების ჩვენებური, საბჭოთა წესით. ამხანაგებისადმი დახმარება, ბოროტების წინააღმდეგ პრინციპული ბრძოლა, თავმდაბლობა და გულისხმიერება, კეთილი ტრადიციების პატივისცემა, შრომითი შემართება — ყველაფერი განისაზღვრება ჩვენი კომუნისტური მორალის ძირითადი პრინციპით — ერთგულებით კომუნიზმის საქმისადმი.

ეს პრინციპი მოითხოვს, რომ დიდსა თუ პატარა საქმეში, დღეს და ყოველთვის, ადამიანის, კოლექტივისა და, საერთოდ, — სამშობლოს მიმართ ჩვენს დამოკიდებულებაში თითოეული ჩვენგანი ხელმძღვანელობდეს ჩვენი ქცევის ძირითადი საზომით — სასარგებლოა თუ არა ეს კომუნიზმისათვის, მისი გამარჯვებისათვის.

კომუნისტური მორალის ეს მთავარი პრინციპი ასევე გულისხმობს სიძულვილს კლასობრივი მტრებისადმი, შეურიგებლობას ყოველივე იმისადმი, რაც უცხო და ამორალურია. კომუნისტური მორალის მთავარი ანტიპოდია ბურჟუაზიული მორალი, რომლის გამოვლინებანი აქა-იქ ჯერაც გვხვდება ჩვენს ცხოვრებაში. ამიტომაც ბურჟუაზიული მორალის გამოვლინებების, წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლა მნიშვნელოვანი უბანია უცხო სამყაროსთან ჩვენს იდეოლოგიურ ჭიდილში. „საბჭოთა ადამიანის ახალი სახე, მისი კომუნისტური მორალი

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 31, გვ. 354.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მსოფლმხედველობა წარსულის გადმონაშთებთან გამუდმებულ, უკომპრომისო ბრძოლაში მტკიცდება. კომუნისტური მორალი ვერ გაიმარჯვებს, თუ გადამწყვეტ ბრძოლას არ გამოვუცხადებთ მის ისეთ ანტიპოდებს, როგორიცაა მომხვეჭელობა, მექრთამეობა, მუქთახორობა, ცილისწამება, ანონიმური წერილები, ლოთობა და ა. შ.“[1]

საჭიროა საზოგადოებაში შემუშავდეს ძლიერი ზიზღი, სიძულვილი ანტიპოდების მიმართ, რომ ისინი გახდნენ მთელი საზოგადოების გაკიცხვის ობიექტი. აქ ჩვენ გამოგვადგება მკაფიო მაგალითად ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე მომხვეჭელობა და სხვა ანტიპოდური მოვლენები ან საერთოდ არ არსებობდა და ან თუ არსებობდა ერთეულის სახით. ამაში, უწინარეს ყოვლისა, დიდი წვლილი მიუძღვის საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ასეთი მოვლენების წინააღმდეგ შემუშავდა. ეს საზოგადოებრივი აზრი გამოიხატებოდა მოსახლეობის შინაგან, ღრმა სიძულვილში მექრთამეების, მომხვეჭელების, ექსპლუატატორების მიმართ.

რასაკვირველია, ჩვენ შორსა ვართ იმისგან, გავაზვიადოთ ამ მორალურად მახინჯთა მომრავლება ჩვენს საზოგადოებაში. მთელი ჩვენი ცხოვრება, რომლის მაჯა თანაბრად და მძლავრად ცემს, ადასტურებს საბჭოთა ადამიანთა მტკიცე მორალურ სიჯანსაღეს, ზნეობრივ ურთიერთობებში კოლექტიური, კეთილშობილური, კომუნისტური საწყისების ბატონობას. მაგრამ მით უფრო მწვავეა ჩვენი რეაქცია მორალური მანკიერებისადმი, ყოველივე მტრულის მოთმენისადმი. აკი ცნობილია, რომ რაც უფრო ნათელია სიახლის შუქი, მით უფრო მკვეთრად ახხივებს ჩამოფასებული მორალიც. დღესაც, — გვასწავლის პარტია, — უნდა ვხედავდეთ იმ გარემოებასაც, რომ ბურჟუაზიული სამყარო „იდეოლოგიური ომის“ მეშვეობით ცდილობს შეინარჩუნოს და გამოაცოცხლოს ბევრი რამ მორალსა და ადამიანთა ურთიერთობებში, რაც ჩვენ უკუვაგდეთ.

ამიტომ მთავარია იმას მივაღწიოთ, რომ ადამიანს გამუდმებული კრიტიკული განწყობა ჰქონდეს ყოველივე იმისადმი, რაც ეწინააღმდეგება ჩვენი მორალის ნორმებს, ცხოვრების საბჭოთა წესს, სოციალისტური თანაცხოვრების წესებს.

საზოგადოებრივი განვითარების თანამედროვე ეტაპს ახასიათებს სხვადასხვა საზოგადოების წევრთა პირდაპირი კონტაქტების ზრდა, ცხოვრების ურთიერთგანსხვავებულ წესთა ჭიდილი, განსხვავებული დამოკიდებულებანი სულიერი, მორალური ღირებულებებისადმი. ბურჟუაზიული იდეოლოგიის სპეციალისტები ცდილობენ, სოციალისტური საზოგადოების მორალში შეიტანონ თავიანთი მანკიერი ჩვევები, ამერიკელი სოციოლოგი ა. ალენი თავის წერილში „კომუნისტური ადამიანი“ აცხადებს: იმისათვის, რომ „თავისუფალმა სამყარომ თავის მიზანს მიაღწიოს, მან უნდა გაასამკეცოს ღონისძიებანი არა მარტო პოლიტიკის, არამედ მორალის სფეროშიც. საჭიროა ყველაფრის გაკეთება, რათა შეიცვალოს საბჭოთა საზოგადოების ადამიანთა მორალური განწყობა, ეჭვქვეშ დადგეს მათი ცხოვრების წესისა და იდეალების ჭეშმარიტი ღირებულება“. უფრო გულახდილად თქმა ძნელია.

წარმატებით რომ ვებრძოლოთ ჩვენს გარემოში უცხო მორალურ შეხედულებათა და ზნეჩვეულებათა შემოღწევას, საჭიროა არა მარტო ყოველმხრივ განვამტკიცოთ ცხოვრებაში კომუნისტური მორალის ნორმები, არამედ დამაჯერებლადაც ვაჩვენოთ ბურჟუაზიული საზოგადოების სულიერი, მორალური სამყაროს ისტორიული განწირულება. ჯერ კიდევ კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ კერძო საკუთრებამ ადამიანები ერთმანეთს დაუპირისპირა, ერთმანეთის დაუნდობელ მტრებად აქცია, ზოგადადამიანური მორალური ღირებულებებიც — სიკეთე, სიყვარული, რწმენა, ცოდნა, სინდისი და ა. შ. — ვაჭრობის საგნად იქცნენ. ამერიკელი სოციოლოგები უ. კოული და ჩ. მილერი თავიანთ წიგნში „აშშ-ს სოციალური პრობლემები“ იძულებული არიან აღიარონ, რომ საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული, ამ ქვეყანაში განგსტერების მიერ მოკლულია 750 ათასი ადამიანი. ეს საგრძნობლად აღემატება ამერიკის მხედრიონის დანაკარგს ყველა მათ ომებში მთელი XX საუკუნის მანძილზე. საყოველთაოდ ცნობილია ამერიკული საზოგადოების მორალური ატმოსფეროს მრავალი თვისება: შებინდებისას ქალაქის ქუჩებში, პარკებში გამოჩენა სახიფათოა სიცოცხლისათვის; ათასობით ახალგაზრდა მარიხუანისა და პეროინის მეშვეობით სისტემატურად „გადადის“ კაპიტალისტური სინამდვილიდან ოცნებათა ფანტასტიკურ, უკიდეგანო სამყაროში. ამ „თავისუფალმა სამყარომ“ აღზარდა ისეთი ადამიანები, — როგორიცაა ლეიტენანტი უ. კოლი, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე რომ შეუძლია სიკვდილის მოტანა ბავშვებისათვის, ქალებისათვის, მოხუცებისათვის, როგორც ეს სონგმში მოხდა. კაპიტალისტური სინამდვილე, ბურჟუაზიული საზოგადოების რეალური ზნეობრივი ურთიერთობანი, შერწყმულნი იდეოლოგიურ დატვირთვასთან, თვალნათლივ განაპირობებენ ბურჟუაზიული მორალური შეგნების განვითარების ხა-

[1] სკკპ XXV ყრილობის მასალები, გვ. 24.

სიათს. მილიონობით ადამიანის შეგნების მანიპულირება სახელმწიფო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილი გახდა, რომლის სახელითაც პროპაგანდას შეუძლია „ამორალური“ სრულიად თავისუფლად გაასაღოს „მორალურად“ და პირიქით. ამას აღიარებს ზოგიერთი ბურჟუაზიული სწავლულიც კი. მაგ. ვილბურ შრამი წიგნში „მასიური კომუნიკაციების პასუხისმგებლობა“ ამტკიცებს, რომ „თავისუფალ სამყაროში“ რაოდენობით ეთიკას მთავარი ადგილი უჭირავს ტელევიზიაში, რადიოში, პრესაში, ხოლო „ხარისხობრივი ეთიკა“ — სამართლის, პატიოსნებისა, ჰუმანურობისა და სამართლიანობის სულით გამსჭვალული — თითქმის ნულამდეა დაყვანილი.

კაპიტალისტურ სამყაროში კერძო მატერიალურ ფასეულობათა კულტს ადამიანები მიჰყავს ამ ფასეულობათა დაკარგვის მუდმივი შიშის ატმოსფერომდე. ამ შიშს ობიექტური ნიადაგი უძევს საფუძვლად, რაც განპირობებულია ბურჟუაზიული საზოგადოების საერთო მერყევი ცხოვრებით. ოფიციალური პროპაგანდა ისწრაფვის ამ შიშის ანტიკომუნისტურ მიმართულებაში გადაზრდისაკენ, თან კომუნიზმს ისე წარმოსახავს, როგორც „კერძო ალორძინების ერთადერთ საფრთხეს“. სწორედ კომუნიზმის არსებობითაა „გამართლებული“ „თავისუფალ სამყაროში“ მორალურ ფასეულობათა ინფლაცია.

ვ. ი. ლენინი წარმოაჩენდა რა კაპიტალისტური სამყაროს ამორალურობის სიღრმისეულ მიზეზებს, წერდა: „ჩვენ ვიცით რომ ძირითადი სოციალური მიზეზი ექსცესებისა, რომლებიც საერთო თანაცხოვრების წესების დარღვევით გამოიხატება, არის მასების ექსპლოატაცია“[1].

სრულიად ნათელია, რომ ოფიციალური ბურჟუაზიული პროპაგანდა ამჯობინებს, ამაზე არ ილაპარაკოს. თუ სადად ვიაზროვნებთ და ბურჟუაზიული სინამდვილის რეალურ სურათს დავუპირისპირებთ მათ მიერ შეთხზულ მითებს „თავისუფლებასა“ და „ადამიანთა უფლებებზე“, ძნელი არ იქნება ღრმად გავაშიშვლოთ სოციალური მოუმწიფებლობა ბურჟუაზიულ მოღვაწეთა და იდეოლოგთა პრეტენზიებისა ჰუმანიზმის, დემოკრატიისა და თავისუფლების ქომაგთა როლზე. ამ დასკვნის რელიეფურობა, უფრო ნათელი თვალსაჩინოება ექვმიუტანელი გახდება, თუ ახალგაზრდობას შევასწავლით გამჭრიახი მზერით მიმოიხედოს ირგვლივ, მაშინ ჩვენი ცხოვრების წესის ისეთ თვისებებს დაინახავს, რომლებიც წარმოუდგენელია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. ამხანაგის დახმარება, პრინციპულობა ბოროტებასთან ბრძოლაში, თავმდაბლობა და გულისხმიერება, კეთილი ტრადიციების პატივისცემა, შრომითი შემართება, მზადყოფნა სხვა ქვეყნების თანამოძმეთა დასახმარებლად — ყველაფერი ეს ახასიათებს ჩვენი მორალის მთავარ პრინციპს — კომუნიზმის საქმის ერთგულებას.

ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან ბრძოლა სტიქიური პროცესი არ არის, არამედ წინდაწინ გამიზნული იდეოლოგიურ ძალთა ორგანიზაციაა, რაც არ მოსწონთ ჩვენს იდეოლოგიურ მტრებს. ცნობილი სოვეტოლოგი კ. მოკარტი, საბჭოთა კავშირზე მთელი რიგი ცილისმწამებლური წიგნების ავტორი წერს, რომ საბჭოთა ხალხების დისციპლინა და მათი „მორჩილებისადმი მიდრეკილება“ უფრო მეტ ეფექტურობას ანიჭებს კომუნისტური პარტიის იდეოლოგიურ აქციებს.

მაშასადამე, კომუნისტური პარტიის მიერ ჩვენს ქვეყანაში წარმატებით განხორციელებული კომუნისტური აღზრდის პროცესი მეტად მრავალწახნაგოვანია. მისი კომპლექსური ხასიათი არამარტო პიროვნების სხვადასხვა მხარის (პოლიტიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და ა. შ.) ჩამოყალიბების აუცილებლობით აიხსნება, არამედ ამ პროცესზე სხვადასხვა ფაქტორების მრავალმხრივი ზემოქმედებით. მათ შორის ერთ-ერთია — საბჭოთა ადამიანების მონაწილეობა მტრულ იდეებთან, უცხო მორალთან, ცრურწმენებთან იდეოლოგიურ ბრძოლაში.

---

[1] ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 25, გვ. 577.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ნარკვევი

ელდარ კერძევაძე

## ვინ არის ბედნიერი...

სანამ ჩემი ნარკვევის გმირს გაგაცნობდეთ, ერთ აღმოსავლურ ზღაპარს შეგახსენებთ:

ერთხელ მეფე ავად გამხდარა. რა არ იღონეს და ვერაფერი უწამლეს. ბოლოს ბრძენს უთქვამს, — მეფე მორჩება თუ ბედნიერი კაცის პერანგს ჩააცმევთო. მოედვნენ მეფის კაცები მთელ სახელმწიფოს, მაგრამ ასეთი კაცი ვერ აღმოაჩინეს. ზოგს სიმდიდრე თავზე საყრელი ჰქონდა, მაგრამ ჯანმრთელობას უჩიოდა, ხოლო ჯანმრთელს ფული არ გააჩნდა. ერთი სიტყვით, ბედნიერებამდე ყველას რაღაც აკლდა, ბოლომდე ბედნიერი ვერავინ ნახეს და შეწუხდნენ ფრიად. ბოლოს ერთ ქოხთან რომ გამოიარეს, ყური მოკრეს: „მთელი დღე კარგად ვიმუშავე, კარგადაც დავნაყრდი, ახლა ტკბილად დავიძინებ, მეტი რაღა მინდა?“ არიქა, მივაგენით ბედნიერ კაცსო და გახარებულნი შევიდნენ, მაგრამ ამ კაცს პერანგი საერთოდ არ აღმოაჩნდა...

ეს ზღაპარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთგვარი „სოციოლოგიური გამოკვლევაა“, რომლის დედააზრი ნათელია, — ყოველმხრივ ბედნიერი ადამიანი არ არსებობსო.

სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური წყობის დროს სხვადასხვანაირად ესმოდათ ბედნიერების რაობა, მისი არსი და მიზანი, რადგანაც აბსოლუტური, ერთიანი და მთლიანი გაგება ბედნიერებისა დედამიწის ზურგზე არავის დაუდგენია და ვერც ოდესმე დაადგენს ვინმე. ჩვენმა დრომ ბედნიერების რაობას ბევრი მანამდე უცნობი შტრიხი და ნიუანსი შემატა, და მაინც რა არის ადამიანური ბედნიერება? ვინ არის ბედნიერი?

ბედნიერება ალბათ ის არის, როდესაც ადამიანი მუდმივად ილტვის სრულყოფისაკენ, სიახლისა და შემოქმედებითი შრომისაკენ, როდესაც მტკიცედაა დარწმუნებული, რომ ნაწილობრივ შესძლო თავისი ფიქრებისა და გეგმების განხორციელება და სარგებლობა მოუტანა ადამიანებს.

ძნელია საკუთარი თავის პოვნა. საკუთარი სურვილებისა და მოთხოვნილებების ერთბაშად გაშინაგანება. ზოგჯერ ასეც ხდება: ადამიანი (რა თქმა უნდა ახალგაზრდა) იცვლის პროფესიას, სამუშაო ადგილს, რადგანაც ჰგონია, რომ ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება, ეყოლება ახალი მეგობრები, მოხდება რაღაც მნიშვნელოვანი და ამ ძიებაში მიისწრაფის ბედნიერებისაკენ. ზოგს უმართლებს, უმრავლესობას — არა. ის რაც ერთისათვის სტიმულია, მეორისათვის პირიქით... ძნელია ამ ორი განცდისა და გაგების ერთ მუხტად ქცევა, და ამიტომაც ძნელია უცებ იპოვო ბედნიერი ადამიანი.

მე კი გამიმართლა...

მაშ ასე, დავიწყებ უბრალო ციფრებითა და ფაქტებით.

დაიბადა 1950 წელს (მისთვის არ მიკითხავს, კადრების განყოფილებაში გავიგე).

დაამთავრა გორაბერეჟოულის საბუღალტრო ტექნიკუმი. გათხოვებამდე მოანგარიშედ მუშაობდა ბუკნარის სანერგე მეურნეობაში. ოთხი წელია ჩაის კრეფს ქვენობნის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ორი წელია რაიონული საბჭოს დეპუტატია.

შარშან დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორდენითა და სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ბრინჯაოს მედლით.

ორი შვილი ჰყავს, ქალ-ვაჟი. ბიჭი მეოთხე კლასშია, გოგონა საბავშვო ბაღშია. მეუღლე მეურნეობაში მუშაობს მძღოლად.

შარშანდელი გეგმა:

მოეკრიფა ათი ტონა ჩაის ფოთოლი.

გეგმის ზევით კიდევ ხუთი ტონა.

ზევალდებულება კიდევ სამი ტონა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ზევალდებულება ოცდაერთი ტონა ჩაის ფოთოლი და მეთერთმეტე ხუთწლედში შეასრულოს მომდევნო ხუთწლედის გეგმაც.

სტატისტიკას ხომ მოვრჩით, ახლა გაგაცნობთ ამა საქმეთა „ჩამდენს“.

ენდიგულ კუტუბიძე, — ჩოხატაურის რაიონის ქვენობნის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე.

გურიასა და სამეგრელოში რანაირ სახელს არ გაიგონებ კაცი და მაინც ვკითხე: — ე, რანაირი სახელი დაურქმევიათ... მე მგონი ამ მხრივაც მოწინავე იქნებით რაიონში-მეთქი. ღიმილით დამეთანხმა.

ძნელია ადამიანის ხასიათს უცებ ჩასწვდე, მაგრამ ერთი შეხვედრითაც შეიძლება აღმოაჩინო ის მთავარი, რისგანაცაა მოქსოვილი ამა თუ იმ ადამიანის ბუნება-ხასიათი.

ენდიგულ ქუტუბიძე ნათელი და მართალი ადამიანია. ეს სინათლე და სიმართლე მის გარეგნობაში გამოსჭვივის უპირველესად. მე არ შევუდგები გარეგნული პორტრეტის დახატვას, ვაი, თუ რაიმე გადავაჭარბო, ან რაიმე დავაკლო და მერე გურიაში არ გინდა ჩასვლა!

ისე კი მოკლედ გეტყვით: სანდომიანი ქალია, ტანლატანა, დახვეწილი ნაკვთებით, სიცოცხლის ნიშატი აშკარადაა გამოხატული მის გამოხედვასა და მოძრაობაში, მაგრამ კმარა..

როცა გავიგე მოანგარიშედ მუშაობდა და მერე ჩაის კრეფა დაიწყოო, მართალი გითხრათ, გამიკვირდა. ვიფიქრე, ალბათ ოჯახში რაღაც აერია, ან მატერიალურმა დაინტერესებამ მოხიბლა, თორემ არა მგონია ბავშვობიდანვე ჩაის ბუჩქებზე ეოცნება-მეთქი. ჩემი ეჭვი რაიონული გაზეთის რედაქტორს გიორგი სიხარულიძეს გავანდე. გაეღიმა.

— აი, ნახავ და მერე ვილაპარაკოთ, — მიპასუხა პატივცემულმა გიორგიმ.

ვნახე და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ მატერიალური დაინტერესება თავისი დიდი სიკეთის მიუხედავად, ყველაფერს როდი ნიშნავს.

— მამაჩემი, მიხეილ დოლიძე, რაიონის მოწინავე მესიმინდე იყო და ახლაც ასეა. მშრომელი კაცია და ბავშვებს შრომის სიყვარული თავიდანვე მოგვდგამდა. მოანგარიშეობა მოსაწყენ საქმედ მეჩვენა და თანაც სულ იმას ვფიქრობდი, მამაჩემივით მშრომელი და მოწინავე ვყოფილიყავი. აი, თუ გინდათ მართალი აგია... ჩაი რომ არ ყოფილიყო, მესიმინდე გამოვიდოდი, ან სხვა, ოღონდაც მშრომელი და მოწინავე ვყოფილიყავი, ოღონდაც მამაჩემს გვერდით ამოვდგომოდი.

პირველ წელს კი გამიჭირდა. ჩაის კრეფა არც ისე იოლი აღმოჩნდა, როგორც მეგონა, მაგრამ ძალიან ვცდილობდი...

ახლა დღეში ორას-ორასორმოცდაათ კილოგრამ ჩაის კრეფს, მაშინ კი... არ მიკითხავს მაშინ რამდენს კრეფდა.

— ადამიანი პატიოსანი უნდა იყოს, თუ პატიოსანია, ყველაფერს შეძლებს. ამას მეუბნებოდა მამაჩემი და კარგა ხანია დავრწმუნდი, რომ ასეა. ყოველნაირად ვეცდები ჩემი შვილები პატიოსან ადამიანებად აღვზარდო.

გასაჭირი? მართალი გითხრათ, ისე არასოდეს გამჭირვებია, რომ დამმახსოვრებოდა. იცით რატომ? მეუღლე მუდამ მხარში მიდგას, დედამთილი... მეურნეობის დირექტორი, ამხანაგები... არ მიყვარს ადამიანი პატარა გასაჭირს დიდად რომ მოაჩვენებს სხვას.

არ ყოფილა დეპუტატობა იოლი. ათასი რამე სჭირდება სოფელს. ვცდილობ, რაც შემიძლია ყველას დავეხმარო, ყველაფერს თვალი ვადევნო, ბოლომდე მივყვე.

კარგი ახალგაზრდობაა ჩვენს სოფელში. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, თითქოს ხელს ვაფარებდე ვინმეს, არა, დასტურ ასეა. შრომაც უყვართ და დასვენებაც, ლხინიც იციან და ჭირში მხარში ამოდგომაც. ლოთები და უსაქმურები ჩვენთან არ არიან. ბევრმა უმაღლესი დაამთავრა და სოფელს ან რაიონს დაუბრუნდა. აი, ჩემი ბიჭიც რომ დაამთავრებს უმაღლესს, სოფელში დაბრუნდება. ვინ იცის, რა მოხდება მანამდი, მარა სოფელს მინდა დაუბრუნდეს.

მე არ მიკითხავს ენდიგულ კუტუბიძისათვის ბედნიერი ხარ თუ არა-მეთქი. არ იყო საჭირო, რადგან ისედაც ცხადია, მისი ბედნიერების ფუძე და ლიბო რაზეა აშენებული. მან ეს ფუძეააგო რწმენით, თავისი სურვილით, მიზანდასახულად, მკვიდრად, ენერგიულად, ძალღონის დაუზოგავად. სხვა რაღა არის ბედნიერება... როცა იცი რას აკეთებ, რისთვის აკეთებ, როცა ხედავ შენი შრომის ნაყოფს, როცა სჭირდები ადამიანებს, როცა მათთან ერთად ეწევი სიკეთისა და სიყვარულის, შრომისა და პატიოსნების უღელს, როცა ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესად გესახება...

კიდევ იტყვით, ბედნიერი ადამიანები სანთლით საძებარიაო?..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავთანდილ ვართაგავა, ტარიელ ვართაგავა

# ბორბლებზე შემდგარი საუკუნე, ანუ „სეზამ, გაიღე“!

ჭიათურის ქვა-მადნის ისტორია იმთავითვე ჯეკ ლონდონის „წინაპართა ძახილს“ გვაგონებს. ჩრდილოეთისაკენ დაძრულმა ოქროს ციებ-ცხელებამ დიდსაც და პატარასაც ერთიანად თელგმა სალმობისანი დამართა. ისინი იქით მიერეკებოდნენ მარხილებს, საიდანაც ყოვლისმძლე ოქრო უყიოდათ.

შავი ქვის სალმობა გაცილებით დიდი, მსოფლიო მასშტაბის ციებ-ცხელება იყო, ვიდრე ეს ჯეკ ლონდონთანაა აღწერილი. ამ მყუდრო ხეობაში, სადაც, ვახუშტის თქმისა არ იყოს, „ყვირილა ხმოვანებს შორ სასმენლად“; სადაც კლდეებიდან მაღლით გადმომყურე მღვიმეებში, ცადატანილ მიუვალ მარნებსა და სასახლეებში ძეხორციელს ჯერ კიდევ არ დაერღვია მათი სიჩუმისა და სიმარტოვის მარადიული მყუდროება; როცა მღვიმევის მონასტრის კედლებს ისევ ათბობდა ბაღუაშთა ერისთავთ-ერისთავების ფრესკების მთვლემარე, გაყინული ფილტვების სუნთქვა; როცა კაცხის სვეტის ჩრდილში ჯერ კიდევ ბოლავდა ერეკლე მეორის მსაჯულის სოლომონ ლეონიძის სასახლის ბუხარი; როცა ზემო იმერეთის სოფლებს ჯერ კიდევ ებურათ პატრიარქალური პირველყოფილების ნისლი და ორღობეებში კლდიაშვილის გმირთა ორეულები დაეხეტებოდნენ კარის-კარ, — ანაზდად იქაური სამყარო „შავი ქვის ციებ-ცხელებამ“ და „ქვა-გუნდის გაწამაწიამ“ დაასნებოვნა. ყველას ერთთავად შავი ქვა ეკერა პირზე. შეიქნა შემოღობვები, მადნიანი ადგილების ყიდვა-გაყიდვა, გარიგებები: „ჩვენ ქვემორე ამისა ხელის მომწერნი...“; სამანიშვილებმა მაჭანკლობას ქუსლი ჰკრეს და მაშინვე შავი ქვის სამეფოში ამოყვეს თავი. ჩოხებიც რომ უარყვეს და ჩაჩნური ბლუზებით შეიმოსნენ, ზოგი მათგანი მრეწველი გახდა, ზოგი თვითმარქვია ინჟინერი და ზოგიც ჩალვადარი. რამდენმა თავის ყოფილ ნამაჭანკლარ ცხენს მადნით სავსე ჯინები აჰკიდა და ჯანდაბის — შორაპნის გზით გაუყენა...

დედამიწის მერიდიანებიდან კი სოფელ ჭიათურაში მოვიდა ათასი ბედის მაძიებელი დერვიში, ათასი გადამთიელი, შარახვეტია, ჩხიკვი ყვავის მამიდა, ოჯახქორები და ოჯახკეტიანები; მოვიდა ათასი ხუთმუცელა, ათასი მოფრანგენი, სპარსნი, ბერძენნი, ბელგიელნი, გერმანელნი, ამერიკელნი, ინგლისელნი, პოლონელნი... და ეს უკაცრიელი ხეობა უმალვე შავი ქვის შტაბელებით, საცხოვრებელი სახლებით, საინჟინრო კორპუსებით აივსო. ტრიამელი კლდე და მინდორი ერთბაშად ქალაქად, ხოლო იგივე ქალაქი — ბაბილონის გოდოლად იქცა.

ჭიათურა, როგორც ბაბილონის გოდოლი, შეიძლება ერთადერთი იყო იმ დროის ქალაქთა შორის: რა მოვლენები, რა ჭრელაჭრულა ხალხი, რა ეთნოგრაფიული ყოფა!.. სწორედ ამ გოდოლმა, სადაც მსოფლიოს ათობით ენათა შორის, მშობლიური ქართულიც გაისმოდა, ჰარიმანის კონცესიის ინჟინერს რიკარდს ინგლისურად ქართული ენა შეაგინებინა, რასაც, რა თქმა უნდა, ჯერ დუელი, ხოლო შემდეგ პატიების თხოვნა მოყვა. ქართველი დუელანტი, მრეწველი ათაბაგი სამიზნედ და სიკვდილთან შესახვედრად უკვე მზად იყო. სეკუნდანტებიც: მელიტონ აბდუშელიშვილი და სოლომონ მსაჯულის შვილთაშვილი, იურისტი, პოეტი და მხატვარი სოლომონ (ბებე) ლეონიძეც მზად იყვნენ, რომ ანაზდად რიკარდის პატიების სიტყვებმა მოქმედება ჩაშალეს...

იქაურ ხალხს თითქოს ელეთ-მელეთი, თითქოს პირკატა ეცა: შეიქნა დანაყელაობა, გაწევ-გამოწევა, ყურების ჩამოთლა, სასწორების მსხვრევა, კვარტიანი ბოთლების ტრიალი, ბილიარდის ქვების ხათქახუთქი, აზარტული შეძახილები: «Угол направо 15», «Туз и в Африке туз». გაჩნდნენ პრეფერანსში წაგებული მაღაროები, აქციები, სახლები. ბეკინა ბელგიურად ალაპარაკდა, ქოხისა — ინგლისურად, თექთუმანი — სპარსულად... ლონდონის სააუქციო საზოგადოების „ანგლო ჯორჯიან მანგანეზე კომპანი“-ს აქციები მსოფლიოს მოედო, ხოლო აქ — ჭიათურის სახლებსა და ფაბრიკებზე გამვლელები მარცვალ-მარცვალ კითხულობდნენ თეთრ ქვებზე ლამაზად ამოკვეთილ მათთვის უცნობ სიტყვებს „აუქციონი“...

ჭიათურის შავი ქვის სამასი საზოგადოებისა თუ ამხანაგობათა სახელები: ლუი პანასიე, ფორუდ და სელარი, გელზენკირხენი, ზაროკიდი, მოდინახე, წერეთელი, ჩხეიძე, ანჯაფარიძე, ხალიფაურის საზოგადოება... ხანდაზმულთ ჯერ კიდევ კარგად ახსოვთ; ახსოვთ ინჟინერთა და მრეწველთა, შტეიგერთა, აუქციონერთა და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე განსინჯეთ. მეურმეთა გვარებიც: გარტი. ბლისენბახი, პერსენაკი, ძმები მიულსები, მისტერ ჰარიმანი, ჟიულ ლაბასი და მეხრეები: ვასიკო და არკადი ვაშაძეები, ჯიბო ლეჟავა... რომელთაგან ზოგიერთის სახე — ვ. ცხომელიძისა თუ დ. აბაშიძის ფოტოებით უკვდავყოფილი — ავსებს ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო სტენდებს...

არც ადრეულ მრეწველებსა და არც კონცესიის წევრებს ჭიათურის საურმე გზები და კაკლის ხეებით დაჩრდილული ქუჩები არ აუხმაურებიათ არც ოპელდოქტორვაგენის, არც პანხარო-ლევასორის, არც ბენც მილორდ კუპეს, არც როლს როისისა და არც ბუგატის ავტომანქანებით...

გადავხედოთ ისევ ვ. ცხომელიძისა და დ. აბაშიძის უკვდავ ფოტოსურათებს, გავაცოცხლოთ ისინი და მათი ენით მივყვეთ დროის მდინარებას.

ამბობენ, შავი ქვა აქლემებითაც უზიდავთ ჭიათურიდან შორაპანშიო, მაგრამ ასეთი კადრები ხსენებულ ფოტოსურათებს, რატომღაც, არ შემოუნახავთ; სამაგიეროდ ბევრს ვხედავთ სპარსელ ჩარვადრებს ანუ ჯინიანი ცხენების პროფესიონალ გამყოლებს, რომლებიც სპეციალურად ყოფილან სპარსეთიდან მოწვეულნი. თუმცა მათ თვალებსაც არაერთხელ უხილავთ ხეობებში გაფრენილი ცხენები, რამეთუ იქაური გზები მეტად საბედისწერო და მაცდური იყო.

სპარსული ჩარვადარი — იმერულ ჩალვადრად იქცა, ხოლო ეს უკანასკნელი სიტყვა ჩალანდრადაც კი, რაიც, ცოტა არ იყოს, დამცირების სინონიმადაც წარმოითქმოდა, თუმცა, როგორც წოდება, შვილზედაც გადადიოდა ხოლმე...

მათი საქმიანობა სამარადისოდაა დაკავშირებული შავი ქვის გადაზიდვის პირველ წლებთან — მაღაროებიდან გომში და ყვირილის გზა-ბილიკებითა და ულევის მართლა ულევი გზით — შორაპანში. ეს ის ისტორიული გზებია, რაიც წარსულში „გზაი დასავლისაის" სახელით იყო ცნობილი. ოდესღაც ამ გზებით უვლიათ პირველ მესვეტეებსა და მეუდაბნოეებს; დავით აღმაშენებელსა და გიორგი რუსს; რუსუდან დედოფალს, მტერსა და მოყვარეს და, ასე განსინჯეთ, შავი ქვის ჭიათურელ ჩალვადრებსა და მეურმეებს, შაქრით დასუქებულ დონის ულაყებზე ამხედრებულ ამერიკელ კონცესიონერებსაც კი.

მაგრამ ამ დაკეცილ, ულევის, გოლგოთისა და ჯანდაბის გზებს, ბოლოსდაბოლოს დასასრული უნდა ჰქონოდათ.

და ეს ასეც მოხდა: გავიდა დრო და არათუ საურმე გზები, ყვირილის ხეობაში რკინიგზაც გაიჭრა და უკვე 90-იანი წლების დასასრულიდან ქვა-მადნის გადაზიდვა ვაგონებით იწყება.

ჭიათურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ნათელა ჯაფარიძისა და ამავე მუზეუმის თანამშრომლის სიმონ ნეფარიძის სამუშაო მაგიდები სავსეა იმ ძვირფასი, შრომითა და ოფლით, ასოთმოკირკიტის მონდომებით მიკვლეული მასალებით, რომლებიც თვალნათლივ აცოცხლებენ ტრანსპორტის განვითარების საკითხებს ჭიათურაში, უნიკალური ფოტოსურათები, ამონაწერები „ივერიის" ყვითელი გვერდებიდან, სპეციალური მასალები თუ ცხადლივ მხილველთა ზეპირი მონათხრობები უკვე საფუძველს უყრიან ერთ სამაგიდო წიგნს...

პროექტების განხილვა ქუთაისის გუბერნატორის თავმჯდომარეობით, ინჟინერ რიძევსკის პროექტის მოწონება და შეწყნარება; მონარჩენი მასალების გადმოსროლა წიფის გვირაბიდან ჭიათურის მომავალი რკინიგზის ლიანდაგისათვის, გზის მშენებლობის უფროსი ბ-ნი სიმბერკი და, ბოლოსდაბოლოს, მშენებლობის დასასრულიც...

და მაინც შორაპნის მაზრის ალმასკომის მეურმეთა გაერთიანება ისევ ძალაშია, რომელთა დამლაც „შ. მ. ა." — „ქვაში" მომუშავე ხარურემთა სახარქედე ულლებს თვით დიდი სამამულო ომის დღეებამდე შემორჩათ...

ნეტარხსენებულ ფოტოხელოვანთა ფოტოკადრებზე მეურმეთა შრომის ისეთი სცენებია აღბეჭდილი, ისეთი გაბმული მწკრივი, ისეთი ჩაცმულობანი, რომლის მსგავსი, ალბათ, არ იცის მრეწველობის ისტორიამ. აქ მარტო შრომა კი არა, მთელი ეპოქაა უკვდავყოფილი. ფოტოისტორიაა დაწერილი.

არათუ რკინიგზამ, თვით ავტომანქანებმაც და საჰაერო-საბაგირო გზებმაც, ძალმოსილება ვერ წაართვეს ხელნა ურმებს, ნიშა და ქორელა ხარს, მეხრეებს — ბაკასა და აბიათარს...

ასე და ამგვარად: ცხენთა ფლოქვებითა და ურმების „ჭრიალით, „კანუხებითა" და „პარუკებით", ორთქლმავლის კივილით, ბრემსბერგებით, ბენზომავლებით, „ტიაგაჩებითა" და პიკაპებით, ემადინებითა და „ამო-3" სატვირთო მანქანებით მიდიოდა ცხოვრება წინ — ტექნიკის ახალ საოცრებათა, ახალი გიგანტური ავტომანქანების შექმნისაკენ. ეს გზა განვლო ჭიათურის მესამე ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანებამაც, ვიდრე იგი მილიონ ტონობით შავი ქვის, სილიკატებისა და სხვა დამხმარე ტვირთის გადაზიდვის სამსახურში ჩადგებოდა, როგორც თანამედროვეობის მძლავრი მექანიზმი.

როდესაც ამ გაერთიანებაზე ლაპარაკობენ, პირველ ყოვლისა, იხსენიებენ ჭიათურის იმ პირველ მძღოლებს, რომელთა სახელის წარმოთქმისას ახალბედა მძღოლები ისევე მოწიწებასა და მორიდებას განიცდიან, როგორც ლატეკოერის კომპანიის მფრინავი ანტუან დე სენტ ეგზიუპერი და მისი მეგობრები. გამოცდილი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შუბლშეკრული და ცათამპყრობი მფრინავების წინაშე, კაფეში საინებში თავჩარგულნი, უსიტყვოდ რომ მიირთმევდნენ ულუფას და ახალგაზრდა მფრინავების შეკითხვას ცალუბად პასუხობდნენ...

დიომიდე შათირიშვილმა, ქიათურის პირველი სატვირთო ავტომანქანის „ამო-3"-ის პირველმა მძღოლმა, დღეს ვერცხლის ქორწილის ასაკს მიღწეულმა კაცმა, ჩვენი საუკუნის ოცდაათიან წლებში საჭეს რომ მიუჯდა და მანქანა ჭიათურის ქუჩებში გაატარა, ისევე სასწაული მოახდინა, როგორც ძმები მოგოლფიერების სტრატოსტატით ჰაერში აჭრამ.

მისი ყოფილი შეგირდი, დღეს უკვე ხანდაზმული, პენსიონერი კაცი ვასილ ხვედელიძე, ვინაც დიომიდეს ამ გაქროლებას დაესწრო, ხსენებულ ამბავს ჭიათურის მაშინდელ ზღაპრად და სასწაულად მიიჩნევს. დ. შათირიშვილის სხვა დანარჩენი შეგირდების — სერგო ჯუღელის, შურა მაჭარაშვილისა და ივლიანე კუპატაძის სამძღოლო ხელოვნებამაც არანაკლები შთაბეჭდილება მოახდინა.

ვასილ ხვედელიძის შრომითი გზა დიომიდეს შეგირდობამდე, ხოლო შემდეგ პროფესიონალ მძღოლამდე, — ეს იყო მიწის ზედაპირზე შავი ქვის „პლასტების" მზოჭავი მეგოდრისა და შემდეგ მეურმის გზა დავით ერგემლიძისადმი რწმუნებულ მეთერთმეტე მაღაროზე. და თუმცა მას არასოდეს უხილავს „ფოდრაჩიკ" გიგია ბრეგვაძის სახელობის „გიგიას ვარსკვლავი", ეს გიგიას მიერ სამუშაოს დროის საზომად ცაზე შერჩეული ვარსკვლავი, — მაგრამ სხვა ამგვარი ზოდიაქო ბევრი ჰქონია შრომისა და ბრძოლის ფრონტზე.

დღეს ლამაზი ქართული ოჯახის თავკაცი და მინდია-მევაზე, თავისი განვლილი გზის მოგონებითა და შვილიშვილის ალერსით რომ ხარობს, ძველი მანქანების დასტაქრობითაც იხანგრძლივებს ჭაღარა ცხოვრების გზას...

ჭიათურის მეორე სასწაულად მაშინდელ ხალხს პირველი ელნათურის — ჭიჭიტალას ციაგი მიუჩნევია. სვერელ ცუცქირიძეს კი, ერთი ასეთი ნათურა რომ მოუპარავს, მეორე დღესვე მოუტანია უკან: აქაო და ჭერზე ძაფით ჩამოკიდებულმა, რაღაცატომ, არ გაანათაო. შუქრუთელ კუპატაძის კაცს, ცუცქირიძის თანამაღაროელს ოცდახუთიდან, მაშინვე ლექსი გამოუცხვია:

მამაძაღლმა ცუცქირიძემ ჭიჭიტალა მოიპარა,
ვერაფერში მოიხმარა, ისევ უკან მოიტანა...

სასწაული კაცობრიობის ისტორიაში მაშინ დაიწყო, როდესაც მავანმა და მავანმა ხის ბორბალი გამოიგონა და ზედ ერთხელ და სამუდამოდ შეაყენა კაცობრიობის მომავლის ბედი.

და ასე, ბორბალს დანდობილი კაცობრიობა ამაყად მოვიდა დღემდე, ანუ თანამედროვე მძლავრი ავტომანქანების შექმნამდე, რომელთა მისაღწევად იმ მრავალათასეული წლების გავლა იყო საჭირო. ჭიათურის მესამე ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი ჯუმბერ ხარაიშვილი) წინსვლისა და გამარჯვების, მისი მრავალი — საკავშირო თუ ადგილობრივი ჯილდოების — დიპლომებისა და სიგელების, გარდამავალი დროშების საფუძველს სწორედ ეს მძლავრი ავტომანქანები შეადგენენ და, რაც მთავარია, მისი ორდენოსანი მძღოლების ბირთვი: მ. გაფრინდაშვილი, ქ. გოგატიშვილი, მ. მაჭარაშვილი, ზ. გულიაშვილი, ო. ტაბატაძე, თ. იაკობიძე, დ. შეყლაშვილი, ჟ. მეცხოვრიშვილი; მოწინავე ა. აბაშიძე, მედალოსანი თავკაცი — ჯ. ხარაიშვილი და სხვანი მრავალნი.

1500 კაცი ამოძრავებს ამ უზარმაზარი საწარმოს გულს. ყოველდღიურად ასობით მანქანების ძრავათა გამაყრუებელი გუგუნი ავსებს ავტოსაწარმოს მთელ შემოგარენს. მთავარი ინჟინერი თამაზ სანარსკი, საწარმოს სხვა ინჟინრებთან და მექანიკოსებთან ერთად, გზას ულოცავს სამუშაოზე მიმავალ მძღოლებს, რომელთაც შავი ქვის მადანი თუ ფაიფურის ნედლეული მასალა — კვარცის სილა — სასახელო, ეროვნულ ტვირთად უღიათ მხრებზე. ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმ ავტოსამგზავრო მომსახურებაზე, სამშენებლო თუ სასოფლო ტვირთების გადაზიდვაზე, რასაც ისინი წარმატებით ახდენენ.

მათმა შემოქმედებითმა საქმიანობამ ათას ერთი ღამის ზღაპრის სასწაულებსაც გადააჭარბა: თუ მის გმირებს თილისმური სიტყვით: „სეზამ, გაიღე!" მხოლოდ კლდის გახსნა და იქიდან საუნჯის გამოტანა შეეძლოთ, ჩვენი დღეების გმირებმა დაუნჯებულ მთებს ფეხი აადგმევინეს და მათ ადგილზე სწორი, ტრიამელი ვაკეები შექმნეს.

ჭეშმარიტად, ეს არის ზღაპრის ხინამდვილე.

საწარმოს ტერიტორიის შიგა დეკორატიული გაფორმება, ცოცხალი ყვავილების მწკრივი, დიდი მოზაიკური და ჭედური პანოები, საწარმოს ხელმძღვანელთა ესთეტიკურ გემოვნებაზე მეტყველებენ. ყველაფერმა ამან თავის დროზე მოხიბლა ადგილობრივი მიწის შვილი, პოეტი მარიკა ბარათაშვილი.

ახლა რუბიკონი გადალახულია და გზა ზევით და ზევით მიიწევს...

ათასობით წლის წინ ფეხადგმული ხის ბორბალი ისევ და ისევ განაგრძობს ბრუნვასა და მოძრაობას. „დრო დადგა, რკინამ აიდგა ენა" და ეს რკინა ბორბლებზე შემდგარი დღევანდელი საუკუნეა, რომელსაც ხელეწიფების მბრძანებლური ხელი მაღლა აღმართოს და შავქვიანი მადნით დაუნჯებულ მთებს ხმამაღლა შესძახოს:

— სეზამ, გაიღე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დავით მურმანიშვილი

# მეცხოველეთა ხვალინდელი დღე

ზურგს უკან დარჩა შიდა ქართლის სანახები, ქსნისა და ლიახვის ხეობები, ზვრები და ხეხილის ბაღები, გორისციხე და გორისჯვარი. წინ კვლავ ულეველი გზაა. ვუახლოვდებით ზემო ქართლის მისადგომებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ზეგანიდან გადავყურებთ ლურჯ მთებს და ოქროსფრად მოელვარე მინდვრებს. აქედანვე იშლება უნიკალური პანორამა, ძველისძველი ურბნისისა და რუისის ტაძრების კათედრალთა გუმბათები. აქ, ამ მიდამოებში ერთ დროს საქვეყნო საქმეები წყდებოდა, აქ ისახებოდა საქართველოს ძლიერების კონკრეტული ღონისძიება და აქედან მიდიოდნენ მალემსრბოლები ქვეყნის ყოველ კუთხეში საეკლესიო და საერო კრებების გადაწყვეტილებათა ფირმანებით. აქედანვე მოჩანს სამწევრისის სამლოცველო ლავრის გუმბათი და ციხე-სიმაგრის გოდოლები. დიახ, აქაც არა ერთხელ შეკრებილა ლაშქარი მტერთან საომარი სამზადისით, აქ იგეგმებოდა ქართლის მინდვრების გასარწყავების პროექტი ჯერ კიდევ უხსოვარ დროში. საამისო დოკუმენტს წარმოადგენს სამწევრისის სამლოცველო ლავრის კედელზე კვეთილი წარწერა.

მცირე სვლაც და გზას ვაგრძელებთ დასავლეთისაკენ, ამჯერად მივდევთ ხეხილის ბაღების ტევრს, ამიტომაცაა, რომ დიდებულად იგრძნობა შემოდგომის საამო სურნელი, მერე მარცხნივ ვუხვევთ და სამკილომეტრიანი ნაძვის, ფიჭვის, ჭადრის მწკრივებით, ხეხილის ბაღებით დაბურული გზა ლამპიონებით ნათდება. აი, დედა მტკვარიც, ხიდი და ხიდს იქით რაიონული ცენტრი ქარელი. ვეწვიეთ საქართველოს კპ ქარელის რაიკომის ახლად აგებულ მშვენიერ არქიტექტურულად ლამაზ შენობას. სამუშაო საათები კარგახანია დამთავრებულა, მაგრამ მესამე სართულის ორი სარკმელი განათებული მოჩანს. ავუყევით კიბის საფეხურებს და შევხვდით საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პირველ მდივანს ომარ რევაზის-ძე კილასონიას, საქმიან, ენერგიულ ადამიანს, რომელიც სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრებისთანავე გაეშურა იქ, სადაც დოვლათისა და ბარაქის ბედი წყდება; და აი, მეთვრამეტე წელია, რაც სასოფლო-სამეურნეო და პარტიულ სამუშაოზეა, გავაცანით ჩვენი წვევის მიზანი. ვკითხეთ, თუ რა ღონისძიებებს ახორციელებენ პარტიის ქარელის რაიკომი, რაიონის საბჭოთა სამეურნეო ორგანოები მიმდინარე მეთერთმეტე ხუთწლედში რაიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების ტემპების შემდგომი დაჩქარებისათვის.

რაიკომის პირველმა მდივანმა ო. კილასონიამ სარკმელს გახედა და დინჯად, დამაჯერებლად დაიწყო საუბარი. რომ რაიონის ხელმძღვანელობა, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები, მისი აქტივი და მთლიანად რაიონის მშრომელები სახელოვანი და ენერგიული ახალგაზრდობა, ხელმძღვანელობენ სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების გადაწყვეტილებებით, პარტიის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის შესაბამისად. დიდი ყურადღება ეთმობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების საქმეს მიმდინარე წლის მაისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება ქარელის რაიონის სოციალური და ეკონომიკური განვითარების თაობაზე, სადაც განსაზღვრულია სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნები. სწორედ ამ დადგენილებით გათვალისწინებული დავალებებიდან გამომდინარეობს რაიონის სასურსათო პრობლემა და რაიონის ხვალინდელი დღის საქმიანობაც.

რაიკომის პირველი მდივანი წუთით თვალს ავლებს საწერ მაგიდაზე გაშლილ ცნობებს და დასძენს: ჩემს მსჯელობას ზოგადი ხასიათი რომ არ ჰქონდეს, უფრო კონკრეტულად მოგახსენებთ; ამჟამად რაიონში იქმნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იმისათვის, რომ ხორცის წარმოება საზოგადოებრივ სექტორში 1985 წლისათვის 50-60 პროცენტით გაიზარდოს, ხოლო თუ მშენებლებმაც თავისი სიტყვა საქმედ აქციეს, მაშინ საქმე უფრო უკეთ წარიმართება.

— საამისოდ რა კეთდება და რა გაძლევთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამის განცხადების საფუძველს? — ვეკითხებით რაიონის თავკაცს და ისიც კვლავ დამაჯერებლად გვპასუხობს.

— რაიონში სწრაფი ტემპით ვითარდება მეცხოველეობის ახალი დარგი — მებოცვრეობა. უკვე ჩამოყალიბდა, გამოიკვეთა ბებნისისა და დედოფლის მებოცვრეობის ორი კომპლექსი. ბებნისის კომპლექსის პირველი რიგის მშენებლობა 5.000 დედა ბოცვერზე დამთავრდა და წლის ბოლომდე დაკომპლექტდება კიდეც. წელსვე დამთავრდება დედოფლის კომპლექსის პირველი რიგის, ხოლო მომავალ წელს ბებნისის კომპლექსის მეორე რიგის მშენებლობა. ასე, რომ 1981-1984 წლებში ორივე კომპლექსი სრული სიმძლავრით ამოქმედდება და სახელმწიფოს ყოველწლიურად მიეყიდება 750 ტონამდე ბოცვერის (კურდღლის) ხორცი. დიახ, რეალური წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, დღეის მდგომარეობით რაიონის საზოგადოებრივი სექტორიდან ყველა სახის პირუტყვის (ხორცის) წლიური მიყიდვა 900-950 ტონას შეადგენს.

რაიკომის მდივანი ო. კილასონია უფრო კონკრეტულ ფაქტებს იშველიებს და გვაუწყებს, რომ გასულ წელს რაიონში დამთავრდა სასუქი კომპლექსის ობიექტი, ამჟამად კი მიმდინარეობს რეპროდუქტორის მშენებლობა, რომლის დამთავრების შემდეგ გაერთიანებაში ღორის ხორცის წარმოება 8-10-ჯერ გაიზრდება და 200-250 ტონას მიაღწევს, დიდი ყურადღება ეთმობა აგრეთვე საზოგადოებრივ მეურნეობებში მეღორეობის ფერმების აღდგენას, რომლებიც წინა წლებში დაუსაბუთებლად, ზერელე მიდგომით იყო გაუქმებული. უახლოეს დროში არ იქნება ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, სადაც სათანადო სიმაღლეზე არ დაინერგება მეღორეობის ფერმა, რაც საერთოდ ხორცის წარმოების გადიდების მნიშვნელოვან რეზერვად ისახება. ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა რძის წარმოების გადიდებისათვის. უკვე დამთავრდა ხვედურეთის მეცხოველეობის კომპლექსის მშენებლობა 800 ფურისათვის, უახლოეს დროში გადაწყდება კომპლექსის პირუტყვით დაკომპლექტების საკითხი. ასე, რომ მისი სრული სიმძლავრით ამოქმედების შედეგად რაიონში რძის წარმოება 30-40 პროცენტით უნდა გაიზარდოს. ასევე მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ახალი სადგომები აშენდება ზღუდრის და ქარელის კოლმეურნეობებში, კეხიჯვრის, გვერძინეთის და ახალსოფლის საბჭოთა მეურნეობებში. აგრეთვე განხორციელდება ღონისძიებები პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებისა და პროდუქტიულობის ამაღლების გაზრდისათვის, რაც რძისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას საგრძნობლად გაადიდებს. ამავე მეთერთმეტე ხუთწლედში გაიზრდება მეფრინველეობის პროდუქტების წარმოებაც. მიმდინარე წელს დაიწყო დირბის მეფრინველეობის ფაბრიკის რეკონსტრუქცია, რომელიც 1983 წელს დამთავრდება და კვერცხმდებლობის რაოდენობა 25 ათასი ფრთიდან 100 ათასამდე გაიზრდება. შესაბამისად გაიზრდება კვერცხისა და ფრინველის ხორცის წარმოებაც. ამავე დროს გათვალისწინებულია მეფრინველეობის მცირე ფერმების აღდგენა იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც საამისოდ საჭირო პირობები და ღონისძიებები არის.

სათანადო ყურადღება ეთმობა მოსახლეობაში პირად, დამხმარე მეურნეობებში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების საქმეს. მარტო მიმდინარე წელს მოსახლეობას პირუტყვისათვის საკვებად მიეყიდა 1000 ტონამდე ნამჯა და 800 ტონამდე თივა.

დიახ, ყველაფერი კეთდება ქვეყნის კეთილდღეობისა და სასურსათო პროგრამის გრანდიოზული გეგმის ცხოვრებაში განხორციელებისათვის, რომელიც პარტიამ დასახა. და საამისოდ ყველა პირობა და შესაძლებლობა არის. არის აგრეთვე რწმენაც და გარანტიაც, რომ დღევანდელ საძირკველზე ხვალ აღიმართება ეიდელი, რომელიც მთელი სიმძიმით მაღლა აწევს წარმოების ტვირთს და გამრჯე ადამიანების, ხელბარაქიანი ვაჟკაცების, ქალების, ქალიშვილებისა და ჭაბუკების შემართებით დაპყრობილი იქნება შრომის ახალი მიჯნები, ახალი ბასტიონები.

გავიცანით საქართველოს სოფლის მეურნეობის მშენებლობის № 3 ტრესტის № 32 საამშენებლო რაზმის დირექტორი ვ. შაკიაშვილი და მთავარი ინჟინერი გ. კუდუხაშვილი. შემდეგ დავათვალიერეთ ბებნისის მებოცვრეობის კომპლექსი, რომელიც მტკვრის პირადაა განაშენიანებული. როგორც ცნობილია ეს პირველი რიგის სამუშაოებია და განკუთვნილია 5.000 დედა ბოცვერისათვის. აქ შესრულდა 2-მილიონ 400 ათასი მანეთის ღირებულების სამუშაო. კომპლექსში არის 13 საბოცვრე კორპუსი, არის თბომომარაგებისათვის საქვაბე მეურნეობა, ვეტ-სანიტარული სასაკლაო, ვეტ-სანიტარული გამტარი, ადმინისტრაციული ნაგებობა, საწყობები, სათავსოები. მოასფალტდა, კეთილმოეწყო გზები და ამ დღეებში საექსპლოატაციოდ მწყობრში ჩადგება სამი სამოცბინიანი საერთო საცხოვრებელი სახლი.

მშენებლობაზე კვლავ ენერგიულად იღწვიან მშენებლობის ოსტატები ოთარ ტიტვინიძე, ვიქტორ კასრაძე, ზაურ ნარიკაევი, მებეტონეები ვლადიმერ კაკაშვილი, გივი ერაძე, ნიკოლოზ ტიტვინიძე და სხვები.

რაიონის სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციებში საამშენებლო საქმეს ძირითადად საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭო აწარმოებს, რომლის ხელმძღვანელია ინჟინერი შოთა გოგიჩა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი, კაცი, რომელმაც 25 წელიწადზე მეტი საამშენებლო უბნებზე დაჰყო. რაიონის ცენტრის, ქარელის თუ მის ტერიტორიაში შემავალი სოფლების კეთილმოწყობის ღონისძიებების გატარებაში მისი გარკვეული წვლილიცაა. ამჟერად კი საკოლმეურნეო მშენებლობის საბჭოს თავკაცობს და ჩვენც სადღეისო ამოცანებზე ვესაუბრეთ. ჩვენ ისიც შევნიშნეთ, რომ აღნიშნული საწარმოს დარბაზში საპატიო ადგილზე მოჩანდა წითელი გარდამავალი დროშა წარწერით: „საქართველოს კპ ქარელის რაიკომისა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა საამშენებლო ორგანიზაციებს შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლექტივს“. ესეც მშენებლობის წარმატებებზე მიგვანიშნებს.

აღნიშნულმა საამშენებლო ორგანიზაციამ დაამთავრა ხვედურეთის მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის მეცხოველეობის 800 სულის ტევადობის ფურების კომპლექსის მშენებლობა, სადაც გაიხარჯა 2 მილიონ 278 ათასი მანეთი. კომპლექსში არის 2 საფური, თითო 400 ფურისათვის და ორიც სახბორე, თითო 228 სულისათვის. არის საქვაბე მეურნეობა თბილი წყლისა და გათბობისათვის ორთქლის მისაღებად. კომპლექსი აღჭურვილია სანიტარულ-ჰიგიენური ბლოკით, ამბულატორიით, წყალსადენით, კანალიზაციით, ნაგებობებით 2 000 ტონა სილოსისა და 2 000 ტონა სენაჟისათვის. საფურეები შეერთებულია სარძეო ობიექტთან დერეფნებით, აქვეა საწველი აგრეგატები, რომელიც ერთდროულად მოწველის 50 ფურს. არის სასეირნო მოედანი, საკვების დასამზადებელი საამქრო, ელექტროენერგიის კვების ჯიხური, საწყობები და სხვა.

რაც შეეხება ზლუდრის მეცხოველეობის ფერმას, ის 200 ფურისათვისაა განკუთვნილი და აქ 77.800 მანეთის ღირებულების სამუშაოები შესრულდა. წელს კიდევ 400.000 მანეთი გაიხარჯება და 1982 წელს კი მთლიანად დამთავრდება. დღეისათვის აქ აგებულია საფური, სახბორე, სანიტარული და სარძევე ბლოკები, აგრეთვე სასილოსე, სასენაჟე და საწყობ-სათავსო ობიექტები.

დირბის მეფრინველეობის ფაბრიკა 25.000 ფრთა ფრინველის (ქათმის) ტევადობისაა და რეკონსტრუქციის შემდეგ, რომელიც სამი მილიონი მანეთი დაჯდება 100.000 ფრთა ფრინველს დაიტევს. ამ მხრივ აქ საგრძნობლად სერიოზული სამუშაოები მიდის. ამჟერად ნაცვლად გეგმიური 300.000 მანეთისა, შესრულებულია 350.000 მანეთის ღირებულების სამუშაო.

კეხიჯვრის მეღორეობის კომპლექსი განკუთვნილი იყო 2000 ღორისათვის და ახლა აქაც მიდის საკონსტრუქციო სამუშაოები, მაშასადამე ხვალინდელი კომპლექსი 4000 ღორის ტევადობით განისაზღვრება და საამისოდ ჯერჯერობით 200 ათას მანეთზე მეტი გაიხარჯა, უფრო მეტი გაკეთდებოდა, რომ არ ფერხდებოდეს რკინაბეტონის კონსტრუქციებისათვის საჭირო მასალების მომარაგება.

საამშენებლო უბნებზე აქტიურობით გამოირჩევიან ინჟინრები: ზურაბ ბარამიძე, ბუხუტი ბარბაქაძე, სევასტი გაგლოშვილი, შალვა და ვაჟა გოგიჩაშვილების ბრიგადები, მექანიზატორი ნოდარ მექვაბიძე, მძღოლები ომარ დავრაშელიძე, თამაზ გოგიჩაშვილი, ამირან მარლიშვილი, დურგლები პლატონ ფილიშვილი, გრიშა ქოქოშვილი, გურამ ქერექაშვილი, გოჩა გოდელაძე და სხვები.

როგორც მეცხოველეობის კომპლექსების მშენებლობებზე, ისე მეცხოველეობის ფერმებში გარკვეულ სერიოზულ ძალას წარმოადგენს რაიონის ახალგაზრდობა, ისინი არაფერს იშურებენ იმისათვის, რომ ქვეყანას მისცენ მეცხოველეობის პროდუქტები, ხორცი, რძე და რძის ნაწარმი. ამით თავის წვლილს შეიტანენ სასურსათო პროგრამის განხორციელების საქმეში.

რაკი რაიონში მებოცვრეობა ახალ დარგთაგანს წარმოადგენს, ამიტომ ჩვენც პირველ რიგში ახალგაზრდა მებოცვრეებს შევხვდით. მათ შორის პირველი სიტყვა თქვა ეკონომისტმა ლელა ივანიძემ. მან გვაუწყა, რომ მებოცვრეობის კომპლექსში 10 ათასი ბოცვერია და აქედან 1.500 დედა ბოცვერი. თუ ხორცის წარმოების წლიური გეგმა 30 ტონას ითვალისწინებს, პირველი ოქტომბრისათვის წარმოებული და სახელმწიფოზე ჩაბარებული იყო 21 ტონაზე მეტი. არის გარანტია, რომ წლიური დავალება 20 დეკემბრისათვის განაღდდეს.

ლელა ივანიძე ამავე დროს ბებნისის მებოცვრეობის კომპლექსის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანია და მთელი გულისყურით მუშაობს. ის პირნათლად ასრულებს როგორც სამსახურებრივ საქმეს, ისე საზოგადოებრივ დავალებებს. ლელა კმაყოფილია თავისი მოწინავე თანამოსაქმეებით. ყველა მოწინავეა და მეც აღარ ვიცი საიდან დავიწყოო, ამბობს ის, და ასახელებს არჩილ არავიაშვილს, ახალგაზრდას, რომელიც ბრიგადას უნარიანად ხელმძღვანელობს, ტრაქტორისტს ვაჟა არავიაშვილს, მომვლელებს მედიკო ბესტავაშვილს, მზია მარლიშვილს, ავთანდილ მაღალდაძეს, ნათელა ჯაიანს და სხვებს.

ბრეძის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელებმა სახელმწიფოს ნაცვლად გეგმიური 22 ტონისა მისცეს 27 ტონა ხორცი, სრულდება რძის წარმოებისა და ჩაბარების გეგმაც. პირუტყვის გამოზამთრებისათვის დამზადდა 1.500 ტონა სენაჟი, 800 ტონა სილოსი, ათეული ტონობით თივა, ნამჯა, ჩალა და ძირხვენები. მეურნეობის დირექტორი ტარიელ სხირტლაძე სიამაყით ასახელებს კომკავშირელ მეცხოველეებს, რომან, ნოდარ და ირაკლი შუბითიძეებს, ლალი ძაბახიძეს, ახალგაზრდებს: დათო მეყანწიშვილს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამაზ ხარაზიშვილს, სოსო მეუანწიშვილს, თენგიზ შუბითიძეს, გია ხარაზიშვილს და სხვებს, რომელთაც არაფერი დაიშურეს მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის საკვები ბაზის შექმნისათვის. ისინი კვლავ აქტიურად შრომობენ.

რაიონში კარგად იცნობენ დვანის კოლმეურნეობის კომკავშირელს თამარ კულუმბეგაშვილს სამი წელიწადია რაც თამარი მეცხოველეობის ფერმაში მუშაობს და არაფერს ზოგავს მოწინავე პოზიციებზე გასვლისათვის. თამარი 17 ფურს უვლის და მან წველადობის წლიური გეგმა კიდეც გაანაღდა. თითოეული ფურიდან მოწველა 1.700 ლიტრი რძე. თამარი წარმოებიდან მოუწყვეტლად სწავლასაც განაგრძობს. ასევე კარგი შრომით გამოირჩევა ახალგაზრდა, კომკავშირელი მწველავი ჟულია ქოქაშვილი, ისიც 17 ფურს უვლის და თითოეული ფურიდან მიილო 1.700 ლიტრი რძე. ფერმაში ხშირად შევხვდებით მეათე კლასის მოსწავლეებს ლამზირა ქოთუაშვილსა და ვალია ჯაფიაშვილს, ისინი მშობლების მხარდამხარ შრომობენ. მათი გადაწყვეტილებაა, საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე მოვიდნენ აქ, მეცხოველეობის ფერმაში და მხარი გაუსწორონ თამარსა და ჟულიას.

დვანის კოლმეურნეობის მსხვილფეხა-რქოსანი პირუტყვის ფერმას ხელმძღვანელობს საქმის მცოდნე და უნარიანი კაცი ბეგლარ მახაჭაშვილი, კაცი რომელიც ქ. ცხინვალის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრებისთანავე შრომის გზას დაადგა და კომკავშირის რიგებში თავის სიტყვა თქვა. ახლა, დღეს კომუნისტი ბ. მახაჭაშვილი ახალგაზრდებზე ამყარებს დიდ იმედს და ამიტომაა, რომ მზრუნველობას არ აკლებს მათ. მან კარგად იცის, რომ ახალი თაობის აღზრდა საშვილიშვილო საქმეა, ის თვითონაც ხომ ხუთი შვილის მამაა და ზღვარს არ დებს საკუთარ შვილებსა და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შორის. ეს რომ ასეა და, რომ ახალგაზრდობის ძალა მეცხოველეობის ფერმაშიც იგრძნობა, საამისოდ ფაქტებიც მეტყველებენ. დვანელმა მეცხოველეებმა მიმდინარე წლის ცხრა თვეში 165 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 185 ტონა რძე, ხორცი კი ჩაბარებულია 37 ტონა, სახელმწიფო გეგმა კი 85 ტონას ითვალისწინებდა.

მეცხოველეობის ფერმაში 500 სული პირუტყვია და მათ შორის 115 ფური. აქ ყველაფერი გაკეთდა პირუტყვის ნორმალური გამოზამთრებისათვის. არის უხეში საკვების, სილოსის, სენაჟის და ფურაჟის საკმაო მარაგი.

რაიონის მეცხოველეები ამაყობენ მათ მხარდამხარ მეხილე, მეჭარხლე, მესიმინდე, მებოსტნე და მეცხოველე ახალგაზრდებით. ბევრი მათგანის სახელი გასცდა რაიონის ფარგლებს, ბევრი მათგანის მკერდს ამშვენებს მთავრობის მაღალი ჯილდო. რაიონის მშრომელთა ძველი გვარდია, რომელიც შრომისა და ბრძოლის ქარცეცხლში გამოიბრძმედა, ქმნიდა დიდებულ ტრადიციებს და მას სამემკვიდრეოდ უტოვებს მომავალ თაობას. ჯერ კიდევ თავის სიტყვას ამბობენ ვეტერანი გუთნისდედები, ტრაქტორისტები, მემინდვრეები, მეჭარხლეები, რომელთაც გუშინდელ დღესავით ახსოვთ სოფელში შემოსული პირველი ტრაქტორის აგუგუნება და პირველი კვალის გატანაც. დიახ, მოდიოდა თითო-ორორა ტრაქტორი, ტყდებოდა საუკუნოვანი ყამირი, შენდებოდა ხეხილის ბაღები, ფესვიანდებოდა ვაზი, შენდებოდა კლუბები, სკოლები, საბავშვო ბაღები, კეთილეწყობოდა გზები და რაც მთავარია, იჭედებოდა მექანიზატორთა ახალ-ახალი რაზმი. დღეს კი რაიონში ტრაქტორებს, მისაბმელ მანქანა-იარაღებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარს თვლა არ აქვს. დღითი-დღე იზრდება შრომის დოვლათი და ბარაქა, დღითი-დღე მატულობს სოფლის მეურნეობის სპეციალისტების რიცხვი და ესეც იმის გარანტიაა, რომ სოფლის მეურნეობის ძველი გვარდიის ტრადიციებზე გაზრდილი ახალგაზრდობა უფრო საიმედოდ და უფრო საქმიანად, უფრო პრინციპულად, გაბედულად იტყვის ახალ სიტყვას ჩვენი სამშობლოს აღორძინების საქმეში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილები

რევაზ თვარაძე

# ქართული დამწერლობის სათავეებთან

ორ წელიწადზე მეტი გავიდა რამაზ პატარიძის „ქართული ასომთავრულის“ გამოცემიდან. „მშვენიერი წიგნი“, „დიდებული წიგნი“, „საკვირველი წიგნი“, — ამგვარად გამოთქვამს თავის შთაბეჭდილებებს იმათი უმრავლესობა, ვისთანაც კი მისაუბრია ამ წიგნის შესახებ. იტყვიან მსგავს რასმე და იქვე ჩქარობენ დაურთონ: „ოღონდ...“, „მაგრამ...“, „თუკი...“. რამეთუ ამ წიგნის ნაგულისხმევი მკითხველნი — სხვადასხვა დარგის მეცნიერი მუშაკები, მწერლები, ლიტერატორები, ჟურნალისტები, პედაგოგები, საერთოდ, ჰუმანიტარული თუ არაჰუმანიტარული განათლების მქონე ადამიანები, დაინტერესებული პირნი — თავს უფლებას ვერ აძლევენ ბოლომდე ენდონ მომხიბვლელ შთაბეჭდილებას და გაუთვალისწინებელი დატოვონ საკუთარი არაკომპეტენტურობა მეცნიერების ისეთ სპეციფიკურ დარგში, როგორიც პალეოგრაფია გახლავთ. ის „ოღონდ“, „მაგრამ“, „თუკი“ — ქვეცნობიერსა თუ გაცნობიერებულ შიშს გამოხატავს: ვაითუ არასპეციალისტებს, უბირ მკითხველებს გვაჯადოებს ეს წიგნი, ხოლო სპეციალისტებმა სხვაგვარად შეაფასონ, იქნებ ქვა ქვაზე აღარც დატოვონო.

რადგან სპეციალისტები დუმილს ამჯობინებენ, შეთქმულებივით არიან გატრუნულნი. რეცენზიის დაწერა და გამოქვეყნება კი არა, პირად საუბარშიც სიტყვას ვერავის დააცდენინებთ ამ საკითხზე — არაფრისმთქმელ ან უაღრესად მრავლისმეტყველ ჟესტს დაგაჭერებენ და ამით მოგიცილებენ თავიდან.

არ მიმაჩნია მართებულად ამგვარი საქციელი. საქმე იმას რომ ეხებოდეს,ცხოვრობდა თუ არა საქართველოში ქვის ხანის ადამიანი, ანდა მართლა ხდებოდა თუ არა აქ „ანთროპოგენეზის, ე. ი. გაადამიანების პროცესი“, ეს თავისთავად საინტერესო ისტორიული და ანთროპოლოგიური პრობლემები მკითხველთა განუზომლად ვიწრო წრეს აღელვებდა, უმთავრესად სპეციალისტთა „შიდასაუწყებო“ კამათის საგნად დარჩებოდა.

მაგრამ საქმე ეხება ქართული ანბანის, ქართული დამწერლობის წარმოშობას, ისეთ რასმე, უმცროსკლასელი შეგირდით დაწყებული ვიდრე ხანდაზმულ ადამიანამდე, ნებისმიერი განათლების მქონე მოქალაქემდე გულგრილს რომ არავის ტოვებს არასოდეს. ყოველ ჩვენგანს უფიქრია, უმსჯელია და უკამათნია ამ საკითხზე— ქართველთანაც, უცხოელთანაც, მეტსაც ვიტყვი: ყოველ ჩვენგანს უოცნებია ამ ამბისთვის. ბასკთა, ეტრუსკთა, პელაზგთა, შუამდინარელთა, ხეთის სამეფოს თუ ურარტუს მკვიდრთა ქართველებთან ნათესაობის საკითხის არ იყოს, არგონავტების ლაშქრობის, ძველი კოლხეთის კულტურის, პეტრე იბერიელისა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის პიროვნებათა იდენტობის, რუსთაველის ვინაობის საკითხის არ იყოს...

ესენი და მათი მსგავსნი იმნაირი საკითხებია, მოსახლეობის უფართოეს ფენებს რომ მუხტავს და აღაგზნებს საოცარი ძალით. და ამ ამბავში საძრახისი არაფერი არ არის. გაცილებით უფრო შეუწყნარებელია იმათი დიდრაჯული დუმილი, ვისაც ავტორიტეტული სიტყვის თქმა ხელეწიფება მსგავს საკითხთა ირგვლივ. სწორედ მათს დუმილს მოსდევს ხოლმე უშუალო, თვალსაჩინო შედეგად დილეტანტთა და მოყვარულთა გააქტიურებაც და მომრავლებაც, დილეტანტურივე დაუსრულებელი კამათიც და სხვა მისთანანი.

ნუ ავჩქარდებითო, — მეტყვიან ალბათ, —

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამაზ პატარიძის წიგნში ისეთი რთული საკითხებია აღძრული და მიმოხილული, იმდენი თავსატეხი პრობლემაა, იმ ზომის ინფორმაციაა დახვავებული, ყოველივე ამის გააზრებას და აწონ-დაწონას, გულდამჯდარი დასკვნების გამოტანას დიდი დრო სჭირდებაო.

მართალი ბრძანებაა. მაგრამ, ჯერ ერთი, არც ორი წელიწადია მცირე დრო საიმისოდ, რათა საქმეში ჩახედულმა სპეციალისტმა თავისი თუნდაც პირველი შთაბეჭდილება გაუზიაროს მკითხველებს; გარდა ამისა, რაც ამ შემთხვევაში უმთავრესია, რამაზ პატარიძის წიგნის შემადგენელი ნაწილები („ქართული ასომთავრულიც“, „ქართული წელთაღრიცხვაც“, „ქართული წარმართული კალენდარიც“ და „ერკათაგირის გრაფიკული საფუძვლებიც“) სხვადასხვა დროს, 1970-1978 წლების მანძილზე მთლიანად გამოქვეყნდა სამეცნიერო თუ სალიტერატურო ჟურნალებში და წარმოუდგენელია მათ იმთავითვე არ გასცნობოდნენ სპეციალისტები. ასე რომ ორი კი არა, კარგა თორმეტი წელიწადი გამოდის.

თუმცა თორმეტი წელიწადი რა სახსენებელია, როცა აგერ ნახევარ საუკუნეზე მეტი დრო გადის, ჩვენი მეცნიერება ამგვარივე ზრდილობიანი დუმილით უვლის გვერდს ივანე ჯავახიშვილის წიგნს „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (1926) და ამ წიგნში წამოყენებულ თვალსაზრისს, რომლის მიმდევრადაც მოკრძალებულად აცხადებს თავისთავს რამაზ პატარიძე.

ზრდილობა იმით გამოიხატება, რომ საქმეში ჩაუხედავ მკითხველებს აღარ ამცნობენ თუ აღარ ახსენებენ დიდი მეცნიერის უმთავრეს დებულებებს — ქართული ანბანის ახალი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში შექმნაზე ლაპარაკი გულუბრყვილობად უნდა ჩაითვალოს, ქართული დამწერლობა დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე-მესამე საუკუნეებში არისო შექმნილი.

ხოლო ზრდილობის ქვეტექსტი ის გახლავთ, მკითხველთა ყურადღება როგორმე აარიდონ ესოდენ ფანტასტიკურ თეორიას, რომელიც, მავანთა და მავანთა თვალსაზრისით, როგორც ეტყობა, თვით ივანე ჯავახიშვილისნაირ კოლოსსაც კი სახელს გაუტეხავდა მხოლოდ. ამიტომ ამჯობინებენ არც „ჰო“ თქვან და არც „არა“. ერთი მხრივ, გულში არაფერი სწამთ ივანე ჯავახიშვილის თეორიისა, მეორე მხრივ, ამ თეორიის საქვეყნოდ უარყოფასაც ვერ კადრულობენ.

ხოლო რაკი რამაზ პატარიძე ამ თეორიის თავგამოდებულ დამცველად და გამგრძელებლად გვევლინება და, მაშასადამე, მისი თვალსაზრისისადმი დაპირისპირება ასე თუ ისე ივანე ჯავახიშვილისადმი დაპირისპირებასაც ნიშნავს, თითქოს გასაგები ხდება, ამჯერადაც რატომ მიმართა ოფიციალურმა მეცნიერებამ ნაცად ტაქტიკას და რა მანქანებით იქნა მიღწეული იმგვარი ვითარება, რომ 1980 წლის დამდეგს ოციათასიანი ტირაჟით გამოცემული ექვსასგვერდიანი გამოკვლევა „ქართული ასომთავრული“ გინდაც არ არსებულიყოს ამ ქვეყნად.

არადა ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, უბირ მკითხველებს, სკოლის მერხიდანვე ამას გვასწავლიდნენ: სათქმელი მუდამ პირდაპირ უნდა ითქვას, ჭეშმარიტების თვალთა წინაშე ავტორიტეტი არ არსებობს, ჭეშმარიტების მიჩქმალვა და მიფუჩეჩება ყოველგვარი საქმისთვის დიდად საზიანო არისო. ასე რომ, უნდა ვიფიქროთ, არც ხსენებული თეორიისა და არც რამაზ პატარიძის წიგნის ესოდენ შთამბეჭდავი დუმილით იგნორირება სახელს არავის მოუტანს საბოლოოდ.

ეს საკითხის ერთი მხარეა მხოლოდ. მეორე, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი მხარე, ის გახლავთ, რომ ზემოხსენებულ დაინტერესებულ მკითხველებს (შეგირდობიდან ხანდაზმულობის ასაკამდე ადამიანებს) თუ დავეხსნებით, ძველი ქართული მწერლობის, ხელოვნების, აზროვნების, საერთოდ — კულტურის შემსწავლელი მეცნიერებანი მუდამ ჩიხში თუ მოჯადოებულ წრეში იქნებიან მომწყვდეულნი, მუდამ ორჭოფულ ვითარებაში აღმოჩნდებიან და სანახევრო ჭეშმარიტებათა ანაბარა დაგვიშთებიან, ვიდრე მათთვის ერთხელ და სამუდამოდ არ გადაიჭრება ქართული ანბანის, ქართული დამწერლობის წარმოშობის თავსატეხი პრობლემა. ცხადია რატომაც, თუ ავიღებთ, მაგალითად, მწერლობას, ანბანის საკითხის გადაწყვეტამდე მწერლობის აღმოცენების ხანაც ვერ დადგინდება ვერანაირად: ერთი მხრივ, ჩვენამდე მოღწეული უძველესი ლიტერატურული ძეგლები თითქოს იმას დაგვიდასტურებენ სრული უეჭველობით, რომ ქართული მწერლობა მეხუთე საუკუნემდე დიდი ხნით ადრეც უნდა არსებულიყო, მეორე მხრივ, თუკი ქართული ანბანი მეხუთე საუკუნემდე არ შექმნილა, გაუგებარი გამოდის, რა ბაზაზე ვითარდებოდა ეს მწერლობა.

ამა თუ იმ ერის დამწერლობის შექმნის პრობლემას მრავალი სხვა ასპექტიც ახლავს (ეროვნული თუ გლობალური მნიშვნელობის მქონე), მაგრამ ამჯერად ნუ გამოვედევნებით ამ ასპექტებს და ყურადღება გავამახვილოთ აქვე ზემოთ მითითებულ ლოკალურ საკითხზე: ქართული ანბანი და ქართული მწერლობის წარმოშობა. როგორ მოვუაროთ ამ საკითხს?

აი, აქ მოვახსენებ მკითხველებს იმას, რის თქმასაც თავშივე ვაპირებდი: ეს წერილი არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიიჩნიოთ „ქართული ასომთავრულის“ გამო შექმნილ რეცენზიად. ამგვარი რეცენზიის დაწერა არას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პეციალისტმა, არაპალეოგრაფმა ვერც უნდა იკადროს. ხოლო მე პალეოგრაფი არ გახლავართ, არც იმ მასშტაბის ფილოლოგი, ვისი თვალსაწიერიც უპირველად გადასწვდებოდა დამწერლობის შექმნის უთვალავსა და ურთულეს პრობლემებს. მაგრამ ვინაიდან ძველი ქართული მწერლობისა და აზროვნების საკითხებს კარგა ხანია ვსწავლობ, სრულიად ბუნებრივია, რომ ანბანის წარმოშობის პრობლემა ჩემთვის ცნობისწადილის დაკმაყოფილებას არ უკავშირდება მხოლოდ, ეს ჩემს უშუალო საქმიანობასთან ორგანულად გადანასკვული სასიცოცხლო პრობლემაა. სწორედ ამან გამაბედვინა ხელი მიმეყო, ვიმეორებ, არა რეცენზირებისთვის „ქართული ასომთავრულისა", არამედ ამ უაღრესად ძნელად დასაძლევი წიგნის უმთავრეს დებულებათა მოკლედ გადმოცემისთვის.

ვინაიდან მე მიმაჩნია, რომ რამაზ პატარიძემ ამოიცნო ქართული ანბანის საუკუნოვანი საიდუმლო, ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრა ქართული დამწერლობის შექმნის ურთულესი პრობლემა, ნათელყო დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ არჩეული გზის სისწორე.

ეს ჩემი სუბიექტური, მაგრამ შეურყეველი რწმენა გახლავთ, ხოლო რაკი ოფიციალური მეცნიერების მხრივ ამ რწმენის (უკეთ — რამაზ პატარიძის თეორიის) აღარც გაბათილებას ველოდები და აღარც დადასტურებას, სრული უფლება მაქვს, ჩემს შემდგომ მუშაობაში დავემყარო ამ რწმენას (უკეთ — რამაზ პატარიძის თეორიას) და ძველი ქართული მწერლობისა და აზროვნების საკითხთა კვლევისას ამოვიდე იმ თვალსაზრისიდან, რომ ქართული ანბანი ახალი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის დამდეგს კი არ არის შექმნილი, არამედ ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის დამლევს.

ცოდნის დავიწყება ერთი ნიშანდობლივი თვისება ყოფილა კაცთა მოდგმისათვის. წიგნებიცა და გამოკვლევებიც დაიწერა იმის თაობაზე, თუ რამდენი რამის დავიწყება მოუსწრია კაცობრიობას თავისი არსებობის მოკლე ხნის განმავლობაში, რაგვარი ძვირფასი ცოდნა თუ მოძღვრებები დაუმარხავს, რათა შემდგომში გრძელი და ტანჯული გზებით მავალს ხელახლა მოეპოვებინა და დაემკვიდრებინა სათავისოდ (ჩინებული მაგალითი: დედამიწა და მნათობები ბურთისებურნი რომ არიან და ბრუნავენ კიდეც, ეს ამბავი ძველმა პითაგორელებმა იცოდნენ უკვე, მაგრამ მრავალი და მრავალი საუკუნის შემდეგ, აგერ ახლახანსაც, ამგვარ თვალსაზრისს მიდევნებისთვის ხალხს ცეცხლში წვავდნენ). ხოლო რაკი ქართველებს ყოველ საქმეში გადაჭარბება გვიყვარს, ამ მხრივაც ვაჯობეთ სხვა ერებს და ჩვენს შორეულსა თუ ახლო წარსულში არსებული ცოდნის იმხელა მარაგი გავატანეთ დავიწყების მდინარეს, ერთ შუაევროპულ ქვეყანას ეყოფოდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად.

როგორც ირკვევა, ერთი ამდაგვარი მიუტევებლად დავიწყებული ფაქტი ყოფილა იმ ამბის ცოდნა, რომ ქართული ანბანი საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრებამდე დიდი ხნით ადრე უნდა შექმნილიყო. დავიწყების ამ პათოსს იმოდენა ენერგია აღმოაჩნდა, მრავალსა და მრავალს აუბნია თავგზა და სრულიად უყურადღებოდ მიატოვებინა უძველესი ქართული ტრადიციული ცნობები ჩვენი დამწერლობის შექმნის შესახებ. შედეგად ის მივიღეთ, რომ ახალი დროის ზოგიერთი მეცნიერი, ამ ცნობათა მომარჯვების ნაცვლად, ამოსავალი თვალსაზრისის ძიებას, როგორც ითქმის ხოლმე, ნულოვანი წერტილიდან შეუდგა.

საბოლოო შედეგი — ქართული ტრადიციული ცნობების უგულებელყოფა და მათდამი უნდობლობა: „ჩვენ ვერ შევიწყნარებთ ვერც მატიანის ცნობას ფარნავაზ მეფის შესახებ, რომელმაც ვითომცდა შექმნა მწიგნობრობა ქართული, ვერც იმ მოსაზრებებს, რომლითაც სურთ დაამტკიცონ, რომ ქართული მწერლობა არსებობდა ჯერ კიდევ ქრისტიანობის შემოღებამდე ჩვენში"[1].

დასკვნა: „მართალია, სომხის ისტორიკოსები ცოტა არ იყოს აზვიადებენ მესროპის როლს ქართული ანბანის შემოღებაში, იმათი გადმოცემით ინიციატივა ამ საქმეში თითქოს მესროპს ეკუთვნის, მაგრამ მისი მონაწილეობა ეჭვს გარეშეა. 412 წელს მესროპის ხელმძღვანელობით საბოლოოდ ჩამოყალიბდა სომხური ანბანი... უეჭველია, ეს მოვლენა მეზობელ ქართველებს... შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ და ის იმათშიაც გამოიწვევდა შესაფერ სურვილს. როგორცა ჩანს სომხის ისტორიკოსების ცნობებიდან, ამის გამო ქართველთა შორის, მეფისა და ეკლესიის მეთაურის ინიციატივით, შემდგარა ერთგვარი კომისია, რომელშიც შედიოდა, სხვათა შორის, ვიღაც ბერძნულისა და სომხური ენის მცოდნე ჯაღი. ამ კომისიაში, თუ შეიძლება ვთქვათ, ინსტრუქტორად მოუწვევიათ მეზობელ სომხეთიდან მესროპი, რომელსაც ქართველები იცნობდნენ, როგორც ანბანის შედგენაში დახელოვნებულ კაცს. ამნაირად, მესროპი ამ კომისიაში თამაშობდა მრჩევლის და არა ინიციატორის როლს; მაშასადამე, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ქართული ანბანი შექმნა, მოიგონა, თუ მოაწყო მხოლოდ და მხოლოდ მესროპმა და ისიც სომხური ანბანის მიხედვით, როგორც ზოგიერთნი ჰფიქრობენ. სომხური ანბანის პროტოტიპობაზე სომეხი ისტორიკოსებიც არას ამბობენ, ისინი

[1] კ. კეკელიძე, ქართული კულტურის ორი დღესასწაული, „მნათობი", 1929, № 5-6, გვ. 160.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხოლოდ აღნიშნავენ მესროპის ინიციატორ მონაწილეობას ამ საქმეში; პროტოტიპად... კომისიას ჰქონია ბერძნული ანბანი... მაგრამ ამასთანავე, უეჭველია, კომისიას, რომელშიაც მესროპის გარდა სომხური ენის მცოდნე ჯალიც შედიოდა, წინ ექნებოდა სომხური ანბანიც საჭირო შემთხვევაში სახელმძღვანელოდ... ამნაირად, ქართული ანბანის გამოგონება ჩვენ უნდა დავდვათ მეხუთე საუკუნის პირველ ნახევარში, არა უადრეს 412 წლისა, როდესაც სომხური ანბანი იქნა შემოღებული...“[1].

ეს სტრიქონები რომ იბეჭდებოდა, ივანე ჯავახიშვილს უკვე დამთავრებული ჰქონდა (1921 წელს) „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“. მაგრამ ივანე ჯავახიშვილის ამ წიგნის გამოცემა 1926 წლამდე ვერ მოხერხდა და ამის სავალალო შედეგი ის გახლდათ, რომ ქართული საზოგადოება ფსიქოლოგიურად მოუმზადებელი შეხვდა ამ წიგნს. კორნელი კეკელიძის ავტორიტეტიც ერთობ დიდი იყო და სომხურ წყაროთა პირდაპირი ცნობებიც თითქოს სახეზე გახლდათ. ეს ცნობები მთლიანად ნაყალბევი რომ ყოფილა, ეს გვიან გაირკვა, საბოლოოდ — სულ უკანასკნელ ხანს. ამიტომ მაინცდამაინც აღარც საკვირველად მიიჩნეოდა და აღარც აღმაშფოთებლად, რომ უცხოური საცნობარო ლიტერატურის ფურცლებზე სისტემატურად იბეჭდებოდა და ვგონებ დღემდე იბეჭდება — ქართული ანბანი მესროპ მაშთოცმა შექმნაო მეხუთე საუკუნის დამდეგს. „მაშთოცური“ ვერსია მეტასტაზებივით მოედვა და გაუჯდა ქართულ საზოგადოებას, ფართო მასებს.

აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტი: ივანე ჯავახიშვილის წიგნი სპეციალისტთა და საკითხის მცოდნეთათვის იყო გამიზნული, ხოლო კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ერთადერთი სახელმძღვანელო იყო არა ოდენ ფილოლოგთათვის, არამედ, საერთოდ, მწერლობის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის. ხოლო მწერლობის საკითხებს შეუდარებლად მეტი ხალხი ეტანება მუდამ, ვიდრე პალეოგრაფიისას.

საქმეს ველარაფერი უშველა იმ ამბავმა, რომ კორნელი კეკელიძემ თავისი „ლიტერატურის ისტორიის“ მომდევნო გამოცემაში (1941) ანბანის შექმნის საკითხს საერთოდ აუარა გვერდი („ჩვენ არ შევჩერდებით სადისკუსიო საკითხზე ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ, რადგანაც ეს უფრო დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინის, პალეოგრაფიის, საგანია, ვიდრე ლიტერატურის ისტორიისა“). ქართული ტრადიციული ცნობებისადმი უნდობლობის თესლი ჩაგდებული იყო და თავის საქმეს აკეთებდა. და ნურავინ იტყვის, თითქოს ამგვარი ფსიქოლოგიური ფაქტორი ოდენ მასობრივ მკითხველზე ზემოქმედებდა, ხოლო მეცნიერნი დაზღვეულნი იყვნენ მისგან. ის მეცნიერნი ზეციდან ხომ არ ჩამოსულან, იმავე საზოგადოების წიაღში იყვნენ აღზრდილნი და ჩამოყალიბებულნი, რომელსაც სწორედ უნდობლობის ეჭვი და სკეპსისი ღრღნიდა წლების მანძილზე.

და ერთობ, ერთობ საგულისხმოა, რომ ამ ეჭვსა და სკეპსისს მისი მხარის დამჭერი, გამაძლიერებელი ფაქტორებიც ზედ დაერთო. ერთი რომ, როგორც ითქვა უკვე, ივანე ჯავახიშვილის თეორიას ლამის ტაბუ დაადეს, მისი ხსენებაც კი აღიკვეთა თითქმის; მეორე ის, რომ არქეოლოგიურმა გათხრებმა ქრისტიანობამდელი ხანის დამწერლობათაგან ოდენ ბერძნული და არამეული ანბანი გამოავლინა და არა ქართული; ამას ისიც ზედ დაერთო, რომ გიორგი წერეთელმა ორივე ამ თეორიის (ივანე ჯავახიშვილისეულისა და „მაშთოცურის“) გამაბათილებელი ჰიპოთეზა წამოაყენა: ქართული დამწერლობა არამეულისგან შეიქმნა ელინისტურ ხანაში, ოღონდ შემდგომ ბერძნულის გავლენით რამდენჯერმე გადაკეთდა, გადამუშავდა, რამდენიმე ასო ჩაემატაო. ავტორს ეს ჰიპოთეზა დასრულებულ, ჩამონაკვთულ თეორიად არ უქცევია — ველარ მოასწრო თუ არ ისურვა. მაგრამ რადგანაც ჩვენს სამეცნიერო წრეებში გიორგი წერეთელს დიდი ავტორიტეტი და კიდევ უფრო მეტი გავლენა ჰქონდა მოპოვებული, ცალკეულ გამოცემებში იწყეს ამ ჰიპოთეზის დამოწმება, ვითარცა ჩამოყალიბებული თეორიისა. თუმცაღა აქედან საბოლოოდ არაფერი გამოვიდა — განსვენებული მეცნიერის „არამეული“ ჰიპოთეზა დაუსაბუთებელი ვარაუდის სფეროში დარჩა.

აქ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ „მაშთოცური“ და „არამეული“ თვალსაზრისების გარდა სხვადასხვა დროს გამოთქმულა შეხედულება ქართული ანბანის ბერძნული, ინდური, სპარსული და სხვა წარმოშობისა.

ამგვარი, შეიძლება ითქვას — საკმაოდ აბნეული ვითარება დაუხვდა მემკვიდრეობად რამაზ პატარიძეს. და ერთი უპირველესი, რაც ამ ვითარებაში გამოიკვეთა, ის თითქოსდა მარტივი ჭეშმარიტება იყო, რომ ივანე ჯავახიშვილის წიგნი ჯერ არც არავის განეხილა მეცნიერულად, არც არავის უარეყო თუ ეღიარებინა მყარი არგუმენტების მოშველიებით, ხოლო ვარაუდებისა და ჰიპოთეზების გამოთქმა ძველებურად გრძელდებოდა — გინდაც არ არსებულიყოს „ქართული დამწერლობათამცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“. არადა, მეც-

[1] პროფ. კორ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტომი, ძველი მწერლობა, ტფილისი, 1923, გვ. 29-31.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერული ეთიკა სწორედ იმას მოითხოვდა, რომ ახალი ვარაუდის თუ ჰიპოთეზის წამოყენებამდე ჯერ არსებული — ივანე ჯავახიშვილისეული თეორია უკუეგდოთ შესატყვის არგუმენტთა მოშველიებით. იქნებ სწორი იყო ეს თეორია და ახალ-ახალ ბილიკთა ძიება აღარ წარმოადგენდა აუცილებლობას?

როგორც ჩანს, ეს უნდა ყოფილიყო რამაზ პატარიძის სამეცნიერო კვლევა-ძიების ამოსავალი პოზიცია. აქ მოვლენებს ცოტათი გავუსწროთ და წარმოვადგინოთ ის დასკვნა, რამაზ პატარიძეს რომ შეუმუშავდა კვლევა-ძიების საბოლოო შედეგად: „ქართული ანბანის წარმოშობა-სადაურობის ივანე ჯავახიშვილისეულმა კონცეფციამ გაუძლო დროსა და გამოცდას“ („ქართული ასომთავრული“, გვ. 6). „პალეოგრაფიულ კვლევა-ძიებათა საფუძველზე ივანე ჯავახიშვილმა ცხადყო, რომ ქართული ანბანი წარმართული ეპოქის ძეგლია და რომ იგი შექმნილია ფინიკიურ-სემური დამწერლობის საფუძველზე“ (გვ. 46).

ივანე ჯავახიშვილმა პირველი ბილიკები გაკვალა, პირველი ნაბიჯები გადადგა და სწორი გეზი დასახა ქართული დამწერლობის საუკუნოვანი საიდუმლოს ამოსაცნობად. ახლა აუცილებელი იყო ამ უდიდესი საქმის გასრულება. რამაზ პატარიძე წერს: „ქართული ასომთავრული დამწერლობის კვლევისას მე მივყვები იმ გზას, რომელიც დიდმა ივანე ჯავახიშვილმა გაკვალა“ (გვ. 6).

ამ გზაზე ნაბიჯშეუშლელად სვლისათვის ერთი წინაპირობა ისახებოდა: კვლევა-ძიების ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ მეთოდის მომარჯვება. რამეთუ ქართული ანბანის მკვლევართა აბსოლუტური უმრავლესობის აქილევსის ქუსლს მეთოდის ცალმხრივობა წარმოადგენდა. ზოგი ფონეტიკურ პრინციპს იშველიებდა, ზოგი — გრაფიკულს, სხვანი ანბანის რიგს აქცევდნენ უმთავრეს ყურადღებას და ასე შემდეგ. ამიტომ დასკვნებიც ცალმხრივი გამოდიოდა მუდამ. „ქართული ასომთავრულის“ ავტორი წერს: „ანბანის კვლევისას აუცილებლად საჭიროა მივმართოთ კომპლექსურ მეთოდს, ე. ი. გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც ᲤᲝᲜᲔᲢᲘᲙᲣᲠᲘ და ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲣᲚᲘ პრინციპი, აგრეთვე ასო-ნიშნების ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ, ასო-ნიშნების ᲘᲓᲔᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ-ᲐᲙᲠᲝᲤᲝᲜᲘᲣᲚᲘ პრინციპი და ასო-ნიშნების ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲔᲑᲘᲡ პრინციპი“ (გვ. 45. ხაზი ჩემია).

ამ მეთოდს მიდევნება უაღრესად ძნელი საქმეა, შრომატევადი და ილაჯის გამწყვეტი. სხვაგვარი რამ არც იყო მოსალოდნელი. მაგრამ კომპლექსური კვლევის მეთოდმა გაცილებით მეტი ასპექტები წარმოაჩინა, ვიდრე აქ მოტანილ ციტატში არის ჩამოთვლილი, და საბოლოოდ წიგნის ავტორს იმგვარ სიღრმეთა წვდომა მოუხდა, კვლევა-ძიების საწყის სტადიაზე ლანდადაც რომ არ ჰპანებდნენ.

ნაწილობრივ მაინც ცხადი რომ შეიქნეს, რა იგულისხმება აქ ნათქვამში, ავიღოთ ქართული ანბანის (ასომთავრულის) პირველი ასო-ნიშანი (ანუ გრაფემა) — Ⴀ. ვნახოთ, რა საკითხები უკავშირდება ამ ასო-ნიშანს.

ფონეტიკურად ეს გრაფემა იმავე ბგერის (ა) გამომხატველია, რასაც გამოხატავდა ბერძნული ანბანის პირველი ასო-ნიშანი („ალფა“) და რასაც აგრეთვე გამოხატავდა ფინიკიური ანბანის პირველი ასო-ნიშანი („ალეფ“). ბერძნულის მსგავსად, ქართული ანბანიც ხმოვანი ბგერის აღმნიშვნელი გრაფემით იწყება, რამეთუ ქართული ანბანი, ფინიკიურისგან განსხვავებით, გახმოვანებულია, ვოკალიზებული (ფინიკიურ ანბანში ხმოვანთა აღმნიშვნელი გრაფემები ცალკე არ იყო გამოყოფილი, ესე იგი ეს იყო კონსონანტური დამწერლობა, თუმცა ზოგიერთ ასო-ნიშანს ხმოვანი ბგერის მნიშვნელობაც ჰქონდა მინიჭებული იმთავითვე). ქართული დამწერლობის შექმნისას ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ კონსონანტური ანბანის ვოკალიზაციის ზოგადი ბერძნული პრინციპი. ოღონდ მერე და მერე გამოირკვევა, რომ ქართულ დამწერლობაში ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ კონსონანტური ანბანის საკუთრივ ქართული და არა ბერძნული ვოკალიზაცია.

აქ უნდა დავსძინოთ, რომ ბერძნული ანბანი გადმოღებულია ფინიკიური ანბანისგან. დედაანბანისაგან ბერძნულს ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲐᲓ განასხვავებს, ჯერ ერთი, როგორც ითქვა უკვე, ვოკალიზაცია, მეორეც, გრაფიკული რაობა — დედაანბანის საუკუნოვანი მოდიფიკაციის შედეგად გამომუშავდა ბერძნული დამწერლობის სადა გეომეტრიული, სიმეტრიული გრაფიკა, დამწერლობის კაპიტალური ანუ მონუმენტური სტილი. ამასთან, ბერძნული დამწერლობა თავისი არსებით ძირითადად ᲮᲐᲖᲝᲕᲐᲜᲘ დამწერლობაა.

ამის შემდეგ დავაკვირდეთ ქართულ (ასომთავრულ) „ან-ს“. აქ უეჭველად გათვალისწინებულია მონუმენტური დამწერლობის ზოგადი ბერძნული პრინციპები, მაგრამ ამ პრინციპების საფუძველზე შექმნილია სრულიად სხვა ყაიდის მონუმენტური დამწერლობის ნიმუში — ᲛᲠᲒᲚᲝᲕᲐᲜᲘ გრაფემა. ამასთან, უმთავრესი ის არის, რომ ქართული ასო-ნიშანი ბერძნული „ალფას“ მოხაზულობიდან, მისი გრაფიკული ნახაზიდან კი არ არის გამოყვანილი, არამედ ფინიკიური „ალეფის“ პირდაპირი, უშუალო შთამომავალია. სხვაგვარად: ქართული „ან“ ფინიკიური ანბანის პირველი ასო-ნიშნის გრაფიკული ხატია და არა ბერძნულისა. კიდევ სხვაგვარად: ფინიკიური ანბანის პირველი გრაფემიდან მიღებულია ᲪᲐᲚᲙᲔᲠᲫ ბერძნული „ალფა“ და ᲪᲐᲚᲙᲔᲠᲫ ქართული „ან“. ამაში დაეჭვებაც კი შეუძლებელია, — საკმარისია დავხედოთ „ქართული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასომთავრულის" 165-ე გვერდზე წარმოდგენილ ტაბულას.

ახლა სიტყვა წიგნის ავტორს მივცეთ:

„ქართულ „ან-ს" შენარჩუნებული აქვს ფინიკიური შესაბამისი გრაფემის ძირითადი ფორმა და ზუსტად იცავს ფინიკიური გრაფემის პირმარჯვნივ მდებარეობას (შედარებისათვის: კლასიკური ბერძნული „ალფა" 90°-ით შეტრიალებულია...). ფინიკიური „ალეფ" ასონიშნის ირიბი ვერტიკალური ხაზი... ქართულ „ან-ში" ჰორიზონტალურ ხაზად არის ქცეული... ქართული ასომთავრული „ან-ის" ზემო ჰორიზონტალური ხაზი ქართული მონუმენტური არსის მნიშვნელობისაა, მთელ რიგ გრაფიკულ ფუნქციებს ასრულებს და, ამდენად, თავისი ახსნაც აქვს: 1. ასო „ან-ის" ზემო ჰორიზონტალური ხაზი მონუმენტური დამწერლობის ბწკარში ასო-ნიშნის ზემო ზღვარია; 2. იგივე ხაზი ქართულ მონუმენტურ დამწერლობაში ორი ბწკარის გამყოფი ხაზია; 3. იგივე ხაზი მიმართულია მარცხნივ, რამდენადმე სცილდება „ან-ის" რკალს და, ამდენად, „ან-ის" წინ მდგომ ასო-ნიშნებთან გრაფიკულ კავშირს ამყარებს; 4. იგივე ხაზი ასონიშნებთან გრაფიკული კავშირის მეოხებით ქმნის წონასწორობას, სიმეტრიას და პროპორციებს ასო-ნიშნებს შორის" (გვ. 166-167).

„ან-ის" ამ ზედა ხაზს ცოტა ხნის შემდეგ კიდევ დავუბრუნდებით. მანამდე გვმართებს ყურადღება მივაპყროთ შემდეგ გარემოებას: ფინიკიური დამწერლობა დღემდე ცნობილთაგან უძველესი ანბანური დამწერლობაა („დამწერლობა ანბანურია, როცა გრაფიკულ ნიშანს ცალკეული ბგერის მნიშვნელობა აქვს... გრაფიკული ნიშანი ენის უმცირესი ფონეტიკური ერთეულის — ბგერის აღმნიშვნელია", გვ. 49) და სწორედ მისგან იღებს სათავეს ქვეყნიერებაზე არსებული ყველა ანბანური დამწერლობა — დასავლურ სამყაროში ბერძნული ანბანის მეშვეობით, ხოლო აღმოსავლურ სამყაროში არამეული ანბანის მეშვეობით. მაგრამ, ამასთანავე, ფინიკიურს შენარჩუნებული აქვს კიდევ უფრო ძველ დამწერლობათა თვისება — იდეოგრაფიულობა, ფინიკიური ანბანის ასო-ნიშნები ამავე დროს იდეოგრამებიც არის: ესა თუ ის გრაფემა ამა თუ იმ ცნების აღმნიშვნელია ხატოვანად, ცნებას გამოხატავს თავისი გრაფიკით. ფინიკიური ანბანის პირველი გრაფემა ხარს გამოხატავს, ხარის იდეოგრამაა. რამეთუ ხარი წმინდა ცხოველი იყო, უზენაესი ღვთაების — მთვარის მიწიერი იპოსტასი. ასე სწამდა მრავალ ხალხს, მათ შორის ფინიკიელებსაც. აგრეთვე — ქართველებს. ფინიკიური ანბანი მთვარის ღვთაების განმასახიერებელი ხარით იწყება იდეოგრაფიულად, ანბანში ასტრალური იდეაა ჩაქსოვილი.

და, როგორც ირკვევა, ქართული ანბანის დასაწყისიც უკავშირდება მთვარეს, მთვარის ღვთაებას: ქართული ანბანის პირველი ასონიშანი საკუთრივ მთვარის იდეოგრამაა (ცალკე საკითხია, რომ ქართულ ანბანს ხარის იდეოგრამაც აქვს დაცული. ეს არის ასომთავრულის 34-ე გრაფემა, რქებაზიდული ხარის განხატვება — „ქარ"). დიდი დაკვირვება არც უნდა ასომთავრული „ან-ის" რკალის მოხაზულობაში მცხრალი მთვარის გამოსახულება რომ ამოვიცნოთ. ოღონდ წიგნის ავტორი გვაუწყებს, რომ ამავე რკალით ძველად სავსე მთვარეც შეიძლებოდა გამოსახულიყო. სწორედ სავსე მთვარის იდეოგრამა ყოფილა „ან", ხოლო მის ზედა ჰორიზონტალურ ხაზს, გრაფიკულ ფუნქციათა გარდა, ის მნიშვნელობაც აქვს თურმე, რომ სავსე მთვარის ცაზე მსვლელობის კულმინაციურ წერტილს გვიჩვენებს, ცის ზედა ზღვარს, შუაღამის ჟამს, საიდანაც იწყებოდა ახალი დღე-ღამე.

ფინიკიური ანბანის პირველი გრაფემა ხარის იდეოგრამაც არის და აკროფონიც, რადგან სახელად ეწოდება სწორედ „ალეფ", რაც ფინიკიურად „ხარს" ნიშნავს. ბერძნებმა გადაიღეს ფინიკიური ასო-ნიშნის გრაფიკული ნახაზი, ეს ასო-ნიშანი იდეოგრამად არ გააზრებიათ (ხარის გამოსახულებასთან კავშირი დაიკარგა), მაგრამ ამ ასო-ნიშანს ფინიკიური სახელი კი შეუნარჩუნეს — „ალფა" (მიღებულია ფინიკიური „ალეფ-ისაგან").

ქართული ანბანის შემქმნელმა პირველი ასო-ნიშანი, მსგავსად ფინიკიურისა, იდეოგრამად წარმოადგინა, სავსე მთვარედ, და სახელიც შესატყვისი მიანიჭა — „ან", რაც მთვარის ღვთაებას ნიშნავს შუმერულად. მაშასადამე ქართული ანბანის პირველი ასო-ნიშანი „ან" მთვარის ღვთაების იდეოგრამა-აკროფონია. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ „ან" საფუძვლად დაედვა სხვა მომდევნო ასო-ნიშანთა (სულ 21 გრაფემის) სახელდებასაც — „ბ-ან", „გ-ან" და ასე შემდეგ. დასასრულ: „ან" შუმერული სიტყვაა და ამით ხაზგასმულია გრაფემის სახელდების საკრალური მნიშვნელობა.

მაშასადამე „ან" მთვარის ღვთაების იდეოგრამა-აკროფონია, ანბანი მთვარის ღვთაების სიმბოლური გამოსახულებით და საკრალურად ქცეული მისივე სახელით იწყება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ფინიკიურ ანბანს ჰქონდა თავისი დასაწყისისა (ხარი) და დასასრულის (ჯვარი, რაც სხვა დამწერლობებშიც დასასრულის მაუწყებელი იყო) აღმნიშვნელი გრაფემები და ამით ანბანის ერთიანობა გამოიხატებოდა, მოულოდნელი აღარ უნდა იყოს, რომ ქართულ ანბანს ბოლოში აქვს ანბანური მწკრივის იდეურად შემკვრელი გრაფემა („ჯარ" — მთვარის ცხოველის, ხარის იდეო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამა-აკროფონი), რასაც მოსდევს დასასრულის მაუწყებელი „ჯან“ (ჯვარის იდეოგრამა). ამით გამჟღავნებულია ანბანის ერთების, ერთიანობის პრინციპი, რაც, სხვათა შორის, ბერძნულმა დამწერლობამ არ იცოდა. ამ ერთიანობის დასაბამი არის „ან“.

„მთვარეს ქართულ ანბანში პირველი ადგილი მიეკუთვნა იმის გამო, რომ ძველი ასტრალური კონცეფციით მთვარე პირველ ცაზეა, ხოლო ძველი ასტროლოგიური შეხედულებით ანბანის პირველი ასო-ნიშანი პირველ ცას, მთვარის ცას განეკუთვნება“ (გვ. 94). „ქართულ ანბანში დაფარულად წარმართული ხანის რელიგიურ-ასტრონომიული შეხედულებებია ჩაქსოვილი. ქართული ასომთავრული კულტის მსახურთა — ქურუმთა ენაა, ამიტომაც უძველესი ქართული ასომთავრული დამწერლობა საკრალიზებულია, ხოლო საკულტო-რელიგიურ მიზნებს, ბუნებრივია, შუმერული ენა ემსახურება“ (გვ. 98).

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ძველად, ვიდრე რომაული თუ არაბული ციფრები გაჩნდებოდა, მათი მნიშვნელობა ასო-ნიშნებს ჰქონდათ ნატვირთი, ყოველი ასო-ნიშანი ანბანურ სათვალავს ახორციელებდა (კერძოდ, ქართულ ანბანში: ა — 1, ი — 10, რ — 100, ჩ — 1000 და ასე შემდეგ). „ან-ის“ რიცხვითი მნიშვნელობა, რამდენადაც ის ანბანური მწკრივის სათავეში დგას, არის 1 და ამ მხრივ ყურადსაღები თითქოს არაფერი უნდა გვქონდეს. მაგრამ შემდგომ, ასო-ნიშანთა ასტრონომიული და კალენდარული ფუნქციების დადგენისას, უაღრესად საგულისხმო რამ ირკვევა: „ან“ არის ოცდაოთხ საათად დაყოფილი დღე-ღამის (როდესაც დროის ათვლა შუაღამიდან იწყება) პირველი საათი, „ან“ არის კვირის პირველი დღე, მთვარის დღე, „ან“ არის თვის პირველი რიცხვი, „ან“ არის ცხრამეტწლიანი კალენდარული ციკლის პირველი წელიწადი.

აქ საუბარი გვქონდა ქართული ასომთავრულის ოდენ პირველი ასო-ნიშნის ირგვლივ. ახლა წარმოვიდგინოთ მთელი ანბანური მწკრივის (35 გრაფემის) მსგავსი ასპექტებით გამოძიება და შემდეგ, დამატებით, ამ მთლიანობის — ასომთავრული დამწერლობის — შეპირისპირება-შედარება ძირითადად როგორც ფინიკიურსა და ბერძნულ, ისე, გზადაგზა, სხვა (უგარიტულ, არამეულ, ებრაულ, ეტრუსკულ, რომაულ...) ალფაბეტებთან.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, მიახლოებულ წარმოდგენას მაინც შექმნიდა კვლევაძიების იმ მეთოდზე, რომელიც მომარჯვებული ჰქონდა რამაზ პატარიძეს, იმ საკითხთა და პრობლემათა წრეზე, რომელთა გარკვევაც აუცილებელი ყოფილა „ქართული ასომთავრულის“ დამუშავებისას. მაშასადამე, ახლა შეგვიძლია მივხედოთ საკუთრივ დასკვნებს, წარმოვადგინოთ ამ ვრცელი გამოკვლევის ძირითადი დებულებები.

ქართული დამწერლობა გრაფიკულ-ფონემური ასპექტით სამ ანბანურ ჯგუფს აერთიანებს: სემურს (ფინიკიურს), ბერძნულს და ქართულს. „სემურ“ (ფინიკიურ) ანბანურ ჯგუფს შეადგენს 21 გრაფემა — „ან-იდან“ „ტარ-ამდე“ (მისივე ჩათვლით); „ბერძნულ“ ანბანურ ჯგუფს შეადგენს 4 გრაფემა — „ჳე-დან“ „ღან-ამდე“ (მისივე ჩათვლით); „ქართულ“ ანბანურ ჯგუფს შეადგენს 11 გრაფემა — „ღანიდან“ („ღან“ ერთსა და იმავე დროს „ბერძნული“ ჯგუფის უკანასკნელი ასო-ნიშანიც არის და „ქართული“ ჯგუფის პირველი ასო-ნიშანიც) „ჯან-ამდე“.

ასომთავრულის გრაფიკული ანალიზი ცხადყოფს, რომ „სემური“ ჯგუფის ასო-ნიშნებსაც, თვით „ბერძნული“ ჯგუფის ასო-ნიშნებსაც და საკუთრივ „ქართული“ ჯგუფის ასო-ნიშნებსაც საფუძვლად უდევთ არა ბერძნული, არამედ ფინიკიურ-სემური გრაფიკა, ქართულ ასო-ნიშანთა მოხაზულობა ფინიკიურისგან არის მიღებული (ორიოდე გამონაკლისის ირგვლივ აქ სიტყვას ვერ გავაგრძელებთ).

შემდეგ: ასომთავრულის „სემურ“ ანბანურ ჯგუფში ასო-ნიშანთა ფონემური მნიშვნელობა, აგრეთვე ორიოდე გამონაკლისის გარდა, სემურია და არა ბერძნული. ხოლო ვოკალიზაცია ისეა განხორციელებული, რომ სემური წარმომავლობის ასო-ნიშნებს მინიჭებული აქვთ ქართული და არა ბერძნული ხმოვანი ბგერების მნიშვნელობა.

ამასთან ერთად, ქართული ანბანის შექმნის დროს გათვალისწინებულია ბერძნული დამწერლობის ჩამონაკვთული, მონუმენტური სახეობა (რასაც ამ დამწერლობამ ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის დასასრულს მიაღწია საბოლოოდ). გარდა ამისა, ბერძნულის გავლენა ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენს თავს ქართული ანბანის გრაფიკასა და ფონემურ მნიშვნელობებში. ეს ნაცნობობა დასტურდება აგრეთვე ქართული ასომთავრულის მონუმენტური რაობით და მარცხნიდან მარჯვნივ წერის მიმართულებით (წერის ეს უკანასკნელი წესი, აღმოსავლურ დამწერლობათაგან განსხვავებით, პირველად ბერძნულ დამწერლობაში განხორციელდა).

ასე რომ:

„ბერძნულისაგან განსხვავებით, ქართული მონუმენტური დამწერლობა შექმნილია ერთ დროს და ერთდროულად... ასომთავრული დამწერლობის გრაფიკა თანდათანობითი განვითარების შედეგი კი არ არის, არამედ იმთავითვე შემუშავებულია უშუალოდ ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე. მაგრამ ქართული ასომთავრული დამწერლობის შექმნისას გათვალისწინებულია როგორც ზოგად-ანბანური პრინციპები, ისე ბერძნული ანბანური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამწერლობის მონუმენტური გრაფიკა" (გვ. 163-164).

გარდა ამისა: „ქართულ ასომთავრულ დამწერლობაში განხორციელებულია ასო-ნიშნებს შორის ურთიერთმიმართების ბერძნულისაგან განსხვავებული გრაფიკული პრინციპები. ქართული ასო-ნიშანი განცალკევებული კი არ არის, არამედ წინ მდგომ და მომდევნო ასო-ნიშნებთან გრაფიკულ კავშირს ამყარებს. ეს აპირობებს გრაფიკულ ჰარმონიას ასო-ნიშნებს შორის, ჰქმნის სიმეტრიას და პროპორციებს. ამით მიღწეულია გრაფიკული მრავალფეროვნება ქართული ასომთავრული დამწერლობისა.... ქართული ასომთავრული ასო-ნიშნები ნაირგვაროვანი აგებულებით ხასიათდება... სიმეტრია და პროპორციები ასო-ნიშნების ურთიერთ თანადგომაში ხორციელდება... ასო-ნიშნების მსგავსი დახვეწილი გრაფიკული თანადგომა არც ერთმა დამწერლობამ არ იცის" (გვ. 156-157, 162).

დაბოლოს: „ბერძნული ხაზოვანი მონუმენტური დამწერლობის საწინააღმდეგოდ ქართული ასომთავრული მრგვლოვანი მონუმენტური დამწერლობაა" (გვ. 153).

ფინიკიური ანბანის ოცდაორივე გრაფემა ოცდაორი იდეოგრამა-აკროფონია. ბერძნულ ანბანში არც ერთი იდეოგრამა-აკროფონი არ არის. ბერძნულისგან განსხვავებით, მსგავსად ფინიკიურისა, ქართულ ასომთავრულ ანბანში შექმნილია იდეოგრამა-აკროფონები: „ან" — მთვარის ღვთაების იდეოგრამა-აკროფონი; „დონ" — მზის ღვთაებისა (მზის უძველესი ქართული სახელი არის „დღე"); „თან" — თვალის იდეოგრამა-აკროფონი (თვალი მზის სიმბოლოა); „ღან" — ღვთის კარისა; „ცან" — ცის კარის, ცისკრის ვარსკვლავისა: „ქარ" — მთვარის ღვთაების ზოომორფული სიმბოლოს, ხარისა (საგულისხმო ის არის, „ხარ" შუმერული სიტყვა ყოფილა და იმასვე ნიშნავს თურმე, რასაც ქართული „ხარი"); „ჯან" — ჯვარისა (ანბანის დასასრულის მაუწყებელი ნიშანი).

ამგვარად, იდეოგრამა-აკროფონები აცხადებენ წარმართულ ღვთაებათა პანთეონს ქართულ ანბანში, ქართული ანბანი უძველესი ასტრალურ-რელიგიური მრწამსის გამომხატველია.

ფინიკიური დამწერლობის ასო-ნიშანთა სახელდების პრინციპს მათივე იდეოგრაფიული რაობა განაპირობებდა: „რადგან პირველი ფინიკიური ასო-ნიშანი ხარის იდეოგრამაა, ამ ასო-ნიშანს „ალეფ" ეწოდება, ხოლო „ალეფ" („ალფ") ფინიკიურად ხარს ნიშნავს; რადგან მეორე ფინიკიური ასო-ნიშანი სახლის იდეოგრამაა, ამიტომაც ამ ასო-ნიშანს „ბეთ" ეწოდება, ხოლო „ბეთ" ფინიკიურად სახლს ნიშნავს" (გვ. 109) და ასე შემდეგ. ასო-ნიშნის იდეოგრაფიულ რაობასა და მის სახელს შორის სრული შესაბამისობა იყო.

ბერძნულ დამწერლობაში დედა-ანბანის (ფინიკიურის) ასო-ნიშანთა იდეოგრაფიული რაობა დაიკარგა, მაგრამ ასო-ნიშანთა ფინიკიური სახელები. შენარჩუნებულ იქნა: ფინიკიური „ალეფ", „ალფ" — ბერძნული „ალფა", „ბეთ" — „ბეტა", „გამლ" — „გამმა", „დელთ" — „დელტა"...

ქართულ ანბანში, როგორც ზემოთაც ითქვა უკვე, პირველი ასო-ნიშნის საკრალური სახელი „ან" (შუმერული მთვარის ღვთაება) ოცდაერთ ასო-ნიშანს დაედვა საფუძვლად. ქართულ ანბანს „ქარ" (მთვარის ღვთაების სიმბოლო) ამთავრებს და მისი სახელი საფუძვლად უდევს შვიდ ასო-ნიშანს: „კ-არ", „ჟ-არ", „უ-არ", „ფ-არ", „ტ-არ", „პ-არ", „ნ-არ". დარჩა კიდევ შვიდი ასო-ნიშანი: „ჰე", „ჲე", „რაე", „ვე", „ძილ", „წილ", „ლას". (ამათგან „რაე" ეგვიპტური მზის ღვთაების სახელია, ხოლო „ლას" — თევზის ღვთაების უძველესი ქართული სახელი). შემდგომ ირკვევა, რომ გრაფემები სახელების მიხედვით შემთხვევით არ დაჯგუფებულან ამგვარად: $21 + 7 = 28$, $28 + 7 = 35$. ასე რომ ქართულ ანბანში განხორციელებულია ასო-ნიშნების საკრალიზმი და მათი სახელდების უნიკალური — ლოგოგრამულ-სილაბური პრინციპი, რაც გვაძლევს 35 გრაფემის ერთებას.

ამავე ერთების მაუწყებელია ქართული ანბანის გრაფიკაც, ანბანის დასაწყისისა და დასასრულის აღმნიშვნელი იდეოგრამა-აკროფონებიც, სემურ-ბერძნულ-ქართული ჯგუფების მთლიანობაც, ანბანური მწკრივიც, სადაც უდიდესი შინაგანი კავშირით არის გადაჯაჭვული ასო-ნიშანთა თანმიმდევრობა, ანუ მათი რიგითი სათვალავი, და მათი რიცხვითი მნიშვნელობა, ანუ მათი ანბანური სათვალავი. „ამ თვალსაზრისით ქართული ანბანი უფრო სრულყოფილია, ვიდრე თვით ბერძნულიც კი" (გვ. 82). რამეთუ. განსხვავებით ბერძნული დამწერლობისგან, რომელიც ანბანის ერთების პრინციპს არ იცნობს და რომლის რიგითს სათვალავსა და ანბანურ სათვალავს შორის შეუსაბამობაა, ქართულ დამწერლობაში ამ სათვალავებს შორის სრული შესაბამისობა სუფევს: ქართული ანბანური სათვალავი (კვლავ ბერძნულისგან განსხვავებით) შემოღებულია ქართული ანბანური მწკრივის შემოღებისთანავე, „ერთ დროს და ერთდროულად" (გვ. 80). ამასთან, ქართულ ანბანში დაცულია ასო-ნიშნების თანმიმდევრობის უძველესი ანბანური რიგი და ასო-ნიშნების უძველესი ანბანური სათვალავი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მკითხველი მოელის, რომ ამით დასრულდება კიდეც გამოკვლევა, რამეთუ უკვე ამოიწურა ყველა ის ასპექტი, რომელთა მომარჯვებაც აუცილებლად მიიჩნია ავტორმა დასაწყისში. ესე იგი გათვალისწინებულია ასომთავრულის შექმნის ფონეტიკური და გრაფიკული პრინციპი, იდეოგრაფიულ-აკროფონიული პრინციპი, ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი, ანბანის მწკრივთან დაკავშირებული რიგითი და ანბანური სათვალავი ანუ გრაფემების რიცხვითი მნიშვნელობა. ხუთივე ასპექტმა დაადასტურა, რომ შეუძლებელია ქართული ასომთავრული ახალი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნეში, ანუ, ზოგადად, ქრისტიანულ ეპოქაში შექმნილიყო, რომ შეუძლებელია ამ ანბანის ბერძნული დამწერლობისგან გამოყვანა, რომ ქართული ასომთავრული უეჭველად წარმართული ეპოქის უძველესი ძეგლია და რომ, დასასრულ, ქართული ასომთავრული შექმნილია უეჭველად ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის დამლევს.

ვიდრე სიტყვას განვაგრძობდე, ერთი რამ უნდა ჩავურთო: რამაზ პატარიძის წინამორბედნი (ივანე ჯავახიშვილს აქ არ ვგულისხმობ) მეტად რომ გარჯილიყვნენ და ესოდენ ყოველმხრივი და სკრუპულოზური ანალიზი მოეხდინათ ქართული ასომთავრულისა, ჩემის ღრმა რწმენით, ვეღარც „მაშთოცური" სიყალბის აღორძინება მოხერხდებოდა, ვერც ბერძნული, არამეული თუ სხვა რომელიმე ჰიპოთეზის წამოყენება. ოღონდ, კაცმა რომ თქვას, ამნაირი განცხადების უფლება პალეოგრაფებს ეკუთვნით და არა სხვა ვისმე. ასე რომ ჩვენს სათქმელს მივუბრუნდეთ.

გამოკვლევა არამცუ არ მთავრდება, არამედ მისი ავტორი თითქოს ხაზს გადაუსვამს ყოველსავე აქამდე თქმულს და ხელახლა იწყებს ასო-ნიშნების რიცხვით მნიშვნელობათა გამოძიებას. რადგან „ქართული ასომთავრული ანბანის საიდუმლოს ამოცნობა ასო-ნიშნების რიცხვით მნიშვნელობათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია" (გვ. 331), ხოლო უმთავრესი საიდუმლო ის არის, რომ ქართულ ასომთავრულში განხორციელებულია უძველესი კალენდარული სისტემა.

ყოველივე იმის შეცნობა და გააზრება, რაც შემდეგ არის წიგნში მოთხრობილი, საკმაოდ სოლიდურ მათემატიკურ-გეომეტრიულსა და ასტრონომიულ ცოდნას გულისხმობს, აგრეთვე — ყურადღების მაქსიმალურ მობილიზებას და გონების დაძაბვას. ამასთან, ყოველივე ამის მოკლედ და გასაგებად გადმოცემა მე პირადად განუხორციელებელ ამოცანად მეჩვენება. ამიტომ თავს შევიკავებ გამოკვლევის ამ ნაწილის ძირითად დებულებათა აქ წარმოდგენისგან (ეს დებულებები, დასკვნების სახით, ავტორს თავადვე აქვს დაფორმულებული წიგნის 523-527-ე გვერდებზე და მკითხველთათვის მათი გაცნობა რომ განმეზრახა, წიგნის სამნახევარი გვერდი უნდა გადმომეწერა უკლებლივ, რადგანაც იქ არაფრის გამოტოვება არ ეგების. გარდა ამისა, ამ ძირითად დებულებებში გარკვევა სრულიად შეუძლებელია, თუ გულდასმით არ გვაქვს წაკითხული გამოკვლევის წინა 260-მდე გვერდი, ანუ თავები — „ქართული წელთაღრიცხვა" და „ქართული წარმართული კალენდარი"). საბოლოო დასკვნებს წარმოვადგენ მხოლოდ.

ქართული ასომთავრული ანბანი შექმნილია ფინიკიური დამწერლობის საფუძველზე (ბერძნული დამწერლობის მიღწევათა გათვალისწინებით) ძველი წელთაღრიცხვის 415-410 წლებს შორის; მისი შემქმნელი იყო იმდროინდელი როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ცოდნის (რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებათა, მათემატიკის, გეომეტრიის, ასტრონომიის...) ზედმიწევნით მფლობელი პიროვნება, ქართველი ქურუმი, საფიქრებელია — ქართველი პითაგორელი, რომელმაც ამ დიდებულ ძეგლში, ქართულ ასომთავრულში, განახორციელა დასავლურ-აღმოსავლური კულტურების უმაღლეს მონაპოვართა და საკუთრივ ქართული კულტურის სინთეზი; ქართულ ასომთავრულ ანბანში დაცულია უძველესი და უნიკალური კალენდარი — როგორც მთვარის, ისე მზის კალენდარულ სისტემათა შემცველი; ქართული ასომთავრული ანბანიცა და კალენდარიც ქურუმთა წრეში შეიქმნა და მათსავე წრეში ინახებოდა, ვითარცა საიდუმლო ცოდნა; ძველი წელთაღრიცხვის 284 წელს ფარნავაზმა შემოიღო ანუ სრულიად ქართულ სახელმწიფო დამწერლობად აქცია ქართული ასომთავრული ანბანი; იმავე 284 წელს იქნა შემოღებული ქართული წელთაღრიცხვა და ქართული კალენდარი, რომელიც, როგორც ითქვა უკვე, ქართულ ანბანთან ერთად შეიქმნა ძველი წელთაღრიცხვის 415-410 წლებში და ამავე ანბანში იყო ფარულად განხორციელებული; სულ მალე შესრულდება ქართული ანბანური დამწერლობის არსებობის 2400 წლისთავი.

დამრჩენია აღვნიშნო, რომ „ქართული ასომთავრული" ივანე ჯავახიშვილის ხსოვნას ეძღვნება და რომ ამ წიგნს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს დიდებული ძეგლის — „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ" მაგიური სიტყვები: „ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს".

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ენვერ ნიჟარაძე

# „ტორპედოს“ დაბრუნება

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციამ გამარჯვებულ ქუთაისის „ტორპედოზე“ წერილის დაწერა დამავალა. გამიხარდა. ვთქვი, ჩემი ყოფილი გუნდია, თვითონ ვთამაშობდი მის შემადგენლობაში და რა ღმერთი გამიწყრება, რომ ჩემი მისდამი განსაკუთრებული დამოკიდებულება და სიყვარული ვერ გამოვხატო-მეთქი. მაგრამ ბევრი ცდის მიუხედავად, განსაკუთრებული ვერაფერი მოვიფიქრე.

ბოლოს ისევ ქართველი მწერლების მოშველიება გადავწყვიტე, რადგან თუ ვინმეს გაუხარდა „ტორპედოს“ უმაღლეს ლიგაში გადასვლა, მათ შორის ჩვენი მწერლებიც იყვნენ. აკი გუნდის უფროსმა მწვრთნელმა მურად წივწივაძემ საჯაროდ განაცხადა: „მადლობა ქართველ მწერლებს, რომლებმაც მოამზადეს საზოგადოებრივი აზრი საიმისოდ, რომ ქუთაისის „ტორპედო“ აუცილებლად უნდა დაბრუნებოდა უმაღლეს ლიგას“-ო.

პირველად გურამ ფანჯიკიძეს მივმართე, როგორც „ტორპედოს“ საქმეებში ყველაზე ჩახედულ კაცს. ვიცოდი, რომ გასულ წელს იგი ქუთაისის სტადიონზე გამართულ თამაშთა უმრავლესობას დაესწრო. ხშირად ხვდებოდა გუნდის წევრებს, ამხნევებდა მათ, ხოლო უმაღლეს ლიგაში გადასვლა „ტორპედოს“ ავსტრიის დედაქალაქ ვენიდან მოულოცა დეპეშით. გურამმაც არ დაიზარა და თავისი აზრი, როგორც ყოველთვის, საინტერესოდ და ლაკონურად ჩამოაყალიბა.

**გურამ ფანჯიკიძე** — ქუთაისის ტორპედოელებთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს. ჯერ კიდევ მაშინ, ჟურნალ „განთიადის“ მთავარი რედაქტორი რომ ვიყავი, ორი სეზონის მანძილზე მათთან ერთად ვცხოვრობდი „ტორპედოს“ ბაზაზე. ჩემი და მაშინდელი უფროსი მწვრთნელის გიგა ნორაკიძის ოთახები ერთმანეთის პირისპირ იყო განლაგებული. ფეხბურთელებთან გიგა ნორაკიძის თხოვნით გადავედი. კვირაში ორჯერ მისივე თხოვნით ფეხბურთელებს საუბრებს ვუტარებდი ლიტერატურაზე, უცხოურ შთაბეჭდილებებზე, მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებზე. ასე რომ, ჩვენს შორის ძალზე გულთბილი და მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. ეს ურთიერთობა მას შემდეგაც გაგრძელდა, როცა მე თბილისში დავბრუნდი სამუშაოდ, წლების მანძილზე თითქმის ყველა თამაშზე ჩავდიოდი ქუთაისში.

შემდეგ გუნდში ჩემი მეგობარი, „ქუთაისის ტორპედოს“ ყოფილი მოთამაშე, მურად წივწივაძე დანიშნეს მეორე მწვრთნელად. ერთი თვის თავზე გიგა ნორაკიძემ უეცრად მიატოვა გუნდი. ეს მოხდა სეზონის გახსნამდე ზუსტად ორი დღით ადრე. მურად წივწივაძე არ დაიბნა, გუნდი ჩაიბარა და ძალზე გაბედული მიზანიც დაისახა, „ტორპედო“ ორ წელიწადში გადაეყვანა უმაღლეს ლიგაში. მან დანაპირები, ჩვენდა სასიხარულოდ, შეასრულა კიდეც. სიძნელეები ბევრი ჰქონდა, ძალიან ბევრი, მარტო შარშან სეზონის წინ გუნდიდან ექვსი ფეხბურთელი წავიდა.

მართალია, მოგვიანებით გუნდს ძმები მაჩაიძეები შეემატნენ, მაგრამ პრობლემა მაინც ბევრი იყო გადასაჭრელი. მურად წივწივაძემ გადალახა დაბრკოლებანი, შეარჩია საიმედო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახალგაზრდები, გაზარდა ფეხბურთელების დატვირთვა და საერთოდ წვრთნა თანამედროვე საფეხბურთო რელსებზე გადაიყვანა.

მან მეორე დიდი პრობლემაც გადაჭრა გუნდში — შექმნა ერთი მთლიანი, მეგობრული კოლექტივი. ფეხბურთელებმა დაიჯერეს მწვრთნელისა, აღივსნენ ოპტიმიზმის გრძნობით, რომ ნამდვილად შესძლებდნენ უმაღლეს ლიგაში გადასვლას.

მაგონდება გუნდის სახელით ჩემი მოლაპარაკება მანუჩარ მაჩაიძესთან. მას არ სჯეროდა, რომ ქუთაისის „ტორპედო" შესძლებდა უმაღლეს ლიგაში გადასვლას. ბოლოს და ბოლოს, როცა იგი მაინც წავიდა ქუთაისში სათამაშოდ, გაეცნო გუნდს, მწვრთნელს. შექმნილ სიტუაციას, პარტიის საქალაქო კომიტეტისა და აღმასრულებელი კომიტეტის დიდ მხარდაჭერას და მზრუნველობას, მიხვდა, რომ გუნდი ილუზიებით არ ცხოვრობდა, გადასვლის შანსი სრულიად რეალურ ნიადაგზე იდგა, ოღონდ დიდი შრომა და მონდომება იყო საჭირო...

ვულოცავ ჩემს საყვარელ ტორპედოელებს ამ დიდ გამარჯვებას.

ამასობაში თამაზ წივწივაძემ, ქუთაისის „ტორპედოს" უფროსი მწვრთნელის, ჩემი ძველი კოლეგის მურად წივწივაძის ძმამ და ჩემმა ახლანდელმა კოლეგამ ჟურნალ „ცისკრიდან", გუნდის სახელზე გაგზავნილი ორი ცნობილი ქართველი მწერლის დეპეშები მომაწოდა. წავიკითხე და ვიფიქრე, რომ მათი მოუტანლობა არ ივარგებდა. აი, ისინიც:

ჩემო ძვირფასო მეგობრებო, ნაღდებო და ჭეშმარიტად რაინდებო, ძმაო მურად: იმიტომ, რომ ქუთაისის ტორპედოელები გადმოდიოდნენ და გადმოდიოდნენ თბილისის „დინამოში", ვეღარ გადმოდიოდნენ უმაღლეს ლიგაში. ბოლოს სამართალმა მაინც პური ჭამა. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა.

ჯანსუღ ჩარკვიანი

## ქუთაისის „ტორპედოს" — მურად წივწივაძეს

თქვენი გამარჯვება საერთოდ ქართული საფეხბურთო სკოლის თვითმყოფადობისა და სიძლიერის დადასტურებაა, რაც, თავის მხრივ, კიდევ უფრო კანონზომიერს ხდის აქამდე მიღწეულ წარმატებებსაც.

ქუთაისის „ტორპედო" ჯერ კიდევ გაჩენამდე, დედის მუცელშივე განამწესა განგებამ თბილისის „დინამოს" ძმად; ხოლო ჩვენი ხალხის თქმით, ასი კაცი არ არის ისე საშიში, როგორც ორი ძმა. ორ ძმას მეტი შეუძლია და მეტიც მოეთხოვება!

დაე, დღეგრძელი ყოფილიყოს თქვენი ძმობა — დღეგრძელი და სამაგალითო ყველასათვის, ვისაც ფეხბურთი მხოლოდ თავშესაქცევ თამაშობად კი არ მიაჩნია, არამედ ხალხის საუკეთესო თვისებების, ბრძოლისუნარიანობისა და სასიცოცხლო ძალების თავისებურ გამოხატულებადაც.

გილოცავთ გულითა და სულით!

გმადლობთ!

ოთარ ჭილაძე

დიახ, გასულმა წელმა მართლაც რომ ბევრი წარმატება მოუტანა ქართულ სპორტს. მათგან ყველაზე უფრო სასიხარულო მოვლენად თბილისის „დინამოს" მიერ მოპოვებული ევროპის ჩემპიონთა თასის შემდეგ; ვინ იცის, სწორედ ქუთაისის „ტორპედოს" უმაღლეს ლიგაში დაბრუნება უნდა ჩაითვალოს.

ვისაც ქუთაისის „ტორპედოს" თამაში ახსოვს უმაღლეს ლიგაში, დამეთანხმება, რომ ეს იყო ძალზე საინტერესო ხელწერის, ტექნიკური ფეხბურთის მიმდევარი გუნდი. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისელებს ხშირად უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნის საკითხი ედგათ, მათ არასოდეს უღალატიათ თავიანთი სათამაშო პრინციპებისთვის. ეს იყო ტიპიური სამხრეთული გუნდი, რომელსაც იერიში გაცილებით ერჩია ათასგვარ დაცვით „ბეტონებსა" და „მავთულხლართებს". ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისის „ტორპედოს" ფეხბურთელები, როგორც არ უნდა გასჭირვებოდათ, კორექტულობას მაინც არ კარგავდნენ, რასაც დღეს, სამწუხაროდ, უმაღლესი ლიგის ბევრ გუნდზე ვერ ვიტყვით.

ასე თამამად იმიტომ ვლაპარაკობ ქუთაისის „ტორპედოზე", რომ 1964-65 წლებში მე თვითონ გახლდით ამ გუნდის წევრი და საკმაოდ კარგად ვიცნობ, როგორც მის ისტორიას, ასევე თამაშის მექანიზმსაც. შარშანდელი გამარჯვება, რომელსაც ასე ელოდნენ ფეხბურთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულშემატკივრები, ეს იყო იმ ათწლიანი შტურმის ღირსეული დაგვირგვინება, რომელიც ქუთაისის „ტორპედომ“ უმაღლესი ლიგის დატოვებისთანავე დაიწყო. რამდენჯერმე ამ ხნის განმავლობაში გუნდი ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ ყოველთვის „სულ ცოტა“ არ ყოფნიდა ხოლმე. იმისათვის, რომ უფრო ნათლად წარმოვაჩინო დღევანდელი წარმატების ჭეშმარიტი მნიშვნელობა, ძალზე მოკლედ გუნდის ისტორიის გახსენება მომიწევს.

გუნდის არსებობის მეოთხედ საუკუნეზე მეტი დროიდან ოთხ მონაკვეთს გამოვყოფდი.

პირველი, როცა 1961 წელს გუნდმა უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა, სალდაძემ, „ტორპედოს“ მაშინდელმა მწვრთნელმა, საინტერესო კოლექტივი ჩამოაყალიბა და კარგადაც მოამზადა გუნდი, როგორც ტექნიკურად, ასევე ფიზიკურად. გაოცებას იწვევდა ფეხბურთელების ფიზიკური მომზადება. მე მაშინ „ტორპედოს“ ახალგაზრდულ გუნდში ვთამაშობდი და ვხედავდი, შუადღის მწველ სიცხეში რა თავდაუზოგავად ვარჯიშობდნენ ჯუმბერ ხაყალია, გურამ გომელაური, გურამ ნიშნიანიძე, იუზა ლოსაბერიძე, ნოდარ სარჯველაძე და სხვები, ისინი, ვინც შემდეგ უმაღლეს ლიგაში გადასული გუნდის ძირითად ბირთვს წარმოადგენდნენ. არ გაგიკვირდეთ, სწორედ შუადღის გაგანია სიცხეში ვარჯიშობდა ხშირად გუნდი და ეს გამართლებულიც იყო, რადგან მაშინდელი „ბ“ კლასის ერთ-ერთ ჯგუფში ამიერკავკასიის გუნდების გვერდით შუა აზიის გუნდებიც თამაშობდნენ, იქაური სიცხე კი, მოგეხსენებათ, რა ძნელი ასატანია. ამას ისიც ემატებოდა, რომ თამაშებს ფერგანში, აშხაბადში თუ ჩიმკენტში სწორედ შუადღისას ნიშნავდნენ, რომ მოწინააღმდეგეებზე ერთგვარი უპირატესობა მოეპოვებინათ. მაგრამ ხდებოდა საოცრება. ქუთაისელები პირველ ტაიმს, როგორც წესი, ფრედ ამთავრებდნენ, თამაშის მეორე ნახევარში კი, როცა მათ, მოწინააღმდეგის აზრით, ქანცი უნდა გაწყვეტოდათ, სწორედ ფიზიკურად ჩაგრავდნენ მეტოქეებს და ხშირად რამდენიმე ბურთიც კი გაჰქონდათ. ასეთი ტაქტიკა მაშინ სწორი აღმოჩნდა.

მერე იყო კიშინოვის სამთა ტურნირი და ამ ტურნირში გამარჯვება. მახსოვს ის უზარმაზარი სიხარული, სხვა გულშემატკივრებთან ერთად რომ განვიცადე.

მეორე ეტაპი მას შემდეგ დაიწყო, რაც გუნდი ქართული ფეხბურთის პატრიარქმა ანდრო ჟორდანიამ ჩაიბარა. ამ პერიოდში მეც მომიხდა „ტორპედოში“ თამაში. ეს იყო მწვრთნელი, რომლისთვისაც ფეხბურთში საიდუმლო არ არსებობდა. მასში დიდ თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკული ნიჭიც იყო შერწყმული. ამის გარდა, ანდრო ჟორდანია დიდებული სელექციონერი გახლდათ, მისი ხელმძღვანელობის დროს, მიუხედავად იმისა, რომ „ქულების პრობლემა“ ძალაში რჩებოდა, გუნდის თამაში უფრო გამოიკვეთა და საზრიანი გახდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თავდასხმის ლიდერი ჯუმბერ ხაყალია, სერგო კუტივაძე, გურამ ცხოვრებოვი და მეკარე რამაზ ურუშაძე — კუტივაძე, ცხოვრებოვი და ურუშაძე მერე თბილისის „დინამოში“ თამაშობდნენ, ამიტომ მათ კარგად იცნობენ ფეხბურთის ქართველი გულშემატკივრები. ჯუმბერ ხაყალიამ კი თავისი ხანგრძლივი საფეხბურთო კარიერა ქუთაისის „ტორპედოში“ დაიწყო და აქვე დაამთავრა. მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა მასზე. ეს იყო ძალზე გონებამახვილი, ფეთქებადი რეაქციის ფეხბურთელი, შესანიშნავი დრიბლიორი, რომელსაც ორივე ფეხით უძლიერესი დარტყმები ჰქონდა. ამასთანავე, ხაყალია კარგად ერკვეოდა კოლექტიურ თამაშშიც. ხანდახან ის ისეთ საფეხბურთო „სვლებს“ აკეთებდა ხოლმე, რომ ფეხბურთის გამოცდილი სპეციალისტებიც კი აღტაცებაში მოდიოდნენ. ერთი ნაკლი ჰქონდა ჯუმბერს, სტაბილურობა აკლდა, მაგრამ თუ იგი თამაშისთვის მოემზადებოდა, როგორც წესი, დამცველებთან და მეკარესთან ორთაბრძოლებში გამარჯვებული გამოდიოდა. მე და ჯუმბერ ხაყალია ერთ ოთახში ვცხოვრობდით ქუთაისის „ტორპედოს“ საწვრთნელ ბაზაზე და ამიტომ მის ხასიათსაც კარგად ვიცნობდი. ჰქონდა მას კიდევ ერთი საოცარი თვისება, არ ვიცი, რა იყო ეს, საკუთარი ძალების რწმენა, თვითდაჯერებულობა თუ იღბლიანობა. კრიტიკულ მომენტში, როცა გუნდს უჭირდა და უჭირდა პირადად მასაც, ზოგჯერ მეტყოდა ხოლმე: „დღეს გოლს შევაგდებ“, უფრო იშვიათად კი: „ორი გოლია საჭირო“. გადაჭარბებაში და ჰიპერბოლიზებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ, როგორც წესი, ხაყალია სიტყვას ასრულებდა, თუ გოლს ვერ გაიტანდა, ხუმრობით ბოდიშს მოიხდიდა ხოლმე და მე უკვე ვიცოდი, რომ მომავალში „დავალიანებას“ აუცილებლად დაფარავდა.

არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჯუმბერ ხაყალია ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ფეხბურთელია მათ შორის, ვისაც ქუთაისის „ტორპედოში“ ოდესმე უთამაშია.

მერე „ტორპედომ“ ურუშაძის, ცხოვრებოვისა და კუტივაძის კვალდაკვალ რევაზ ძოძუაშვილი, გივი და ლევან ნოდიებიც მიავლინა თბილისის „დინამოში“. თითოეული მათგანი დიდხანს წარმატებით გამოდიოდა ქართული ფეხბურთის ფლაგმანის შემადგენლობაში.

1970 წელს ქუთაისის „ტორპედოს“ განსაკუთრებული კრიზისის პერიოდი დაუდგა და შედეგად გუნდი უმაღლეს ლიგას გამოეთხოვა.

პირველ ლიგაში გამოსვლის ისტორიაში ყველაზე საინტერესო, ალბათ, 1975-76 წლები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო. ამ დროს გუნდს ანატოლი ნორაკიძე წვრთნიდა და ქუთაისელებმა, რომ იტყვიან, „ტოტალური ფეხბურთის“ შესანიშნავი გაკვეთილები ჩაუტარეს ამ ლიგის გუნდებს. რამდენიმე მაშინდელი თამაში, მაგ. მინსკის „დინამოსთან“ და ბაქოს „ნეფთჩისთან“ ტელევიზიით გადაიცა და მთელმა რესპუბლიკამ ნახა, ამიტომ, ვფიქრობ, გულშემატკივრები დამეთანხმებიან ასეთ შეფასებაში. მე მაშინ ბევრი სხვა თამაშიც ვნახე და მოხიბლული დავრჩი. ეს იყო უაღრესად ნიჭიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული ახალგაზრდული გუნდი, რომლის თამაშიც ჭეშმარიტ სიამოვნებას ჰგვრიდა მაყურებელს. ბევრი იმდროინდელი „ტორპედოს“ წევრი დღეს თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელია. რამაზ შენგელიას, თენგიზ სულაქველიძეს, თამაზ კოსტავას, ოთარ გაბელიას კარგად იცნობენ ფეხბურთის საბჭოთა თუ უცხოელი გულშემატკივრები. ისინი მაშინ ახალგაზრდები იყვნენ და ფეხბურთის თამაში მათთვის ნამდვილი ზეიმი იყო.

დიახ, ზეიმი იყო, ოღონდ მხოლოდ ქუთაისში თამაში. ხოლო რაც შეეხება გასვლით მატჩებს, მე მათ „ჯოჯოხეთურს“ დავარქმევდი. იმ პერიოდში უკრაინაში რამდენიმე გასვლით თამაშზე ვახლდი გუნდს და შეძრწუნებული დავრჩი იმით, რაც მოედანზე ხდებოდა. ეს იყო „ანტიფეხბურთი“ ყველა თავისი კომპონენტით და, უპირველეს ყოვლისა, განსაცვიფრებლად არაობიექტური მსაჯობით. ან, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით — თვითნებობით. იყო თამაშები, როცა მოწინააღმდეგის აშკარა უხეშობაზე თვალის დახუჭვას რომ თავი დავანებოთ, მსაჯები ქუთაისელებს, რომ იტყვიან, მეტოქის საჯარიმო მოედანს არ აკარებდნენ. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში გადასვლა ძალზე ძნელი იყო.

სხვათა შორის, იგივე პრობლემა გასულ წელსაც იდგა ქუთაისელთა წინაშე და, მადლობა ღმერთს, რომ გუნდმა ის წარმატებით გადაჭრა.

1977 წელს „ტორპედომ“ ოთხი ფეხბურთელი გაგზავნა თბილისის „დინამოში“. გზადაგზა მათ კიდევ ორი ფეხბურთელი მიემატათ, სვანაძე და ანდღულაძე. მერე იყო იმედით და მოლოდინით სავსე წლები და ბოლოს გუნდს სათავეში ჩაუდგა ქუთაისის „ტორპედოს“ ყოფილი ფეხბურთელი მურად წივწივაძე. მე და მურად წივწივაძეს გვერდიგვერდ გვითამაშია ქუთაისის „ტორპედოში“. იგი ძლიერი დამცველი იყო. ჩინებულად თამაშობდა თავით. საოცარი შრომისმოყვარეობა და პასუხისმგებლობის გრძნობა ახასიათებდა. მის თავდადებაში და შრომისმოყვარეობაში არც ახლა შემპარვია ეჭვი. მაგრამ მიუხედავად ამისა, გულის სიღრმეში მაინც ვეჭვობდი, რომ გუნდი უმაღლეს ლიგაში გადასვლას მოახერხებდა. ვეჭვობდი მხოლოდ და მხოლოდ გასვლით მატჩებზე შექმნილი ხელოვნური სიძნელეების გამო, რომელზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ბედნიერი ვარ, რომ ჩემი ეჭვი არ გამართლდა და ქუთაისელებმა ასე ვაჟკაცურად გადალახეს ყოველგვარი დაბრკოლება და ბრწყინვალე საჩუქარი მიართვეს ფეხბურთის ქართველ გულშემატკივრებს.

მაინც რამ განაპირობა გუნდის ასეთი წარმატება ძალიან მოკლე ხანში, სულ ორიოდე წლის განმავლობაში? ყველა გულშემატკივარს ალბათ ეს კითხვა დაებადება. უპირველეს ყოვლისა, გუნდის კარგად შერჩეულმა ხელმძღვანელობამ, მისმა უფროსმა მწვრთნელმა მურად წივწივაძემ, რომელმაც შესძლო კოლექტივში ნამდვილი მეგობრული და მებრძოლური სულისკვეთების ჩამოყალიბება. გუნდი კარგად იყო მომზადებული, როგორც ფიზიკურად, ასევე საფეხბურთო ხელოვნების თვალსაზრისით. ქუთაისელები თითქმის ყველა თამაშს ბოლომდე და ძალების დაუზოგავად თამაშობდნენ. ეს კომპონენტი კი ძალზე ხშირად აკლდათ მათ. არ შემიძლია ვილაპარაკო გასვლით მატჩებზე, რომლებიც არ მინახავს, მაგრამ შინ ქუთაისელებმა თამაშის საინტერესო მოდელი შეიმუშავეს. ეს იყო ანსამბლი, სადაც ყველა რგოლი შეთანხმებულად მუშაობდა. გუნდში გაბატონდა ურთიერთდახმარების, ურთიერთდახმარების პრინციპი. თითქოსდა ისეთ რთულ ვითარებაში, როგორშიც „ტორპედოს“ უხდებოდა ბრძოლა, არ რჩებოდა დრო და ადგილი იმპროვიზაციისათვის, მაგრამ ქუთაისელები მაინც არ ღალატობდნენ თამაშის ტრადიციებს და სახლში გამართულ მატჩებში ხშირად სწორედ ისეთ თამაშს ანახებდნენ ხოლმე, რისთვისაც მაყურებელი სტადიონზე დადის.

ვიქნები გულახდილი და ვიტყვი: მურად წივწივაძემ სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში თითქმის შეუძლებელი საქმე გააკეთა.

დიდი დამსახურება მიუძღვის გუნდის წარმატებაში ქალაქის ხელმძღვანელობასაც, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ გუნდს თამაშისა და ვარჯიშის ძალიან კარგი პირობები ჰქონოდა. გუნდი ყოველთვის გრძნობდა რესპუბლიკის საზოგადოებრიობის მხარდაჭერასაც.

თითქმის ყველა ფეხბურთელმა, ვინც კი მონაწილეობა მიიღო გუნდის ძირითად შემადგენლობაში, დიდებულად ითამაშა. რომელიმე მათგანის გამოყოფა გამიჭირდებოდა და, ალბათ, არც იქნებოდა სწორი, წარმატებას ისინი თანაბრად ინაწილებენ. მხოლოდ ერთ ფეხბურთელს გამოვყოფ ცალკე და ვფიქრობ, არც შევცდები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მურად წივწივაძის სიტყვებს დავეყრდნობი: „მანუჩარ მაჩაიძის მოსვლამ გუნდში გადამწყვეტი როლი ითამაშა. მისმა მონდომებამ, შემართებამ, ენერგიამ და უმაღლეს ლიგაში გადასვლის სურვილმა ბიჭებიც საბრძოლველად განაწყო“.

მე ვნახე მანუჩარ მაჩაიძის რამდენიმე თამაში „ტორპედოს“ შემადგენლობაში და ძალიან გამიხარდა, რომ მოედანზე ძველი მანუჩარი ვიხილე. ბევრ გულშემატკივარს ალბათ ეჭვი ეპარებოდა, რომ მანუჩარი კიდევ შესძლებდა ფეხბურთის თამაშს, მაგრამ მათ მხედველობიდან გამორჩათ ერთი დიდი ღირსება, რომელიც მანუჩარს გააჩნდა — პროფესიონალიზმი. სწორედ იმან, რომ მანუჩარი ნამდვილი პროფესიონალი ფეხბურთელი იყო, შეაძლებინა მას თამაში პირველი ლიგის გუნდშიც.

სამწუხაროდ, აქა-იქ გულშემატკივრებში და რაც უფრო სავალალოა, ფეხბურთის სპეციალისტებშიც შეხვდებით ასეთ აზრს: რა საჭიროა ისეთი პატარა რესპუბლიკისთვის, როგორიც საქართველოა, ორი გუნდი უმაღლეს ლიგაშიო, — საფუძველშივე მცდარი აზრია. ქართული საფეხბურთო სკოლა, მართალია ძირითადად თბილისის „დინამოს“ ბაზაზე არსებობს, მაგრამ ქუთაისის „ტორპედო“ ამ სკოლის არსებობას მხოლოდ ხელს უწყობს. ამის მშვენიერი მაგალითია სწორედ ის, რომ ქუთაისის „ტორპედოში“ აღზრდილი ფეხბურთელები დიდებულად თამაშობენ თბილისელთა კოლექტივში. მეორე მაგალითიც მინდა მოვიყვანო: ის ორი შევსება, რომელიც თბილისის „დინამომ“ მიიღო „ტორპედოსაგან“ სწორედ გუნდის უმაღლეს ლიგაში გადმოსვლის პერიოდთანაა დაკავშირებული, მაშინ დაიწყეს ფეხბურთის თამაში კუტივაძემ, ძოძუაშვილმა, ძმებმა ნოდიებმა, შენგელიამ, სულაქველიძემ, კოსტავამ. და პირიქით, ბოლო ოთხი წლის მანძილზე ძალიან ცოტა ახალგაზრდა ადგილობრივი ფეხბურთელი შეემატა „ტორპედოს“ ძირითად შემადგენლობას. იქნებ ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ქუთაისში შესუსტდა ახალგაზრდობის ფეხბურთით დაინტერესება.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თბილისის „დინამოს“ მიერ ევროპის თასის მფლობელთა თასის მოპოვებას მომავალში ახალგაზრდა ფეხბურთელთა ძლიერი ტალღა მოჰყვება. ასევე მგონია, რომ „ტორპედოს“ უმაღლეს ლიგაში გადასვლამ ქუთაისელ ახალგაზრდებში ფეხბურთის ბუმი უნდა გამოიწვიოს.

რახან ახალგაზრდებზე ჩამოვაგდეთ სიტყვა, ერთიც უნდა აღინიშნოს: იმაში, რომ ქუთაისის „ტორპედო“ არსებობს და იბრძვის, იმაში, რომ ორი ათწლეულის განმავლობაში ქართული ფეხბურთი წარმატებებს აღწევს, ერთ კაცსაც მიუძღვის გარკვეული წვლილი. მისი სახელი შეიძლება ხშირად არ ფიგურირებდეს საფეხბურთო მიმოხილვებში, მაგრამ უჩინრად იგი თითქმის ყოველთვის ფეხბურთის მაგნიტურ ველშია მოქცეული. ეს კაცი კარლო ხურციძე გახლავთ, შესანიშნავი მწვრთნელი, სელექციონერი და ახალგაზრდობის მეგობარი, ვის აღზრდილებთანაც ქართული ფეხბურთის ბევრი წარმატებაა დაკავშირებული.

ერთი სიტყვით, რამდენიმე კომპონენტის ერთმანეთთან ბედნიერმა შერწყმამ ქუთაისის „ტორპედო“ უმაღლეს ლიგას დაუბრუნა. მინდა ვირწმუნო, რომ გუნდი წარმატებით გადალახავს მის წინაშე მდგარ ამოცანას და მტკიცედ დაიმკვიდრებს ადგილს საბჭოთა კავშირის თვრამეტ უძლიერეს საფეხბურთო კოლექტივს შორის.

გურამ ფანჯიკიძესთან ერთად კიდევ ერთ მწერალს ვთხოვე თავისი შთაბეჭდილებების გამოთქმა — რეზო ჭეიშვილს, გუნდის დიდ გულშემატკივარს და „ასპროცენტიან“ ქუთაისელს. რეზომ მშვენიერი ჩანახატი მოიტანა და მე ის ბოლოსთვის შემოვინახე.

## რეზო ჭეიშვილი

— გადავა ვითომ წელს? — კითხულობდნენ სეზონის მიწურულს ფეხბურთის გულშემატკივრები.

არ ჯეროდათ.

შანსი და იმედი სულ ბოლოში გათანაბრდა.

— თქვენ რას იტყოდით, ბატონო ივანე?

— გადასვლით ვერა, მარა არ შევრცხვებით... საპრიზო ადგილზე გავლიან ალბათ... — გვიპასუხა ცოტა ხნის შემდეგ მასპინძელმა.

მიხვედრილი მიხვდებოდა, რომ შეფიქრიანებული კაცი თავს იზღვევდა, რაღაცას ფარავდა; შვილებს და თავსაც აგუებდა მოსალოდნელ მარცხს, თუ გნებავთ, კატასტროფას, რომელიც ბოლო ორი-სამი თამაშის შემდეგ შეიძლებოდა დატყდომოდა თავს უმცროს ვაჟს, მურად წივწივაძეს და კიდევ რამდენიმე ადამიანს, ფანატიკური თავდაჯერებულობით რომ მიიწევდნენ დასახული მიზნისაკენ.

მუხნარის ტყეშიც კი ცხელოდა იმ დღეს. „ტორპედოს“ ბანაკში, გამეჩხერებულ კორომქვეშ მოჩვენებითი მოთენთილობა სუფევდა. თითქოს უმიზნოდ დაბორიალებდნენ მომავალი ასპარეზობის მონაწილენი; ერთს თითქოს მეორესთან არა აკავშირებდა რა. ჭადრაკი. ნაბელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლავის გახსნილი ბოთლები. წელზევით შიშველი ფეხბურთელები. განცალკევებული მანუჩარი, მწვრთნელები, ძალაუნებურად რომ იხედებოდნენ დროდადრო ცისკენ, რომელიც არაფერს საგანგაშოს არ მიანიშნებდათ.

მუხნარის ნიავი მიყვებოდა რიონის არხს, სილისფერი წყლის ზედაპირს. შეწითლებული მზე ეხსნებოდა კვახჭირის შემოგარენს, რიონის ჭალებისაკენ, გეგუთის, ბროწეულის, მუხიანის, თიანეთის, ფარცხანაყანევის მინდვრებისაკენ იხრებოდა. პალატიდან გამოსული, დიდი აივნის ჩრდილში გაჩერებული სათვალიანი კაცი მუხნარიდან წყალწითელას ხეობაში ჩამოსულ, ძელქვების წვეროკანებამდე მოტანებულ ჰაერს იყნოსავდა, ანგარიშობდა, რა ხანი უნდა ყოფილიყო თამაშამდე დარჩენილი; გასული იქნებოდა თუ ახლა გადიოდა სტადიონისაკენ წითელსარტყელშემოვლებული ავტობუსი. ხელში საცერშერჩენილი დიასახლისი მეუღლეს უყურებდა, შეუმჩნევლად ოხრავდა და სამზარეულოსაკენ მიდიოდა. შვილები ვიღაცას შემოიყოლებდნენ აუცილებლად თამაშის დამთავრების შემდეგ; იქაური ან გარეშე (თბილისიდან მატჩის სანახავად ჩამოსული) კაცი შემოაღებდა მზის ჩასვლისას ჭიშკარს. როგორ ხასიათზე დაბრუნდებოდნენ შვილები? გულისგამაწვრილებელ მოლოდინს როდის მოეღებოდა ბოლო? ორიოდე ასეთი კვირა, რამდენიმე ასეთი დღე და რაღაც დასრულდებოდა ერთხელ და სამუდამოდ ან ავად, ან კარგად. დასრულდებოდა კი?

მზე ჩადიოდა. ნარინჯისფერი სხივები ეფინებოდა წყალწითელასა და რიონის ჭალებს, ბებერი ძელქვები საუკუნოვანი მთვლემარებიდან ფხიზლდებოდნენ, წვეროკანებს არხევდნენ, ჭაში ჩაკარგულ ჩრდილებს ატოკებდნენ. ზეგანზე დაცარიელებული ქალაქი გარინდულიყო, სტადიონი დუმდა ავისმომასწავებლად, „ჯუნგლების“ ღრიალი არ წვდებოდა შინ დარჩენილთა ყურთასმენას. თითქოს ჯდომისაგან გადაღლილი, თავდახრილი მწვრთნელები ისხდნენ ტრიბუნების წინ, სულ ქვევით, განცალკევებით. ხელისგულში ნიკაპჩადებული „მენოტი“ ფერდაკარგული მიჩერებოდა მინდორს.

მთავრდებოდა „ომი“. სასიხარულო ამბავი მოჰქონდა კვახჭირში რადიოს, ზოგჯერ — ტელევიზორსაც. დაცარიელებულ, დასიცხულ ქალაქს კი ტრიბუნების გუგუნი აფხიზლებდა... და ასე ბოლო თამაშამდე, რომელიც უჩემოდ იხილა და განიცადა ქართული ფეხბურთის ბევრმა გულშემატკივარმა.

კარგად მახსოვს, დიდი ხნის წინათ უმაღლეს ლიგაში (მაშინდელ „ა“ კლასში“) გადასული ქუთაისის გუნდის პირველი მატჩი; პირველი გამარჯვება სახელოვან კოლექტივთან, თავით გატანილ პირველ გოლსაც ვიხსენებ; აურიამულებულ, ფერად სტადიონს (მაშინ წითელი ფერი ჭარბობდა ტრიბუნებზე) და აგუგუნებულ, ფეხზე წამომდგარ „ჯუნგლებსაც“ ვხედავ.

აღორძინებული გუნდის პირველ თამაშს, პირველ გამარჯვებას, პირველ გოლსაც ვნახავ წელს ქუთაისში.

თამაშის დამთავრების შემდეგ გაჩერდება მანქანა ძელქვიანში, რკინის ცისფერ ჭიშკართან. გამოგვეგებება ბატონი ივანე, ქალბატონი ოლია. დაგვაკვირდებიან, გვიცნობენ. შემდეგ მოვლენ ზეგური, ავალო და ბეჟანი. შემყუდროებული ვილაპარაკებთ აქეთურზე, იქითურზე, ფეხბურთზეც, რასაკვირველია. ოფიციალურ ბანკეტზე დაკავებულ უმცროს ვაჟს და უფროს მწვრთნელსაც ვადღეგრძელებთ სხვებთან ერთად. ბატონი ვანო დაგვლოცავს თხის მორჩილი, დაკრეხილი ყანწით; მომავალ თამაშამდე დამშვიდებული და გახარებული შეეგებება ყოველ მომდევნო დღეს.

შემდეგ ისევ მოლოდინი. მოლოდინი დაუმთავრებელი, გაუსრულებელი. მოლოდინი დამკვიდრებისა, დარჩენისა, წინსვლისა.

დიდი მოთმინება, მრავალჟამიერი, გამოულეველი სიყვარული და გაძლება დიდ ოჯახს!

გაძლება გქონდეთ „ტორპედოელებო“ მუხნარის ტყეში, მწვანე მინდორზე, უმაღლეს ლიგაში!

გამარჯვებით და გამარჯვებით გევლოთ მერე და მერე!

ჟურნალ „ცისკრის“ რედაქცია ულოცავს ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივს უმაღლეს ლიგაში გადასვლას, უსურვებს დიდ წარმატებებს მომავალ საფეხბურთო სეზონში და რწმენას გამოთქვამს, რომ ქუთაისელები ღირსეულად ამოუდგებიან გვერდში ქართული ფეხბურთის მედროშეს — თბილისის „დინამოს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ღიმილი

## განცხადებები

### სად გსურთ ისწავლოთ?

ახალი წლიდან ხელფეხთვალყურტვინენამოქნილთა ბნელსარდაფიან სახლში ვაყალიბებთ: თავით წყლის ნაყვის, კედელზე ცერცვის შეყრის, მგლის თავზე სახარების კითხვის, ხელის გულზე ერბო-კვერცხის შეწვის, ტვინის ჭყლეტის, ნემსის ყუნწში გაძრომის, რწყილის გატყავების, ქვაში წვენის გამოდენის, ენით ხიდან ყვავის ჩამოგდების, ზღვის კოვზით დაშრობის, კუზიანის უსამაროდ გასწორების, სირცხვილისა და თანამშრომლების ჭამის, ნერვების დაწყვეტის, სხვის თვალში ბეწვის დანახვის, კუდით ქვის სროლის, სინდისის გარეცხვისა და შუბლის ძარღვის გაწყვეტის შემსწავლელ თვითმოქმედ წრეებს, მეცადინეობები ჩატარდება დევიზით: „ბნელა მთვარიან ღამეში?“

მსურველებმა საბუთები უნდა შემოიტანონ კისრისტეხვით, გამოცდები უნდა ჩააბარონ უთავბოლოდ, მეცადინეობებზე უნდა იარონ თავქუდმოგლეჯით, გაკვეთილებზე უნდა ილაპარაკონ გადასარევად და სწავლა უნდა დაამთავრონ ჭკუის დაკარგვამდე!

### დისერტაციების დაცვა

სამეცნიერო-პოპულარულ კლუბ „ჭკუის კოლოფის“ აუდიტორიებში სამეცნიერო ხარისხების მაძიებელნი დაიცავენ დისერტაციებს შემდეგ თემებზე:

„ჰაერის ტალღების რხევის ინტენსიობა დასავლეთ საქართველოს სოფლებში გამთენიისას, მამლის ყივილამდე 15-20 წუთით ადრე“.

„ბუმბულის ბალიშის დადებითი გავლენა ძილის ხარისხზე“.

„ცხრა ძმის მიერ თხილის გულის გაყოფის ისტორიული წყაროები და მისი ახალი ვარიანტები“.

„სუროსა და კურკანტელის ნაყოფის ზემოქმედება დედალი შაშვისა და მამალი ჩხართვის წონაზე ჩიჩახვში ჩავარდნის შემდეგ“.

„სიმონა დოლიძისა და ბურჭულაძის ურთიერთდამოკიდებულების სავარაუდო არგუმენტები“.

„ჭადრაკის, შაშის, დომინოსა და ლოტოს მნიშვნელობა სამუშაო დროის რაციონალურად გამოყენების საქმეში“.

„ხმელი ქინძისა და ნედლი ნიახურის ბიოლოგიური ცვლილებანი საიდრეო კომბოსტოს წნილში“.

„უფროსთან დაახლოებისა და სამსახურში დაწინაურების თანამედროვე ხერხები და მეთოდები“.

„წნევის ცვალებადობა ცოლთან ხელფასის მიტანის დროს და ცოლის ცენტრალური ნერვული სისტემის მდგომარეობა რესტორნიდან ქმრის შინ დაბრუნების შემდეგ“.

დისერტანტები, ოფიციალური ოპონენტების რეცენზიებისა და რეკომენდაციების გარდა, ვალდებულნი არიან თავიანთ შრომებზე წარმოადგინონ თავიანთი დადებითი შეხედულებანი წერილობით.

დისერტაციების დაცვის შემდეგ ანონიმისტთა და ინტრიგანთა ყბებში ჩავარდნის შიშით დესერტაციები აღარ მოეწყობა!

### გთხოვთ დაესწროთ!

თვითნაბადი ტალანტების ნებაყოფლობითი საზოგადოება აწყობს ძალიან გულთბილ და ამაღელვებელ შეხვედრას ახალგაზრდა, თვითნასწავლ მხატვრებთან, თვითნასწავლ მომღერლებთან, თვითნასწავლ პოეტებთან და კონსერვატორიადაუმთავრებელ მუსიკოსებთან.

შეხვედრას ვრცელი შესავალი სიტყვითა და მოკლე კომენტარებით გახსნიან ამავე საზოგადოების თავმჯდომარე და მისი მოადგილე ტალანტების აღმოჩენის დარგში.

მეტად საინტერესო სიტყვებით გამოვლენ: ადგილობრივი, სოფლელი პროზაიკოსები, ქალაქელი პოეტები, დაბაში მცხოვრები დრამატურგები, თვითნასწავლი კომპოზიტორები,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დამწყები პროფესორები, ვეტერანი აბიტურიენტები, მეცნიერებათა ახალგაზრდა დოქტორები, მხცოვანი კანდიდატები, ხანდაზმული სტუდენტები, მუშა-მხატვრები, მოსამსახურე მსახიობები და პოეზიის პროფესიონალური მოყვარულები.

დასასრულს, თვითნაბადი ტალანტები გულწრფელ მადლობას გადაუხდიან დამსწრეთ თბილი შეხვედრის მოწყობისათვის და პირობას აღუთქვამენ მათ, რომ აუცილებლად აიმაღლებენ ოსტატობას!

ვანო ცინცაძე

# პროფესორი და მინისტრი

„ნეტარ არს ერი იგი, რომელსა შინა ფილოსოფოსნი მეფობენ და მეფენი ფილოსოფოსობენ".

ალექსანდრე ბატონიშვილი

სააქტო დარბაზში სადოქტორო დისერტაციის დაცვა მიმდინარეობს.

დამსწრე საზოგადოებიდან, ნახევარზე მეტი, დისერტანტის ოჯახის წევრები, ნათესავები და ახლო მეგობრები არიან. ერთმა მოხდენილად იხუმრა კიდეც: „დესერტაციაზე" ჩემს მტერს ეხტუმრა ამდენი ხალხიო.

ხარიებელი ხარისხის პატრონნს, ვისთანაც კი ხელი მიუწვდებოდა, არავინ გამორჩენია. თვითონ მიართვა მოსაწვევი ბარათი ყველას და საგულდაგულოდაც გააფრთხილა: ვახშამზეც უნდა მეწვიოთო.

მომავალი დოქტორი, მერე, გულს რომ დაიმშვიდებს, ალბათ თავის ავტობიოგრაფიაში თავმდაბლად აღნიშნავს, რომ მისთვის ამ ღირსშესანიშნავ დღეს, სხვათა შორის, ორი დიდი კაციც ესწრებოდა. ერთი, ახლახან მინისტრად დანიშნული — მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამბერკი ფუტკენუა და მეორე უკვე საკმაოდ სტაჟიანი მინისტრი ანდუყაფარ აფრასიონის ძე ბოსტალანაშვილი.

ბატონი ამბერკი, როგორც ოფიციალური ოპონენტი, პრეზიდიუმში ზის, ანდუყაფარ აფრასიონოვიჩი კი მასებთან უფრო ახლოს არის და პირველ რიგში გამოჭიმულა.

ფერწასულმა დისერტანტმა, როგორც იქნა, ჩამოარაკრაკა ზეპირად დასწავლილი, მრავალჯერ გადაკითხული, შესწორებული, მომაბეზრებელი შესავალი, აღნიშნა თემის აქტუალობა, პრობლემატურობა და ისიც კი თქვა მოკრძალებული, თავაზიანი ტონით, რომ ამ საკითხს დღემდე ჯერჯერობით არავინ შეხებია მთელს მსოფლიოშიო.

თავმჯდომარეს ისლა დარჩენოდა, სიტყვა ოპონენტისთვის მიეცა.

კათედრაზე ბატონი ამბერკი ადის და დისერტაციის რაობაზე იწყებს მსჯელობას, როგორც მას სჩვევია და ჰგონია: საინტერესოდ, მიმზიდველად, ლოგიკურად...

თითქმის ყველა სულგანაბული უსმენს, ანდუყაფარ აფრასიონოვიჩმა კი რატომღაც საშინლად ამოიოხრა.

თავისი მოსაზრების ნათელსაყოფად და განსამტკიცებლად, პატივცემული პროფესორი იშველიებს ციტატებს მარქსის, ენგელსის ნაშრომებიდან, ჩერდება ცალკეულ საკვანძო საკითხებზე, აბათილებს დისერტანტის კონცეფციას და საილუსტრაციოდ მოაქვს ბელინსკის, ჩერნიშევსკის, გერცენის, დობროლიუბოვის, გორკისა და სხვათა გამონათქვამები. შემდეგ, საქართველოში ბრუნდება და ილიას, აკაკის, ვაჟასა და ნიკო ნიკოლაძეს იმოწმებს...

ანდუყაფარ აფრასიონოვიჩი მთლიანად გამოთიშულია და სახეზე ეტყობა, სულ სხვა რამეზე რომ ფიქრობს. „დავუშვათ, ამხანაგი ფუტკენუა დღესვე მოხსნეს თანამდებობიდან. — გაიფიქრა და რატომღაც გაიღიმა ბოსტალანაშვილმა, — პროფესორობა ხო შერჩება?!" შემდეგ საშინელმა აზრმა გაუელვა თავში: „აი, მე რო მომხსნან?" ატოკდა, აცმუკდა, აქეთიქით მიმოიხედა: „დამერქმევა ყოფილი მინისტრი, ნამინისტრალი და მეტი არაფერი". შეიშმუშნა, შეტორტმანდა, თავი შეიკავა. ღმერთმა დასწყევლოს, აქ რაღაც თავს კარგად ვერ გრძნობს აფრასიონოვიჩი. კაბინეტში სულ სხვანაირად გამოიყურება, ხუთი ტელეფონი უდგას, გამოცდილი მსახიობივით, როგორც საჭიროება მოითხოვს, ისე იცვლის ხმას, თუ „ბორჯომი" ან ხილი მოუნდა, დააჭერს თითს ღილაკს და მდივანი გოგო გაუჩენარს გაუჩენს.

სამსახურის მოგონებამ თავისი თანამშრომლები გაახსენა. როგორ იყო, ამ რამდენიმე ხნის წინ, ერთ მის განყოფილების გამგეს რომ უთქვამს? „ჩვენი მინისტრი „კომუნისტისა" და „ლელოს" მეტს არაფერს კითხულობს, მე კი ეს ამბავი უცხოური პრესიდან შევიტყეო!" მაშინ კარგად უპასუხია მინისტრს: „შე რეგვენო, ყბადაღებული კაპიტალისტური პრესა რო ყოველთვის ტყუის, არ იციო?" მუშტი მაგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაზე დაურტყამს აფრასიონოვიჩს და გარეთ გაუგდია ამბის მიმტანი, მაგრამ არცერთი სამსახურიდან არ მოუხსნია, რადგან, ბევრი ფიქრის შემდეგ განდობია თავის მლიქვნელს: ხმა ცუდად გავარდებაო...

ბატონმა ამბერკიმ დაამთავრა თავისი გამოსვლა. თავმჯდომარემ ახლა სიტყვა დისერტანტს მისცა.

სინდიხი აფორიაქებული აქვს აფრასიონოვიჩს. ველარ წაართვა, ველარ გამოსტაცა თავი ამ მაწვალებელ ფიქრებს. შემზარავმა აზრმა მთლად დაუბნელა გონება: უცბათ წარმოიდგინა, რომ სამუდამოდ განშორდა ამ ქვეყანას და თავის ჯკუაში საკუთარი ნეკროლოგის წერასაც კი შეუდგა: „ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თვალსაჩინო პარტიული და საბჭოთა მუშაკი ანდუყაფარ აფრასიონის ძე ბოსტალანაშვილი. ა. ა. ბოსტალანაშვილმა ცხოვრების დიდი გზა განვლო — უბრალო მუშიდან რესპუბლიკის მინისტრამდე“. აქ ცოტა შეჩერდა. ის სამჯერ იყო სხვადასხვა მინისტრი. ეს როგორღა თქვას, რომ ყველასთვის გასაგები გახდეს? ვერ მოახერხა. მთავარია ფაქტები, დაიიმედა გული. მერე, როგორც საჭიროა, რედაქტორი და სტილისტები დაწერენ. მაგრამ იმის შიშით, რომ არაფერი გამორჩეთო, აღნიშნა: როგორ მოახმარა მთელი თავისი ღრმა ცოდნა, მძლავრი ენერგია და დიდი გამოცდილება ხალხისათვის ზრუნვას. შემდეგ ჩამოთვალა ორდენები, მედლები და კვლავ შეჩერდა. „ნიჭიერი ორგანიზატორის, მომთხოვნი ხელმძღვანელისა და პრინციპული მუშაკის — ა. ა. ბოსტალანაშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგებისა და მეგობრების გულში“ — შაბლონს ვერ ასცდა აფრასიონოვიჩი. „ისემც შევარცხვინე მაგათი თავი და ტანი, — უხერხულად გაიღიმა მინისტრმა, — მაშინვე ატყდება რეკვა და უბედურება ჩემი ადგილის დასაკავებლად!“

პაექრობა დამთავრდა; ხალხი აიშალა; დისერტანტის მისალოცად პირველნი ნათესავები გაეშურნენ.

ანდუყაფარ აფრასიონოვიჩი გამოერკვა, გარშემო დაბნეულად მიმოიხედა, მერე სათვალე მოიხსნა, ჭაღარა თმაზე მარჯვენა ხელი გადაისვა და ცოტა თავისუფლად ამოისუნთქა.

●

კარგა ხანია, რაც აფრასიონოვიჩი და ბატონი ამბერკი მეგობრები არიან დ იმ დღეს პირველად მოხდა, რომ კარებში გასვლისას, მინისტრმა გზა დაუთმო პროფესორს. არც კვლავინდებურად უთქვამს „ამბერკი, თუ გინდა, ჩემი მანქანით წაგიყვანო“.

მძღოლმა მაშინვე შეატყო, აფრასიონოვიჩი ცუდ გუნებაზე რომ იყო. თვრამეტი წელიწადია თვალ-წარბში შესცქერის და კიდევ ვერ შეისწავლა მისი ხასიათი.

— სად მიდიხარ, სადა?! — დაიღრიალა მინისტრმა.

— სახლში, ხაზეინჯან, — დაამ·უხრუჟა მძღოლმა.

— მერე, რომელი საათია, ჰა?!

●

— მინისტრი მოვიდა? — იკითხა თანამშრომელმა.

— მოვიდა, მაგრამ ცუდ ხასიათზეა, — უპასუხა მდივანმა.

— ჰო. მაშ არ ღირს შესვლა.

ზარი აწკრიალდა.

— სპეცლიმონათი და ცივი ბორჯომი, სასწრაფოდ!

მდივანმა ორი ბოთლი და ორი ჭიქა შეურბენინა.

— ერთი ის ვაუბატონი აქ მომგვარე!

— ვინა, აფრასიონოვიჩ?

— განყოფილების გამგეა, თუ რაღაც ეშმაკი.

— საქმეზეა წასული.

— რომელი საათია ეხლა!

— ექვსის ნახევარი.

— ბრძანების წიგნი! მე მაგას ვაჩვენებ საქმეს!

მდივანი გაკვირვებული მისჩერებოდა თვალებში.

აფრასიონოვიჩმა საკუთარი ხელით ჩაწერა: „ჩემ მიერ მიცემული დავალებების სისტემატური შეუსრულებლობისა, შეპასუხებისა და უმიზეზოდ გაცდენისათვის ამხ. ვ. გელაშვილი განთავისუფლებულ იქნას სამსახურიდან“.

— იკითხოს ეხლა „ლელო“ და „კომუნისტი“, — ჩაიბურტყუნა თავისთვის ბოსტალანაშვილმა და წიგნი მდივანს გადასცა.

მდივანმა ვერაფერი გაიგო, მაგრამ შეკითხვა ვერ გაუბედა.

აფრასიონოვიჩი შვიდ საათამდე კაბინეტში იჯდა. სიგარეტს აბოლებდა და იღიმებოდა. მაინც რა აზრები მოუვიდა დღეს თავში, ჰა?

●

შუბლგახსნილი და ხასიათზე მოსული მინისტრი რომ დაინახა, მძღოლს ძალიან გაუკვირდა.

— საით, ხაზეინჯან? — შეეკითხა გახარებული.

— საით და, ის კაცი, დღეს რომ რაღაცა დაიცვა, არ დავაფასოთ?

მძღოლმა მხრები აიჩეჩა და შავი „ვოლგა“ ადგილს მოწყვიტა.

ვიქტორ კახნიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჯანდაბას დავწერ...

— რამდენი სტრიქონი გამოვიდა?

— ოცდაორი!

— ოცდახუთამდე აიყვანე!

— ვერ ავიყვან, ლექსი დამთავრდა.

— აბა რა ვქნათ, საიდან მოვიტანოთ სამი მანეთი?

— არ ვიცი!

— ჩაუმატე სადმე სამი სტრიქონი!

— ნემსის წვერს ვერ ჩავაძვრენ ვერსად, ერთი ნაცვალსახელი ძლივს ჩავაკვეხე ახლა.

— მოიტა, ვცადო, იქნებ გამომივიდეს რამე.

— აბა რა უნდა გამოგივიდეს

— თორემ ჯერ არ გამომსვლია!

— ის შორისდებული იყო.

— აბა, სამშობლოზე დაწერილი ლექსი წაალე დასაბეჭდად.

— ის ხომ ბინის ქირისათვის გვინდა.

— რად უნდა ბინის ქირას მაგდენი!

— ორი თვისა გვაქვს გადასახდელი.

— მაინც გადაგრჩება რაღაც და ფეხსაცმელზე იზრუნე.

— ფეხსაცმელს თავის ფასში მაინც ვერ იშოვი და ხელზე საყიდლად მაგას რა ლექსი ეყოფა.

— დაწერე ერთი პოემა და ორივეს გვეყოფა.

— მერე მაგის დაბეჭდვაზე სირბილში რატომ ორი ფეხსაცმელი არ გამიცვდეს.

— შენც შეეშვი სიუჟეტიანი პოემების წერას. რამე ლირიკული ალსარებასავით დაწერე. ვერავინ ვერაფერს გაუგებს და ვერც ვერაფერში შემოგედავებიან.

— ზოგიერთი სტრიქონი რომ ერთმანეთს გადაგვიბან და ვიზარალოთ!..

— განა რა უნდა ვიზარალოთ იმდენი...

— მოფიქრებაც ხომ უნდა რაზე დავწერო!

—რა მოფიქრება მაგას უნდა, დაწერე მშობელ მიწაზე.

— წინა პოემა სამშობლო მხარეზე იყო. განმეორება ხომ არ გამოგვივა.

— მშობელი მიწა და სამშობლო მხარე როდის აქედანაა ერთი.

— რა ვიცი, ახლოს კი არიან ერთმანეთთან... ისე კაცი ვერ გაიგებს მაგის ამბავს.

— საქმეც მაგაშია კაცი რომ ვერ გაიგებს მაგის ამბავს. ჯერ ერთი, ან ის ვის ექნება წაკითხული და ან ამას ვინ დააკლავს თავს, დაითვლიან სტრიქონებს და მოგვცემენ ფულს.

— ჰო, მართლა, ონკანი გვაქვს გამოსაცვლელი, კაი 14 მანეთი ღირს, მერე ხელოსანსაც რომ უნდა...

— ისესხე ვინმესგან 14 სტრიქონი, ქვეყანას იცნობ.

— ზაფხულია, ყველას უჭირს, ვისგან ვისესხო.

— არც ასე გინდა, არც ისე, ნეტავ ვიცოდე რას აპირებ!

— ჯანდაბას მაგის თავი, დავწერ პოემას.

— რას უყურებ, დაიწყე!

— მოიცა ადამიანო, ხუთი წუთი დარჩა ფეხბურთის დამთავრებამდე.

— გამიწყალა ამის ფეხბურთმა გული!

ნოდარ ბართაია

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე—72-26-80 მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები—72-26-35, პროზის — 72-26-80, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 22. 1. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 3. 82 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14, სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 186. უე 06117. ტირაჟი 53.000.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# არ გადმოფინო სიმშვიდის დროშა

არ გადმოფინო
სიმშვიდის დროშა
ციხის კედლებზე
არავის ნებით,
ეს იმას ნიშნავს,
რომ შენ ნებდები,
რომ შენ ნებდები,
რომ ცოცხლად კვდები.
არ გადმოფინო
სიმშვიდის დროშა,
არ მიაშურო
დათვივით ბუნაგს,
ზამთარი მოდის,
ზაფხული მიდის
და დედამიწა
ბრუნავს და ბრუნავს.
რაც იყო ახლო
უკვე დაგვშორდა,
რაც იყო შორი
მოვიდა ახლოს,
შენა ხარ აწმყო,
მაშ წარსულსა და
მომავალს შორის
ჩუმად ნუ სახლობ.
შენა ხარ აწმყო
და შენი სუნთქვა
სამყაროს სუნთქვის
ქარიშხალს ერთვის,
შენთვის თენდება,
შენთვის ღამდება,
მზეცა და მთვარეც
ამოდის შენთვის,
იცხოვრე, წერე,
აშენე, ხატე,
ყოველი დღისთვის
ეომე დროჟამს
და არასოდეს
ციხის კედლებზე
არ გადმოფინო
სიმშვიდის დროშა.

**ენვერ ნიჟარაძე**

საქართველოს კომკავშირისა და ვლ. მაია-
კოვსკის სახელობის პრემიების ლაურეატი.

Б 17914

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ.

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ